ლიტერატურა და ხელოვნება

N1
1/2008

1522
2008

პროზა
ვეფხისტყაოსანი
ესსეები კოტეტიშვილი
პოეზია
ფანელი სანელაური
თარგმანი
ბეთსანი შეფიერი
კინო
ფოდორი ჩიხელი
მხატვრობა
ეროვნული ბიბლიოთეკა
მუსიკა
ქალი ესმოსლოთაძე

ილია ჭავჭავაძე

ლიტერატურა და ხელოვნება

N1(25)

1/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გიორგი გეგეჭკორი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი გამოდის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით

სარჩევი

ლირიკა

4 **გუჩამ დოჩანაშვილი** - ჩაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება /ჰომანი/

28 **ტარიელ ხარხელაური** - ლექსები

32 **ლალი ბერეგვაძე** - შესაძღებლობის ზღვარი

40 **ვახუშტი ჯოტეტიშვილი** - სონეტები, ლექსები

43 **ვახუშტი ჯოტეტიშვილი** - ჩემი ნუთისოფელი /მემუარები/

თარგმანი

54 **ბერნჰარდ მლინჯი** - გოგონა ხვლიჯით (თარგმნა ბელა სეიგუელაძემ)

ესეი

60 **თარხუან ჯავახიშვილი** - ხუსთაველის ესთეტიკა და მისი ავტორი გიორგი ნადირაძე

66 **გიორგი ჩოხელი** - მე დავბრუნდები სიკვდილის მერე

მოგონება

68 **საღომე გოგოლაძე** - ისოდე, სიცოცხლის ფასი! (ჯაჯო ვაშალომიძე)

სატირები ხელოვნებაზე

72 **ნათელა უჩუშაძე** - დრამატული თეატრი

ქრონიკალური

76 **ხატია გაბელავა** - „აისერიო ბისერიო მისერ“ (გოდერძი ჩოხელი)

მხატვრობა

80 **ლელა ოჩიაური** - მხატვარი, რომელმაც ისტორიის ჯარი შეალო(გიორგი გეგეჭკორი)

84 **ფოტოარქივიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



260

მინდა თქვენი ჟურნალის საშუალებით შობა-ახალი წელი
მივულოცო თქვენს მკითხველთ და სრულიად საქართველოს და
ვუსურვო სიხარული, მშვიდობა და ყოველი სიკეთით აღვსება!

+ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემს უფროს მეხსოვს, და მეტად მაბრალებს:

(ეგრეთწოდებული „ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

ისი ფორმალური პარტიულობა რომ არა ბატონი რეზო ჩხეიძეს აბა როგორღა დანიშნავდნენ „ქართული ფილმი“ს, იმ კინოსტუდიის მართლად-განმგებლად რომელი კინოსტუდიის მისი თავკაცობისას ქართულმა ფილმებმა იმდენი საერთაშორისო პრიზი, დიპლომი თუ ჯილდო მოიპოვეს რომ კარგა მოზრდილი დიდი შენობა, შესაბამისი ფოტოებით დამშვენებული ველარ გვყოფნიდა მათ დასაბინავებლად და გამოსამზეურებლად გინდაც “ნიჰილისტები“სათვის და ხელს ვინ შეუწყობდა კი არა და მთლადაც ფეხზე ვინ დააყენებდა რამდენ ახალგაზრდა რეჟისორს თუ სცენარისტებს, ოპერატორებს ხოლო უფროს თაობას მასავით სხვა-ვინ ეყოლებოდა მხარში მდგომი და როგორი შეუპოვრობით და ტაქტითაც მათი ფილმების აუარება ეკრანზე გამტანი, და გადამტანი; გახლდათ; მის სხვა ღირსებებს კვლავ არაერთხელ ან გაგაცნობთ და, თუკი იცოდით? — სამარცხვინოდ, რამდენ გულმავიწყს, — შეგახსენებთ...,

ის გინდაცყალბი და თაღლითური ანუ გინაც-„პარტიულობა“ რომ არა ვინ დანიშნავდა ბატონ გურამ ასათიანს „ლიტერატურნაია გრუზია“ს რედაქტორად, იმ ჟურნალისა რომელშიც რომ ქართველ მართლაცდა მართალ-მწერალთა თარგმანებს გარდა თანამედროვე რუსი მწერლების ის ლექსები და პროზა და ნამდვილ-ლიტერატურის გამჟღავნება იბეჭდებოდა რომელთაც მათი დიდად აღიარების მიუხედავადაც რუსული მოსკვა-ჟურნალური რედაქციები დაბეჭვდას ვერა ბედავდნენ, და, რა ტაციაობა იყო მთელს უკეთესსა-რუსეთში ჩვენს „ლიტერატურნაია გრუზია“-ზე...,

ის ყოვლად ურიოშო “პარტიულობა“ თუ არა აბა როგორღა იქნებოდა თვით იმ წაბილწულ ცეკა-ში ისეთი მართალი, პატიოსნებით მთლად-სანთელივით კაცი ბატონი რომან მიმინოშვილი რომელიც მართლაც რა სუფთა, მართლაც როგორ-ფაქიზად სპეტაკი თაფლისა სანთლად სუფთად დაიწვა იმ ყალბი გადატვირთვის მიუხედავად მთელი ჰომეროსის თარგმნასა და რა ღრმა წიგნებზე მუშაობაში და როგორ, რანაირად მოახერხა ეს, ცეკა-ში ხომ ყოველდღე სუცოტა 9 საათს მაინც უნდა ყოფილიყო, და, აი თუ სად-მუშაობისას რამდენად მეტად დასაფასებელია ღვაწლი-მისი; ასევე ჩემი თანაკურსელი, ბატონი როინ მეტრეველი იმხანად თუმცა რაღა თქმა უნდა ვერ იქნებოდა გააშკარავებულად ეკლესიური მაგრამ, ცეკა-სი გინდაც ასევთქვათ ერთ-ერთი „წამყვანი“ თანამშრომელი როგორ დიდ, დიადქართველებზე, წმინდანებზე დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე როგორ ახერხებდა ისე პირნათლად მუშაობას რომ, თუნდაც ამითი, დაუსწრებლად მაინც იყო რამდენადმე ეკლესიური რადგან მათ ხანას, წმიდანებისა, აშკარად უფრო ეთაყვანებოდა ვიდრე „ცეკური“,ს,

და, თუ არა ბატონ ოთარ ნოდიას საქმისადმი თავდადება და ნიჭი და ალღო სხვა ვინ, და განსაკუთრებით ეს იშვიათი ნა-ცეკა-რი დააარსებდა მთარგმნელობით კოლეგიას, როგორი მაღალნიჭიერი თანამშრომლების შემკრებს, მათ შორის ჩემი როგორი ახლობლების „არ გადაკიდებული ძმაკაცობისა“ და მიუხედავად, როგორი ჩემნი, და ჩვენები —

დასაწყისი იხ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10, 11, 12/2007

სომეხი ჩემი გივი შაჰნაზარი და ჩემი ჯემალ აჯიაშვილი, ძველ-ებრაულისაც და ძველდაახალი ქართულისა ისეთი მფლობნი რომ, მართლაცადა, აღტაცებამდე, გაგიხარია, გაგვიხარია, და როგორის დიდით რუდუნებით მათდამი ვინ გამოსცემდა სხვათა ენებზე ჩვენი ქართული, რა მშობლიური წიგნებისა იმ სოც.-

-„ეპოქა"შიაც კი რა გრძლურსა წყებას თარგმნილი და გადმოთარგმნილი ტომებისა და რომელიც-რომ ესე-ასეთი კოლეგიაც, დღეს, ე.წ. „დემოკრატიულობისასაც აღმავლობაში" რაღა თქმა უნდა კარგა ხანია, გაუქმებულია, ასე ვთქვათ — მტკიცედ და, „სამუდამოდ"? — ვერ მოესწრებით, „სამუდამოდ",ობას

და მერე და მერე ამ და ასეთს "პარტიულებზე" კვლავ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას ხოლო იმათ კი, რა ვქნა და მე ვერ მივიღებ კი არა და, მეპატიოს და, სიძულვილამდე მერცხვინებიან აიისინი რომლებიცა რომ იმე-პარტიას გადაძღომისათვის და ასე ვთქვათ „კეთილმონყობის"ათვის და ანუ როგორც ვრცელდიდსაწყობთა გამგეობისათვის და რაღა თქმა უნდა ზოგ-მწერლობითაც თუ მხატვარმოქანდაკეობებით და ა. შ.-ების „გამგე"ებად დანიშვნისათვის რომ იყიდიდნენ, სულს, —

ჰყავდათ, მყიდველი,

და, ეგულებოდნენ კლიენტებად შავბნელ ძალას ის რა-როგორი იმასაქმეში უმრავლესობით, პარტიულები, თუმც არ გესმოდათ არაფერი, უწიგნურებო, განსაკუთრებით ვერ იცოდით იმ ცხოვრებისკენ, ცხოვრებისათვის სიკვდილის შიში, რადგან ყოველმხრივ უ-თავადქრისტე-ვერ-იანებს, და როგორ ყოვლად უხელოვნებან-ნო,ც, მაინც რამდენნი იყავით, — ჰოიი... აქ სამწერტილი ვერ საჭიროა, ვიყვირებ-მაინც — რა-დიდძალ გვყვანდნენ!

ხოლო ჭიჭიკობიძიასი ისიმისი ტყუილტყვილები, ჩორნიპაუკზე ცრუგვირგვინად დადგმულები და შემოხვეულნი ამ-მთხრობელისა ხან ხმაანევით და ხანაც როგორისიდუმალის-გრძნეულ-მითომაც ჩურჩულით, კაცო, ძილისპირულად გვბატონობდა, და, მაინცე-მაინც, ჩემობატონო, აკეთებდნენა ისიტყვილები თავიანთ, საქმეს, ჩვენს იმა ოთხკედლობრიულადაც კი ვერ დამჭერთ ჩვენთა მძაფრულ წარმოსახვათა ვერვერ შეპყრობით — :

— ჰხოდაა, შეიხედა და დეინახა მარა ხედავს მარა რას ხედავს ბოშო თუ რა მობობლავს პსიხოლოგიჩესკი ატაკაზე იქითურ კიდაროში აქითა ჩვენიკიდაროსაკენ... ბიჭოდანიელა!.., და ხმალმოქნეული ჩორნიპაუკი..., —

და ასე შემდეგ, ხოლო კრასნიმანტია თავისიბიჭებით კაიმაგრებით მარა რათ გინდა იყვენ ისინი-ყველე ჩორნიპაუკის ზღვის-ჯიგიტებთან და ვარესიცკიდო — ვოკეანეებისი მბრძანებებლები მითომაცე მარა ჩორნიპაუკით, ჩასოლებულები? ძალიან ისე? — კი, გასაწურათ პისტალეტიან-შალვრებისი, კი, და სწორედ აი სწორედაც იმათზე, კი, გვიყობოდა შესაფერისი განედებისა პარალელური თანხლებითა და გამოყენებით ზეპირმწერალი ენითემთხზველი ჭ.-კორძაია, ის ჩემიკვინდრი და რა მახლობელი გარებიძია და თლათ ბიძიკო მაგრამ ესა კი მთლათ ფორმალურათე-მხოლოთე რადგან — მაინც როგორი და ვითარ-რარიგად შემშობლიურებული ყველასთვის, თანაც ძალიან, კიი, შემოქმედი-ეს თავისებური რა იყო და, ენისებური, ენით აღწერით გვ-გვბოძებდა ის სულაც ვერ-აღუწერელებს, გინდაც სოველი მარა უძვლო-უძვალო, ენით, ისა ბალზაკის კაცურსაცკი ხნოვანობასაც აშკარად თუმცკი გადაცილებულიგინდკაცობაში მარა ამასთანავე ბალზაკზე-მეტათ გამოცთილი რახან ბატისფერთა კი არა და, ე-მომავალი კომპიუტერი რათუნდოდა და მას, ამჩემსა ნკვიდრსა და თლათ ბებერი არ იყო, არა მარა რამდენსა კარგაძალიან ხანდაზმულსა და ღრმად ცქაფ-მოხუცზეცკი პირ-იქითულად გამონაცადი ძალიან გახლდათ ემ-ვუცნაურსა წუთისოფელსში და ჩორნი-იმდენადმოულოდნელ პაუკთანა კი, ის მერე რა რომ მოუხელთებელთან მაინცე სწორეთ იმასთანერთად იყოფდა თავის კამერულსა დროს, გვამყოფიებდა იმეზღვაში და ჩაგვდიოდა ფანტაზიებით ფეხი იმ ზღვაში, და ოკეანეში? — ვუმფრო, და ერთ რამედ კი არა და აუარება რამედ ღირდა ჩორნიპაუკთან აგრეთვე ჭიჭიკობიძიითა გამოგონილი და ამიტომაც ადექვათურათ როგორ მკაფიოდ ჯერ გამოვლენილი და მოგზავნილი მერე „ოსობი შტაბსკი კაპიტანი" ვიაზემსკი იგი კი ახლა-თელათე ჩერნიშევსკივით ვერა მარა სულ თელათ არაარა მარა წარამარა კი კიცქადაგებდა ჭიჭიკოსი-ენითუღლელით ჭკვიანურობებს ჭკვიანურათე ოზნოურიშვილ-კორძაიათი კნიაზ-ვიაზემსკი თან სულელურათ, და თან მაინცე კაი-ბრძნულათ თან პო-სტარიკოვსკი, —

და,

რაც ზემორეთენახსენებმა ვიაზემსკიმ იქაქანა მარა, ნამდვილათ ლომკაც ჩორნიპაუკთან იმისი ქაქანი? — ყოფილა თორემ ზოგ ადვოკატივით ტყვილა წყლისნაყვა იმ შემთხვევასა და სლუჩაიაში პოდ-ოპეჩნის და პროტეუესა ჰადვოკატობის მიუხედავად რომ რომემაინც წელთა მაქსიმუმს, 365 დღიან გრძელ წელინაადეეებს ისეძაან ნაკიანებსა თუარ ჩავ-თვ-ლით — მაინცე ისე მიარჭობენ სუდიები რომ, თელათ რობინი ჰ.-სი ისარივითა, კი,

რომ,

აკი გითხარით ჩორნიპაუკის დიახაცე-რო

ერთ-ერთი მარჯვენა ხელის, კერძოდ კი რობინიჰუდის ისარივითა, კი, და ასევე ოულელვებელ მტკიცისიხელით იმა-სუდიამ ვოკეანესი თავისი არა მარა სხვისისახელით მარა მაინცე სულეც თავისიპრიგავორით თლათ უბოდიშოთ გუდუუშვა კრასნიმანტიას როგორც-წვერება ასევ ულვაშაც ბოცმანიკაცი გითხარით უკვე თლათ უპარდონოთ და — იმას გინდაცე ცოდნოდა ცურვა რაში არგოდა რადგანაც ისი რადგანაცე უჩესტ-აღებოთ მეისროლეს პაუკელებმა იმე შვა-ზღვაში აკულებით რო ქერო დუღდა და გადმოდუღდა და ი-აკულეფს სუარ ჭიროდათ„приятного аппетитааа“-სი დაძახილება რადგანეც იმათ თლათშვენიერი კაიკარქათ იცოდნენ თავიანთ-ავტოაკულური ზაკუსკისსაქმე, —

კი, —

აბა?

... —

ასე ყობოდა, კი, ჩესტნი სლოვა ის მთხზველი, ჩვენი, ქართულ-და-რუსულ-და-მეგრელურათ, კი, ხოლო რაც მე მართლა ძალიან დიდად გამიკვირდა? ჭიჭიკობიძია, ერთის შეხედვით კუთხურობების, ხოლო მათგან კი განსაკუთებით მეგრელიზმებ-გურულიზმების — აბა არ იყო ბირმინგემელი ინგლისურათე რო „ეკაიფა“, — მარგალურ-თქმათა ისე ხშირად მომხმარებელი რომ, გეგონებოდათ, ზოგ-ქართულები სუვერ იცისო?! არა ბატონო — ბაბუა და კნიაზ ნაპოსთან ისეთის სუფთა და დახვეწილი და „ლიტერატურული ქართული“თ ლაპარაკობდა, რომ? — ეგება გახსოვთ, ჩემი კურსელი თითან ოთარ (ა) ქოჩიაშვილი და თავად ისიც კი ვერ შეედრებოდა იმა-თავისი ზოგ-ტურგენევისა არ იყოს „ნასტოიაშჩი რუსსკი ლიტერატურნი იაზიკ“-ისა, დიდ-ღრმული, ცოდნით,

მე კი, სულელი, ამ სიბერეში-ღ მივხვდი მხოლოდ რომ კუთხურობები ჩვენი ქვეყნისა, ანუ იგივე საქართველოსი რამდენად მეტად და რაოდენ-მაღლად ძვირფასია ვინემ ეს თავმოსაწონრად გამოჭენებული ვუცხო სიტყვები დღესდღეობით რომ განსაკუთრებით ზედმეტად ხშირად იხმარებიან (— მართლაც! ზოგ არცთუ-გაჭირვებულ ქალ-კაცებივით, კი...) და თურმე რატომ — განათლებულობულობებებისა-და-განსამტკიცებლად, და ვერც გაამტყუნეფ — წიგნების კითხვას და ნათელთვალების (ისემც!..) ამოღამებას არ ურჩევნიათ დეისტავლონ ვოციოდ ისთეთი ვუცხო სიტყვა რომ ძაანც-მყვირალი განათლებულობის დასტურათე და მეტი რა უნდა სავარძელში ჩაჯდ-აღმავლობას? პეტერეული ვოღონთ სხვისი და სვინდის-ნამუსის წინარე კი ერთიკინკილა მარტო, ასო, ასო „უ“ აბა თქვენ რა გეგონათ — უ-სვინდისობა, უ-ნამუსობა და ასე უ-შემდეგოთეც, კი, ხოლო ეს ჩვენი...

ხოლო, ჩვენი-ეს, კუთხურობები, ღვთის შეწევნით რა მრავლადა გვაქვს, და იმ ავტოდ-გადამპრანჭავ სიტყვათა ნაცვლად? — როგორმე ეგებ მივმხვდარიყავითაა, რომ, ჩვენი ქართული უნდა გვერჩიოს, აი ეს ენა რომლითაცრო ყველაფერი რომ როგორ საღად ითარგმნება რაცხა-ორიოდ გამონაკლისისა გარდა როგორებიცაა „ტროლეიბუსი“, „ავტობუსი“ ანდა „ტრამვაი“ და მისთანანი, ხოლო, ჩვენი ეგრეთწოდებული კუთხური სიტყვები კი, ჩვენი უგნურის-გადაპრანჭულობით „ჩამორჩენილები“ რომ გვგონია არ უნდა იყოს, ბატონო, ასე — როგორ, რარიგად მშობლიურებია, რადგან, რომელი სიტყვა,უცხოური შეგვიცვლის იმათ — და არაა მათი დასახელება ოუცილებელი, ბოშო, ალბათე,

და, როგორ ძალიან განმიმტკიცდა ესიაზრი ჩემი ვაჟათი, ჩემ-კლდიაშვილით, ეს და რაღა თქნა უნდა მეცნიერულ შრომებსა და ჟურნალისტიკაში თუმც ძაან ცუდად „იყვირებენ“ მაგრამაც პროზასა და პოეზიაში როგორ ძალიან იხვეწებიან ჩადომას, კი, მთავარია რომ, ჩვენც თუ შევბედავთ სულმოსათქმელად, გულის ფონებად, ჩაგვჯდეს,

და რაც მეტად, კი, გამოვიყენებთ, მთლად უკეთესი ოღონდ ისე რომ თუ სუარ მოვჭრით ერთმანეთს ყურს კი არა და, სმენას და გულის რა საღ-წამლად, გავუწვდით, ერთურთს? საჩვენებელი-ც გადამეტებით, ც? —

მთლად უკეთესი,

და ვნახავთ აგერ ჩვენი ჰა-და-ჰა გადაშენებული ძველი ქართულიც თუ რა-მშვენივრად, შუენიერად შეგვივსებენ ამა თუ იმა საჭიროდ სათქმელს,

ხოლო რუსულიც, წარმეიდგინეთ თლათ მშვენიერი-კარქათ ნაცოდინარა მშუენიერი ჭიჭიკობიძიას სოხუმელთა უმრავლესობასავით — იქიდან იყო, კი, და მხოლოდ სოხუმელობა რას უშველიდა, რუს კლასიკოსებს კარგად იცნობდა მხარზეკოცნითაც მაგრამ აქა კი, ამ კამერაში? — „კრასნაია მანტია“-ს ნაცვლად „კრასნიმანტია“ს მიტო ხმარობდა, რომ, ჩვენკამერელთა უმრავლესობისათვის უფრორე მეტად მშობლიურათე მიეწოდებინა აისიტყვები, არასწორათ, ასე რომ, დღესდღეობობით მეამ-ხვითოს შეხვედრებზედაც კი რომ მიწვევენ და მეკითხებიან არცთუ ძალიან სწორ შეკითხვას — ვინ არის თქვენი პროზის მასწავლებელი, ო, — რადგან იმედია კადნიერებაში არ ჩამომართმევთ რადგან უჩემოდაც ცნობილია რომ ყოველი დარგის ხელოვნებაში მოწაფე უფრო არსებობს ვინემ საკუთრივ-მასწავლებელი მაგრამ რას ვამბობ — გურამიშვილი და ყაზბეგი რომკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყვანან, ბედნიერებად მე-ამ მართლაცდა როგორ მათ-ულირსს, — მასწავლებლები არიან აბა რანი არიან, ისინი, ჩემი, და, მეტიც უფრო — ხელოვნებაში კი არა, მხოლოდ, — სული თუ მიდგას, თავი და თავი თვით ბიბლიათი მაგრამ ამ ზეპირ-შეხვედრებზე ამისი ხაზგასმითი თქმა, ვერა ვარ ეს-მე მოწაფეობის, მათთა, ღირსი, ხოლო მეორეს მხრივ კი? — ვინ გამიგებს რომ „ჩემი კამერის"... ეე, ჩემ-საკნელი ჩემიკვიდრი გარეგბიძიაჭიჭიკო, მეთქი? — ეგებ სწორედ მან შემიმზადა მარცვალთწყობის და, კუთხურობებისაკენ მიდრეკილების ის შორეული, საფუძველი,

იმან სიტყვების შეხამების, გამოთქმებისა და მიმართვისაც კი ისეთიხსნორი სხვადასხვაობა იცოდა, ფლობდა? — გადასარევი... ასე მაგალითად, მამაჩემს, რომელსაც ადრე „პეტრე-უფროსო"-თი მიმართავდა, თურმე, რამოდენიმე დღის შემდეგ ციხის საავადმყოფოში ერთად რომ შევხვდით, „ჩემო პეტრე"-ო, ასე მიმართა, და ეს ასევთქვათ „პანიბრატსკულად" კი არა არამედ მთლადაც ნამდვილი მისი ახალი-„თანამდებობით"ი მიმართვა გახლდათ რადგან იმ რამდენიმე დღეში კოლეგიალური მომვლელი გახდა, ჩემი,

და, როგორ იცოდა სიტყვათ-ზოგიერთთ შერწყმა ანდა დაშორიშორება გაზედმეტებულიც კი, იმ პაუზებით, ზეპირ თხრობაში შედარებით რომ ძალიან ბევრად ადვილია ვინემ პროზაში თუმცა სასვენი ნიშნების მეტი რა გვაქვს მაგრამ ჭკუის არ იყოს ვერც მათ ვიყენებთ უკეთესი შეძლებისამებრ, ხოლო ჩემინკვიდრი და კუტოკელი „ჩორნიპაუკ"ს ერთსიტყვად ამბობდა მის ფიცხელ ბრძოლა-შეტაკებებისას ხოლო როდესაც დაფიქრდებოდა ნაღდიგმირი ის? — რადგანაც, ძიოჭიჭიკოთი ფინქრრიც, იცოდა — „ჩორნი პაუკ"ს ცალკ-ცალკე ამბობდა და თანაც ისე აშორიშორებდა, რომ, ჩვენცკი, იმაკამერელებს გვეფიქრა როგორ რა-გმირთან, ერთათ,

და, ადრესატს კი, შეეტყო რომ პატიმრებთან ისედაც არა-მაღლადგომობით გამორჩეულ მამაჩემს ესიამოვნა, მიმართვა-ეს,

ხოლო რაც შეეხება კუთხურ გამოთქმებს, როგორც ბებიაჩემი ხშირად ამ სიტყვას — „უპრაგონოდ"-ს, თუმც შინაგანი დაუფიქრებელ-სისწრაფეთი როგორ რა-ზუსტად არჩევდა იმათ, სიტყვებს-იმ, და, ზომიერებით რადგან რაისამესი თუნდ-გასაძლიერებლად ანაცდა დასაკნინებლად თუ ლბილფეროვანებისათვის (— კოლორიტისათვის) და არამცდა-არამც უპრაგონოთ, კარგა-ფაქიზად არჩევდა იმათ თვალთა ხამხამზე უსწრაფესად, მათ, თორემ ამე-სიტყვებით ჩვენეყველამ ძაან ადვილად შესაძლოა რომ მაგრა-უხერხულ კარგა-ჩოთირულ საჩოთიროულს მდგომიარობაში ჩევიგდოთ აგიესთავი, —

ხოლო მე ვის ვასწავლი ამას რადგან აგერ ამ ბოლო-ბოლო აბზაცებში ხომ ამ მხრივ ნამდვილად ვერ გამოვიჩინე ზომიერების გრძნობა, მაგრამ, ეგებ იმიტომ სიჭარბე-ეს, რომ, ცოტათი-მაინც ისე ვიჟღინთე კუთხურობებით რომ მომავალში ეგება თქვენცკი მოგანატროთ და შევეცდები, ზომიერად რომ მივმართ-მოვმართო, მშობლიურობებს, კი, ხოლო ზომიერების გრძნობა მიტომაცაა დიდად საჭირო, როგორც ახლახან მოგახსენეთ საჩოთიროულს მდგომიარობაში როარ ჩავიგდოთ აგი, ეს, თავი, —

ასე მაგალითად, ბევრი წლის შემდეგ მე — როდის იყო რომ ზრდასრული მაგრამ არც ისე აცეტებული როგორაც ადრე თუმც რომელიერთი ხაზგასმულად სალაპარაკოა, ეს, ერთ რედაქციაში რომ ვმუშაობდი ერთმაც ჯეილა მწერალმა ქალმა /ქალზე „ჯეილა"სი თქმა ჩემი მიგნება არ გეგონოთ, არ იფიქროთ რომ, ვიჩემებდე — სულხან-საბას როგორ სურდა რომ ქართულს ჰქონოდა სქესის ნიშნები და იმდენი ცდა აქვს ამისა, ძირითადად „ი"-ს „ა"-თი შეცვლით, არსებითი და სულიერი სახელებისა, ასე რომ „ჯეილ-ა", გინდაც ჩემით წარმოებული მისი ღვაწლია, ისევე როგორც მამაკაცზე თუ ხშირ შემთხვევებში "იგი"-ს ვხმარობ ხოლო ქალზე — „ის"-ს, მოკლეეთ, რაბევრი გავაგრძელო და, ერთმაც ერთგვარმა ქალმა თავისი მორიგი მოთხრობა რომ მოიტანა, რედაქციაში, დიდის სიფრთხილით შევუდექი მისი მოთხრობა-ნიმუშის კითხვას, რადგან, ახირებულად უცნაური ქალ-ა და ქალ-აუ, უმოთხრობებოდაც, ჩანდა:

ერთხელ, ნაახალწლევს ჩვენმა ერთ-ერთმა ავტორმა ის მერერარომ მამაკაცმა რედაქციაში კანფეტები ჩამოგვირიგა და იქმყოფ მისთვის უცნობ და გარეგნობით არცთუ ისე მომხიბლავ რადგან ერთის ნახვით არ-გადასარევ ადამიან-ა-ს მაგრამე-მაინც ავტოდ-საჯენტლმენოდ იმ ქალბატონსაც რომ შესთავაზა რომელიღაცასახელიანი-ალბათ კანფეტირომელი იმა-კანფეტისაც სახელწოდებადასათაური სუალარ მახსომს (— აიი, ჩემი ეს ახლად როგორ-ფეხადგმული სკლეროზისასი ერთიც დასტური/, და სხვა არაფერი არამცთუ თქმითაც კიარ უთქვამს და წესიერად არც შეუხედავს წარსულში ალბათ ქალებსში-ნავალს, და, რომ გავიდა ისიკაცი, ხვაშიადების თურმე როგორმა არდამცავმა იმ-ქალბატონამ (აქ „ა" ზედმეტად ხუარაა...), ჩვენ? — გვითხრა: არ ვიცოდიდა თურმე იმ კაცსაც ვყვარებივარ, ო, და, გაკვირვება რომ შეგვამჩნია, —

„აბა რატო მომცა კამფეტი ტყუილა ხომ არ მომცემდა",-ო,

ასე რომ, ცოტა საფრთხილო ქალი გახ-

ლდათ განსაკუთრებით მისადმი დეენტლემენობებშიაცაცკი, და, თუ რა დღეში ჩავვარდებოდი როდესაც მისსა (— ეგებ ანგლიკანური სიტყვიდან „მისს“) ასე ვთქვათ „ქმნილებაში“-ო თუ რას ეძახიან ზოგშემთხვევაში? — არამცთუ შევცბიც მთლად სახტად დავრჩი და საგონებელშიაც მაგრა ჩავვარდი რადგან როგორმე და მაინც რაც შეიძლებოდა თავაზიანად უნდა მეთქვა რომ უხერხული ხომ არ იყო მისი აი ეს წინადადება:

„ხოლო ვაჟკაცმა რომ მოავლო ხალხს თვალი, კაცებს და ქალებს, მიხვდა რომ ყველანი ეჭვით უყურებდნენ და შეჰყურებდნენ და ამიტომაც ვაჟკაცურად მოახტა და მოექცა ზედ მათ ერთ-ერთ საჯდომს (— !) და, მიდიიი (— !!)“... —

და, დიდის სიფრთხილით კი არა და, კარგა-შეშინებულზეც — რომ მოვიდა ჩემი პასუხურ-შეფასებისა მოსასმენად, თვალარიდებულმა გავიფიქრე რომ არ გაიფიქროს — „პორნოგრაფიაზე იმიტომ ხომ არ უსვამს ხაზს რომ, ჩემგან ამგურამს თუ ვიღაცაოხერია რაიმე ასეთ-ამადაგვარი სახეობა ხოარ უნდა თვით-ავტორისაგანა“, ო, და ძლივასღა ვუთხარ... არა, ვუთხარ კი არა, თქმით ნამდვილად ვერა, მაგრამ მხოლოდღა რაც შეიძლება უმანკო ნეკით-ღ მივანიშნე — კიდოკაი რომ მაგიდის იქით იჯდა ისი და არა გვერდით, მეჯდა... — რაწამომცდაეს!! მეჯდა-მეთქი... ხოლოკი თქმით კი:

პატივცემულო ქალბატონო, ცოტათი მგონი უხერხულია ესა, მეთქი, და —

იუკადრისა:

მაინც რატომ, ო,

და, გავბედე მე ზოგ-რიჩარდივით კარგალომგულამ:

აი, საჯდომს რომ მოახტა, მეთქი, და, როგორ სახალხოდ აიღო და, — მიდიიი, მეთქი,

მაინც რათ არი უხერხული, ო, მარდი ვაჟკაცი იყო, ო, — ო, ოო, ვაჰ — :

ვაჰხ! ეს ვინ ჰყოფილა, ამორალური ეს... მაგრამ დასკვნებებ-იანი, როგორ... და, იმ ახლოწარსულში-კანფეტებიანს რა ვიცი ეგებ შეჰყვარებულსსაც ან ჰქონებია მახვილი თვალი ანაც — პირიქით ესე იგი ანდაც და ანუ არქონებია თორო ასეთი ასეძაანა პირდაპირი რამშეაყვარა, კანფეტოვანი სიყვარულისა ისე-ახსნით, რომ, — რაღა თქმა უნდა სხვა რიღასი თქმა-ღა უნდოდა ამა-ქალასა, სხვა, და, აქეთა კი ხოლოკი მე კი, გავოცებულმა, ვსძლიე თავსა და, :

„ნუთუ ისეთი გინდაც მარდი მაგრამ ვაჟკაცი იყო რომ განა-და-ნუთუ საჯდომზე დახტომა და გინდაც შეხტომა და თანაც ასე გაქანებულად მიდი ასე სახალხოდ აბა რომელი ვაჟკაცობაა“, მეთქი —

ვიწურები, კი, მთლადაცოფლში,

და ცხელა თანაც, ივლისია,

მაგრამაც იმან? — იანვარულად, ძაანაც ცივათ:

„ვაჟკაცობაა მა რა არი სხვისა საჯდომსა რომ სახალხოდა ზედ მაექცევი“-ო, —

ვაი შენს გურამს! გინდც სამმაგულად ნაპატრონევს (მამა-ბებია და ჭიჭიკობიძიათიც, კი,), მთლადაც ბრინჯივით კი არა და, მოხარშულბრინჯის მოლეკულურად დაბნეულ, ვიყა, ერთი ისღალა გავიფიქრე რომ „სხვისა საჯდომი“-ში ალბათე სხვისი (— იმ ნაახალწლევ-კანფეტებიანი?!) ლოგინურ-სატრფო იგულისხმებოდა, ალბათ, და განა თუნდაც ეს ვარგოდა? ასე დახტომა საჯდომისგანხრით სუსხვისა ქალსზედ რადგან მეტ-„კულტურობანა“სი უვიცებსა აქ მხოლოდ ქალი წარმოგვადგინ ახლო-წარსულში და დღეინდელურ-„თავისუფლობა“-ცალსახოვანად ჩამორჩენილებს სა-გვქონდა, მაშვინ,

და,

მინდოდა მაინც, გადამერჩინა უხერხულობას, და,

ერთსაც თანამშრომელსზედ, — ვააიმეეე — კაცზედა კაცოო! რაფაზე იყო დაყრდნობილი, და, გინდაც ისა როგო-უმწიკვლო სადღაც ქუჩაში გულუბრყვილოდ იცქირებოდა, აი იმისი იმისისაკენ — ვის აღარა გვააქ საჯდომი-ისი, — როგორღაც თვალით მივანიშნე და, — არა ქალბატონი, მაგაზე მოხტომა უხერხულია მაინც, გინდაც სხვისაზეე, დ, მეთქი,

და,

თანამშრომელი სულაც ჰაზრზე ვერ ,ყო იმასა თავის იმაზე-დ თუ რაები გადასდიოდა, თავსა, ამანაა კი? —

აჰჰხხ რა დანამუსებით, როგორის დიდის ესთეტურობით შამამხედაა! —

ეს რა მაკადრეთ თქვენა საჯდომი სულაც სულ სუსხვა რაღაცაი გგონებიათ, ო,

რა სხვა რაღაცა... ქალბატონო, ეგაა-მეთქი, — ბაიბურულსაც ვერ-მყოფშია ისევაც იმა-ჩემსა თანამშრომლისაზე, მივუთითევი, ისეევ, და, რა მითხრა კაცო! რა და, —

რა-ო და ჩვენში საჯდომსა მაგას კი არა ცხენს ეძახიან ხოლო ეგა კი, — საჯდომი კი არა ტრაკი, ტრაკიიიაა,-ო, — ასე გარკვევით ამიხსნა, მითამ, —

რაკაი იყო ზოგჯერ კამერა, თურმე, თუმცა იქაცაც პერესილკაში პერიოდულად ანუ ერთიცა ქალა-ც ძლიერ-ზუსტათე 17 საათსა და ნულ-ნულ წუთზე როგო-ერთგულად ათვალსაჩინოებდა იმათავისსა გამობზეკილ, ცხენს,

მერე, რამდენი წლისა შემდგომ მითხრა მე იმა-ეჭვიანა-მა, ტურფამა, კი, და ამიხსნა, ეს, იდენტურული ცხენ-საჯდომობა? —

აი, მაშინ კი მაშინვე არა, მაგრამ, მერე? რომკი წავიდა, ჩემ-უტიფრობით განრისხებული, რაც მე, მკითხველო, მაპატიეთ და, ისეუბრალოდ ვიცინე კიარა — რომკი ამიტყდა დიდსიცილობა აიი აქაცა უნდ-მაპატიოთ, — მე? დასაჯდომი? აი, მართლაც ვიყავ, დასასაჯდომოდ განკუთვნილი ოღონდაც სკამზე კი არა სავარძელში რადგან სკამიდან ალბათ ნაღდად, კი, გადმოვვარდებოდი, — სულს ვეღარ ვითქვამდი, და იმა-დროს კი, წარსულსა მაინც ვერჩაბარებულ-კანფეტებიანი ისი მიჯნური საკონდიტროსი განხრით? — ალბათ სულაცეც თავისუფლათ დასუნთქულობდა, ის შფოთისთავი!, და, კიდევ კარგი ჩვენს იმ განჩხიკულ რედაქციაში ავეჯის ზოგურ სახეობათაგან სავარძელიცა გვქონდა, ერთი, ხოლო სკამები კი იმდენი რომ ჩვენცა და ჩვენთან მომხვდურებსაც ერთისაქმიზა გვკმაროდა, კიი, —

და, ისა-ჩემი თანამშრომელი ხოლო ძაანაც მოკლე აღწერილობ-დახასიათებით — „იგი" (ანუ მამაკაცი) გაკვირვებით რომ მომიტრიალდა? —

რადგანაც სულაც სუვერ იცოდა იმა თავისი ქუჩაშიმაყურებლობით თუ რა გადახდა ზოგსაც ადგილას? ანატომიურს? და, სიმართლე კი მაინც სიმართლედ და — იმ ამბის შემდეგ, აი დღესაც კი, მისი ისა-ის ცხენი იყო თუ რა იყო ახლაც არ იცის რადგან მაგრამაც მაინც პატიოსანი არის მთლადაც დოღის რაშივით კი არა და არამედ თითან მხოლოდ დროგ-და-ფორანის ცხენივითა... დაუხტომელსავით... კი.

ასე რომ, ჩემნო, ძალიან ყოვლად-უპრაგონოთე არცაც მე უნდა მეხმარა იმდენი კუთხურ-გამოთქმები ჩორნი პაუკზე ამბებისა გადმოცემისას მარა ასე ყობოდა ჭიჭიკობიძია და მე კი აბა აბაღა როგორ და როდი დავუმახუნჯეფ იმ სიტყვათწყობას იგი რომ ჰფლობდა. თან, რუსულ სიტყვებს მისივ გავლენით მეც იმდენსა და იმდენგზის ვიშველიებდი, რომ, დღევან-ახ.-წ.-ით 2007წ.-ს ამა გაქანებულ ყოველმხრიულსა ანტირუსულოფილობაში ვაითუ მეცკი დამდონ ბრალი ავტოგარუსებაში, მაგრამ, თუმცა ნამდვილად არაა ასე, მე-ფუქსავატი რუსულ სუაღარ ვიხმარ ზოგკახელივითა, თუ ამას განსაკუთრებული აუცილებლობა საჭიროებისამებრ არ მოითხოვს ხოლო კუთხურ-იზმებსაც თუმც კარგამკვეთრად შევიმცირებ მაგრამ საბოლოოდ და ერთიანად მე მგონი ვერ შევეშვები დლია რაზნოაბრაზია (— ვაიჰ!) და რა ვქნა ბატონო და, „ისევ"-ის ნაცვლად ხანდისხანობით „ისთევლე"-ს თუ ვიხმარ არ უნდა იყოს ეს მაინცდამაინც ცუდიდაგლახა: ამ „ისთევლე"-ში, გენაცვალეთ, ჯერ ეს ეგ ერთი ვითამზედმეტი „თ" და „ლე" აკი ამრავალრიცხოვნებენ თითქოსდა, „ისევ"-ს, რა, არა გჯერათ? —

და ისე-„სიტყვაზე" არ ვამბობ ამას, ზოგირამდენი ტყვილის გჯერავსთ და, უფრო არაა ჩემი ეს ნათქვამი-ნათქმი, მთლადაც ქაღალდზე დარჩომილი ანუ, ბოდიშით, — დარჩენილი? ვინეღამ მხოლოთ ტუჩებ-და-პირიდანე გაფრენილი ჰაერში, სიტყვა? მერამემდენედ მოვიშველიო ის ამბავი და გარემოება და უტყუარი დოკუმენტალიზმი და ასე შემდეგ რომ 1957 წლის მთლადაც I სექტემბერი კვირადღე, იყო, და ეგებ ისაც არ დამიჯეროთ, რომ, ჩემნო, ძალიან-ყოვლათ-უპრაგონოთე წამოსროლილი არცაც ტყუილი ვარგა თავისიგანხრით ნამეტნავური და ნამეტარი —

ერთსაც პატარას ვიწკუპარტეფ ჩემს მომავალში, ახლაკ-წარსულში და დავბრუნდეთ მერე თლათაცწარსულის ჩემკამერაში თუმცა თქვენ აბაა კამერაში რა დაგრჩენიათ ჩემსაგარდა? გიამბობთ მაინც, ტყუილებშიაც დასაცავი ზომიერების აშკარ-დარღვევას:

სტუდენტობისას ერთხელაც ერთმა სამხედროსაქმის მასწავლებელმა, ქართველმა და პოდპოლკონიკმაც მთლად შესატყვისი სამხრეებით ორივე მხარზე (ერთი ქართველი ის ერია პოდპოლკონიკ და პოლკოვნიკიურ იმდონრუსებში) ისეც კი გვითხრა თლათქართულათე პალევოი უჩენიების პერეკურზე (ძლივს არ გაღირსეთ, ერუსული?), რომ, მე ისეთ ფეხბურთს ვთამაშობდიო, რომ, რომ რისი ბორია პაიჭაძე და მიშა მესხი, მე რომ მინდორზე გავდიოდი, სულაც თამაშის დაწყებამდე, მოთელვის დროსაც იმა თავიანთ მოსათელვებს ორივე ფეხზე წამომდგარი უყვიროდა მთელი სტადიონი „დერჟიტე გრუზინა!!!"-ო, — დამაცდენია მაინც, რუსული მაგრამაც ასე ჰყვებოდა, კი, ნამდვილი იგი, რადგან სპორტულიც უპაგონებოდ, და..., — და, რომ დაიწყებოდა თამაში, მე მინდორს ისე-უბრალოდ როგორ დავტოვებდი ასე სამოთხი გოლი რომ არ გამეტანა აუღებელი, ო,

და, ცოტა არ იყოს დაეჭვებულები რომ შევაცქერდით განსაკუთრებით იმ არცთუ დიდად მოკრძალებულ გამონათქვამზე "ჩემთან ვინ იყვნენ და რას მოვიდოდნენ რისი ბორია პაიჭაძე და მიშა მესხი"ო, იგრძნო ესა და, წინა შენათხზის ვითომაცადა განსამტკიცებლადმითო, აი ასე რამაც გვითხრა:

„მე ისეთი მაგარი ვიყავი რომ თერთმეტმეტრიანების პო-შაბლონსკი დარტყმას მე აბა როგორ ვიკადრებდი, ო,

რაზედაც ჩვენ რომ:

„აბა როგორ... ტავარიშჩ პადპალკოვნიკ-"...,ო,

„როგორ და, სულ თავით დევიატკებში ვურტყამდი ყველას დო პასლედნევო და ისე გამქონდა“,ო,

ხოლო ამისი დაჯერება და წარმოსახვა მართლაც ძალიან გაგვიჭირდა... და, რა დაგვრჩენოდა და, ვითომაც აეს წარმოგვიდგინეთ:

ალბათ მთლადაც ყირაზე შემდგარი ანუ მარჯვე ხელებზე მდგარი რაღა თქმა უნდა ხელთასვლით, კი, გაეშურებოდა თავით დარტყმითვინაცკი საცოდავი ბურთისაკენ, და, რადგან ცხრიანში (ხომ გამოვასწორე ტავარიშჩისი „დევიატკა“) გაჰქონდა ბურთი ბურთისპირს ალბათ ხელებიდან თავით მსწრაფლ-ჯიქურ ეშვებოდა უპარაშუტო პარაშუტისტივით (არის ასეთი წარმოსახვაც) და ალბათ ცხვირით ურტყავდა და ამაღლებდა მთლადაც შხუილით მიმქროლავ ბურთს თორემ შუბლით ან კეფით ბურთს ხომ„დევიატკური“ მაღლისაკენ ვერ აგზავნიდა და არამედ შუბლ-კეფითა მხოლოდღა „ექვსიანში“ კი, და რომ არ გვეკითხა რატომ არ გვსმენია ჩვენ თქვენი ტავარიშჩ პადპალკოვნიკ ბორიაზე და მიშაზედა ნამჯობინარობის ამბავი, ო, იმდენად ისე საზრიანი იყო იმდენად, რომ დაგვასწრო, კი, პადპალკოვნიკმა რიადოვოიებს:

„მე სულ ორი თამაში ვითამაშე რადგან რაზდევალკაში /— არამედ გასახდელში!/ რადგან ჩემგან ძალიანმაგრა გადირკულმა (— რა უბედურებაა ესაც-სიტყვა, რადგან სიტყვა-„დირკა“!-დან) ჩემამდე ვეფხვად ნაზივაემი (— წოდებულმა!) ხომიჩმა ზურგსუკანიდან მოპარვით დამამტვრია და თვითონაც დაიმტვრა ხოლო მისი ადგილი მალალეტკა (— მცირეწლოვანმა) ლიოვა იაშინმა დაიკავა მოსკოვის ცნობილ დინამოში“,ო,

და, ახლა მაინც არ დამთანხმდებით, რომ, ასეთს მართლაცადა უპრაგონო-ტყვილს ჩემი ჭიჭიკობიძიას დაუოკებელ-ფანტაზიათი ეგრევ-შექმნილი თუნდაც ასეთი ერთ-ერთი მაგალითი — ვითომც გინდაცდა ოდესმე ენახა იმას შესადარებელი პიროვნება — და საეკვილიბრისტო რუსულსაცა და, ამასთანავე, ისტ.-„ისტორიული“ პიროვნებების ძალიან ყოვლად მოულოდნელი დასახელება და ამით იმათი ხმარება ხშირი იმან იცოდა? — ასე მაგალითად, დანიელას, მისი სიფრთხილით ყოვლად უთქმელადურს-მყოფს და თითქმისდა მარად-პირმოკუმულს? ერთხელ ასეცაც უთხრა, მის ძაანც ხმადაბალ „რა ვიცი“-ზე:

— რასაა შენ რო ქერო სუ უკულმართულათ ამდენის როლაპარიკოფ, ვესპასიანესავით...

აქ, დანიელას? — არ იყო, სხვათაშორის ცუდი კაცი რადგან რაღაცანებით უნებურად უბოროტოც, იყო, ისი მინამდე გაყინულ-ზოგღილისებრი მოპრტყო თვალები გაკვირვებისაგან ისე აშკარად გამოუცოცხლდა? — მართლაც „მანჟეტნი ზაპონკები“ — ვით, ანუ ღილიდან, კაცო, გამობურცვ-ლობით უფროდაც მეტად დაწინაურებულ მანჟეტებისა საკინძებად გადაექცასავით... — კი.

რა ძნელი იყო ყველასათვით, ჩემთვისაც, ციხე... მე გინდაც მხოლოდ ზედაპირულ თავისუფლებას როგორ-ძალიან შეჩვეული, ვიყავ, როგორ მინდოდა გარე-გარე გინდ „უპრაგონოდ“ც წალმ-უკულმართული ნავარდი და ძმაბიჭებსა თუ უცხოებთანაც ის მერე რა რომ ვითომცი-ლაღობა რაღა თქმა უნდა ჯონდო-მერაბთან ერთად, და ალბათ როგორ ვენატრებოდი კი არა და, როგორ მართლაცდა ადამიანურად ვსურდი, ვუნდოდი, დღეღამ ბოდვით ვეგულისთქმებოდი ისედაც სულსწრაფს შედარებითსა-სიმშვიდეშიაც ბებიას, როგორ, ჩემსას, სულთავიდანვე მზრდელს, ლალას ჩემსას, და მამა თუმცა კი-მხედავდა მაგრამაც ვაიი, ისეთსა ნახვას, და რა ბეჩავად საწყალი ვიყავ, გამოკეტილი, როგორ ყნოსვითაც შეგრძნებამდე მენატრებოდა ღულელები, და კავთისხევი და იქაურების როგორი მძლავრად უნაზესი, დედაც და მამაც მშობლიური, დედუფალური დედო-ქართული, და გასატვრენი თეატრები და კინოები და ხმისჩამხლეჩი სტადიონი და გინდაც შეკრეჭილად გამოკრეჭილნი და რა მორჩილურულის დაკრეჭილობით გახევებული მარტივ-უბრალოდ რა დაჩაგრული ბალებ-მაღები და, ტყე-ცოცხალი, გინდაცადა დღითც იდუმალურად რა საღად მშმუშნი, მთლად ფესვთ-და-ფოთლებგადგმული, გარს, და ორიანებიც და საავადმყოფოცკი მენატრებოდა ხოლო ვახტანგ ბიძიას სკეტჩები და ბებიასი გადასარევად გარდასახვანი სანათესაოდ-ვრცელარტისტულნი და მღერადამღერა ჩვენი უთქმელი ლევანია ბიძიასი და ნანასი ყელწითელბაფთიანი გიტარა ის მერე რა რომ — მთლადაც მართალი და მშობლიური მარტივად სწორი ანაკენკებით, და ვალოდიასი, ღოღობერიძის როგორი ლბილი და რა თაღლითური ცუღლუტობანი მწყუროდა როგორ ცხაურ-გისოსთა, საკეტთა შუა, და შოთა ჩანტლაძისა და ნიაზ დიასამიძის როგორი მწვავე ქილიკობანი და თეატრებში კი განსაკუთრებით როგორ-უფრო ჩვენი ოპერისა და ბალეტის ის თეატრი მენატრებოდა რომელშიაც უფროს მამიდაშვილს, ლამარა ნებიერიძეს, ჩემს რვა წლით უფროს მართლაც-დას ღლაპობიდანვე ორშაბათს გარდა — ყოველდღე! — დავყავდი, და თან რამდენ გრძელწელიწაააად,ს, ამირანაშვილის და ჭაბუკიანის და მათი დასის მოსასმენად და საყურებლად თავის რა სათნო და როგორ დინჯ

და რარიგ საზრიან და მომხიბვლელ და მხიარულ და ფრიადოსან და ნაღვლიანფიქრებიან ამხანაგებთან, ერთად, რომ დავყავდი და აქეთა-კი ბებია თუმც არ იყო დიდად ტრფიალი ოპერებისა მაგრამ, „აიდა?" — „აიდა"ზე ხომ, მართლა კარგავდა ჩემისადაგამოისობით, ჩემ-ულირსისა შემდეგ, ჭკუას, — ვიპოვე მეც რაღა, შესადარები — მე, თვით „აიდა"სი რამთან..., მაგრამ მგონია ასე იყო, და როგორ დიდის თან მოწიწებით, და თან როგორ უცნაურ კონად შერწყმათა — მთლად ცხადად მჟღავნი თავმდაბლობითა და შემართულად ამბოხებული პატივისცემა-ფეხქვეშგაგებით ულრმეს, ულრმესით, და თანაც თვალთზეაპყრობითი ხელებისქნევით და ზედაცა-კი ძნელ-ჩასაწვდომით, უძიროთი, ზე-მოკრძალებულ სასოებით? — და რაცგინდა ტვრინვით უფსკერ-უძირო მოხათრებულად სულგაკმენდილი გარინდებით? — ტანსაცმლიანა, სულელდებოდა კი არა და, მთლად უფროცმეტი — „ფეთიანი არს ღამით (— ანუ რასხივოსანი „აიდა"-თი) საოცართა დაფეთებათა მიერ („აიდა"თი, კვლავ!) მცირე ხანს ცნობა მიღებული" და, ვუშლიდით ხოლმე, ახლობლები, „აიდა"სკენ, თელათე ტახტის ოზნოურშვილურად-კიარა და, მთლად ყმურდამონურსა, ძველქართულად — სლვას, სწრაფვას-ისეთს რომ რომერომა ჰა-და-ჰა ლამის რადამესისებრს... ეგებ მასზედაც, მეტს... — აჰ, არ შევადარე, სუსტი და მლივი ჩემი ბებია, დიდძალ-მეომარს?.. — გაზარდე, კიდო, შვილიშვილი, მზრდელი ბებიის, გადაყოლილის მის-სიგამხდრესი ასე მთლად-ჩემებრ ვერდამფასებელი და თანაც კიდევ აი-ისეთი ღვინოსა-რომ ძმაკაცბიჭებში რახშირად სომდა და ამ-ამგვარებისაგან კი ციხეში თუმც რა შორს გახლდით და ვიყა მაგრამ მე მათი გახსენებით უმფრო ვიყავი, რაღაცად მწარედდანათვერი, კი, და, ვიყურებოდი, — ჩემსწილ ცაში, და ხოლო ისა, ის ცა, ჩემი, სულ გისოსებით დაღდასმული? — ცა იყო მაინც, რა ძნელი გახლდათ, ციხურობა, ციხისელობა, ეს კიდევ-აქეთ დამპყრობელი ციხოვანება, და, და როგორ ძლიერ მენატრებოდა ერთგვარად-ნათლიაჩემ მართლაცდა დიდი ჟორა შავგულიძის რის ცეცხლიანი — ცეცხლოვანი შემოხედვის კვლავაც ხილვა და რადგან როგორღაც კეთილად მოუსვენარი, და თავიდათავიდათავან-ფუძიდან დაუდგრომელად დიდადმჩქეფარე მზერა იყო ის კი არა და, — ეს... — მახსოვდა, მუდამ, და მისით მისიმხრების როგორღაც სუფთა-ქუთაისლურად მოხდენილი რადგან ნამდვილი, ბუნებრივი, ძალდაუტანებლა სანდომიანად და მარილიანი და ლაზათიანად კოხტად კაზმული და როგორი მართლაც საშურად სანახავი რადგანაც როგორ-უშუალო პენენიკობით მხართარხევა-ი იყო, კი, როგორ გახლდათ, ეს, მისი სიცქვიტის საბუდარი, და მღერა დეების, იშხნელებისა, როგორ მაკლდა, სულს, რადიოთი კი მათზე რამდენად ხშირად „სოიუზ ნერუშიიმიიი"-სა და „შირაკაა სტრანა მაია რად-ნა-ია

ხრმლიანსა-ომში ვარაშილოვი იყო მითამ, ჩვე-იმდროინდელად კი სულაც ზედმეტი დაცვისა დასტით ალყაშემორტყმული უმაღლესი პრეზიდიუმის თავჯდომარე ანუ პატიმართასი-ც საქმეთ-ც მხილველი და განმხილველი მოწყენილობის, ჟამს, გახლდათ, და მეტადუფრო დამაჯერებელი რომკი გამხდარიყო მისი, ისედაც ტყავისტუჟურკიანის ჩვენსა საკანში ეულად მოსვლა? — იყო იგი ხან ფახახიან-ბოხოხიანი, ხანაც წითელი ფანქრით მიხატული ვარსკვლავით „უშანკა"ზე ჰქონდა, ან იგივ თავი კოკარდიანსა თუ „კაზიროკიან" ქუდშივ, ჰქონდა, კი, და, ერთადერთი, რასაც არ ვახურავდით? — ბერეტი იყო, ჩვენს კამერაში რატომღაც მყარადდამტკიცედ "ფიდარასტები"ს ატრიბუტადა, შერაცხილი, ხოლო ჩვენი იმედის, იმედა ეფრემისა-ძე ვარასიშვილოვის (ვაქართულებდით, ალაგ-ალაგ) ჩვენთან მოსვლა რომ მეტის დამაჯერებლობით აღგვეჭურვ-შეგვემოსა? წინ ორ საშუალებისადაგვარად დიდებ-პალტოს მოვუნახავდით და წინ ფარდად გავუშლიდით იმედა-კლიმენტის, ხოლმე, იგი კი, ისა-ჩვენიანი რაღათქმაუნდა, ანთაძე იყო გვარად და არა სულაც — ვარაშვილოვი და მაგრამ ამას მაინც ხომ დამიჯერებთ, ალბათ, ანთაძეობას, მისას, ხომ არ გვინდა აქ და არ გვჭირია 1957 წლის ერთიც პირველი სექტემბერი, დამიჯეროთ-უნდ, კი, ხელოვნებასე ასეთი ნწვრილი გარდასახვები შენაძლება?, და, როგორ ბედქმნილებს, სვიანებს მისით, თითქმისადა ჩვენს-ტოლობამდე თავდამდაბლებული, მოგვმართავდა ის, ბოდიშით — იგი („ის"? — რა, ბერეტოსანი კიარ იყო):

— გამარჯობათ, ამხანაგებო! —

ქართულად თანაც, სად შეისტავლა ესიჩვენი ტკპილიქართული მაკვარანცხმა-იმ!..

ჩვენა კი, მისით როგორი გამხნევებულები, მთელი კამერა?:

— გამარჯობათ ამხანაგო ვარაშვილოვ!.. გაგიმარჯოთ სამოქალაქო ომის და საერთოდაც შავარდენო!.. — თუმცა სიმართლე სიმართლედ და, სუვერა ფრენდა მაგრამ სამაგიეროდ ისე ყოჩაღად იდგა, ბეჭთ-ნეკნებთ-ფერდებთ-ტყავოსანი? — მოწონებული, და ვპატაკობდით: — სლუჟიმ სავეცკომუ სოუზუ! — ჩვენსა ქართულით-გამხარებელს? — იმას რუსულით ვაამებდით, ვუხურდავებდით რუსულათ სიტყვას: დრასტინე კლიმენტ ეფრემოვიჩ პაჟალსტა სლავნი ვო ოჩინ რევალუციი ტვორენიე, — და ასე შემდეგ და ხოლო იგი? ნასიამუვნი? — სახელდახელოდ მოიმარჯვებდა ხელისთითებში ფანქარს და ქაღალდს — ეს ორი რამე? — გვქონდა..., და, იგი კი მხნედ

— აბა რა და რა თხოვნა გაქვენ ჩემთან ტავარიშჩებო!

იყო ამ ამა-„ტავარიშჩებო"-ში რაღაცა ის სითბო, ჩვენ რომ გვწყუროდა ვით დაჭერილ საერთგვარ-აკადემიო ჯოგს წყარო-ანკარა, „გრაჟდანინებო"-ზე-დ რამდენად მეტად,

ფეხზე ვიდექით, მთელი კამერა ნაპო ბაბუას და იმქურდის, გარდა, ჩვენგან ერთი კი, განსაკუთრებით მჭევრმეტყველი, ჩვენი კამერის — რაღა თქმა უნდა ჭიჭიკობიძიასი შემდეგ — ნუმერ-მეორე ციცერონი, — წარსდგამდა ფეხს და ჰპასუხობდა საიდამ სადა მოსულს, ჩვენთან, აიი, ასე:

— დარაგოიი ტავარიშჩ ვარაშვილოვ! — მისი ბუნჩულა-ბუნებისა გამოისობით? — გვიყადრებდა თავს და ვუყადრებდით თავს „ტავარიშჩ"-ოთი თუმცა თითან-სტალინიციგოთურანი და კაიოხერი და ასე შემდეგ მიამართიებდა საკუთარი პერსონისადმიზა ათასივოხერს და ციგანპრავადნიკსცთ კი, და, ეგებ ქართულადც (ლავრენტისაგან) და ხოლო მე კი მე დღესაცკი ვერ გამიგია სიდამ იცოდა იმანაღდმა ვარაშვილოვმა ესიქართული ეგება მართლაც მოგვეყრუებოდა მაგრამ ამდენხალხს, სუყველას, კაცო? — და ალბათ და ალბათ კი არა, იცოდა, აბა არ იცოდა? ანთაძეური? — აგერას ახლა უკვე მარტოკ-ღ მე კი არა და სულაც თავად თქვენც აქ არ იყავით ჩემომკითხველო? რომკი მოგვმართა და ხომკი როგორ დაგველაპარაკა, ნასტოიაშჩი ქართულის ენით... ეგება ისი სინამდვილეში გვარად ნამდვილი ვარასიშვილოვი იყო და არა ვარენკასიშვილოვი რა იცი ქვეყნად რა აღარ ხთება იმიტომ-რომე უცნაურია, წუთისოფელი... მარა, ირჩია იმან რუსობა და, გავაწბილებდით, ვერ, და, ამიტომაც, ჩვენც ჩვენის მხრიდან ვჩემულობდითა მისებურსა, და შიგადაშიგნურ პეტერბურღულსა ჯიგრიანულსა? — პო-ლენინგრადსკი ველაპარაკებოდით: პატივცემულო ტავარიშჩ ვარაშილოვ, ნაშ დარაგოი და დზვირპასად კროვნი ნაეზდნიკ გრაჟდანსკი ვაინი და ჰამაც ზედაც კაკოი კროვნი ნაეზდნიკ პო-დჟიგიტოვსკი ჩერეზ კარები კამერი მარა ციხეს რათ უნდა რკინის ვაროტა! ჩვენ ნიჩევო არ დაგვიშავებია ნი კაპლი, ნეეტ!..

აქ კი ვიღაცა ჩვენგნით-რომელიღაცა აი ასეცაც კი-შეჰყვირებდა:

— ვსუხომიატკუ!

რა შცაში იყო... მარა ვარგოდა მემგონი მაინც, უცნაურია ხელოვანობა, და ხელოვნება, და ხელოვნობა, და, საერთოდაც ჩვენხო რუნსული ვუმფროდაც მეტი უნდა გვცოდნოდა ვინემაც იმას — ჩვენიქართული...

— აბა, ორვე უშნო (— ყურები) მამიმარჯვებია და ორვეც ყურებისიბარაბანებით სლუშაიუ ია ვას რეიზა არესტოვალი თქვენე, ტოვარიშჩებო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, კვლავაც ამ-„ტავარიშჩებო"თი გამ-ხნევებულები, ვიდექით ფეხზე (— თუ, ფე-ხებზედ?!. — ვინ რას გაგიგებს გრამატიკავ, გინდაც წყალობა-ჩაფიქრებად თვით №103 კამერა, ჰქონდეს,) ვიდექით, მოკლედ, რაღა თქმა უნდა ხელებზე არა არამედ მთლადაც-პირიქით ფეხებებ-ფეხზე ხოლოკი ჩვენგან ციცერონე — II? — პასუხობდაყე საიდან სადა სიდამ მოსულს — თითანკრემლიდან! — ჩვენთან, უპრაგონოთე დაჭერილებს მარ-თლაცდა ასევ მთლად უპრაგონოდ მოსული და კიდოკაი რომ მაშინა (— მანქანა, ავტო!დ!) — მაინც ეყოლებოდა, გასუდარსტვენი, ალბა-თე როგო-ნიკელებიანი, და არა მოსულს თავი-სიფეხით (— თუ, ფეხებით?!. — არ მამკლა, კაცო, ამ გრამატიკამ-ამ?!), და ჰპასუხობდა ჩვენი მაუორიტარნი წარმუმადგენელი (მა-შინაც კიიყო მაუორიტარები!), მას, ჩვენიხვი-თოს, აიი,ასე... —

კიდევაც უნდა-გავიკვირვოთ /რომ დაგა-ჯეროთ!/ რომ მე დღესასაცკი ვერ გამიგია სიდამ იცოდა იმანაღდმა ვარაშილოვმა — ტყავისტუჟურკა-ბოხოხიანმა, ანუ... — ესი ქართული ეგება მართლაც მოგვეყურებოდ-გვეჩვენებოდა მარა ალბათე კი არა და, მარ-თლა-იცოდა უცნაურათ ემ-უცნაურულ ნუ-თისოფელივით და, ეუბნებოდა სწორედაც იმას, მამაიმისის ანთაძის-ძეს-ას? რომელიც ახლა დიდ-გულისყურით ისმენდა იმა ჩვენის-ჩემისა მაუორიტარულს:

— ტავარიშჩ ვარაშილოვ! ჩვენ ნიჩავო ნი დაგვიშავებია, ჩვენ რასტრატაზე ვზივართ მითო, ისეთი მუხლი კადექსნოი ნარგვიდგი-ნეს რომაო თქვენო გასუდარსტვენი ფული მაიპარეთ და მიითვისეთო, სავეცკი სოუზ აზარალეთო ცოდო არარი ისი პტენჩიკი გასუ-დარსტვა ვეზდესუშჩი და მარა ახლა თქვენ გეკითხებით თვით პრეზიდიუმსკი გლავნი დირეხტორს რანაირი ზარალი და უშჩერბი და მითვისებაა ფულისი ჩვენით ტავარიშჩვა-რაშილოვ, ეს!.. ჩვენ ფული კიარ მოვპარეთ და მივითვისეთ ჩვენი რავალიდარაგოი ლე-ნინორდენსკი სახემწიფოსთან ი ნი ვ კოემ სლუჩი ნე პრისვოილი თუ ტყვილს ვამბობდე კურვა ვიყო და ფუთლუხი, არამედ, რომკი დროებით დავესესხეთ და რომაცკი შევი-ძინეთ რაცხარაცხანა გინდაც ტიაჟოლი ვეშ-ჩები და მებლიროვკა რუმინსკული და კაიშპა-ლიერი და ამისთანები და კირო დავაქეიფეთ ისიფული და კაი-დენგისვოლოჩნი ისთევლე ჩვენისახემწიფოს არდოუბრუნდა კასირშე-ბის და აფიციანტებისი, ხელით? დაფიქრდით აბა დარაგოი ტავარიშჩ ვარაშვილოვ და, არ ვზივართ ტყვილა, ამ დასაწვავში?

აქ ვარაშილოვ-ანთაძისა და ციცერონე — II დუეტის შემდეგ ამ-მეორისა სოლოსი შემ-დგომ კლიმენტ-ვასიკო (ანთაძის სახელი ვა-სილ) ისეთი კაიმაგრა ჩაფიქრდებოდა მითამ კი არა თლათც-დოკუმენტალნნი ჩაფიქრე-ბით რომ ისეთიმაგრათ მიიჭერდა შუბლზე ერთ ხელს და თვალებს ისეთურათ ჯერ დახუ-ჭავდა და, ააბრიალებდა სანაამ? — დაძაბუ-ლები ვუცდიდით ნამეტანი ჩვენ იმის პასუხს ხოლო ისი კი (— იგი! — (კი) თვალებს რავარ-ცე-იქნებოდა დაახელდა და რომ მოგვხედავ-და? — ჩამოუშობდა იმ ერთსა ხელს, მეორესა კი ვაუკაცურ პრეზიდიუმულ გულსზედ მიი-ჭერდა მთლად-ზედ ტყავისიტუჟურკისა გა-რეჯიბეზედ, და, ჩვენდა როგორ გასახარად:

— სწორი ხართ თქვენე ნეზაკონნო დაჭე-რილო ნესპრავედლივოთ, ტავარიშჩო, ო, — და, რარიგ თან გულით და თან რარიგად-რაფ-რა შემართული, გვეკითხებოდა:

ვინაა თქვენ რომ დაგიჭირათ, დამისახე-ლეთ სიუ მინუტუ იიყაძახი არ მოგერიდოთ მაი ბრატცებო და პირისზიარება, ვო,

და,

მივაყრიდით და მივაყრიდით? — გამომ-ძიებელ-პროურორთა, ჩვენთასებისი (— ისემც!..), გვარებს:

— ამა და ამ..... შვილმა, ამა და ამ .....ძემ, ამადაამა..... ყვამ-და-იამ!!! — და ასე შემდეგ, და, ჩვენი ღვიძლი ვარასიშვილოვი? —

მთლად მკაცრადაც კი, ითხოვდ-გვბრძა-ნებდა, ასე:

— ახლავე ამწამას აქ გამიჩინეთ ის პრასტი-ტუტკა და ნაბოზვარი!-ო,

და, აი აქა კი, მთლადაც ყველაზე ძნელი კი არა, უუძნელესი როლის შემსრულებელს? და-უნდობლურად ვკრავდით ხელსა ერთ-ერთ ჩვენთაგან-ორთაჭალისააკადემიურს ხოლო-კი იმას თავზე აუცილებლად ბერეტი უნდა ხურვ-ხურებოდა და თუკი რატომ? —

გავიგებთ ახლავე, საგვეჩქარება,

და, ისი ბერეტიანი კი, ისე-ცახცახით წარ-სდგებოდა ანთაძე რა იყო და თვითონ-თითან ვარაშვილოვის, ჩვენის, წინარე? ჩვენი ჯილა კი, ტყავტყაოსანი?:

— ია ტებე პაკაჟუ გდე ტრაკი ზიმუიუტ ტი ტაკოი-სიაკოი შე პიდარასტა! — თავისიდ-როზე ყველასაჭირო სიტყვასაც ჰფლობდა, ვარაშილოვი, — ია კურვა ბუდუ ნე ზაბუდუ ჩტობ ტებე ეტი პაგონი ნე ატარვალი ობი-აზაელნო კაკ მაისკი ვეტერ ი დევუშკი ვეს-ნოი!.. — გარკვეულწილად, პოეტურიცა, იყო, ხოლო პოეტურობა რა შვაში იყო და ალბათ საჭირო იყო კაკრაზაც შვაში, — აბა ჩვენგან ხვარ ესწავლებოდა ვარასშვილოვსა, და, ხო-ლო ჩვენ კი, ალერსიანად მოგვმართავდა: — ა ნუ-კა, ბრატცი, დავაიტე რასპრავიმსია ს ეტიმ პრაიდოხა ი დახადნიაკომ პო-სტარი-კოვსკი! —

ანუ ტრადიციისამებრ, ო,

ხოლო პო-სტარიკოვსკი კი არა და, რაძ-

ნელი-არი, ზოგი როლი, — მაგრა კი-ვუქნევ-დით მაგრამ ფრთხილად ვეხებოდით თავ-ზეაფარებულ ხელებზე, მაგრამ თლათ ისევ ფრთხილათ კიარა ზოგ-ტიატრებში ქერო შობიან, — არა! — ვიცოდით ჩვენეც, მასოვ-კელებმა ჩვენ-ჩვენი საქმე, და აქ თვით ბა-ტონო ნაპო ჩიქვანიც კი გულიანად ჩაილიმებ-და რადგანაც მაგრამ თითანე პერეზიდიუმ-სკინაჩალნიკი ი-ბერეტიანს ფერდში ერთსაც ისეთსაც ჩააზელდა?: —

ამოძახებდა, თვალებდაყვლეპილი ისი-ჩვე-ნი ძნელიროლისტი:

— გაგიჟდი ბიჭო ვირიშვილო შენ!!? — გა-დაჰვარდნოდა, თავ-კეფიდანე, ისი ბერეტი, პიდარასტობის ატრიბუტი, —

აჰჰხხ-ჰხ! თქვენ ფიდარასტი ეძახევით და, რა აკადრა ეს თითან-თითანე ვარასიშ-ვილოვს ეს, აჰხჰჰხჰ — თუმცა, სიმართლე სიმართლედ და, დარჩეს ჩვენში და ვარაშვი-ლოვი და ვირიშვილოვი პეტერეთი პატარა ქეცკი წააგვანენ ერთიმეორეს ეს-ორი სიტყ-ვა-სახელი რა იყო და — სიტყვადაგვარი!

ჩვენი მხსნელი კი, რაცგინდა ორმაგგვარ-კლიჩკიანი? — ხელთაქნევისგან ამოჩაჩულ ზედასამოსს ისევ უქამრო (ქამრის ნება არ გვქონდა, იქა, თავი რომე-რომ არ ჩამოგვეხ-რჩო, — გვიფრთხილდებოდნენ...) შარვალში ჩაიკუჭავდა, გაისწორებდა ტუჟურკასა, დე-იხურავდა თავის თელათ-პაზორნი ბერეტი-ვით გადმოვარდნილ ფაფახ-ბოხოხი იქნებო-და ეს თუ კაზიროკიანი ქუდი-უმბრალო თუ სულაც შლაპა-პოლიტბიუროვსკი, და, —

ჯერ გვეტყოდა ჩვენ:

— სკაჟიტე ნადზორუ ჩტო ვი ატპუშჩენი, — საქმე რაღაი მომთავრებულ-ჰქონდა? აღარ იწუხებდა თავს ქართულითა, იმასა კი-დე, ფერდს რომ იზელდა, ჭკუის სწავლების განსამტკიცებლად ერთსაც ეტყოდა ცოტ-ქართულითა:

ხომკი პალუჩილ პო ზასლუგამ ტი, პიდა-რასტა!, ო,

და ესაცა კი, გინდაც ამდენჯერ მოხმარე-ბული მომხმარებლისადმი გამოთქმა-ესი ხსწორა-ნათქვამი იყო შეურაცხყოფისათვის ესა-გამოთქმა, კი, რადგანაც მაშინ რადგა-ნაც ჩვენი ზეკულტურულობის ჩამორჩენი-ლურობაში ფინდარასტები ჩვენდა-ნუგეშათ კი-გვყავდნენ ერთი-ორი და ისიც ხილად და იმათეცეკი დღევანდელი გალუბოებივით კი-არ მოქონდათ თავი და ერთიც რგავალიად-გილი, მარა, გვყავდნენ, თავმდაბლურები... — მარა რასაა რომ ვუმოკლებ და ვუმოკლეფ სიტყვებს! — თქვენები იყოს თუკაია და ისი-კინკილა-პიდარასტები და თუგინდაც ზედაც ეს დღეის-დღეისი გალუბოები რამდენიც-გინდაშეუმოკლებლათგყავდენდაგყვანდნენ-დაგვყვავდენ და, — გრამატიკას ნუ გავედევ-ნებით, გრამატიკებიღღ აკლიათ, იმათ, არა-მედ ვარაშვილოვის ბოლოსიტყვას მხოლოდ დავუგდოთ კი არა და, მთლად გავუფინოთ, ფეხქვეშ-ფეხებქვეშ ყურებისყური:

— თავისუფლები ხარტ! კველანი! კველა-ნი! ყველაყე, ძმებო? — ნა სვობოდუ-მატ/ — გამიშვიხართ!!! შაგოომ!!, მაარშ!!!-ო,

და,

ოო,

ოოო, —

მივცვივდებოდით ციხის რკინისა ქებულს ჩვენსწილ ერთ-ერთსა კარსა, ცა, — ნამდვი-ლად ჩვენსას, და რომ ავუტეხდით (და ვერ-გავუტეხდით ვერაფერსა) ბრახან-ბრუხუნით ბრახაბრუხსა? —

შემოვიდოდა ცოტა არ იყოს შემცბარივით შემცბარი-კო ზედამხედველი, აშკარა შეშფო-თებით არცთუ — დიდადჭკვიან თვალებში, რომ — „რაშია საქმე, ხომ არ ატეხეს რამეზე ჩხუბი და დავიდარაბა“, ო, და, „რაშია საქმე!“-ს ხმამაღლივაც რომ როიკითხავდა?:

— უნდა გაგვიშვა შენ აბამუჭო, ჩვენ თვი-თონ ტავარიშჩვარაშილოვმა გაგვიშვა და შენ ვინ ხარ იმასთან მლადში-სერჟანტი-შენ რომ არ გვიშოფ მარშალის პრიკაზზე და არც გაგ-ვიშვი არც გუშინ და არცაც გუშინწინ და არ-ცეც იმისწინ და ვერ ხედავ რა დღე დააყარა და დაგვაყრევინა აი მთლად სტარში ლეიტენანტ გამომძიებლებზე მაგათ რო-მოუკვტ პროკუ-რორებიც და, გვარშიგასათხოვარი,-ო?

რაზედაც ის (— იგი!), თან სხვადასხვები — ანუ იგინები? არცთუ კანტიკუნტად გვყავ-დნენ, ჩვენა:

— თუთ! თქვე არტელჩიკო ნახიშტარებო, ამათ უყურე არ მომაცდინეს საქმესა-ო, — ბევრ-ბევრი საქმე, მე შენ გეტყვი და, იმათა ჰქონდათ, — არამედ ერთირამისა მთლად-სამახათოდ, იყვნენ,

და,

მოგვიჯახუნებდა კიდეც, ძლიერ ამტან კარს.

ჩვენ კი, მაინცაც კმაყოფილი „შემოქმე-დები“-ვალმოხდილები მუზათ-წინარე, ერ-თხანს იმა წარსული შემოქმედურ-წვით აღ-გზნებულები ვიყავით ერთხანს, სივიწროეში მხართ შეჯახებით ბოლთასა ვცემდით, მერე კი, რაიმ სხვა დროის როგორმე გასაყვანად, ნავარაშილოვარზე? — სანამ ეგრეთწოდე-ბულ „ნასადილევს“ ჰაერზე-სასეირნოდ გაგ-ვიყვანდნენ, იქ კი ჩემთვის ციხის ყველაზე დიდი შვება — ჯონდო ციხეშიგამაგრებულ ერისთავთან თითებით ლაპარაკი მელოდა (მერაბს ვერ ველაპარაკებოდი ამგვარად რადგან მისი საკანი ჩემს მხარეზე იყო, და გავესაუბრებოდი-ვერ) ჯონდო კი როგორ

ღიმილად მახსენებდა სხვადასხვა, „თავისუფლებისეულ“ ამბებს, და აბა როგორ არ უნდა გამცინებოდა, მის სახეს გისოსებს მიღმა თუმც ვერ ვხედავდი მაგრამ საკნიდან გამოყოფილი თითებით ასეთ რამეს რომ დამიწერდა: ზვიადი ახლა საგიჟეშიც ნეტა თუ ხტუნაობს (ვიცოდით უკვე, თავს საჭიროებისდა მიხედვით რომ იგიჟიანებდა), საგიჟე უფრო არაა ამაო სახტუნავად შესაფერისი ვიდრე უნივერსიტეტის ის ჩვენი პატიოსანი ბაღი?-ო,

და ამიტომაც, მასთან ამ ერთგვარ შეხვედრამდე? ნავარაშილოვარზე... —

მე რა ვიცოდი მაშინ, ვიცოდი კი არა გაკვრითაც არ მსმენოდა დიდი წმიდანი, სერაფიმ საროველი, წინასწარმეტყველი, ნათელმხილველი რომელმაც თავისთან რიდითა თუ თავიდან მოაგდებულოდაც კი მისულთა მათი ყველასი იცოდა წარსული და მათ მომავალსაც წინასწარ ჭვრეტდა, ღვთით, რა ვიცოდი თუ დომინოს თამაში კი არ იყო საშველი, არამედ როგორ სწორად, როგორი ჭეშმარიტი მორჩილებით შეიძლებოდა ციხის ადვილად ატანა რადგანაც ციხე, ანუ ვითომ ხომ ცუდი, უხიაკი ესე ადგილი? —

დიდი სერაფიმ საროველით ცუდი ადგილი არ არსებობდა, თურმე!:

როდესაც ერთხელ ამ წმიდანთან ერთიც „დიდი“ ჩინოვნიკური თანამდებობის პირი კრძალვით მისულა, ეჭვატანილი, და დიდად შეძრულა თავისი საქმიანობით და, დიდად მღელვარედ უკითხავს:

განვაგრძო ჩემი სამსახური, თუ სოფლად მამულს დავუბრუნდე,ო,

ჯერ ახალგაზრდა ხარ, იმსახურეო — წმიდანს.

მაგრამ ჩემი სამსახური რომ ცუდი ადგილი არის,ო,

წმიდანს კი ისევ თვალებში შეუხედავს, და უთქვამს: ცუდი ადგილი არ არსებობს, გადარჩენა ყოველგვარ სამსახურში, ყოველგვარ საქმეში შეიძლება,ო,

ხოლო ჩემთვის ჯერჯერობით როგორ გამორჩეულ ორ დიდ წმიდანზე — იოანე ოქროპირსა და სერაფიმ საროველზე მერე უფრო ვრცლად მოგახსენებთ, სხვა წმიდანები მათსავით არ ვიცი ჯერ, მე ამ-ბებერმაც კი, ჩემი უდებებით მაგრამ არასოდეს არაა გვიან, შეძლებისდაგვარად მოწაფეობა, მათი, „სხვებისაც“, ხოლო ჩემი აქ, ციხის კედლებში როგორ ძალიან არეულ-დარეულად და აბურდულად მოყოლილი ამბები უნდა მაპატიოთ რადგან ამ „დოკუმენტურობისას“ საკუთარ ტყავში ორმაგად შემძვრალი ვარ ეგებ შემინდოთ ჩემი ის ყოფა, ის უთავბოლოდ ათქვეფილობა ჩემი, და ეგებ ისიც მშველის, რომ, ბატონი, ნაპო, ნაპო-ბაბუა საღამოსპირს რომ იშვიათად მაგრამ მაინც რომ მიამბობდა თავისას, ერთ-ორ საგულისხმოსა დიდად, რამს, თავისი თურმე როგორ საოცრად აჭრილი, აცვენილი ახალგაზრდობიდან, კი არ მოსწონდა მას თავისი საქციელები და ამაყობდა არამედ დიდად ეთაკილებოდა მაგრამ იმ ადრეულს ასაკში თუ როგორი იყო აი იმისდა მიხედვით მიყვებოდა, ამბავს, შედიოდა იმ ყოფასა და, დღეში, და მე რომ უფრო გამეგო მისი ნაამბობი? — ბრძენკაცი იყო და ამისათვის სჩადიოდა, ამას — იმა მაშინდელ წარსულ საქციელს, თვისას, იმ-თვალსაწიერით მიყვებოდა, და მეც გთხოვთ ნუ ჩამომართმევთ ჩემს იმდროინდელურს ჩემსა ვითომდაც სილაღეში რომელ „სილაღე“-საც ძველი ქართულით — „სილაღე უწვრთელობისა ნიშნები არს“-ს უწოდებს, საბა, და მე კი არამედ ერთგვარ აღსარებად ჩამომართვით და ჩამითვალეთ ჩემი ასეთი ვითომდაც ლაღად აბდაუბდური, თხრობა, და გთხოვთ ნუ განმსჯით იმისათვისაც რომ აქა-იქ-ხოლმე ზედაპირული მოაგდებულობით მოვიხსენიებ სხვადასხვა ამბებს — არა; — გრამატიკა დიდად დასაფასებელი და პატივსაცემი მეცნიერების ერთი დარგია, მე აქ, აქამდე მხოლოდღა იმაზე ვქილიკობდი გრამატიკას როცა ბოროტად რომ იყენებენ თუნდ სიტყვათქმნადობებისადმი ეჭვის გამო — მაგრამ ჯერ „მხოლოდ“ რუსთაველი არა გვკმარა!!?, და კუთხურობების, როგორ რარიგად მშობლიურების — კლდიაშვილი, ლეონიძე, ყაზბეგი!, ვაჟა-ფშაველა!!, — მათ აღსაფხვრელად, თუმც უნებურად და სულელურად მაგრამ მაინც რომ ძაანზედმეტად იშველიებენ, გრამატიკას, და თანამედროვე ნარცისებზე მერე და მერე რომ გეტყვით ჩემს აზრს, და, გითხრათ უკვე — ეს ბოლო განკითხვა იყო, და იქნება, ჩემი, მათდამი, რადგან მხოლოდ ახლახან, 69 წელს მიტანებული თვით იოანე ოქროპირით ჩავწვდი იმას რომ რა გრძლად ცოდვილი ვყოფილვარ თურმე მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე რადგან ცოდვილებს? — განვიკითხვადით, და მისგან, თავად დიდი წმინდა ოქროპირისაგან მოწოდებულ, ნასწავლ მაგალითებს გაგიზიარებთ,

და, უცნაურია როგორ მართლაც, სიტყვა, ხან წმიდანი უფრო უხდება იმათ, ხანაც — წმინდანი,

და არც ის გეგონოთ რომ ბიბლიის და წმიდანების ადგილთ-მოტანით ქრისტიანად რომ მომქონდეს, თავი, — მე თვით „მამაო ჩვენო“-ში რა სასოებით ვთხოვ ღმერთს იმას რომ: „და მომიტევე ჩვენ ცოდვები ჩვენნი“ მაგრამ „ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“ ნაკლებად გვახსოვს

ხოლო განკითხვა, სხვაც ცოდვილთა? — ამპარტავნება გახლავთ, კი, ეს, ამპარტავნება რომლისაგანაც რომ თავდაჯერებულობა და გადაჭრილად ვითოსიმართლესიც თქმა ხომ — რარიგ ცოდვაა, ამპარტავნებით, ყოველი ცოდვა ხომ იმისი ნაბუშარია, კი,

იქ კი, ციხეში და ძალიან შემდეგაც მთლად არ ვიცოდი იოტისოდენადაც, ეს, და ოღონდ იმასაც ნუ მომაწერთ რომ, მამაჩემით მომქონდეს თავი აი იმათგან განსხვავებით ეგრეთწოდებულ „უნტერვიუ"ებში თავიან დედმამას ყაიდაში როგორი შემოსულობისადა მიხედვით ყველაზე ბრძენ და ჭკვიანად ადამიანებად რომ ისახელებენ საკუთარი სიჭკვიანისაც განსამტკიცებლად, ანუ — აი, კვლავ ვცოდავ, ჩემი განკითხვით, — არა, მამაჩემი კი ადამიანთაგან უბრალოდ-სწორად იქცეოდა პატიმრებთან ურთიერთობაში და არაა დიდად თავგადასაკლავად მოსაწონი როგორც მე უნებურად გამომყავს, ასე, და ჯერ კიდევ როგორ ადრინდელ ჩემს ბავშვობაში მე ერთმა გამოთქმამ როგორ ძალიან გამაკვირვა: მაშინ, ომი რომ ახალი დამთავრებული იყო და ჯიბგირობა დიდად იყო შემოსული განსაკუთრებით ტროლეიბუსებსა და ტრამვაებში, ერთი ასეთი გამოთქმაც მოვისმინე:

„რა პატისანი ახალგაზრდა კაცია, ტროლეიბუსში ჯიბეზე არ დადის"

და, მაშინაც კი, ჯერაც ბავშვი, როგორ ძალიან შევცბი — პატიოსნება ნუთუ ასეთი იშვიათი და ასე მისაბაძად გამოკვეთილიც რამ, იყო,

და თუმცა ბატონი ნაპოსას აუცილებლად გიამბობთ მაგრამ ვალოდიასას რომ დაგპირდით, იმ ამბავს? — ვერა, რადგან უსაშინლესი სიტყვა, „აბორტი" რაცგინდ ზერელედ მაგრამ მაინც ურევია იმ ამბავს,

და მე ჭიჭიკობიძიას ტყუილებს ისეთი ეშხით გადმოგცემდით ეგება ესაც ცოდვა იყო რადგან ქრისტიანულად არავითარი ტყუილი არ უნდა დაიშვებოდეს — შეჩვევა, იცის,

მაგრამ, მე ამის არმცოდნეს, როგორ არ უნდა გამლიმებოდა ვალოდიასი ალბათ-უწყინარ, მხოლოდ გასართობ მაღვალაკობებზე რომლებიდანაც რამოდენიმეს კვლავ მოგიყვებით,

ხოლო მაშინ კი, იქა, ციხეში — ისეც ვფიქრობდი რომ ტყუილია დომინოსთანა თამაში არამცთუ კამერაში, გარეთაც კი — რომ ყველაზე უფრო უმაღლესია „ლოტო"ს შემდეგ რომელ თამაშსაც ტვინისჭყლეტა სულაც არ უნდა რადგან როგორლაც ვითომაცადა „ბედისწერულია", ვითომ, მაგრამ ლოტო-ს ვინ მოგვაშავებდა ჯერ ეს ეგ ერთი რომ აკრძალული იყო „აზარტულობისა" და „მასიურობის", გამო და როგორლა იყო დომინო სულსუყველაზე კაი თამაში თუკი ლოტო-სი, შემდეგ, — ვფიქრობდი ეჭვით, ამას,ც, დაეჭვებული მაგრამ ერთგვარად გავიმხნევე ბევრი წლის შემდეგ ეს ჩემი თავი როცა ერთ-ერთსა „ბრძნული აზრების სამყაროში"-ში ასეთი რამაც, წავიკითხე:

„ადამიანებიდან მამაკაცმა მუყაითობით ყველას უნდა აჯობოს", — კაიბატონო, ხსწორია ეს, მაგრამ მოსდევდა ამას შენიშვნადა კი: „დედაკაცების გარდა"...

და, ალბათ თუ ვინებიცა იგულისხმებოდნენ იმ "სუყველა"-ში, რა ეჭვიც გამიჩნდა ამას აღარ ვიტყვი, ისედაც ბევრჯერ წაგაკითხეთ „პიდარასტი" და სხვათაც ჩამოსახელებაც გვაკლია-ღაა, განა?

ხოლო რაც შეეხება ბატონო ნაპოს ჩემთან საუბრებს სუცოტახანში მოგახსენებთ,

ჩვენს საკანში კი, დომინოსი მოთამაშეებში, ნავარაშვილოვარზე, ჩვენ, თითქმის ყველას — ნაპო-ბაბუას გარდა — სამი, ასე ვთქვათ „კლასი" გვქონდა: I — ა-კლასი რომელშიაც ექვსი აღზევებულად აღიარებული მოდომინავე მოღვაწეობდა რაღა თქმა უნდა ჭიჭიკობიძიასი მოთავეური წარმომადგენლობით, II — ბე-კლასი რომელშიაც რომ ათი პატიმრითა შედგენილი დასტა შედიოდა და, III — ჭე-კლასი სადაც ადამიანურ-ხარახურული მომარტივეთე-მოდომინოეები იყრიდნენა, თავს...

მოკლედ რაღა ბევრი გავაჩმახოთ (— არა, მე და თქვენ ერთობლივად კი არა, აქ „გავაჩმახოთ" მრავლობითში იმიტოა, რომ, სიტყვაზეა, კი, სიტყვამ მოიტანა მე-დაუდევარისაგან, აქ, ეს,) ანუ გავააბდაუბდავოოთა, და გავაუბდავებთ, ნუ, აქ და ა-კლასის გამორჩეულად აღზევებულ მოთამაშეთაგან ფიცხელ-ბრძოლების შემდეგ ოთხი მათგანი ამა-უმაღლეს ლიგაში რჩებოდა ხოლო ბოლო ორი კი სულ ცხვირპირ-ჩამოტირებული გადადიოდა II, ბე-კლასში საიდანაც ორი წარჩინებულად გაამაყებული I-II ადგილოსანი იკავებდა მათს ჯერკიდო თბილ, ალაგს, — არ აციებდნენ, ხოლო ბე-კლასში საიდანაც სრულფასოვნად სრულუფლებიანი ბრძოლისა აგრეთვე დიდადუნარიანი პატიმარი იყო ი-პირობითი ვარაშილოვით რაღათქმაუნდა მაინც ვერ-გაშვებული და ამის სამტკიცად ისიც კმარა რომ აი თუნდ იმიტომ რომ 8-ნი პირველ-მერვენი მყარად რჩებოდნენ თბილ-თბილ ცხენებით, იქა (ხომკიდავეუფლ-შევისიტყვისესინონიმებიცხენი-საჯდომი), ხოლო იმ დამხვდურთა და წარმავალთა დასს კი მკაცრი მაგრამ სამართლიანი კამერული კონსტიტუციით 2 ბოლო-უკანასკნელ ადგილოსანი ვერჩინოსანნი, მედალოსნობაზედ ხომ სუზედმეტია ლაპარაკი უსიცილოთაც, კი, ტოვებდა ბე-კლასს გულხინჯიანად, განსაკუთრებით ბოლო დომინურ-პარტიაში დაშვებული შეცდომებით გუნებამოწამლულნი ხოლო შეცდომები ვისა და რომელს აღარ მოგვსვლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცგინდა მზიურ საქართველოში რადგან ასეთიცაა, წუთისოფელი, და იმ III, ალფაბეტურადსააგდებულოდ ჭე-კლასშია-მთლადც თლათგანადგურებულები გადადიოდნენ სადაც მეც შევედ უპირობო, მთლადაცუჩინარ რადგან არარსებული „ჰაე"-კლასიდან, ანუ ჰაე-როვნული თავისუფლებიდან აქ თავდატან ამოყოფილი, ანუ, და ესაც დიდი შვება, კი, იმდროინდლური იყო ჩემთვის, რადგან სხვა კლასებიში გადაღწეური შეღწევებისა ღირსეულობა როგორსა ცხარე, ი-პრტყელიქვებით ჭახაჭუხურსა ბრძოლებში უნდა დაგემტკიცებინ-მოგეპოვებინა, თორემ სხვაგვარად? — იყო ყოვლად შეუძლებელი, აქა ვერავითარი ბლატი გინდა თუ ინდულგენცია ვერა სჭრიდა, თვითონ ჭიჭიკობიძიასი ავტორიტეტიც კი ვერ მიშველიდა, კეთილი უნდა მენება და, დომინოს რაცგინდ ბედისწერულიც ქვათ-მოსვლის ძლევად უნდა როგორმე ამომეცნო მოწინააღმდეგეთა რამდენწყება და, ვრცლად-საგნები ისეთი რთულნი, რომ, როგორებიცაა — თავი და თავი „ფსიქოლოგია (ბეშებში რომელ ქვას შეარჩევდა თუ სულაც მხოლოდ ერთი ჰყავდა და განგებ აყოვნებდა იმის ჩამოსვლას, ვითომცდა არჩევანის მიზეზით — ეს მისი რაცგინდა სიაფანდი გამომეტყველებისადამიხედვით უნდა ამოგეცნო, რა რთული ხაარა, ფსიქოლოგიააავ, შენ, და მაინც ისა მახლობელი რომ „შენე"-ც კი გეთქმის, შინაურულათ, შენ), არანაკლებად გჭირდებოდა ფილოსოფია — წინა საღამოს ჯეროვნად აღიარებდა თუ არა ხიფათებიან ჩორნიპაუკს ანუ ამისადამიხედვით ეხელენიფ-ეძალგიძებოდა რისკზედ წასვლა რომელიმე ვითომაცადა გადასაგდები ქვის შენახვით თუ პირიქით, კრასნიმანტიას დამარცხებით გამოწვეული შიშით მყისვე ურისკოდ გადააგდებდა ძნელადშესანახ, ქვას, გჭირდებოდაყე ენათმეცნიერება (შენს კოხტა სვლაზე, მისთვის არასასურველობისამოსაცნობადნეტაშეიგინებოდა თუ არა გულში და თან როგორ გულფიცხად და რამდენად მწარედ და გრამატიკულად დალაგებულად ან სიფიცხეთი ბგერათდარღვევით და ანდაც სულაც სხვათა ენაზე, — ენათეკაიმეცნიერობა გჭირდებოდა, კი, და არ გჭირიაოდაა, აბა?), ანატომიაც კაიძალითე გცოდნოდა უნდა (შენს მორიგ სვლაზე გახარებით თუ განაწყენებით როგორის გზნებით მოინაცვლებდა თავისწილ მერხზე, ცხენს,), მათემატიკა-არითმეტიკა (ჩვენ ისე-უბრალო დომინოს, ანუ „კაზიოლ"-ს კი არ ვთამაშობდით, არამედ სულაც პოლიტექნიკურსა, კი, ჰანგარიშიან, დომინოურსა „ტელეფონ"ს),ბოტანიკითაცკარგაუხვადვსარგებლობდით რადგან თამაშისასაც ნაღდად ვსუნთქავდით ხოლო სუნთქულობაშიკი აკი გინდაც და შორი მცენარეები ჟანგბად-წარმოებით გვიწყობენ ხელს და მაინც რამდენი ყოფილა კაცო და კიდოათასი მეცნიერება ახლდა ტელეფონს და ისე-უბრალოთ კიარ იყო, ხვარ იყო საქმე ტელეფონისი,

ხოლო თვით „ა"-სა, უმაღლეს კლასში? ოთხი ბედნიერ-ბენვზეგადარჩენილი, გამარჯვებულები, I ადგილის მეორადი გადათამაშებისას ჯერა ჯიქურად ერკინებოდნენ ერთიმეორეს — ერთმანეთს წყვილთა პაექრობაში, ხოლო მერე კი? — თვით ისა-ძლევამოსილი ლუწთაგანნი ახლა პირისპირ უნდა შეფოლადებოდა ერთიმეორეს — ისევე როგორც მსოფლ.-ისტორიაში არავითარნაირსა პარტიაში ხომე არ იყო ბოლომდისინი ამხანაგობა და ამაში დომინომა რა დააშავა და — ისა წყვილი ახლა ერთმანეთს ი-პრტყელიქვებით მთლად უმაღლესურ-დუშაშურად უნდა არამცთუ ერკინებოდ-ეფოლადებოდა არამედ ნაღდურ-პარტიულობით ეპარტიულებოდა მთლადაც, ბერია-მალენკოვ თუ ხრუშჩოვ-ბრეჟნევისებურადა, არცთუ ძალიანც ამხანაგურათე ერთიმეორეს და,

პირველსა ადგილს? ჩემდა როგორ-ა მაღლივსაამაყოდ? მიხვდებით ალბათ ვინც იღებდა... — ჰა? — სწორი ბრძანდებით! — რაღა თქმა უნდა ჭიჭიკობიძია რადგან ძილისპირულად თუ პირჩორნიპაუკიანი ხოლო დღისით კი — ხელთ დომინოსიპრტყელქვებიანი,

კი,

მხოლოდ სამიოდ კაცი-იგი არ მონაწილეობდა ამ დომინოურს მარათონში, მათგან, ერთერთი რაღა თქმა უნდა კნიაზ ჩიქვანი, ბატონი ნაპო გახლდათ, ქაღალდზე ხრილი, ხელფანქრიანი, —

დომინოსათის სად ეცალა — წერდა და წერდა, პატიმრებისა საჩივრებს მართლაცდა როგორ დიდოსტატურად თხზავდა იგი, ნაღდიმეფანქრე,

მე კი დიდისი პასუხისმგებლობით აღჭურვილი შევედ „ჭე"-კლასში (უნდა აღინიშნოს რომ იქიდან არ იყო გავარდნა, იქიდან სადღა უნდა გავარდნილიყავით, მთლად „სვაბოდა"ზე ხუარ გაგიშობდენ ვარაშილოვივით,) რომელ კლასშიაც სადაც პეტერე-გავიწაფე და ათიოდ დღეში II საპატიო ადგილზე გავედი და „ბე"-სა კლასისა ნაღდ ათკაციანურს იგი-ებში დავიმკვიდრე ადგილი და ჩემჩემიცხენი, კი, და აი აქა კი? — ჭიჭიკობიძია გვერდით ხშირად მომიჯდებოდა და ვითომ მხოლოდ ჩემს თამაშს იცნობისნადილებდა და აგრეთვე ასე-ც კი იყო, მაგრამ, ძირითადად იმით იღვწოდა რომ რომელი ქვა უნდა დამედო იმას მკარნახობდა ჩვენში ნინასნარშემუშავებული პაროლებისადა-მიხედვით: მე თვალის კუთხია, მეც-კაიაფირისტი და კაიგუთვუ...ი მშვენივრად ვამჩნევდი რომ შუბლზე თუ მიიდებდა ხელს ეს ერთიანით, იაქეთი სათამაშოდ ქვასა ნიშნავდა, თუკი ლოყაზე — დუ-თი უნდა გავსულიყავ ფონს, თუ გულზე — სე-თი უნდა მემარჯვნა, თუ მხარზე — ჩარი-თ უნდა მეასპარეზნა და ასე შემდეგ, და ამდაგვარი „ჩემ"-მიღწევების შედეგებისა შემდგომობისა შემდეგ მთლადაც უ, უ, უმაღლესს მთლადაც „ა"-კლასში ტრიუმფალურად გადავედი სადაც

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ხომ წარმატებისათვის სრულიად-ჩემით უნდა მიმელწია — იქ დიდად-დიდი გამოცდილები იყვნენ, პაროლობანა იქ ვერ გაჭრიდა ხოლო მე კიდე უკვე კაი ძალ-ათვისებული მქონდა დომინოსისი ფსიქოლ-ფილოსოფ-ენათმეცნიერ-ბოტანიკური და ასე შემდეგ საფუძვლები, და, ამ ვრცლადსა თამაშ-თამაშში როგორ მრავალსახეობანსა დიდად უმნიკვლოდ-დამსახურებულად ანუ მთლად პრიორიტეტულ უფლებითა, და, დავამარცხეთ კიდეც II-III ადგილოსანნი ისეთსა ცხარე ბრძოლაში რომ, თვით ჩორნიპაუკ კრასნიმანტიას მოსასხამის კალთასღა თუ ამოეფარებოდნენ, კი,

ხოლო, ფინალში? ანუ ჩემსა დამარცხებაზე? რაც მისთვის (ჭიჭიკობიძიასათვის) ისეთივ ადვილი იყო ვითარც-რომ რობინ ჰუდისა თანამებრძოლ ნესტორ ესებუას მოჭიდავესიტრიკოიანი მალენკოვი რომ ორთავ ბეჭზედ სუფთათ გაეკრა? — ჭიჭიკობიძიამ უარი თქვა რაც მას, დომინოში მართლაცდა რომელიღაცე-კარლოსივით როგო-უშიშარს, შეშინებასა და „ქვეშიდან გამოსვლა"-ში კინაღამ — რადგან მხოლოდ გულში და ისიც ბუნდოვნად — ჩაუთვალეს, რა იცოდნენ თუ — რასაც მე ჩემდათავად მშვენივრად მივხვდი — ჩემი დამარცხებით ვაითუ დავნაღვლიანებულიყავ, მე, არადა განგებაც ვერ მომაგებინებდა — ვაჰთუ მივმხვდარიყავ და, მეუკადრისა ეს — და კიდო იტყვით ნათესაობა არ არისო? — და, საერთოდაც, უმრავლესობას გვქონდა, საკანში, გულისყურიანი დამოკიდებულებებიც, კი, —

ნეტაი გარეთ, სვაბოდა-ზეც ასეთ-ცხოვრებით ნაცხოვრებოდა-ყოფილიყოყე, ხალხი.

გვყავდა ხუთიოდ სანიმუშო მოჭადრაკეც, კი,

ხოლო ბატონი ნაპო კი თავისი საქმით ისე იყო მართლაცადა — გატაცებული, რომ, გასეირნობითულს „პრაგულკა"ზეც არ მოგვყვებოდა — საქმე მაქვსო, ესა საქმე კი, აკი ხომ მოგახსენეთ (რას ვიმადლები, ბიჭო?..), პატიმრებისათვის ყოვლად უანგაროდ რაიმე თხოვნის, ძირითადად გამომძიებელ-პროკურორებისადმი მიმართვა, გახლდათ — სათვალის როგორ გულდაგულ დამმაგრებელი ლამაზად კეხიან ცხვირზე, ბატონი ნაპო ჯერ დიდის დაკვირვებით შეაცქერდებოდა ათრთოლებულ მთხოვნელს — იცოდნენ მისი ნაწერის ფასი, — არადა, სინამდვილეში, რაც არ უნდა დაეწერა და როგორც არ უნდა ემჭევრმეტყველა? — სულერთი იყო ეს გამომძიებელ-„ საქმისმწარმოებლები"-სათვის, ეს, ფულურ-მაყუთად კი არ გადაიქცეოდა რაც გინდ გონივრულ-პასაჟებით სავსედ აღსავსედ გადახუნძლული ქაღალდი-ისი,

და რაღა თქმა უნდა თუმც მშვენივრად იცოდა ბატონმა ნაპომ, გონიერმა, ეს, მაინც მთელ თავის ნიჭსა და მონდომებას სდებდა როგორად მორჩილ ქაღალდ-ფანქარით შექმნილ უსტარში, როგორც მოგახსენეთ ყოვლად უანგაროდ — ბატონი ნაპო კნიაზი გახლდათ და არა მოსე-მწერალი, და ჰქმნიდა ხოლო მაგრამ რას ჰქმნიდა —მე გამართული და ალღოიანი და საღად-ნატიფი და შინაარსიანი მართლაც მართლწერა ძალიან მერეცკი იშვიათად თუ შემხვედრია მწერალთა კავშირის დიდსტაჟიან-წევრ მწერლებისა მართლმწერლობაშიცკი გონის-ხელიდან ისე რიგიანად და, გვარი-ანად გამომავალი — აბა ტყვილა კი არ გახლდათ, ჩიქვანი, ბატონი, ბატონი და ბაბუა ნაპო, კი, —

და,

ჩემი ჭიჭიკობიძიასი და ნაპო-ბაბუას მომსმენ-მკითხველსა და შემყურეს, სულ რაღაც ერთსა წელიწადში რა-ღ დამრჩენოდა, რა საქმე-მეტი, უკეთესი და უარესი მწერლობის გარდა მექნებოდა და მექონებოდა, — რა?:

ეგება, მართლაც არა ვხუმრობ... — კი.

ნაპო-ბაბუა, იმა ნიჭისა დიდად მქონე და მქონიარე, რა დახვეწილად აგებდა, კი, სულ-სხვისა სათქმელს, და იყო ასე, მთლად საღამომდე თავჩარგული იმ ქაღალდში რომ, ყველაფერს იტანს, კარგს და მართებულს ხოლო ღირსეულს? — ბევრად ძნელად, საღამოობით კი, თუმც არცთუ ხშირად მაგრამ მაინც მთლად მემუსაიფებოდა-არამაგრამ,თითო-ოროლასიტყვით, და ნაღდ-კნიაზური თავშეკავებული ღიმილით, როგორღაც თითქოსდა მცხრალი, სათნოდ ხათრიანი და თავდაჭერილი ალერსით, თუ მეტყოდა ორიოდ სიტყვას, როგორღაც რბილი იყო ჩემთან, რბილდებოდა და ხოლო ერთხელ მომკაცროდაც კი ასე მითხრა:

კარგი კაცია ბაბუაშენი სილოვანი მაგრამ... — და, შეყოვნდა აქ, მაგრამ მერე სადღაც შორს გაიხედა და, დაამატა, — მაგრამ არ იყო ყოველთვის მთლადაც ბოლომდე ემხვარი, ო...

და, სახტად დარჩენა რომ იგრძნო ჩემი, მომიბრუნდა და:

— არა, ცუდი კაცი არ გეგონოს, მაგრამ, ამათ როგორღაც დამორჩილდა და, ნაღდი ემხვარებივით არ გაყაჩაღდა, ო.

ეს მეც ვიცოდი, ემხვარების უმრავლესობა — ახლა როგორ ცოტანი არიან ოღონდ რიცხობრივად — ოციან წლებში მათი დიდიუმრავლესობა ან ტყედ გაიჭრა ანდა თავიანთ კარმიდამოშივე იარაღასხმით გამაგრებულებმა შეაკლეს თავი როგორ-ულმერთო (ეგონათ, ასე... ჰგონებოდათ ასე-ამგვარად) ბოლშეკიკებს, მცირე ნაწილმა საფრანგეთს შეაფარა, თავი, კანტიკუნტადღა, დარჩნენ, თვით მათშიაც კი გამორჩეულმა ბოდღო ემხვარმა კი, აქ დარჩენილმა, როგორღაც დიდხანს არ-დახვრეტილმა, მერე დასაჭერად რომ მიაკითხეს სასტუმრო „თბილისში" ისე გადმოხტა კარგა-მაღალი მესამე სართულიდან რომ, — ნაღდად არ გადარჩენილიყო — გადმოხტა თავით, ხელებგაშილი, განზე,

ხოლო მე, ბაბუას გასამართლებლად, მორიდებულად ვუთხარი რომ, სამაგიეროდ, თავად-აზნაურობის ულეტისას საფრანგეთში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცეულა, და უფრო მეტიც, ბათუმის პორტში მდგარი, დასაძრავად გამზადებული ხალხით გადახუნძლული იმ გემიდან, ძლივს რომ მოხვდა იქ, და მერე, მაინც, გემის გამოსამშვიდობები საყვირის როგორ გულისშემძვრელ, მძლავრ გახმიანებისთანავე თურმე ბებიაჩემ ფაცას, ცურვის ყოვლად უცოდინარს სტაცა ხელები და აილო და გადმოხტა ჩვენს, საქართველოსი შავს კი არა და, ლურჯად მშობლიურ, ზღვაში,

მე ეს ამბავი ბებიასგან ვიცოდი, რომელსაც როგორ ეამაყებოდა ბაბუასი ეს საქციელი,

ხოლო ბატონ ნაპოს რომ მოვახსენე დიდის რიდით, ეს, ნაპობაბუამ როგორ კეთილად გამიღიმა —

ვიცი, ვიცი, ო,

ბებიამ კი დიდი გულისტკივილით — რომ დარჩნენ იმიტომ კი არა — საფრანგეთში წასვლა ანუ გაქცევა რომ გადაწყვიტეს ქუთაისში მთლად ჩალისფასად გაუყიდიათ სახლ-კარი, მაგრამ სხვა-ავეჯს რა უშავდა, თვით აკაკი ნერეთლის მაგიდა, ბაბუას აღმზრდელი დეიდის, ანეტა დადიანის ბიძის სამუშაო მაგიდაც გაუყიდიათ რომელიც აკაკის საყვარელი დისშვილისათვის უჩუქებია, და ეს ვერ მოენელებინა მთელი სიცოცხლის, გასწვრივ, და, ბაბუაჩემზე — თუკი რჩებოდა ვაჟბატონი, დარჩენილიყო აკაკის მაგიდიანად... აბა ესაა მაგიდა?-ო — ათვალწუნებით კი არა და, მთლადაც სამასახარაულ-აგდებითე გადახედავდა ძლიერ-საბჭოთა გინდ მთლად ოთხფეხა მაგიდას, ჩვენსას —

რა ეყარა, ზედ...

...

ბატონ ნაპოზე, ერთხელ, ჭიჭიკობიძიამ? მიმოიხედა და — ჩემდროში ორი ვაუკაცი ვიცოდი ჩვენში, ეგ და ვარლამ დადიანი, რომელიერთი ბუდიონი მივიდოდა მაგათთანო, და, კიდოკაი ერთი ჩემი სახლიკაცი მარტო დუელში რომ გაიწვია და შეგნებულათე დაჭრა პისტალეტიან ხელში, მაგრა ისროდა შეჩვენებული ეს (რაღა თქმა უნდა ძაან-დიდათე პატივისმცემლურად ნათქვამი „შეჩვენებული" გახლდათ, კი, ეს,) თორე იმისი მოკვლა რონდომებოდა გულშიტყვიას არ ოუცდენდა, და, კიდევ კარგი პისტოლეტებიან დუელში მარტოკა ხელში რომ დაჭრა, თვარა, ხელი რომ გაერტყა? — გააცხებიებდა მაშინათვე, სულს, ო, —

რა მორიდებით შევცქეროდი, ბატონ ნაპოს...

ახლა კი ჩემს ერთ-ერთ დანაპირებს აგისრულებთ:

ერთხელაც, საკანში შემოიყვანეს მარა რა შემოგვიყვანეს — ერთიც მოხუცი მაგრამ რა აკრეფილად ფრთხილ-ცქვიტივით: გამხდარი, ანონილი, თვალებზე კაიძალ ჩამოფხატულ ვუუშველებელ კარტუზ-ქუდიანი და ისეთი რაცხანაირათ გაფაციცებული კაცი რო ეგება ისეთდამფრთხალობით რომ თლათ-ყანჩასავით ადგამდა ფეხებს კიდოკაი როო, რიგრიგობითე... ხალათი ეცვა ნაცრისფერი გუშინდელივით მახსოვს, ფართე ქამარი ისე მჭიდროდ შემოერტყა-შემოეჭირა გინდაცდადიდად ღიპიანი გხლეებოდათაყე, კი, ვერ უხდებოდა, ვერ შეშვენოდა ჭრელაფოსტლებზე შეუხამებლად ცმული გალიფე, ზედ ცხვირისწვერამდის ჩაეკოსებინა მომცრო სათვალე და, — ბელურასავით სკუპსკუპა თვალებს კარტუზისა და იმა-სათვალის ვიწრო ღრიჭოდან ჩვენთაგანიდან ჩვენთაგანზე რწყილებშიაც კი აკრობატივით ახტუნავებდა, — ა-ბატონო, თქვენ, ხუთმარცვლოვანთა გუნდიდაგუნდი კაიდაკაი მარიხმარსკვლავთა, — ხოლო ყურსზემოთ კი, ფანქარი გაერჭო — ხომ დავარღვიე, მე, ექვსმარცვლოვნებით, ხუთმარცვლოვანება, — ეტირათ ყოფა, მეტმარცვლოვნებით, — კი... — და იმას ვამბობდი ცალყურსზემოდან ფანქარი გორიზონტალნათ ჩაეკვეხა, მეორეყურში — პაპიროზი, და, ჩვენი კამერის ერთ-ერთმა საკმაოდ გამოკვეთილმა ინდივიდმა — ჯავახიშვილი გახლდათ გვარად, სახელად ყველანი „წარბა"-ს ვეძახდით რადგან ერთი წარბი მთლად შავი ჰქონდა მეორე კიდე — სულაც თეთრი, შავის ჯინაზე, ალბათ, თან ხუმრობის დიდად მოყვარულიც გახლდათ და თავადაც კარგა ეხერხებოდა ხარხარი თუ არა ხშირი ჩაფხუკუნება-მაინც, და, იმა-შემოსულსუცნაურულსა ვითომც მოსაიდუმლოდ ჰკითხა, შორიდან მისკენ ხვაშიადურად გადახრილმა და ძაან ხმადაბლა:

— შენ, ბიძაჩემო, დარჩეს ჩვენში და შენ მენშევიკი ხომ არა ხაარ...-ო,

რაზედაც ისი? კილამას შეხტნა, მიმოიხედა ჯერ, მიიხედაც და, დაკეტილი რომ იხილა კარი, თხელა-ტუჩებზე მიიდო თითი, და:

— არ დაგცთეს შენ ეს არავისთან, მარა... — მიმოიხედა თვალთაკრეფით, კვლავ, — თითან ნოვესი, ჟორდანიას პირადი მორზეს ტელეგრაფისტი ვიყავი, ო...

ატყდა, აქანა, დიდძალ-სიცილი...

ხოლოკი ისი დიდგამოცთილი მორზესმაესტრო ჩვენსა კუტოკში კენჭისუყრელად მივიღეთ სულაც, — ჭიჭიკობიძიას და ბატონ ნაპოს მენშევიკებთან ურთიერთობის გამოცდილება რახან საკმაოდ ჰქონდათ, ნაქონებარათ, კი, კაი ბაბუა აღმოჩნდა ისიც, სახელი არ მახსოვს, გვარად იყო მგალობლიშვილი...

და ვერც ბატონ გუგუშვილის სახელი მახსოვს, ვაუკაცური და შემართული კაცი გახლდათ, მის სიტყვას საკანში წონა ჰქონდა, მხიარულება ზომიერად სჩვეოდა, დიდად გაიხარა მის შვილს, ფიზიკური ფაკულტეტის სტუდენტს რომ ვიცნობდი და ზედაპირული მაგრამ კარგი ურთიერთობა მქონდა, და შვილის სიყვარულს ცოტათი მეც მიწილადებდა, შვილით როგორღაც ახლობელს,

და რამდენიმე დიდად-გასაკვირვალ ღიმილამდე და პირდაფჩენამდეცკი დიდ-უცნაურად ასევთქვათ მომძიმოდ კოლორიტული თანასაკნელი გვყავდა, რომელთაგანაც კი დიდად

გამაოცა ერთმაც ისე ძალიან სქელდახშირ წარბება, თითქმის ბრეჟნევამდისინ სქლურად-როგორწარბებთმტვირთველმაკაცმა,რომელიცა-რომ თავისი გვარის — მითომც უბრალო თავართქილაძე-სი სიმბოლიკურსა მნიშვნელობას ცოტა არ იყოს კი არა და, დიდათე დიდად ყოვლად უცნაურულად ხსნიდა:

მე-ო, საქონელმცოდნე ვაარ, ო — ამას ისეთის რიხით ამბობდა გინდაც მიუნხენის ბახისასახელობისდიადორკესტრშიმეორევიოლინოების კონცერტმაისტერის გვერდითამჯდომი მევიოლინე ყოფილიყო, — და მაგრამ ჩემი ნამდვილი გვარი სინამდვილეში ასე-უბრალოდ თავართქილაძე კი არა, მთლად სინამდვილეში ტოვარტკბილადზე ანუ ტოვარ-ტკბილად-ზე არისა, ვო, რადგან ჩემი პრაფესიული მოწოდების მიხედვით საქონელმცოდნე ხომ ტოვაროვედ, ია, ოვო, ხოლო ტკბილად-ზე კი იმიტომ რომ ჩემი ტოვარით ტკბილად იყოო ჩემზე ანუ ზე-ზე ჩემისა-ზე, კი, ოჯახი იქნება ეს თუ რაიქნება რადგან ტკბილათ ძალიან ვაკეთებდი ჩემჩემ ტოვარტკბილადზე-სი საქმეს და რომ დამიჭირეს მაინც ამ გათახსირებულებმა ამას იმანაც შეუწყო ხელი რომ, არასწორად? — ვინცხანაშტერი მარტოკინაღა თავართქილაძე ვეგონეთო, კი, — აქ ბატონმა ნაპომ და ჭიჭიკობიძიამ ერთიმეორეს მრავალმნიშვნელოვნად, ანუ ეგზომ ტოვარ-ნეევზუჩიიზე — „ვინსულელია, ეს“ო ისე გადახედეს, მაგრამ მაინცდამაინც სულელი და სულაცმთლადაც ყეყეჩი არ უნდა ყოფილიყო ის — ჩვენს თვით „ბ“ — კლასში დომინოსი V ყოვლადსაპატიო ადგილიც კი დაიპყრო, ერთხელაც, მიუხედავად დომინოსითამაშისას იმა-იმოდენ წარბებტვირთვითაც, — და ამ უდავო წარმატებისაცკი მიუხედავად კი არ დასხმია ამპარტავნული, თავბრუ, არამედ ისევ ერთგვარულ წონასწორობაშენარჩუნებული კარგა ბეჯითად იმეორებდა, რომ, იმ ძაღლთაპირა გოშიებმა — ანუ გამომძიებელმა და პროკურორმა — იმათ რით ვერ გაიგეს რომ არ შეიძლება ვინცხა თავართქილაძეიასი და თავ-შვილი-და-ყვა-და-თავართქილაურისა და თვით ტოვარტკბილადზე-სი ერთიმეორეში ასე წაღმაუკულმა ასოებითი აღრევ-შეთქვეფა,ო, — სერიოზნულად ამბობდა, ამას, კი, — უცნაურია წუთისოფელი, — კი,

ამბობდა ასე თავდაჯერებით, ისეთის ღრმური თვითცდარწმუნებით, რომ ამისა კიდევაც მეტწილ-განმტკიცებისათვის? კაი-ფსხვილა და კაიმაგრად დაშორიშორებული-კბილებიანი სავარცხლითა ივარცხნიდა, კი, ძნელათდასავარცხნ წარბთშვაშია გასატარებელ-ჩასატარებელ კბილანებსა-ძნელბედიანებს-ყისმათითა წარბთშშორრისსითებს, — კი.

ერთი კაციც რომ შემოიყვანეს, მთლად უზრდელურად არა მარა ასე-საშვალოდ მელოტი იყო, სამაგიეროდ ყოფაქცევით თავაზიანი კაცი ჩანდა მაგრამ მხოლოდღა ჩანდა-დ ყოფილა, ადამიანო, ეს, რადგან წამდაუწუმ, კაცო, იმ-დროისათვის დიდად აკრძალულს და კოდექსურათა აისეთ სინტყვებს ხმარობდ-იძახდა? ასე მაგალითად... — მაგრამ მეც ხომ ხოვერ ავჰყვები აქ, მაგიდასა-ჩემისასთან და ფორმალურსა სვაბოდაზე-დ, ისედაც ბევრგზის წაგაკითხევით „პიდ“ და „ფიდარ“-ით დაწყებული გლახასიტყვები და რაღა ვჰქმნა აწი, ვით მოგაწოდოთ რეპეტე-ულად მისიიმისი გლახასიტყვები, როგორ გაკადროთ ის-სინტყვები... მაგრაამ, ააკი მუდამაცა-ჰხო არსებობსა კაციაკაცურადამიანთ-ჩვენთა ჩვენთსაში, გამოსავალი? — იძახდა ასე: კაი რგვალიცხენს სულარაფერი სუვერ ჯობიან ცხოვრებაში!, ო, და იქვე მაშინვე მიაყოლებდა ცხენი თუ არ გააქვს და არ გეყოფა ისეთს საქმეზედ არ უნდა გაიქაჩო არამედ კარგსაკაიქალისა რაშსა და ბუცეფალსა აბა სხვა რა სჯობიან ჯიგრებიანსაცაო, — ვაჰხ!, — მოკლედ ისეიმდენად ხშირა იძახდა ცხენსადაცხენურსთ რვაცხენშაბმული ფაიტონურის ვირისტაჭკურათც წუნკალენითა, რომ, შედარებით პატიოსანი კამერა-ისი ანუ ჩვენი? — ლამის რო იმეებისა კაიდიდ თავლად — ბარდაკად, კიი, გადაგვიქცივა, კი, და, ვიწყინევით, ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ეს, არა — ცხენისიხსენების ხსენა კი არა რომელ-ხსენებაც გამწარებულსზე ხანდახან კარგაკაი იყო, მარა, თლათ ვუარესიც სასოწარმკვეთი გამოთქმებიც წამდაუწუმად კიც-ამოის-მოდა უკაცრავად კი-პასუხია მაგრამ იმისიპირიდან ამასაქმეში მთლად გადაულელ-სტახანოვურიდანა, კიი, და მისგან იმ ისე დაცა ემ-უშუალო ჩვენებრ-ჩვენსშია, ჩვენში ანუ, მარაა, მაგრამ ასეთი გოუთავებელი, კაცო, ცხენების ჯოგი თუ რემაო თუ რას ეძახიან ვაჰხ რა-მრგვლოვნურად კრებულთსა იმათ,ს, გრამატიკუკულათა, საგაგონილა-იყო ჩვენში (კამერა №103-ში) ასეთი ბევრათ აურაცხელი თლათაცულევი... კი, და, უთხრა კიდეც ჭიჭიკობიძიამ, ხსწორაქართულით, ეს:

— თქვენ, გენაცვალეთ ცოტათი უნდა უკლოთ მაგ სიტყვებს, კამერა ჩვენი სახლია-ჩვენი და არა უწმანურობის კერა და ასპარეზი და გლახასიტყვების წასაწერი ფეხისალაგი კი არ არი,ო, თან არ ჰგავხართ თქვენ თქვენს საქციელებში სხვადანარჩენში (— იგულისხმებოდა ჭამის რიტუალის აღსრულება რომლისა დროსაც მაინც რა-კოხტად ეჭირნა კოვზი, მთლად ნეკ-აბზეკით, იგულისხმებოდაც ნაზის წკიპურტით სახელოდან რაღაცმიკრულის მოცილება, აგრეთვე მორიდებითი ჩახველება მუშტადქმნილ თითებში და ასე შემდეგ,) იმ ადამიანს ასე წამდაუწუმი ხმარებით თავი რომ მოჰქონდეს ცუდი სიტყვებით ჩემი თუ არ გჯერავსთ, ბატონო, კოდექსს კითხევით გენაცვალე,ო, — მაგრამ ძაანც-ცივადა თქვა, „გენაცვალე“,

რაზედაც, იგი? — ისა ძაანაც ნაზათ, სუ სხვანაირად აჰლაპარაკდა, ცხენი კი არა და ჯორდა-პონი-და-ჩოჩორისიცკი შენსატყვისიც კი არა და, ერთიც წრუწუნას შესატყვისი ნალიც-

კი სუარ სუერთხელაც არ უხსენებია:

— არა ჩემო კარგო დიდად პატივცემულო ჭიჭიკო, მე გეთაყვათ იმიტომ გავიძახდი ისე ხშირად მაგ საზიზღარ და მიუღებლობამდე ამაზრზენ სიტყვებს (— არა,თლათ ასე-მიუღებლობამდეზეც კი არ იყო, სინამდვილეში, საქმე, არა მარა ძალიან აჭარბებდა, კი,) რომ უცენზურულობითა და არალეგალურობით კი არ მომდის ეს ნეგატიური სიტყვები არამედ კაპეზეში ასე დამარიგეს სვოი-ბიჭებმა და იმათში ჭაბუკებმაც და ხანდაზმულებმაც რომ თუ გინდა ციხის კამერაში კარგად და ძმურად მიგიღონ? — დანატრებულები არიან იქ ქალებს და იმათ სხვადასხვა ატრიბუტებს და იძახო უნდა და იძახო შენ იმათი ტკბილად გასახსენებელ-რამეები და ამით მოაწონებ შენ ყველას, თავს,ო,

აი, ასეთი დარიგებებით „სწორ გზაზე დამდგარნი"ც შემოგვდიოდნენ, კამერაში, და, გაგვდიოდნენც, სასამართლოთი განაჩენის უკაცრაოდკი პასუხია, მაგრამ, მირჭობის შემდეგ — ა! — ცხენი ცხენთან დააბი და, ან ზნეს იცვლის ან... ეე... — ჰო! — რაღაცასაო, რაკაი სიტყვა მოვიგონე? — მუდამ არსებობს გამოსავალი, ზოგიხიდანაი,ს, გარდა, ასე იყო, კი,

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაცგინდა ძნელათ მაგრამ დრო კი მაინც გადიოდა, და რადგან ადამიანები წუთისოფლისა არ იყოს დიდ-უცნაურნი ანუ დიდათე განხ... განხს... განსსვ... ჰო! — განსხვავებულეებიიი, ვაართა? ზოგმა ძალიან დიდად ზედმიწევნით ვიცოდ-ვფლობდითა ციხის ციხურსა გამონათქმებსა, ზოგიც — ამა-დარგჰს ნაკლებად ვჰფლობდით ჩვენჰებურათა... — რა გავა „ჰაე"ვე მე აქა, საქმე... მოკლეთ, გვესმოდა-რაღა, სიტყვებისი-აბაროტები ხოლო ზოგი კი ამასაქმეში ისეთი სულაცაც უვიც-პროფანი იყო, ჩვენსში? ასე მაგალითად ორი ჩვენი კამერაელთაგანი ისე რომ წაეკიდა ერთმანეთს დადებითი ადამიანის რაობის თაობაზე ჯერა-თავიდან ფილოსოფიურ კამათისას რომ მერედამერე სულაცე-ვერაფილოსოფიურათ გასარტყმელადაცკი იწევდნენ ერთიმეორეზე და ძლივას ვაკავებდ-ვაჩერებდით? — მათგან ერთ-ერთმა მთლად ვერფილოსოფოსმა ანუ ანტისოკრატემ ისიც კი მიაძახა ანტიპლატონს, რომ, შენ ისე გამამწარე რომ აი ნახამ თუ პისკა არ დაგისვა მაგ ოხერ ენაზე და ახიც იქნება შენზე შე გებელსო და ნიზმუტდინოვო,ო (ვინლა-ოხერი ეს-ნიზმუტდინოვ, იყო...), მაგრამ პატარახანში ფილოსოფოსებთან დიდად განსხვავებით დაუთმეს შემრიგებლურის შეხედვებითა ერთიმეორეს და, ასევ-მკვეთრ ფილოსოფიურისასა-ენებიანებისაგან განსხვავებით შერიგდნენ, ტკპილათ, და, ხოლო ერთმა მეორეს ჯერ ისა ჰკითხა, რომ, ნიზმუტდინოვი ვინაა რომ შემადარეთ, იმას, გამაგებინე თუ კაცი ხარ (— და არა ფილოსოფოსი, ო!) არ გამიგია მე მასეთი გვარის კაცი და როგორლა დავემგვანებოდი ჩემთვის მთლად უცნობ ნიზმუტდინოვს, მითხარი რაა, ვინაა,ო და იმანა კი? მორცხვათ, ძაანე: ჩემი კარის მეზობელია სოლოლაკში და მე სისულელით გითხარი ეს თორე რაგაქ საერთო იმ თავითბოლომდე ტვინით ფიდარასტთანა (— აიი, კიდო!... — მაპატიევით,)ო, ხოლო ამა საკითხის გაშუქებისა შემოდგმა კი? — ამოუწურავია რადგან, წუთისოფლისაგან განსხვავებით შეკითხვად-კითხვები, უთხრაღა, კვლავაც, ანტიჰეგელმა და ცნობისწადილითა კი? — თელათ-კოპიომ მარკო პოლოსი, ამან: კი მაგრამ, ამხელა პისკა როგორ უნდა დაგესვა შენ ჩემ ამ პატარა ენაზე, ო, რაზედაც, იმან, დამორცხვებულმა დამარცხებულ მოჭადრაკე ვასილიი ვიღაცოვიჩ სმისლოვივით, ოლონდ იმან ბოტვინიკთანა... მოკლეეთ, მიუგო იმან ამ-ამასა: არ უნდა მეთქვა ეს მე მაგრამ რა დიდიიმხელა რამე პისკაა ჯერ ეს ეგ ერთი და, მეორეეც ერთი სად მაქვს მე პისკა,ო, რაზედაც, ამან — როგორ არაა ამხელა,ო და, აკი ზედ პარაშა-ზე არ მიუთითა? — რომელი ისი-ჩასაფი-სიფისებელი ნაგონებარა ამას „პის-კა", იმან კი რა გულიანად გაუღიმა, მთლად ფილოსოფიურ კლოუნ-ბეზდელნიკივით ოლონდ კათედრიდამ (— ვინ-რომელია, ნეტავ... კათედრალურებიდამ... რომელი-არი, ვერ მახსენდება...) და, უთხრა, ამასა იმან: არა შეკაცო პისკა-ს ციხურად ბრიტვას ვეძახით,ო, —

ასე იყო, კი, —

უცნაურია, სიტყვაც, და გადახს... განდახს... ჰო! — გადასხვაფერებაიი, მისი და მანგრამ

აქა

სიტყვამ მოიტანა და პარაშასთან, სხვებისაგან დიდ-განსხვავებით ასე-სახალ-ხოდ რომ მისულიყო, არ მენახა მე ბატონი ნაპო, ერთი ის რომ ეგებ ამისთვის წყალს ნაკლებ-სვამდა, ხოლო ეგება მაშინ ჩადიოდა ამა-საპარაშესა თუ რაქვიან იმას, საპარაშოულს ჩვენ რომ „პრაგულკა"ზედა გაგვიყვანდნენ და იგი კი თავის ნაშრომთათვის კიდევაც მეტად რჩებოდა, ეულობისათვის-იმ, ქალალდ-ფანქარი რომ მოითხოვს, საკანისა კი კარს ჩვენსას (ისეემც!) კი ღიად ტოვებდნენ და გვინიავებდნენ, მცირედ ორპირი სიოთი, საკანს, — ჩვენზე-დ ყოველმხრივ მიმომზრუნველეედ?, მეთვალყურენი, იყვნენ? —

იხსეეეემც,

ჭიჭიკობიძია კი ხანდახან როგორის დიდი მორიდებითი-აღტაცებით ჰაი ჰაი როომ შეავლებდა თვალს ბატონ ნაპოს, და, ერთი ორიოდეჯერ ცალკე-დ მითხრა, რომ, რაც მაგას მაგარ-მაგარი ბიჭები ყავს გალახული ახალგაზრდობაში? — მე მგონი იმდონ კაიქალს არ გოუვლია ჩემიხელში,ო, — და ცოტათი მეგონა თუ, თავი მოჰქონდა მაგრამ ბებიამ მითხრა მერე, — რომ გამოვედი რაღა თქმა უნდა, — რაც მაგიშეჩვენებული ქალებს მოწონდათ იმდონისიცოცხლე, მე, ო, იქა კი, ჩვენსაკამერაში, ჭიჭიკობიძიამ ისიც მითხრა, რომ — არა, მე ჩხუბისუნახავი რავა ვიყავი ყმაწვილობაში და მერეც, ერთი ასე ორ-სამ ჩემისთანასას სამივეს

იერთათ ვერეოდი მარა, მაგასავით? — აჰ! — მაგასისავით!!? — უჰხ არა, არა!!-ვო, თან ფეხის ან თავის დარტყმას როგორ იკადრებდა ხელებიქონდა იმისთანა,ო,ვოო,

და,

რომ მოაღწევდა კიდეც „პრაგულკა"სი დრო, ზამთარი იყო და პატარა გამონყობაც კიგვჭირდებოდა და, ამიტომაც ხუთიოდ წუთით ადრე შემოგვძახებდა სადილის მოსაწოდებელ ჩვენს წელს-დონე-ურ გადმოსაწევ-და-ასაწევი სარკმელივითა „ფორტოჩკა"-დან (— ანუ შუკუმურ საკვალთიდან — ხსნორი ქართულით, ეს,): აბაა, გრაჟდანინებოო (ან „ბიჭებო"ო, გაიჩნდათა თუ, უშუალობით ვინ-რომელი და რა რა-იყო, ზედამხედველებში), ნა პრაგულკუ-უ-ო, ისიც სცოდავდა ჩემი არ იყოს ზედმეტოური ენათმეცნიერულობითე-რუსულობითა, და, ჩავიცვამდით ჩვენ-ჩვენს პალტოებსა თუ მთლად უფასოდ, ჩორნაიავარონას ყოვლად უფასო ბენზინისფულის არ იყოს და, ფოტოსურათთა ყოვლად უფასოდ გადაღებისა არ იყოს მთლადაც უფასო ტელაგრეიკას... — კაცო, რომ ვუკვირდები, არაა? მე? — მე იმდენი მაქვს იმდროინდელი სახემწიფოსიფული ყოვლათ უფასოთ შეჭმული რომ ეგება ტყვილა არ ვიჯედი რასტრატჩიკებში... ჰო, იმას ვამბობდი, ტელაგრეიკას ვიცვამდი მე, რომელსა-ამას ტელაგრეიკას ეს გაპრანჭული სიტყვა „ტანთსაბურა" სულაც არ-ვერა უხდებოდა, უშუალოს-იმ-ს, იმდენად ნაღდი სამოსი იყო რომ იმისი ხათრით იმასაცა და იმისადამაგვარსაც უსახელოებო სათბუნებლებსაც „დუშეგრეიკა"ს ვუწოდებდითა და ვეძახდით, ჩვენ-ჩვენი სულისა იყვნენ სიტფოთი იგინები, მთლად ისი-ნები, იის, ჩვენები იყვნენ, ჩვენ კი — მათი და, როგორ ძალიან ვავსებდით ერთმანეთს, კიი, ხოლო საკანიდან გასულებს ხანდახან მთელი ხუთ-წუთობითაც კი გვაჩერებდნენ კარგა ფართოდ მოზრდილსა დერეფანში სხვა პატიმრებს, პრაგულკიდან ამოყვანილთ რომ არ შევჩეხებოდით, ხოლო ჩემი ციხური ასე მეორე-მესამე დღეს კი, შეჩერებისას სხვადასხვა კამერების კარზე დატანებულ საჩვენოდ-აგრეთვაკადემიურსა „გლაზოკ"-ს ანუ ენათმეცნ.თლათ-აკადემიურათ კარის ცხენივით მრგვალსა ოლონდ რკინისას (არადა, ცხენი და, რკინის? — ვის გაუგია) იმამრგვლურსაურსც რკინისაც აგრეთვ რკინისა მცირე ჩამოფარებულობას განზე ვწევდი და უცხო საკნებში ვიჭყიტებოდი „მერაბი ნეტა აქ ხომ არ არის"-მეთქი, ჭიჭიკობიძია ამაში დიდად მიწყობდა ხელს, მეფარებოდა ხოლმე, მაგრამ ერთხელაც ერთ-ერთ მორიგ საკანში ძაან გულდასმით რომ შევიხედე, როგორ მომვარდა და ძალიანაც არანათესაურად მკრა, ხელი — „გაგიჟდი, ბიჭო!!? მაგი ბოზების კამერაა!"-ო, და, რაში ყოფილა საქმე, თურმე:

აის კამერა, თუ არ ვცდები ნომერ-ნუმერ 99, მილიციისა ყოფილი მსახურებისა და ძალიან მეტადაცკი გაყიდული ვიდრე ისედაც-საერთოჯამში ნასედკებისა საბოლოო ნავთსაყუდელი ყოფილა ციხობრივულსა-აკადემიურად რადგან კოლონიაში იმათ ვერ აგზავნიდნენ ისემცამძვირფას-პატიმართა ამონყვეტისა, შიშით, და არც ისინი წავიდოდნენ კოლონიაებში თავისიფეხით (თუ, ფეხებით? — ყველა კი არ იყო იმათში ამ-აწინდელსა ჩემსავითა კოჭლ-და-ჩოლახა), და ასევთქვათ და გასასეირნებელად აკი იმიტომ არ გაჰყავდათყე პრაგულკაზე, რომ, ჯერ ეს ეგ ერთი ვიმეორებ რომ ყველა არ იყო საბოლოოდ გაყიდული ნასედკობასა და „ვოლნიაჟკა"-ობაში ანუ შენიღბულ-უმილიციისაფორმოდ „შინაგან" (— თერაპევტ?!) საქმოსნებთან შეკრულები და მაბეზღარები სახლიკაც ნასედკებთანა ერთად და, სულაც არ ჰსურდათ გაყიდულიყვნენ... — ეს მაინც კაცო ხომ ხო-მაინც გჯერამსთ, და ჯერ-ას ეს-ეს მეორეს ერთის მხრიულადა კი, ამა კუთხითაც რას გავიდოდნენ — მთელი იქით-მხარისა საკნებიდან ისეთი ფორტისსიმოული ყვირილი ატყდებოდა — ხოლო ფორტისსიმო საჭიროა და კარგია მუსიკაში თორემა-თორო ამასიტყვებში — „ბოზებოო, მეკი თქვენი ისა-და-ისინ-ისინები მეკი რო ასედა-ისე როოო თქვებოზებოოოო!!!"-ო,.. და აქკი თქვენკი და თქვენა? თქვენკი უნდაკი გამიგოთ რომა ამ უცენზურო სიტყვებსა მე, არალეგალურეფს, ლეგალურათაც მიტო ვხმარობ, რომ, სხვა ჩემს ადგილზე რომელსა ერთსა სხვაურლეგალურ სინტყვას იხმარდა ამ ნატურალურ-დოკუმენტულურ „ბოზებოო"ს ნაცვლად, რას — „თქვე საძაგელო ნეგატიურებოო?!"-ს? ის კი არა და ეგებ იმასაც არ მიფასეფთ ცხენით რა კოხტად შევინაცვლე იმ დასატუქსისიტყვის ხმარება, კი, ის კი არა და ახლა „კი"-საც ძლივასღა ვამბობ, მარცვალს, კი-ისა, იმასიტყვაში მთლად უცილობლოდ შემავალსა, კი, და ხოლო ორიოდე წელიწედში ეგებ მათ გამო, ბოზებისა გამოისობით ააფარებინეს-სულაც რკინის ფარები (— ვერ იშოვიდენ რკინებისას, გოუჭირდებოდათ, კი... — კაცო, ესა ბოლო სამიწერტილი კი-ს მერე უნდა იყოს თუუ, სულაცეც წინე? — უცნაურია, თვით სამწერტილი, ც,) ისედაც როგორ რკინებიანსა, ციხეს,

ხოლო მე იმიტომ მკრა ხელი ისე გამეტებით ჭიჭიკობიძიამ რომაა, თურმეე, იმ-საძაგლებსა იმა-გლაზოკთან მორიგეობა ჰქონდათ თურმე და თუკი ვინმე შეიჭყიტებოდა, მათსში, ალესილ კოვზს თვალში ისე ჩაასობდნენ რომ, ტვინამდე გაუტარებდნენ და თვით ნადზორებიც ვერ ბედავდნენ მათში შეჭყეტას პრაგულკა-ს საათებში (12-16 სთ), მე იშვიათად გადავრჩენილვარ ხიფათს ასე, ჩემი ჭიჭიკობიძიათი,

პრაგულკასისი შემოლობილობებებიდან კი, ოთხკედელშუიდან, დიდი ცა ჩანდა, ავჰყურებდი, მართლაცდა როგორ დიდი-დიდი, და თანაც ძლიერ ვითარ-ულრმესი მაგრამ მე ხომ ვითომ-ცა, ფანჯრის-პირად-სა ისედაც მქონდა ის

მერე რა რომ — მკაცრი მაგრამ სამართლიანი (— ისემც!) გისოსებითა როგორ მკაცრულ და სამართლიანურ (— ისეემც!, ისეეემც!!) ოთხკუთხედებად ძალიან, ძლიერ დაჭრეთილი, ცა, — დაჭდეული მაგრამ ხე კი არ იყო ფოთლოვანი გინდ წიწვოვანი, ცა, შელახულიყო რადგან არამედ ცა გახლდათ, იყო, მაინც, დაარა გისოსებითე დატყვევებული, ცები, და მთელ ჩემს იმ ორმოც მოკლენუთს — დანარჩენი დრო, საათიდან, მეხუთე სართულიდან ჩვენს ყოვნებიან ასვლა-ჩამოსვლას მიჰქონდა, ხოლმე, ხოლო ჯონდოს ფანჯარასთან მუდამ იდგა მისისაკნელი ვინმე-გუშაგი და, ალბათ მაშინვე მიაძახებდა ხოლმე ჯონდოს — „გამოიყვანეს შენი პადელნიკი", ო, და, მიყვებოდა ჯონდო თითებით და ვუყვებოდი მეც, ვახსენებდითა ერთიმეორეს, ვახსენებდით ჩვენს ათასნაირ ოინბაზურსა-ყალთაბანდობებს, და ხანდახან ისე ვიცინოდით რომ, ენად-ხელებიც, გვიცახცახებდა, პრაგულკაზე კი ერთიც ძალიან, ძაან გრძელი რეზო-უფროსი გვყავდა-გვედგა ზედამხედველად, და მოკეთილო კაცად-სავით ჩანდა იგი, კი, იმდენადაც კი რომა ესა-„კი" მის შორიახლოს არ-უნდ მეხმარა, კი, ძალიან მაღლა იდგა იგი (— „იგი? — კარგია მასზედ! ჰალალიარი!!), ჩვენს ზემოთ კედელთზედაურ ბილიკზედა, მიმოდიოდა, იქ და რვა საპრაგულკე ფართებსა კი... (— ვაჰხ!) თუ სულაც ათსა ერთდროულათე ადევნებდა თვალს აბა სხვას რას და, ამა დიდად ფორმიანზეც კი, ის მერე რა რომ მხოლოდღა სტარში სერჟანტი იყო სამაგიეროდ რამდენად იყო მლადშისერჟანტზე ფაქტობრივგრძელი, და გარეგნულადაც-ოფიციალურს შინაგანეზე-თერაპევტულსზე ჯონდო-ცელქობის-ფეხისმკვნეტელი კიარადა — ღიმილებისაგამომკვნეტელი მიწერდა ხოლმე იმა-თითებით დირიჟორულით — კითხე რა, ერთი რეზო-უფროსს რეზო უფროსო გაბოზებას ხომ არ აპირებო და თუ აპირებს, დაანამუსე ჯონდოსაც და მეც გვეწყინება შენრო ბოზების კამერაში მოგაყუჩონ,ო, ხოლო ტელაგრეიკაში პირველად რომ დამინახა? — ასე-ამგვარად მისაყვედურა:

რა იყო, ბიჭო, მაგ ისეთ ძვირფას სმოკინგზე ორკესტრშიც რომ არ გღირსებია ბარელამ ბოლომდე რატომ არ გააძვირფასე და დიბაფარჩაზედ სულ ოქრომკედით ამოგექარგებინა ბაბკენა-პარტნოისთვის (იყო ასეთი დიდად ცნობილი თერძი ბაბკენა იმდროინდელსა "თბილის-ქალაქში", თბილისი მაშინ უფრო იყო ქალაქი და ქალაქელებიანი ვინდრე მერე რომ 8-9-14-16-სართულიანი სახლებითა? — მოსახლეობისსულობრივად გამილიონდა), და შემოგეხვია მაგ ძვირფას ტელაგრეიკაზედ მაშინ ხომ როგორ დაემგვანებოდი ანგლისკი მილორდს შე-დოჩანაშვილო-შენა ჩემო, შენა ჩემოც და, შეჩემაცა,-ო, —

ვერ ვიჯერებდით ამა-ერთგვარი როგორორმაგხელური მასლაათითა, გულს,

და,

კვლავ ჩემს სადგომში ამოვდიოდი,თ,ც ანუ სხვებთანა, ერთად, ამოვდიოდით ნელინეეელ, დუხჭირ სამყო-ში, უნებურულსა დასაბრუნებმისაქცეველში, უკეთესური სავანეებიც გვენახა, ჩვენა მაგრამ გული მაინც არ უნდა გაგვეტეხა, ასეთი გახლდათ, წესი, მაგრამ ამისი შემძლეობა მხოლოდღა თეორიულად თუ შეგვიძლია, უმრავლესთ-ჩვენა, ადამიანებს-ამ, ხანდახან ისეთი სევდა-წუხილი გვიპყრობდა რომ, — მთლად კაეშანი, პირქვე ვწვებოდით ჩვენ-ჩვენს ნარებზე, რომელზეც-სადაც რაღაცნაირი ბალიშები, ის მერე რა რომ ობიანები კიდევ კარგი რომ, იქაც გვქონდა, იმათზე თავის დადებაზე რამდენად მეტად — თავის ჩარგვისათვის,

თვით ბატონ ნაპოსაც კი, როგორ გაუბზარავს კი არა და, ნებისყოფაში ხიწვც-ვერნაჩხვლეტს, სულვარ-სულგაკაწრულსა და გაფხაჭნილსაცვერ, ხანდისხანობით რაღაცა ნაღდად აწუხებდა, აფიქრებდა საღამოობით რაღაცა მუდმივერთდაიმავესი გაბმულად განცდა, ეტყობოდა ეს იმ რაღაცათი დაფიქრების აშკარა ჭდე ერთნაირულად მიმგვან იერზე, რა-ღრმა იერზე ბერიკაციისა-გონიერის, და თანაც მძაფრა-გამოცდილებათ მატარებლობით რაღაცნაირად როგორ ღრმად ლამაზ მხცოვან-სახეზე,დ, რაღაცისაკენ დიდად, სევდითაც დაფიქრებულს, ძაანაც მფიქრვალს რაღაცა ნაღდად ვერ ასვენებდა საღამოსპირის მისამცხრალ ჟამს,ც — უფრო, და, ერთ შეღამებულს ორნილ რომ შევრჩით ჩვენ-კუტოკიდან — სხვები დომინო-ჭადრაკობანას ადევნებდნენ თვალს, ჩორნი პაუკის გამფაციცებელ მოსმენამდე, მე კი ისეთი რამ მოვისმინე ბატონი ნაპოსაგან რომ, იმ ნაამბობზე, აბა რაღა და რომელიერთი მეჩორნიპაუკებოდა, რადგან, ისე მიამბო ბატონმა ნაპომ ეს ამბავი რომ, თვალარიდებით თითქოს სადღაც შორს, ძაალიან შორს იყურებოდა და, ასეც ყოფილა, თურმე:

— მე არ ვიყავი მაინცდამაინც სინდისგარეცხილი ყმაწვილკაცი მაგრამ სიმთვრალე მქონდა ისეთი? — აუტანელი, გურრამ.

დაიწყო, ასე, ხოლო აუტანელი სიმთვრალის აღწერა რომ არ სჭირდებოდა ჩემთვის, ნეტა საიდან უნდა სცოდნოდა ეს რადგან მე მაშინაც უკვე ვიცოდი ამადაგვარი სიმთვრალისმქონე ორიოდ კაცი, იმათმა რიცხვმა მერე და მერე კაი-ოცამდის ააღწია, და საკვირველი იყო სწორედ — სიფხიზლეში რა დალაგებულად-მშვენიერნი გახლდნენ მაგრამ, თუკიღა შეთვრებოდნენ? — მტერს და მაწყევარს არ უსურვებდი, ვერ... აგერ ბატონო სუარ გვინდა შორზე წასვლა აქანე არ გვყავს, ყურისძირში, მიქელ კასიო? — ეს ახლა ვფიქრობ ასე თორემ აბა მაშინ კი აბაღა რა მეხუმრებოდ-მეშექსპირებოდა, ბატონ ნაპოს თურმე ჩემდამი, მასთან როგორი გამოუცდელისა კი არა და მთლადაც უმაღლესხამისადმი აღსარება, ეს, უნდა ეთქვა, არადა რა უცნაური ამ ეგრეთწოდებული პათოლოგიური

სიმთვრალისა მაგალითები შემხვედრია, მერე და მერე — უფრო, ამისა რა-როგორ ტანჯვად მატარებელთაგან კი, ერთისა-მაინც დიდად მიკვირდა ეს, რადგან, მე იშვიათად შემხვედრია ისეთი კეთილი, ისე უბოროტო, სიკეთით ისე მწყაზარი კაცი მაგრამ ერთ-ერთი მისი ასეთი სიმთვრალის გამოვლენისას — დედამისმა, უსათნოესმა ქალმა დამირეკა და, თუმც მშიშარა სულაც არ იყო ოდნავადაც კი მაგრამ შვილი ხომ — სხვაა და, ტელეფონით შემომბღავლა შენ თუ მიშველი გურამ ხომ იცი ვალიკოს როგორ უყვარხარ და მოდი თორემ დავიღუპები მოსაკლავად იწევს ჩემზე რადგან მე დედამისი კი არა ოთხი თათარი, გურამ, ერთად ვგონივარ და არიქა მიშველე,ო, — კიიყო კარგამსუქანი ქალი — მაგრამ მთელ ოთხ თათარში რამ, რა ძალა-მთვრალურმა გადააცვლევინა უსაყვარლესი მისთვის, დედა, მე უბედური ეს,ო, და მეკი კარგა შეშინებული — რადგან ზღაპრულად ჯანიანი იყო და მეც ვაითუ თათრების მაშველიძალავგონებოდი — ავედი მათთან, ახლოს ცხოვრობდნენ, და, ემუქრება დედამისს მაგრამ რას ემუქრება — ვუხხ თქვე თათარო ვირიშვილებო თქვენ აგაღებინებთ ჩემსაქართველოოს მე თვით გიორგი არ ვიყო სააკაძე და ეს ულვაში მომპარსეთ (არადა, ულვაშს არ ატარებდა) თქვენ თუ თავები არ დაგაყრევინოთ კოჯორშია,ო, — ვააიიხხ? — მაგრამ კი, მერე, რომ შემომხედა? — ერთი-ორჯერ კი-გაისვა თვალებზე მჯიღი და, — ვაჰ, შენ ხარ გურამჩიკ?-ო, — და გადამკოცნა, ხოლო დედამისს? — დედი, აბა რაცა გვაქვს, გამაიტანე, გურამჩიკასთან თითო ჭიქა მინდა,ო, —

ესა ისეთი საკვირველება იყო მისგან რომ, თვით იმ ყოვლად-მიმზიდველ მაგრამ ასეთსიმთვრალიანსა ჯეილს სტივენ კრეინის „როგორ დაბრუნდნენ ახლადდაქორწინებულები იელოუ-სკაიში“-ში, როგორ ძალიან კარგ მოთხრობაში რომელშიაც რომ თვითონ იმ ამერიკელ ჯეილსაც კი გაუკვირდებოდა, მთელ მის იმ ყველა-კარსანდოდ ჩარაზულ პატარა ქალაქში მთვრალი თუ ვერავის რომ ვერ წააწყდებოდა გულს იმითლა იკეთებდა რომ კატებს ესროდა, რასა და — ტყვიებს, არადა სროლა კარგი იცოდა ამერიკული ველურად-ველურ დასავლეთისა კარგა ჩაუქი კოვბოი იყო, რადგან,

არადა, ზოგსა-იმათგანს რა მშვენიერი, როგორიკარგი იუმორისა გრძნობა ჰქონდა როგორც იტყვიან, მათგან ერთ-ერთმა, დიდად ცნობილმა ხელოვანმა ისიც კი მითხრა რომ ასეთი მემთვრალეებისაგან ფეხბურთის სიმბოლური დიდადნაკრებ-ნაღები გუნდი უნდა შეექმნა რომელ გუნდშიაც თავისი დიდ არევისადაუნარიანობის დამსახურებით თავისი თავი დიდადმოუღლელ ნახევარმცველად უნდა აღეზევებინა ხოლო გოლში კი, მეკარედ? — ყველაზე გამოჩენილი ერთ-ერთ სუსხვა სპორტისა წარმომადგენელი თავდასხმაში კი არა არამედ გოლში უნდა ჩაეყენებინა, ეს თავდამსხმელადრისხვა, რადგან, ხომ-უკულმართი აკი გუნდი იყო მათი-იმათი, ეს, და, იცინოდა ისე გულით, რომ, ბიჭი იყავ და, წარმოიდგენდი? — რასაც ის თავის როგორ-ყოვლათე შეუფერებელ სიმთვრალეში ჩადიოდა,

და, ბატონ ნაპოლეონსაც, ჭაბუკ-ნაპიკოს, აც ჯეილობაში ჰქონებია ისეთი სიმთვრალე, რომლისაცა-რო შიგნი-შიგან რომ? — ისეთურნი რამნ, ჩაუდენია? — მე მიყვებოდა, და თან თითქოს თავისთვისც ჰყვებოდა, ახლა, თვალებ-შორისაკენ, მიპყრობილი:

— მე რომ ქუჩაში გამოვდიოდი, მთვრალი, — ქუთაისში ან თბილისში, ალბათ, — მაღაზიები და სახლები იკეტებოდა, — მთლად იელოუ-სკაიელივით-სას, კაცო! — ერიდებოდნენ ძალიანი, თურმე, — და ერთსაც იზვოზჩიკს რომ დავუქნიე ხელი, — „იზვოზჩიკი“-ო? — რაღაცნაირად მოაგდებულად წარმოსთქვა; როგორც მოგახსენეთ ჭიჭიკობიძიას მსგავსად ისიც მთელი თავისი თავით, არსით, არსებით სრულად შედიოდა თურმე წარსულდროინდელ ძველს ყოფასა თუ შეხედულებებში რომელიმე იმ იმა-ხანად ანუ გინდაც შორეულ წარსულში ახლაც რომ მაინც როგორ-ეს ახლოდ, ჰქონებია, ნაქონებარა თურმე, ყველასა გვაქვს, კი, და ჰყვებოდა ახლა ამას — იმ ყმაწვილური სიჩაუქისას ვითომ ერთგვარად თავის მართლებად და ჯერ სულაც ვერ-გასამართლებლად, თავის, გინდ მის ახლანდელ პირობაზეც კი როგორლაც მკრთალად მომხიარულოდაც და იმდროინდელი ერთსაცგვარის სიამაყითაც კი იმასა-რო სწორედაც მისით მთელი დუქნები და ქუჩაბანდებითა რომ ეკეტებოდა და, ძრწოდნენ, — არ გამიჩერა იმან, მე კნიაზ-ჩიქვანს არ დამიჯერა და არ გამიჩერა ფაიტონი და გადაუჭირა ცხენებს შოლტი და ჩემგან ძალიან შორისაკენ გაჭენდა-ვითომ თავისი ჭკუით, მითამ, და სხვა რა მექნა, შეურაცხყოფილს, დავაძრე ჩემი ფიშტო და წკაპ!.. მე უშეცდომოდ ვისროდი მთვრალიც (უშეცდომოდ!-ო, ამ გულმოწყალემ ახლა როგორ, კაცმა) და ვრეკე პირდაპირ თავში, — სულ შალვა... უა-„სი“ ნოდარია-ნოდარასავით კიარ ჰყვებოდა — მალავდა არა-ს ამ რბილად რომ ვთქვათ ძაანნამდვილად ცუდსა ამბავში რომლის მოყოლა-მოყოლისას თვალებში მთლადაც არხეინობა არა მაგრამ... არცთუ დიდად მომნანიებლურად მიამბობდა:

— და გადაგორდა და ჩამოვარდა და იმის ჯინაზე ისიც კი მომინდა მის იზვოზჩიკურ სამარცხვინო ალაგას ავსულიყავ და ისეთი გლახა და სულელური-მთლად სიმთვრალე მქონდა რომ გადავწყვიტევი მე-კნიაზმა იზვოზჩიკურად თვითონ მე რომ გამეჭენებია იმისი დანჯღრეული ფაეტონის ჩაქჩაქა ცხენი (— ჩვენ აქა „ცხენი“ სუმთლად მარტივად უნდა აღვიქვათ, სულაც-არჰიპერბოლურად არამეთ ნატურალისტურათ თუმცკი მოალეგორიულა სუსხვა

„ისი-ცხენი“ც ნატურალურია, ისე კი, მაგრამ, თურმე არ შესწრებია ამ ამბავს კაიშორიდან მაგრამ სულყველაფერი არ დაუნახავს კაკის, რამიშვილს? მენშევიკებისი ერთიც დიდად გამოჩენილი თავკაცი იყო, ისი, და, გადარეულა კაცი ასე უბრალოდ როგორ მოკლა გინდაც რაცგინდა იზვოზჩიკიო, და, მოაჭენებია თავისი ეტლი მეეტლეს (განსხვავებარა, თურმე, როგორ, იქით იზვოზჩიკი და ფაიტონისტი და აქეთ მეეტლე და მელანდოე და მეეკიპაჟე) და, სულ დგრიალით მოაჭენებია ჩემკენ ისი-თავისი სამთავრობო ძვირფასი ეტლი და წამოჭენდნენ რაღა თქმა უნდა მთელი თავისი დაცვის უგვანები და, არ შეუძახა? მთლად დიდკაცურად — ასე მეორე-მესამე კაცი იყო მთავრობაში ის, расстрелять на месте!“-ო, ჩემზე, და მაშინათვე სულაც წამში მთლად გადამვარდა ჩემი სიმთვრალე, გლახათე იყო ჩემისაქმე და, გავექანე სულაც ფეხით და ავხტი მის ეტლზე და, ცალი ხელი კისერზე მოვხვიე მეორეთი კი ჩემი ფიშტო ვატაკე ზედ საფეთქელზე და, „Отмените ваше приказание! შევუყვირე და, იცოდა იმანაც ჩემი ამბავი ალბათ და, იყვირა მარა რა იყვირა მაშინათვე: „Отставить, отставить!!“-ო, და, ვინ არ მიცნობდა, ჩამოუშვა ახრანამაც იარაღები და, თლათ იმ რამიშვილ-კაკიანა მივჭენდი მეტეხის ციხეში (— თბილისში მომხდარა!) და იქ კი ვუშვი დიდკაცს ხელი და გადავაგდე მტკვარში ფიშტო და შევვარდი თვალისდახამხამებაში ციხეში ჩემიფეხით... მომკლავდნენ სხვაფრივ.

დაფიქრდა, აქა.

უფრო თვალნათლივ იხსენებდა მეტეხის ციხეს...

რომელი წმიდა ტაძარიც ჯერ ციხედ გადაუკეთებიათ, მერე, „ორთაჭალის აკადემიის“ აწინაურებისას ათასგვარ საწყობად და ხელოვნების მუზეუმადაც კი, სადაც ორმოციან წლებში ერთად მუშაობდნენ ბატონები: თვითმკვლელობამდე ბოდღო ემხვარი და მთლადაცპირველ გადასახლებამდე ჭაბუა ამირეჯიბი, მერე ისევ საწყობად მიუსარდაფებიასავით და ხოლო მერე კი — თეატრად სადაც ჩემი ერთი მოთხრობაც — ახლა ჩემდა როგორ შეცბუნებად და მაშინკი მე-სულელისათვის გასახარად სპექტაკლად დაიდგა ანუ „განხორციელდა“-მართლაცრო, კი, მერე კი, შვებად, მართალ და დიად მეტეხად დაგვიბრუნდა, ჩვენდა, თუმც მაინც მუდამ იყო, ჩვენთვის, თავად ტაძარი კი არა და ისე-უკვალოდ ბგერებიც არ იკარგებიან გინდ ჰაიჰარად მთლად უვიცობად თუნდ გულში თქმულნი, იმა-დიდტაძრით — თავად დედუფალ ღვთისმშობელისა უუწმიდესი სახელი მთლად ოდითგანვე, აშენებამდეც რომ მინიჭებია ხოლო „მეტეხი“ — ღვთისმშობლის წილმხვედრს ანუ უფაქიზესს ნიშნავს და არა ზოგ-განმარტებით „რაც ადვილად ტყდება“-ს, — მაგრამ ეგება თავიანთური სიცრუისა და ბოროტების ვითომდაცი-განმტკიცებისათვის იმა-ძველ დროში ჩვენი დიადი ეკლესიების ავტოკეფალიის დამრღვევთ და წამრთმევთ წმიდა ფრესკების ცოდვად შეკირვა არ უკმარიათ და მთლადაც ბოროტმოქმედთათვის ციხედაც კი გადაუკეთებიათ უსათნოესის უფაქიზესი ღვთის სახლი და სხეული და სული, და, მენშევიკებ-ყმაწვილებსაც, იმათაც კარგა-ურწმუნოებს შეუნარჩუნებიათ მითომაც დიდად გამოცდილთ — და თვით წმიდა მეტეხი, და, იმ ჩემიც ცოდვითსავსე ტეატრად-აც, კი, მითოკულტურულმ ბოლშევიკურ-სოციალისტებს გუდუუკეთებიათ, კი, და, გახარებული როგორ, ვიმეორებ რომ მაშვინ კი არა, არამედ, ახლა, დიად მეტეხად — ხატებიანი, სანათებიან-სანთლებიანი, საკმევლიანი, მაზიარებელი რომ დაგვიბრუნდა და სწორედაც იქ პატიება ვთხოვე ღვთისმშობელს ჩემი რაცგინდა თუნდ უნებური და მაინც როგორ ცოდვასთან თანაზიარობისათვის — სად მქონდა მაშინ, იმ თავხედური „პრემიერისას“ ასე ამგვარი არამცთუ გული არამედ, სუცოტა ჭკვა,ც, კი, და მეტეხის აშენებაზე რომ ვიკითხე, ერთი ასეთი გადმოცემა, და არა ლეგენდა მიამბო ჩემმა როგორმა კეთილისმყოფელმა და მზრუნველმა ჩემზე, აჭარის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ — ალბათ და თურმე, იმ თავის უძნელეს დროში დიდი თვით ნორჩიც დიადი ვახტანგ გორგასალი, ჯერ კიდევ როგორ ადრეჭაბუკი, თექვსმეტი წლისა, დიდად ჯანთსავსე უვიც ბაყათარს სანამ შეებრძოლებოდა მთელი წინადღე და სავსე-როგორ, ღამე ლოცვასა და მარხულობაში გაუტარებია, ბაყათარს კიდე? — მთლად მთელი ზაქი ჩლიქებიანა შეუჭამავს იმ ისედაცი მარტორქულ-ძალის განსამტკიცებლად, მეორე დილით კი, თუმც ფრთხილობასა იყო ბაყათარ მაინც — ვახტანგ გორგასალს ორთაბრძოლაში უკვე მოკლული ჰყავდა ე.წ. გმირი-თარხანი, და, მდინარის გაღმა მდგარ ვახტანგისათვის შეუძახია — „გადმოდი აქეთ, შემებრძოლე“-ო, მაგრამ, მეფეს-ჩვენს, მცირეწლოვანს, — „მე გეახლო შენ, მეფე ყმასწარმართსა?“-ო, და ბაყათარს მაშინ: „მაშინ მე გადმოვალ მაგრამ მდინარეში ნუ მესვრი ისარს, რომკი გადმოვალ, შემებრძოლე“,ო, მაგრამ ვახტანგმა თუმცა შეჰფიცა — „არას გავნებ“ო, მაგრამ, დიდ ვახტანგს, ჯერ ბალღსა და ჭაბუკს შორისას, შუისს, სამშობლონაძარცვს, დაწიოკებულს მამულით, ა, მთლადაც უმცროს დაი-გატაცებულს, მოუთმენია, ვერ, და ბაყათარის დაუცველ იღლიაში, სადაც აბჯარი მკლავის უკეთესქნევისათვის, რღვეული ჰქონდათ, უძგერებია ისარი, და გაგვიმარჯვნია ქართველებს, დიდად, და იქიდან მოყოლებული დაგვბრუნებია ოსეთიც და სხვაც მშობლიური მიწა-წყალი, კუთვნილი ჩვენდა, და რვა წლის უნახავი მთლად მცირეწლოვან დაი-თი როგორ გაბედნიერებულს, ვახტანგს, მაინც სტანჯავდა დიდად, ძალიან, თვით როგორ-ვერაგ მტრისადმი მიცემული ფიცი რომ გატეხა და, იტანჯებოდა მდუღარედ,

თორემ, რადგანაც იყო, ქრისტიანი, რადგანაც გახლდათ და ბრძანდებოდა გინდაც რიგითი — ქრისტეანე, და, მეტეხის ტაძრის აშენება გადაუწყვეტია, ღვთისმშობელისათვის — მისი ქვეყნის შვილს, და, მონანიებად? — იმ ტაძრისათვის „მე ვტეხე ფიცი“ ანუ „მეტეხი“, შემოკლებულად, აშენებამდე შეურქმევია, მაგრამ ამისა ჯერ ერთი რომ მაშინ-ციხეში არა-ვიცოდით და, თავისი ახალგაზრდობის გარდა ისედაც სხვა რიღასღათვის ეცალა ბაბუა ნაპოს, მაშინდლურ ახლა-ს, თუნდაც და როგორ განამდვილებულს იმ ყოფილ ჭაბუკს, ყმაწვილს და ჯეელს, იმა ამბავსა-გამოყოლილს სად ეცალა, — ვერ, და მიამბობდა ჩვენს სხვა ციხეში, მართლაც ციხეში რა უნებური გულმოდგინეობით მიყვებოდა მე და უყვებოდა თავს თავისითავის-წარსულისას, დიდად აცვენილ-თავისას, მისას, ჰყვებოდაყეე, აწ:

— და, როგორც კი შევედი მეტეხში ვიცოდი რომ რაც გინდა დიდად შიშნაჭამი რამიშვილი სწორედაც შიშით სასწრაფოდ რომ გაასამართლებინებდა ახრანკისი მსგავს მოსამართლეებს ჩემ თავს და, მოვავლე თვალი პატიმრებს და ერთიც ნაცნობი დავინახე და ვუთხარი ერთი აქეთ მობრძანდი ყმაწვილო-თქვა... და, მეახლა მაშინვე რა იყო ბატონო ნაპო რამ შეგაწუხათო და შემაწუხა კი არა-მეთქი, — მივხედე ისევ ერთსაც პატიმარს, — გამოართვი იმას მათრახი-თქვა ...მაშინ უბრალოდ იყო წესები ციხეებში, გურამ, ხანდახან მაჯაზე გამობმული მათრახიც შემოჰყვებოდათ ხოლმე, და, გამოართვა იმ კაცს მათრახი — ჩიქვანს უნდაო, — გამომიწოდა და, რომ არ გამოვართვი და კაიძალ დაბნეული შემომაჩერდა? —ვუთხარი მე რომ, მოდი ახლა და ახლავე დამარტყი რაც ძალი და ღონე გაქვს ეგ მათრახი ზურგზე-მეთქი და გადავიძვრე ახალუხიც და, მივუშვირე ზურგი მაგრამ, გაგიგონია? — ვინ გამიბედავდა მე მათრახის დარტყმას, მივუბრუნდი და, შიშისგან ისე გადარეულს რომ მამამისის სახელიც ალბათ ვეღარ ახსოვდა არადა აზნაურშვილი იყო, ისევ ვუთხარი და უფრო მკაცრად, გადამიჭირე ეგ მათრახი რომ გეუბნები ვის ვეუბნები, მეთქი!... მაგრამ, ისთევლეც, — გაგიგონია? დგას ისე ნამეტურ დადამბლავებული, რომ, ნდომით კი-უნდა მაგრამ მარა ვეღარ იღებს ხმას, მერე კი, რომ წავიწიე, მისკენ, ვისაა შენ რომ არ უჯერეფ, და გაგათავე ამისთვის და ისაა-თქვა? — ამოშაქრა და კი არა და თლათ სხაპასხუპით მომაყარა რატოკადრულოფთბატონონაპოლეონამასახლათქვენროშემოგბედოთესმაშინეხონწამაწყვეტთწამშითავს... — შეეკრა ნაპო ბაბუას, იმ წარსულურის იმიტაციისას, სუნთქვა,

მე კი ისევაც კვლავ ნოდარა გამახსენდა, იმ ბანდიტისა შიშითა რომ ვერც ის გადაუჭერდა შალიკოს გინდაც ცხვირსახოცს მაგრამკი, ენით? — ისე როზგავდა, თურმე,

ნაპო ბაბუამ კი, განაგრძო, ნელა:

— და ისეთი მაინც რა დაგიშავეთ ასე ძაან რომ მიმეტებთ,ო, მაგრამ ვუთხარი, ასეა საქმისთვის საჭირო და რომ არ დამარტყა წაგაწყვეტ-მართლა მაგ თავს ძირში-თქვა და, მარტო თქმა იმას არ უშველიდა, გადვუბრიალე, თვალი, და, შიში რაღას არ შობა და შეშინებული კაცი რას აღარ იზამს და კაი ნაზათ კი დამარტყა მაგრამ, ვის ვეუბნები მთელი ძალით დამარტყი!!-მეთქი, და, ვარესი შიშით იყო თუ რა და მართლა კაიმაგრადაც გადამიჭირა ის ახრანასავით მათრახი და, ემასე-მეთქი და ჩავიცვი ისევ ახალუხ-ჩოხა და, გამიყვანეს კიდევაც ასე ოც წუთში სახელდახელოდ სასამართლოზე, და, კიიყვენ რამიშვილითი დარიგებულები რაც უნდა მოესაჯათ ჩემთვის, მაგრამ, ვთქვი მე ისე რომ — ხელი ავუწიე იზვიზჩიკს და იმან კი შოლტი დამკრა ზურგზე მე, კნიაზს, ჩიქვანს, გლეხმა და თანაც იზვოზჩიკმა-თქვა...

გაჩუმდა, ცოტას...

— მაშინ, გურამ, ჯერ კიდო ჭრიდა კნიაზობა, მენშევიკებისას, კი, და მერეც კი ჭრიდა გვარიშვილობა მარა დასახვრეტათ, ჰოდა, დღევანდელივით კი არ იყო, ასეთ-საქმისთვის ან დაგხვრეტდნენ ანდაც გამოგიშვებდნენ, სულაც, სუთლათ, და, გადაირია მოსამართლე, მეფისდროისიც კაცი იყო, ისი — მაგ რაფრა გაგიბედათ ჩემობატონოო და, გამომიშვეს, კი... მარა ამითი არ დამთავრებულა ისი-საქმე, ჩევიდე გულში ი-რამიშვილი უნდა მოვკლა იზვოზჩიკისი გულობიზა რანაირად ახვრეტიებდა ჩემთავს-მეთქი-თქვა, და ვდარაჯობდი იმ გლახაკი ახრანისა თლათ პირიქითულ, მარა, უახრანიკოდ არ გაივლიდა ქუჩაში ის, და, რომ წაუვიდათ მერედამერე იმენშევიკებს გლახათ საქმე...

დაფიქრდა, ისევ...

— ჩვენ ბოლშევიკების ჯინაზე მოგვწონსევითამ მენშევიკები თორემ ისეკი კაიხვითოები იყვენ მაგინიც, და, კირო დაკრეს ფეხი და თლათ საფრანგეთში მოუსვეს ბაყაყური და შვლიპეს თავი და გეიქცა ყველე (იმა-წარსულით? მოკუთხუროდაც კი თანდათანობით უფროდაუფრო ალაპარაკდა შიგადაშიგ ეს გინდ ლიტერატორ-დახვეწილი,), და ამისი ჯერიც კიდადგა გაქცევისი და ერთი მეფაიტონე შერჩა მარტო ისი ახრანკა სულ დაექსაქსა იმათ იცოცხლე იციან გაქცევა საპატრონებელს თუ შეუდგა თხლეი და წყალი, მივეცი იმას პატარაფული და, გაყიდა იმანაც თხასავით ი თელათ მინისტრიკაცი, რომკი გითხარი ასე მეორე-მესამე ვითოკაცად რომ კირო ძაან ითვლებოდა ამ რიღას არმნახავ საქართველოში, دااბარა ცოლს გადეეცი იმას მე მევიტეხე ფეხიო და, გიგზავნი მაგიორში ჩემი სახლიკაც კაიკაცსო და, დევიწეპე ფსხვილი წვერ-ულვაში და, ვუთხარი იმ დიდძალ ყოფილ მინისტრს ახლა კი ობლათეობოლ კაკიას, რომ, მე გამომაგზავნა თავის მაგივრად მეფაიტონემ ძმა ვარ მისი-თქვა, და, სით და სა-

ითკენ წაგიყვანოთ პატივცემულო მინისტრო-
თქვა, ბათუმის პორტშიო, მითხრა, ასე ორი
კილომეტრი თუ იქნებოდა პორტამდე და, გავა-
ჩერე გზაში ფაიტონი კაიმოფარებულთან და,
მივუტრიალდი და, წავიღე წელსუკან, ფიშტოს-
კენ, ხელი, და, გამომიწოდა ძალიანი მოულოდ-
ნელათ უცეფ ხელი და, დავივიწყოთ წარსუ-
ლიო, მითხრა... მიცნო ხოიცი, და შენ რომ იცო-
დე როგორ რანაირ-რაფრა მიყურებდა თუ იცი,
ძაან დიდათე მიყურებდა, კი, ისე რომ, კაცო,
მთლად დავიბენი ის მაშინდელი როგორი თავ-
ზეხელაღებული და არავისთვის არაფრის შემ-
რჩენი და ძაანიოლათ ძვირის მოქმედი, კაცი, და
ჩამოვართვი ხელი ისე რომ სულ არ ვიცოდი რას
ვაკეთებდი, დავ́ძარი ეტლი, და, გზაში ერთ-ორ-
ჯერ კიგავიფიქრე რამ შემაცთინა, მოვკლავ მა-
ინც ახლავე-მეთქი, მაგრამ...

გაჩუმდა; — ჩუმდა, ფიქრობდა ისევ...

— და, მაგრამ რა!.. — ვეღარ მოვითმინე,

და, მითხრა ასე:

— მაგრამ ჩამორთმეული მქონდა ხელი.

...

— ხელის და სიტყვისიკაციც ვიყავი მე. კი.

...

— და რომ წავიდა, ერთ ორ-სამ წელში შე-
მომითვალეს ბოლშევიკებმა, ტყეში, სუყველა-
ფერს გაპატიებთ შენ ოღონდ წახვიდე უნდა
საფრანგეთში ჩვენიფულით და მოკლა იკაცი,
არ გაგიჭირდება შენ ეს, ის თუ გიმეტებდა სა-
სიკვდილოდ შენ რა-რითი ხარ იმაზე ნაკლებიო
და, შევუთვალე იმათ უარი, დაღესტანში გადა-
ვედი, ძმადნაფიცი მყავდა იქ, დაღესტანელი,
ლეკი, და კაიოხრობაც კიგვიქნეს ჩვენ დაღეს-
ტნელებმა მარა იციან კარგად ძმადნაფიცო-
ბაც, მიშოვეს რაღაც ყალბი პასპორტი თლათ
ნამდვილს ჰგავდა, ლეკი ვიყავი მითამ, მე ეს,
რუსული კარგი ვიცოდი, პეტერბურღში მაქ
დამთავრებული უმაღლესი და, კიც გავიტანე
თავი, ვიცოდი შრომაც ნაღაჩაღარმა, კანცელა-
რიული, კაიგვარისი ქართველი ქალი მყავდა რა
მეყოლებოდა აბა ცოლად, ვცხოვრობდით ასე,
სხვაგან...

გატვრინდა, ისევ; მერე:

— ასეთი საქმე მომივიდა... რამ მომაკვლევი-
ნა მაინც...

ისეთი სევდა ედგა თვალებში... იყურებოდა,
შორს,

ძალიან შევცბი... რა ნოდარასავით გადათქვა
რომ, მთლად საბოლოოდ შევურიგდიო... ხე-
ლისჩამორთმევითო, აკი, მაგრამ სად ნოდარა-
ნოდარიასი იშკილები და სად ბატონი ნაკნია-
ზარი კი არა და, ახლაც თავადად ნაგები რო-
გორ, გინდაც მოხუცი რა შემართული, გინდაც
ჩვენს იმ ოთხ როგორ ძალიან ავკედელშუა, ნა-
პო,

და,

— ნაპო ბაბუა, აკი გავუშვიო... — რაღაც
უბინო საყვედურივით, დამცდა, მონაყოლი-
სადმი, მის, მაგრამ მითხრა:

— არა, კაკი კი არა, იზვოზჩიკი... შენ იზვოზ-
ჩიკი ეძახე და, ეყოლებოდა იმას ცოლ-შვილი...
თვითონაც, იყო. ის მერე რა რომ, იზვოზჩიკუ-
რათ... —

რა მონანიე, მომნანიებლად იყურებოდა
სადღაც, ძალიან მოწყენილი, სევდიანი, შორს...
აი თურმე თუ რა-რას დარდობდა, საღამოობით
უფრო-მაინც, შემხედა, მერე:

— ჩხუბმა და შფოთმა მიჩვევა და აყოლა
იცის, გურამ, არ წაიხდინო იცოდე ჩემსავით,
თავი...

და, დააყოლა:

— ჩემო გურამი.

„გურამ"-ის ნაცვლად? — „გურამი" მითხრა,
კუთხურობა რომ ხანდახანობით მოაგდებუ-
ლოდ, ყღერს, ხანდისხანობით უვიცურია და
ხანკი ხანაც — როგორი თბილი, მაგრამ ამაზე
მაშინ სულაც არ მიფიქრია, ჩემთვის ის იყო
მთავარი რომ, თურმე თუ ვის და რას დარდობ-
და ბაბუა ნაპო, იმ იზვოზჩიკს რომ ჯეილობაში
მიბრუნებული ახალგაზრდა თავად ნაპო სხარ-
ტად ამბობდა „გადმოვიღე ფიშტო და ტკაპ"-ო,
მაგრამაც მერე, ახლა, მოხუცი, ის მერე რა რომ
ძველკნიაზურად შემართული, როგორ დარ-
დობდა ახლა ამას,

და, იმ დიდ მწერალივით საკუთარ ტყავში
ძვრებოდა თითქოს, ახალგაზრდული, იმ ყმაწ-
ვილური ამბის თხრობისას, მაგრამ ახლა თან
უფრო ნაღდი ეს კაცი იყო ბაბუა ნაპო, მგლო-
ვიარე და მოსინანულე, კი, ძალიან როგორ, და,
მისი მოწაფე, ნამოწაფარი, მე, ახლა რომ ზოგ-
ზოგსთ თუმც არა-ყასიდად ვყვები, მაგრამ,
ამა-ვითომცი სილაღისკენ არ უნდ-მქონდეს
უნდა, გონება-ტვინი, მაგრამ, ბოლოსკენ, სუყ-
ველაფერი რადგან ხდება ეგებ მინებოს ჩემმავ
გულმა დიდი შეწევნით, და გამოვსწორდე...

...

ახლაა, ცოტათი დავისვენოთ. —

...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





* * *

შენ რა გჭირს — ჩემი სიცოცხლე
უშენოდ იფერფლებაო,
ჩანელდა ვარსკვლავივითა
გონს აყოლილი ვნებაო.
ვიქცევი, სალის კლდესავით
ვილევი ნება-ნებაო,
ნუ მზოგავ, ცაო, ნუ მზოგავ —
მზის ქვეშ მომბეზრდა გდებაო.
შენ რად მიბრალებ, თუ თავად
თავი არ მებრალებაო.
ვინც მზოგავს, ისიც მცდარია —
ვინც არა — ისიც ცდებაო.
არც რა არყოფნა ყოფილა —
არც არა დაბადებაო.
ლპობადი ლპება —
ვერ შესცვლი,
გასაცვეთელი ცვდებაო,
ვერ მშველის შენი სურვილი,
ვერც შენი მონატრებაო.
ნისლი ვარ, იანვრის ნისლი
მთებზე შავად რომ წვებაო,
საავდრო სამზადისს ვიწყებ,
რაც ვქენი, მავიწყდებაო.
სააქავ-საიქაოსა
ზარის ბუბუნი სწვდებაო,
გული ვერ ჰგუობს სიბერეს,
გულში სხვა ცეცხლი ჩნდებაო —
მზადა ვარ — დავდგე პირისპირ
და მთელ სამყაროს ვედავო...

* * *

ფიქრად მაქცია ყორნების
გამუდმებულმა ყეფამა,
ღრმა ხეობებში წანწალით
დამპალის ლეშის თქვლეფამა.
ქართაგან სალის კლდისათვის
ნისლების შემოფლეთვამა,
დღისით ცრემლების დენამა,
ღამით ჩურჩულმა ღმერთთანა.
სულ მაღლა-მაღლა ფრენამა,
მოუსვლელობამ შენთანა.
ხან უარყოფამ სოფლისამ,
დაძმობილებამ გველთანა,
სულ მუდამ ძმასთან ქიშპობამ —
მოუცლელობამ მტერთანა,
აოხრებულმა მამულმა,
ვერ შერიგებამ მზესთანა.
მეტწილად ბინდში დგომამა,
თვალის ხანდახან ახელამ,
ხველებას ამოყოლილმა
ფილტვის მოზრდილმა ნახევამ.
დარდისგან, ტკივილისაგან
გულმა შეჭმულმა ნახევრად,
ჭირთან მარტუას ყოფნამა
და არავისთან გამხელამ.
სახეზე ჭკნობამ — ღიმილის
ნაცვლად ღრუბლების შეყრამა,
არასდროს თავში დგომამა,
რიგი სულ ბოლოს მეკავა —
და უფლის სწორად მიყვარდა
ჩემი ბედკრული ქვეყანა.
განგებამ დიდი ბრძოლისთვის
წუთისოფელთან შემყარა,
თუ რამ სტანჯავდა სამზეოს —
მე გულის კოვზზე მეყარა.

* * *

ღრუბელთა ზურგზე ვწევარ,
ზეცის მახურავს კალთა,
წუთისოფელი მე ვარ —
მე წუთისოფელს ვმართავ!

ვარ სიფერმკრთალე მთვარის,
სხივთა მსუბუქად მფენი,
ვარ ბოძი უფლის კარვის,
ჩაქცეულ ციხის ბჭენი.
ვარ ყველაფერი...
ყველა —
რაც არ ბრუნავს, თუ ბრუნავს,
ხან მრისხანებით ვღელავ,
ხან სიძულვილით ვდუმვარ.
დავეხეტები ირგვლივ,
ყვითელს ვაგროვებ ფერებს,
ვარ უმძიმესი ბინდი —
ამოუსვლელი ბგერა.

* * *

ჟამს ვერ ინატრებ უარესს,
წყვდიადს მოუცავს ირგვლივი,
ბორგავს, ბობოქრობს ბუნება,
ცა და ხმელეთი ინგრევა,
გამოისახა ნელ-ნელა
ცისარტყელების გვირგვინი.
ვიდექი გაოგნებული,
დაყუდებული მთაზედა,
ფრთხილად ასწიეს ქარებმა,
შედგნენ ნისლების გზაზედა,
მოდიან,
ჩემსკენ მოდიან,
უნდა დამადგენენ თავზედა,
ვერსაით ავერიდები,
ვერ გავუდგები განზედა,
მეფინა უფლის ნათელი
გამშრალ, დაგვალულ ტანზედა.
თეთრი მოცურდა ღრუბელი,
მზეს მაწურავდა თვალზედა,
მერე განათდა მიდამო —
ვარსკვლავნიც გასხდნენ ცაზედა.

* * *

ჩამოიქუფრა ბუნება
ღრუბლების დაბლა ჩამოსვლით,
ჩამოიბერტყეს ტყეებმა
ჩამოძენძილი სამოსი,
აღარ შრიალებს ბუნება,
ჩქამი არ მესმის წყაროსი.
არსად არწივი ბოინობს
ჩამომძიმებულ ცაზედა,
შეთხელდა ნისლთა მიმოსვლა
ნადირთა დაქნილ გზაზედა,
რომ დაუზამთრდა იორი —
ჯერ ვერ მოსულა აზრზედა.

ნაბდებს ჰბერტყავენ ხნიერნი,
გაბოტილები ბანზედა,
თავის საჯავროს ჯავრობენ,
ფიქრს ვერ აშლიან სხვაზედა.
ღეჭავენ თამბაქოს ფოთოლს,
იფურთხებიან განზედა,
ბევრ მათგანს ჩრდილი — სიკვდილის
ჩამოსწოლია თვალზედა.

* * *

აღმა მივყვები ბილიკს,
ვდგავარ ნისლების ზემოთ,
მთების დამოკლდა ჩრდილი,
ცაზე ტორტმანებს წერო.
კლდეს შემოადნა მკერდზე
ღამეულ ყინვის კვალი,
ცივად ამოდის დღეს მზე,
მზეს ერიდება თვალი.
ცა წევს ღრუბლებთან ახლოს —
ცა ღრუბელივით სველი,
მარტოობას ვგრძნობ ახლა —
აღარაფერი მშველის.
სიცარიელე მხოლოდ...
დამშეულ თვალებს ვავლებ
საკუთარ თავში ვცხოვრობ —
როგორც მთვარეში მთვარე.
გზა ავაჭერი მრუდე,
მტვერზე დავტოვე კვალი,
ახლა გჭირდება თუნდაც
მზის ნაცრად მქცევი თვალი.

* * *

აღესრულება წყველა,
ელვა გაჰკვეთავს უკუნს,
როცა გაცვეთილ სხეულს
მიწა მოითხოვს უკან.
ზეცის დაიწევს ბჭენი,
მზე შეანელებს სუნთქვას, —
გარდაცვალება ჩემი
როცა ვარსკვლავმა უთხრას...
ძირს დაეშვება მწუხრი —
შავი აჩრდილი ჩემი,
ისე, ვით ნება უფლის —
განსაწმენდელი ცრემლის.

* * *

ახლა უნდა —
ახლა უნდა დამთოვლოს,
გარეთ წვიმს და გარეთ ცივი ქარია,

გევდრები, არა, არ მიმატოვო,
გევედრები ჭია-ჭია მარია!
როცა სული შემოთალხა სიცივემ,
ვერ გამოდის მზე ღრუბლების ჩეროდან,
მიდვრებიდან შენი მკრთალი ციმციმი
მიზიდავდა და მარტოსულს მშველოდა.
შენი კაბა ბევრჯერ ცრემლით დავნამე,
დღეს ცრემლები ამინდივით ცივია,
როგორც მე ვარ — მწუხარეა საღამო
და ფოთლები კანტიკუნტად ცვივიან.

* * *

არაფერია იმაზე მშვიდი —
ვიდრე საღამო დაკრძალვის მერე,
როცა ყველაფრის გაქრება რიდი,
როცა არავის უმალავ ცრემლებს.
როცა ლანდებთან პირისპირ რჩები
და შემოდგომის სულს გივსებს მთვარე
და შეძრწუნებულს მილიარდ ხმებით
სიცოცხლისათვის გაქეზებს ქარი.
როცა თვალებზე ტკივილის ზაფრა
ჰქსოვს და შემზარავ სივცეებს ჰბლანდავს,
და გაშლილი ხარი ვით ქარში აფრა —
რომ მარადიულ დასრულდე ლანდად.

* * *

ის — როცა მთათა მწვერვალზე დგება
და ხეობათა აინევს ბინდი,
კაცად დარჩენის დასრულდა ნება
და ღრუბელ-ღრუბელ მსუბუქად მიდის.
მიდის და მიდის, გასცდება მთვარეს,
გასცდება მზეს და ზესკნელს გაივლის
და სამყაროთა დადგება გარეთ,
რომ აცახცახდეს სანთლის ალივით.

* * *

სამშობლოს ცაზე
შიშის შავი აჩრდილი დაძრწის,
დათრგუნვილია ყოფნის ჟინი
და ყოფნის ნება,
როცა ვიფიქრე, ბატონებო,
გვეშველა აწი —
მაშინ დამიწყეს ჭახჭახი ძვლებმა.
სამშობლოს ცაზე
შიშის შავი აჩრდილი დაძრწის
და ჩვენს კისრებთან სუნთქვას იწყებს
ჟამის მახვილი,
უფლის ბოძებულს არ ვღებულობთ,
ეშმაკი გვაწვდის
და ეშმაკეულს ვენაფები ხარბად თახსირი.
სამშობლოს ცაზე
შიშის შავი აჩრდილი დადის,
სამშობლოს ჩვენსას ურუანტელი
მალიმალ უვლის,
მამული ოხრავს, ბატონებო,
მამულთან გადით! —
დაუგდეთ ყური —
როგორ კვნესის მამულის გული.
ყური დაუგდეთ —
ბატონებო, დაუგდეთ ყური
და ერთი ღამე გავათენოთ
მამულთან ფიქრით,
შემზარავია,
როცა ჩვენში ჩნდება უფსკრული —
საქართველო დგას აქეთ და იქით.
მტერი თუ მოდგა,
მოწინავე ლაშქართან ვდგები,
მაგრამ მოძმესთან არასოდეს —
უარი ხანჯალს! —
და მთელი ღამე არ მასვენებს
ჭახჭახი ძვლების
და მკერდთან მითრთის
გადაღრღნილი კბილებით მაჯა.

* * *

წვრილად თოვლს —
თოვლის პერანგი
გადაიფარეს ლოდებმა,
გახშირდა ღამის მასპინძლის —
ბუს — გულსაკლავი გოდება.
აცივდა,
ცაზე ვარსკვლავი
სულ ერთ ადგილზე გროვდება,
გაყინულია მდინარე —
კლდის გულისპირი ლურჯადა,
ფიქრით დამძიმდნენ მწვერვალნი
დაყუდებულნი მუნჯადა,
არაა მთვარე, რომ მიწას
ექცეს, შეუდგეს ბურჯადა.
ქარი მძვინვარებს, მთის წვერებს
ახვევს ჩამოშლილ ნაწნავებს,
დარბის ნადირი — ტყეებში
ტოტების ისმის ლანანი,
ბნელში ბჟუტავენ თვალები,
როგორც ბუხარში ნამწვავი.
ბუ კივის
და ეს კივილი
დროდადრო უფრო მძაფრდება,
როგორც რომ განცდა ტკივილის —
სისხლთან რომ გამონათდება.
სიცივესა ჰგრძნობს სხეული
და ჰგრძნობს — ჯერ გვიან დათბება,

დავეხეტები ტყე-ღრეში
მარტოდ მარტოკა ეულად,
ცათა კალთები დახრილა —
მინამდე ჩამოწეულა,
ყველა ძრწის, ვინც კი ჩემსავით —
სხეულში გამომწყვდეულა.

* * *

(ჩემს შვილიშვილს)

ეგ ნისლი ჩემი ტკივილია —
წავიდეს!
აიაროს...
მისალეველი მიილია,
მისალეველი მიილია
მარიამო!
მთვარე ამოვიდა — შენი ძილი
ლამაზი სიზმრებით გაასრულოს,
შენით ყველაფერი შეიცვლება,
ჩემი სიცოცხლეც — შეიძლება,
ჩემი მზის მობრუნებაც შეიძლება,
ჩემი ცა და მიწაც შეიძვრება,
შენით შეიძვრება მარიამო!
სერზე გადამდგარი ვცახცახებდი,
სული დაიბინდა აჩრდილებით,
მე მზითა
და შენ კი არტახებით —
გვაშინებენ,
გვაშინებენ მარიამო!
ნელ-ნელა, მაგრამ აჰქარდები,
შენს ქროლვას დავუცდი ჩამომხმარი,
ვიდრე —
ვიდრე შენ არ დაჰქალდები,
ჯავრი ვერავინ ჩამომყაროს.
ჯერ კი, აუმღვრეველ თვალებს მინდა
მტვერი არსაიდან მოერიოს,
შუბლი ხშირად უნდა გაგიწმინდო
ბუერებით,
წყლისპირს ჩამომდგარი ბუერებით.
ეგ ნისლი ჩემი ტკივილია —
თავზე რომ დამტრიალებს,
სული რომ შემოჰყვა დილის ნიავს,
თვალებს რომ მიმშრალებს ნამტირალევთ,
სულია, სული ბიძაშენის —
შუბლზე რომ ღიმილად გესვენება,
მოძრაობაა შენი ცრემლის,
თვალებს მიღმიდან გეფერება.
ჩემი სიცოცხლეც შეიძლება,
შენით ყველაფერი შეიცვლება,
ჩემი ცა და მიწა შეიძვრება —
შენით შეიძვრება მარიამო!

* * *

დაღამდა...
წვიმს და წვიმის ხმას ვისმენ,
ვგრძნობ ქარის ჩურჩულს
და მთებს თოვლიანს,
დავეძებ ღრუბლებს გაყოლილ რითმებს
და ვწერ ბგერების ჩუმ სიმფონიას.
გამოჩნდა ცაზე მთვარე ნაკლული,
მთვარეშიც სული ვერ დაეტია,
აღარაფერი —
გულს რაც აწყლულებს,
მიზეზი არის, მოვრჩი ხეტიალს.
მოსული მტვრიდან მტვერში შევდივარ
სამყაროების ცხრება პროტესტი,
გარშემო ახლა მხოლოდ ძვლებია
და აჩრდილების გალობს ორკესტრი.

* * *

ჩამოვიბერტყავ ქარებს
ნამძვინვართ,
სასთუმლად ღამეს ვიდებ
უმთვაროს,
ყველას მაგივრად ვგზავნი სამძიმარს
და შენს ტაძარაში ვტოვებ უფალო.
მე ვარ პოეტი — დღეებს უძინართ
შემაძრწუნებლად თალხი ფერი აქვს,
ცასა და მიწას შუა ვყუდივარ,
მსოფლიო გონის ვარ მისტერია.
მე ვარ პოეტი, მწირზე
მწირია,
ჟამთა მიღმიდან რასაც ვიხსენებ,
გამოვარიდე დღეებს ჩრდილიანს
მზე — სიბნელიდან გამოვიხსენი.
მე ვარ პოეტი —
თვალებს ცრემლიანს
ცას გახსნილ ზურგზე როცა მივაფენ,
ხიბლი სიცოცხლის არაფერია
და ვერც სიკვდილში ვხედავ სიახლეს.

ბრიგვაძე — ქახიანი

შესაძლებლობის ზღვარი

დღეს სიტყვები უნდა დამეხმაროს. მოწმედ ვარ დაბარებული სასამართლოში. ჩვენება უნდა მივცეთ მე და ლიზამ იმ უბედური შემთხვევის გამო, ჩვენ თვალწინ რომ მოხდა. შარში გავეხვიეთ. რაღაც წამებმა გადაწყვიტა ყველაფერი. ათიოდ მეტრიც რომ გაგვევლო, იმ მოკლე ჩიხის კუთხესთან გავუხვევდით ქალაქის ცენტრალური მოედნისკენ დაქანებული ქუჩის თავში, სადაც ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით და კიდეც ავცდებოდით უსიამოვნებას. მაგრამ საშინელი სახილველი სწორედ შესახვევამდე გველოდა. ჩვენ წინ მიმავალი ახალგაზრდა ქალი, მწვანე რიფსის ჩანთაში თურმე მინის თხილი და ქორფა ბადრიჯნები რომ ჰქონდა, მანამდე არც ერთს არ შეგვინიშნავს. მაშინლა მივაქციეთ ყურადღება, ძაღლის ყეფაზე რომ იკივლა. უნებურად შევჩერდით ძველი, სანახევროდ მორღვეული თაღის სიახლოვეს, რომლის ჩამკეტ რკინის ჟანგმოდებულ ჭიშკართან თმაგაშლილი გოგო იდგა საბელზე გამობმული შავი ძაღლით. ადგილზე გაშეშებული ქალის კივილზე ძაღლმა მთელი ძალით იწყო მისკენ გაწევა. დაფჩენილი პირიდან გაალმასებული ეშვები მოუჩანა. ეს კი უფრო და უფრო უმატებდა ხმას, თან თმაგაშლილ გოგოს საყვედურობდა, როგორ შეიძლება, ასეთი ავი ცხოველი ალიკაპის გარეშე გამოგყავს ქუჩაშიო. გოგომ დამცინავი ღიმილი ნიღაბივით აიფარა დაჭორფლილ სახეზე და აგდებულად ესროლა: გაიარე, სანამ ლამაზი ხარ! ისეთი დაუნდობლობა ედგა თვალებში, გავიფიქრე, ძაღლზე უფრო საშიშია-მეთქი.

— უნამუსო! — უყვირა ქალმა. ყურადღებას აღარ აქცევდა ყალყზე შემდგარ ძაღლს, ახლა პატრონთან ჰქონდა საქმე. ჩემსავით იგრძნო, ალბათ, გოგო თავის პირუტყვზე ნაკლებ სასტიკი რომ არ იყო. აკი ეს მაშინვე გამოჩნდა. მან არც აცია, არც აცხელა, ხმადაბლა თქვა — მიდი! ერთბაშად უშვა ხელი საბელს და ელვის სისწრაფით აღსრულდა ბრძანება. ძაღლი დაეძგერა ქალს, წააქცია და ფეხქვეშ გაიგდო.

მას შემდეგ კი, რაც მოხდა, ყველაფერი ჩვენმა კივილმა დაფარა. მე და ლიზა ერთმანეთს ვეკვროდით, ორთავეს უაზრო, გაურკვეველი ბგერები ამოგვდიოდა პირიდან. პანიკის საბაბი გვქონდა, რისი ქვეტექსტი იყო ის, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა, თავად აღმოვჩენილიყავით იმ უბედურის ადგილას. ნამდვილად დიდი შანსი არსებობდა. ხალხი მალე შეგროვდა. უფრო მეტად, ახლომახლო მცხოვრებნი. მიახლოებას ვინ გაბედავდა, ვიდრე გამძვინვარებული ცხოველი არ მოეშვა უკვე დადუმებულ მსხვერპლს, მერე, გამარჯვებული, ძუნძულით დაუყვა დამრეც ქუჩას მინისძვრითა თუ წყლიანი გრუნტებით დაზიანებული ძველი უბნისკენ. ძაღლი იცნეს, თორემ თმაგაშლილი გოგო მაშინვე გაუჩინარდა. იდგა ერთი ვაივიში. ვიღაც მადლიანს სასწრაფო დახმარებაც გამოეძახა. თეთრხალათიანები მიწაზე უძრავად გართხმულ, უკვე გულშელონებულს შემოეხვივნენ. თავშეყრილ ხალხს შორის ძაღლის პატრონის ვინაობის დამსახელებელიც აღმოჩნდა. ენაჩავარდნილი ვუცქერდი ბავშვებს, რომლებიც აქა-იქ აგროვებდნენ გაბნეულ ბადრიჯნებსა და მინის თხილიან პატარა ცელოფნის პარკებს, მოკრძალებით აწყობდნენ დაკბენილი ქალის მომწვანო რიფსის ჩანთაში. მალევე მოქანდა პოლიცია. დაუყოვნებლივ მოიძიეს უბედური შემთხვევის თვითმხილველები. პირადობის მოწმობები და ბინის მისამართები მოითხოვეს. სახელდახელო გა-

მოკითხვაც მოგვიწყვეს. მოკლედ, ასე აღმოვჩნდით მე და ლიზა მოწმეთა როლში. საკმაოდ უსიამოვნო მისია დაგვეკისრა, თუმც რაღა გაეწყობოდა. ახლა ვფიქრობ, ეს მარტო მოწმეობა კი არა, თითოეული ჩვენგანის გამოცდაა. ვიცი, არ უნდა გვიმტყუნოს სიტყვებმა, ზუსტმა, თავის ადგილზე წარმოთქმულმა, დროულმა სიტყვებმა — სინამდვილის ადეკვატურმა. არავითარი შემოქმედებითობა, სიტყვის ხელოვნების დემონსტრირება. მოწმეს ლაკონურობა და მიუკერძოებლობა ესაჭიროება. ასეა, ნამდვილად ვიცი.

რამდენს ვფიქრობ ახლა სიტყვებზე, რომლის მუდმივი მსტოვარი ვარ, რომლითაც ვსუნთქავ, ვცხოვრობ მათ კორიანტელში და შიში მტანჯავს, არ გამისხლტნენ გაჯიუტებულნი, მოუხელთებელნი არ გამიხდნენ, რათა არ იავარვიქმნა, არ დავემსგავსო ავდარში ზღვისპირას მდგარ გოგონას, ამაოდ რომ მოელის ძირმომპალი ნავით ზღვის სიღრმეში სათევზაოდ შეცურებული მამის დაბრუნებას.

ვღელავ პროცესზე გამოძახების წინ. საპასუხისმგებლო როლი მელოდება, რადგან ვიცი, დაკბენილი ქალი გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნით, მას გული გასკდომია. ძაღლის ნაკმენებამდე იქნებ აღარც მივიდა საქმე.

ნეტა რატომ არ ჩანს ლიზა? უკვე სერიოზულად მაფიქრებს მისი დაგვიანება.

იმ ამბის შემდეგ ქალის განწირული ხმა მიდგას ყურებში. ხმა კი არა, მე ვიტყოდი, ხორცშესხმული შიში იყო. ქალი შიშის ასახდენ ბგერებს უშვებდა პირიდან. აღუწერლად არაადამიანურს. მივხვდი... როგორც იქნა... რომ ადამიანი რასაც განსაკუთრებით უფრთხის, მას ვერ ასცდება. კატასტროფები უმიზეზოდ როდი ხდება, და ალბათობათა შესაძლებლობის ზღვარიც, სწორედ ამ შიშის არსებობაზე უნდა გადიოდეს. მაგრამ ასეთი მიდგომა საკმაოდ სარისკოცაა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მსგავსი ლოგიკით, დაზარალებული დანაშაულის მიზეზად, ან სულაც ბრალდებულად შეიძლება სცნონ. ოჰ, ვხედავ, მართლაც ძალიან გავაჭენე, და თუ დროზე არ დავამუხრუჭე, ფიქრებს ლაგამი არ ამოვდე, ისინი შორს წამიყვანენ, ისე შორს, წარმოდგენაც არ შეიძლება ვიქონიო. აი, რა შეუძლია სიტყვებს. სიტყვათ თხზვა ის მაგიაა, ჩაკეტილ ზეიმთა გამუდმებულ გათავისუფლებას რომ გულისხმობს. აქამდე ასე სერიოზულად არ მიფიქრია ამაზე.

მაგრამ ვერავითარი მაგია ვერ მაიძულებს, სიმართლეს ვუღალატო. განა საკუთარი თვალით არ ვიხილე ყოველივე? ბავშვმაც იცის, სიცრუე უკადრისი საქციელია. მასზე მეტად არაფერი მეჯავრება. თანაც დამაფიცებენ. მეც მორჩილად, მთელი გულწრფელობით წარმოვთქვამ: ვფიცავ, ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. ზუსტად ასე იქნება.

ლიზასი არ ვიცი, მას შელამაზება სჩვევია ყველაფრის, ან სულაც გაყალბება. მითხრა, რომ ძაღლის პატრონი არ მიაჩნია დამნაშავედ. რა მოხდა, თუ ქუჩაში გამოასეირნა, ოჯახის წევრივით ჰყავს ალბათო. წარმოგიდგენია, რამდენი ამაგი ექნება გაწეული? დარწმუნებული ვარ, საკუთარი შვილივით ევლება თავსო. ხოლო, რაც შეეხება განგებ მისისინებას, არ დამინახავსო. რაც ჩემთან თქვა ესოდენ დაჯერებულად, აპირებს, იგივე განაცხადოს მოწმეობის დროსაც. ასეა, ვერ აიძულებ სიმართლეს გაუსწოროს თვალი. ბავშვი ხომ არაა. გამორჩეულად კეთილი ადამიანის როლის თამაში მოსწონს. სამწუხაროდ, ბევრჯერ დავრწმუნდი ამაში. მოკალი თუ გინდა, თავისი პრინციპები აქვს, რაც მე საშინლად მაღიზიანებს.

ის დღე სხვაგვარად რომ აწყობილიყო, ოდნავ მაინც რომ გამმართლებოდა, ლიზასთან შეხვედრას ვერ შევძლებდი და, რასაკვირველია, იმ ჩიხშიც ვერ მოვხვდებოდი ზუსტად იმ დროს, როდესაც საცოდავ ქალს ბედმა განსაცდელი მოუვლინა.

ცუდ ფეხზე ვიყავი ამდგარი, არ მიმართლებდა. არ იცვლებოდა არაფერი. დილიდან ისევ იმ კაცის კაბინეტში შესვლას ვლამობდი, ვისაც მერამდენე წელია, უშედეგოდ ვთხოვ სამსახურს. უარსაც არ მეუბნება დალოცვილი, საშველი კი არადა არ დამაყენა.

მოეშვი, მირჩევს ქმარი, ხომ ხედავ, არაფრის გამკეთებელია. მაგათგან რა შეიძლება გამოდნეს! მაინც არ ვყრი ფარ-ხმალს, მივდივარ აკურატულად, ვურეკავ მის მდივანს. იქნებ მომცენ საშვი. ვებლაუჭები იმედს. ყასიდმა დაპირებებმა და ამდენმა თმენა-წვალებამ ეგებ არ ჩამიაროს უქმად.

ერთი თვე კიდევ უნდა მომიცადოთ... იმ კვირაშიო, დღესასწაულებმა ჩაიაროსო (მაინც რამდენი კალენდარული დღესასწაულია დადგენილი!), მივლინებას მოვიმთავრებ, დაბრუნების შემდეგ დამიკავშირდიო. ახლა კიდევ, სამკურნალოდ გაემგზავრა, კარგა ხანს არ იქნებაო. არ ილევა მიზეზი. არადა რა გახდა ერთი უარი, ასეთ დაპირებას ათასგზის რომ ჯობს. ვერ გავარკვიე, მატყუებს, თუ მართლა აქვს დახმარების სურვილი. რას გაიგებ, ადამიანს რას ჩახედავ გულში.

მე ჩემი დამემართა წინ და უკან სიარულით. ჯობდა შინ ვმჯდარიყავ და მემუშავა. რამდენი რამაა დასაწერი თუ სათქმელი. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დარბევა ისევ გრძელდება, აქამდე გაუგონარი რამ. პოლიციამ ფეხქვეშ გაიგდო ცოდნის ტაძარი. გა-

ნათლების რეფორმას ძალადობრივი გზით ატარებენ. პროფესურა რექტორის გადაყენებას მოითხოვს. ეს რექტორი კი მთავრობის დანიშნული კაცია და ზემოდან ნაკარნახებ დირექტივებს ასრულებს. საზოგადოება შეძრწუნებულია, მაგრამ ის დრო არაა, საზოგადოებას ანგარიში გაეწიოს. კი, ალბათ, შინ უნდა ვიჯდე და ვწერდე. თუმც დღეს მწერლის შრომით თავს ვერ გაიტან. ადამიანს კი არსებობა ჭირდება. ამიტომაც დავეძებ სამსახურს. მთელი ჩემი ჰონორარების დანაზოგი, სახელმწიფო ბანკმა რომ შემიყლაპა, ძვირფას სამშობლოს შიდა ვალში აქვს აღებული, მაგრამ დაბრუნებას არ აპირებს. რომ არა ასე, ვის საღრიტინოდ მექნებოდა საქმე. მდივანი გოგოს პასუხი, თვის ბოლომდე არ იქნებაო, დაურიდებლად, მედგარი პირდაპირობით მეუბნება, რომ ჩემმა იმედებმა კიდევ ერთხელ დალია ჩაილურის წყალი. მაინც მაიძულებს, მოლოდინს ჩავებღაუჭო, როგორმე მოვახერხო იმ დღეების გათრევა, თვის ბოლომდე რომ მიმიყვანს. ღმერთო, გამაძლებინე! ღმერთო, გაუკეთილშობილე გულები უჩინმაჩინ ჩინოვნიკებს. სასტიკია სინამდვილე, მაგრამ რა გაეწყობა. თუ ვინმემ იცით სინამდვილის ალტერნატივა, იქნებ მასწავლოთ. ვერა? ჰო, ვერა. მეტადრე ახლა, როცა ასეთი გიჟური დღეები დგას. ფეხბურთის ციებ-ცხელება შეჰყრია მსოფლიოს. ჩვენც კუსავით გამოვყავით ფეხი. ქალაქში ერთი ჟივილ-ხივილია. რომელი გუნდის მაისურებიანებს აღარ შეხვდები. ლამის ომი გამოუცხადონ ერთიმეორეს.

ვიფიქრე, ტოტალიზატორში შევივლი, ერთლარიან ფსონს დავდებ-მეთქი. წინა კომბინაცია ჩამეფუშა, არ გამიმართლა ირანის ნაკრებმა, წააგო მექსიკასთან, მთელი გეგმები დამინგრია. ჯანდაბას, ისევ ვიტყვი უარს ორ პურზე, ხომ შეიძლება აღარ "დავიწვა".

ტოტალიზატორი სავსე დამხვდა ფანებითა და სიგარეტის ბოლით. ესეც რა უბედურება მჭირს, სიგარეტის ბოლს ვერ ვიტან, ვიწამლები, ვკვდები პირდაპირ. ისე, არ მაწყენდა, მეტი ამტანობა გამომემუშავებინა. ყველაფერი შთაგონებაზეა დამოკიდებული. ვბრაზდები ჩემს უმწეობაზე. უნდა გავუძლო, შემოვუძახო თავს. მთელი საქალეთი სიგარეტის ბოლშია გახვეული, მე კი რა მჭირს?

ყურადღებით ჩავკირკიტებ საინფორმაციო ფურცელს. ამ მონაცემებით ძნელია კომბინაციური პროგნოზის ზუსტი განსაზღვრა, საბავშვო ლატარიას ჰგავს, მაგრამ ძალზე დაბალი ალბათობით. მდიდრები სხვანაირად აკეთებენ — ბოლოს, ნახევარფინალში ან ფინალში ჩამოდიან მაღალ ფსონებს იმ გუნდებზე, რომელთა გამარჯვების იმედიც აქვთ. ამ შემთხვევაში გამართლებას დიდი მოგება მოაქვს.

დაბნეული, არჩევანის ძებნით შეწუხებული ვაკვირდები დარბაზში მყოფთ. მერე კომბინაციის შეურჩევლად ვტოვებ ტოტალიზატორს. თან მიმყვება უცნობთა სახეები, აღბეჭდილი ფულის შოვნის სურვილით. ბრძოლა არსებობისთვის ყველას აიძულებს, ეძიოს გზები. კონკრეტულ შემთხვევაში, მე ბრძოლის ველიდან გავიქეცი. გამარჯვებისთვის უფრო საიმედო რამ უნდა შევარჩიო. ვიფიქრო, ვიფიქრო და მოვიფიქრო. ოხ, ეს ფიქრები, — ჩვენი უკიდეგანო არსებობის იძულებითი თავშესაფარი, რომლის მყუდრო ლაბირინთებს წამდაუწუმ ვავსებთ რიღათი არა — ცოდვებით, სიხარულით, უთავბოლო ურვით. თაგვებივით ვეზიდებით მასში ათას უხამსობას, ვმალავთ გულდაგულ, ვმარხავთ საკუთარ წიაღში.

ჰოდა, იმ დღეს ფიქრში ამომხრჩვალი შევხვდი ლიზას გაზეთის რედაქციის წინ, გაქუცული პაწია პარკის კიდესთან. მტვერდადებულ სკამზე ჩამოვსხედით. ის იყო, ახალი ლექსები ჩაებარებინა დასაბეჭდად, მათ შორის, ჩემდამი მოძღვნილიც, უფრო სწორად, ჩემი ბოლო წიგნის სათაურით შთაგონებული.

ლიზასთან რაღაც საერთო საქმემ დამაკავშირა. თუმც მას არასდროს გავანდობდი საიდუმლოს. საკუთარ თავზე ბევრს ლაპარაკობს, ჭკუას კარგავს ლაპარაკზე. არ მოგაწყენს ათასი წვრილმანი ამბების თხრობით. ამ ფერმკრთალ, ენერგიულ ქალს მუდამ ჭირდება მსმენელი. ოღონდ უსმინე, მოიკრიბე მოთმინება და მიუგდე ყური, არავინ ეყოლება შენი ფასი, სულს ამოიღებს და მოგცემს. არც კომპლიმენტს დაგზარდება. გეტყვის, ლამაზი ნაკვთები გაქვს, შესანიშნავი პროფილიო, და მსგავსი რაღაცები.

ხასხასა ყვავილებით მოჩითული ინდური აბრეშუმის კაბაში გამოწყობილს, მოკლე, საღებავგადასულ თმაზე ფერები ასჭროდა.

მოდუნებული ვარ, ემოციადაშრეტილი. პრობლემები ისედაც არ მაკლია, დილით კი, შეკამათებისას, ჩემმა მოყვარულმა ქმარმა მოუზომელი სიტყვა მესროლა და ისე გამაშტერა, ვიფიქრე, კუბოს კარამდე არ დამავიწყდებამეთქი.

ლიზა ცდილობს, მაღალ მატერიებზე მსჯელობებით მოიწონოს თავი, მაგრამ შიგადაშიგ ისეთ გაცვეთილ ყოფით ამბებსაც ურევს, მაგალითად, როგორიცაა ჩვენი საერთო ნაცნობი ქალის მიერ მისი კაფეში დაპატიჟება. უთუოდ მეც უნდა დავპატიჟო, კარგი ნამცხვრებით გავუმასპინძლდე, ვალად მადევსო. ეს მისი ანგარიშიანი ბუნების მხოლოდ ერთი დეტალი კი არაა, კიდევ ბევრ რამეზე მეტყველებს. თუმც ამაზე თავის მტვრევა არაფრად მიღირს, რადგან სწორედ იმ შემთხვევასთან მაქვს საქმე, როცა წაყრუება ჯობია.

დაკვირვებით შევცქეროდი უხეშად ნაქსოვ, გულზე ოქროს ჯაჭვით დაკიდებულ მის კულონს. უფრო და უფრო ჩავიკეტე საკუთარ ტყავში. ვგრძნობ, რაოდენ საცოდავები ვართ არაპოპულარულ საქმეს შეჭიდებული ორი დედაკაცი. და გული მეკუმშება. ხალხი ფულის კეთებაზეა გადასული. არის ერთმანეთის წენწვა, წილების დაუსრულებელი გადანაწილება. ჩვენ კი გვგონია, ისეთს დავწერთ რაიმეს, განვაცვიფრებთ ზნეობადაკარგულ დროს, რითაც უთუოდ გადავირჩენთ მოდრეიფე სულებს. სასაცილოა, მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია.

ეს, რასაკვირველია, არ ანუხებს მუხლგაუმაგრებელ პაწაწა გოგონას, რომელიც, ჩვენ თვალწინ, შეუპოვრად მიბარბაცებს ხრიოკ ბაღში მობურთავე ბავშვებისკენ. იჭერენ, აბრუნებენ უკან, შეიყოლიებენ მცირე ხნით. მალევე მაინც ხმაურისკენ მიიწევს, სამყაროს გაცნობას ცდილობს. ჯერ არ იცის, სად მოვიდა. მე და ლიზა მდუმარედ ვადევნებთ თვალს. საინტერესოა პატარას ყოველი მოძრაობა. საყვარელი ვინმეა. ძნელია ღიმილის გარეშე უცქირო.

მეჩვენება, დუმილი თითქოს განცდათა კონტრასტებს გვიძლიერებს. ვისთვის თახსირია წუთისოფელი, ვისთვის ჯერაც ალმოუჩენელი. მხოლოდ უფალი გვყავს საერთო. ესაა სიცოცხლის უნიკალურად პარადიგმული მდგომარეობა. ზოგადიც და კონკრეტულიც.

...დამასწრო რობერტ სტოუნმა, თქვა ჭეშმარიტება — დღეს ადამიანთა უმეტესობა წყნარ სასოწარკვეთაში ცხოვრობსო.

განა მოწუწუნე კაცის ნააზრევი გავიხსენე მყისიერად, არამედ თანამედროვე პოზიტივიზმის საუკეთესო წარმომადგენლისა, ვისი პირადული ადამიანური სამყარო წარმატებებითაა სავსე.

შორსაა იგი, უცხო ქვეყნის მკვიდრი. ეს სულაც არ უშლის ხელს ჩვენს აზრთა თანხვედრას. უამრავჯერ მიფიქრია იგივე, ოღონდ არა დამკვირვებელი მოაზროვნე სინთეზატორის პოზიციიდან, არამედ თვითგანმცდელის ტკივილით.

სტოუნისგან განსხვავებით, ბედმა თავად მარგუნა წყნარ სასოწარკვეთაში ცხოვრება. მერედა როდის, როცა სიცოცხლის ნახევარზე მეტი გავლილი მაქვს. უსასოობის გამო აღსარების თქმაც კი მომიხდა მოძღვართან. გამიჭირდა, მაგრამ მაინც გავუმხილე.

— არაფერია, შენ ღმერთს უყვარხარ, — დამამშვიდა მან. — ცხოვრება ბრძოლა და სიძნელეებია, ამან არ უნდა შეგაშინოს. გვირაბის ბოლოს ყოველთვისაა შუქი.

ვიცი, განა არა, ქრისტიანები არაფერმა არ უნდა დაგვამწუხროს იმდენად, რომ დაგვაწყდეს ქრისტეს აღდგომის სიხარული. ვის აქვს უფლება, არ ესწრაფოდეს სულის სიდიადეს. თუნდაც ჩვენნაირებს, გარდამავალი პერიოდის ადამიანებს, მუდმივად რომ გადავდივართ, გადავდივართ და ვერ გადავედით. გაგვაბეზრა ხელისუფლების გახშირებულმა გადატრიალებებმა. მოქალაქის ღირსების დამცველ კანონებს დანატრებულთ, გაგვიწვრილდა გული სამართლიანი რეფორმების მოლოდინში. გაფიქრებაც კი მზარავს ჩვენი გეგმაზომიერი, მშვიდობიანი განადგურების თაობაზე. მინდა დავიჯერო, ეს ხმები მხოლოდ ბოროტთა მონაჩმახია. უფალი მაინც გადაგვარჩენს. ისე კი, რაღა დავმალო, ჯერჯერობით არაფერი გვეტყობა. ვტკეპნით ერთ ადგილს, ნაბიჯით ვერ მივიწევთ გადასასვლელისკენ. რაც გინდა ქენი, გადაიჭერი ვენები, თუგინდ ლიანებზე ჩამოეკონწიალე გიბონივით, იქანავე აქეთ-იქით. ანდა კაცობრიობის იმ უწყინარ საფეხურზე დაბრუნდი, როცა შენი შორეული წინაპარი ნამდვილი მაიმუნი იყო. მაინც პროდუქტი ხარ გარდამავლობის. ნეტა როდის იქნება ხალხის საშველი. თუმც, ვინ იცის, ეგებ ხალხი მხოლოდ სასტიკი ტანჯვის გზით მოდის გონს? და როდისღაც გონსმოსულნი, მართლა გადავიდეთ როგორმე. სამშობლომ მხოლოდ ახალგამომცხვარ მილიონერებს კი არა, ყველას გაგვიწიოს დედობა. ამის ლოდინში გველევა წუთისოფელი. მოლოდინში ვყრივართ, როგორც ნაპირს გამორიყული თევზები, ტალღის ბოლო ქაფი ოდნავ რომ სწვდება, მაგრამ არა იმდენად, კვლავ წყალში შეათრიოს, დაუბრუნოს სრულფასოვანი სუნთქვა.

ისე გაჭირდა ცხოვრება, განსაკუთრებით ინტელიგენტისთვის, თავის მოტყუებასაც დაეკარგა აზრი. მაინც ვცდილობ, იმედის ნიშნად ჩავთვალო, თუ ჩემი აივნის მოაჯირს დამაგრებული პეპელა-ანტენის ფრთას შემომჯდარი ჩიტის გაბმულ ჭიკჭიკზე სულმოუთქმელად ვიტყვი, "კარგი ამბავი, ჩიტო, კარგი ამბავი. მე კარგი ამბავი, შენ ოქროს ნისკარტი, გაშალე ფრთა და გაიარე!" ან ეგებ გაჭრას ხელით ნაქსოვ სირიულ ხალიჩაზე (ოთახის კედელს მთლიანად რომ ფარავს) ათასგვარი გრძნეული ფორმების ფიგურათა მაგიამ. რამ სასიკეთო მიწინასწარმეტყველოს უამრავ გვირგვინთა და გველთა დახვეწილი გემოვნებით ნაზავ ფერთა ნატიფად ამოქსოვილმა ვარიაციულმა სიმბოლოებმა. ვაგლახ, ისე ვარ დაცარიელებული, ფანტაზიის წარმოსახვითი ენაც მეუცხოება. თითქმის მრავალჯერად თვითმკვლელობას ჩავდივარ, როცა სინამდვილეს შეულამაზებლად ვუცქერ თვალებში. ისიც მომჩერებია ცოფიანი ძაღლივით, მილრენს და ჩემს დასაკბენად მოიწევს.

ისე, ცოფიანი ძაღლი ყველას რეალურად

ემუქრებოდა იმ დღეებში. ქალაქში განგაშიც ატყდა თეთრდრუნჩიანი ყავისფერი პიტბულის გამო, საგანგებოდ დაეძებდა საპატრულო პოლიცია. მას უკვე რვა ადამიანის დაკმენა მოესწრო. საიდანღაც ჩნდებოდა თურმე მყისიერად, როგორც ფანტასტიკური კიბორგი, თავს ესხმოდა პირველსავე შემხვედრს და უჩინარდებოდა. ქუჩებში, ალაგ-ალაგ, მისი ფოტორობოტიც გააკრეს წითელი წარწერით — მოერიდეთ, საშიშია! საბედნიეროდ, პიტბული ის ძაღლი არ იყო, მე და ლიზას თავსამტვრევი რომ გაგვიჩინა. იგი არც პატრონს ჰყავდა თოკზე გამობმული და არც მისისიანებას საჭიროებდა.

ეს ლიზა მაინც არ ჩანს, არ ჩქარობს მოწმედ გამოცხადებას. შესაძლოა იცის, მოწმეებს მოგვიანებით რომ დაგვკითხავდნენ. მე კი ფრიადოსანივით მოვირბინე პუნქტუალურად. ზედმეტი პასუხისმგებლობა ჩემი სისუსტეა, რის გამოც ხშირად ვზარალდები, მაგრამ აწი რაღა შემცვლის. ჰოდა, უნდა ვიჯდე ასე, სანამ არ გამომიძახებენ. იდიოტურ მდგომარეობაში ჩავვარდი.

ფანჯარა ღიაა და რეპერის ჩახრინწული ხმა აღწევს საიდანღაც. აყბედებული რეპერიღა მაკლდა, ფუჰ, ღნავის გულის შემაღონებლად, მოშლილი პატეფონივით იმეორებს აჩემებულს — ბოლო, ბოლო, ვერავინ ვერ გამიგო, ვერ გამიგო, ვერ გამიგოო... ხმაურობს ულაზათოდ, სახეტიალოდ აგზავნის დისონანსურ ბგერებს — ტყვიასავით მძიმესა და ჟღრიალას. რა ჟინს იკმაყოფილებს ამით, ვერ ვხვდები. ისე, აშკარაა, მარცხზე ამაღლებას ლამობს. ესეც შენი ადრენალინი. ვერ მიუხვდები, ვის რა გზით ჩუქნის სიამოვნებას. მე კი სასამართლოს კედლებშიც ვერ დავმალვივარ ამ მოძალადე ხმებს. მინდა, არ მინდა, მაინც მიბრაგუნებს ტვინში.

ექსცენტრული ჟურნალისტიც იგივე განცდას ბადებს, როცა თვალებს ქაჩავს და ტელეეკრანიდან ავტორიტეტულად, სულელური თავდაჯერებით გვიცხადებს: პრინციპში, სინოპტიკოსებიც დამეთანხმებიან, რომ ამინდი გამოკეთდება. აი, ეს „ პრინციპში" ავლენს მთელ მის თავხედობას. მაინც, როგორ მოგწონთ!.. ასეთები მუდამდღე რამდენ ადამიანს უშლიან ნერვებს, რაც, მე ვიტყოდი, ნამდვილად მარკონის ბრალია, ჭკუისკოლოფი გილელმოსი. ამიტომაც დროთა ფარდას ამოფარებული, გულწრფელად გავძახი მას: მარკონ, კაცობრიობის მეგობარო, რა უჩინარ ძალებს მიაგენი ისეთს, უთვალავი სისულელის მოსმენა რომ გვაიძულე, თავად აკი ფანტასტიკური ოცნებისათვის მეგობრებისგან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნა დაიმსახურე. ახია შენზე, დიდო ადამიანო.

თუმცა უკვე კანონზომიერად ჩანს ყველაფერი. ისტორია ისტორიაა, მას პატივი უნდა ვცეთ. დრო ყველაფერს ალაგებს. თითქმის ყველაფერს. თვით ამინდიც შეიძლება გამოსწორდეს. გარდამავალი პერიოდის ადამიანები ეგებ ამინდმა მაინც დაგვინდოს. ვიქონიოთ იმედი! ჩვენ ხომ მაცხოვარი არ გვიწამებია, ჯვარზე არ გაგვიკრავს.

მისი ცოდვა კი თავად დავიდე, უბედური ქედმაღლისა, ნამდვილ კლასიკოსად რომ მოჰქონდა თავი. სამწუხაროდ, ამხანაგი ეთქმოდა, დაქალი, რომელმაც არც აცია, არც აცხელა, ადგა და გამძარცვა. თუმცა ამ შემთხვევას შესაძლოა, არც ესადაგებოდეს ესოდენ მკაცრი სიტყვა — ძარცვა. მან კრიმინალური წინასწარგანზრახულობის გარეშე, ისარგებლა იმ რამდენიმე წუთით, მე ქალთა საერთო ტუალეტში შესვლა-გამოსვლას რომ მოვანდომე და გულუბრყვილოდ მიბარებული ჩემი ხელჩანთის ელვასაკრავი გადახსნა.

ვვარაუდობ, რომ თავდაპირველად, მისი ქმედება იქნებ მხოლოდ ზნეობანაკლული ინტერესის ჩარჩოში თავსებად კატეგორიას მიკუთვნებოდა, არ გასცილებოდა უწყინარი თვალთვალის საზღვრებს. ასე განა ყველას არ გაგვირბის მზერა ფანჯრებისკენ, როცა მათ წინ ჩავლილნი, უნებურად ვლამობთ უცხოთა ცხოვრების წამიერად დალანდვას? ხოლო ის, რაც მერე მოხდა, მჯერა, ცთუნების შედეგი იყო. მან ხელჩანთაში ჩაგდებული საფულედან ზუსტად ის ოცდაორი ლარი ამოიღო, იმ დღეს სტიპენდიის სახით რომ დაგვირიგეს მწერლებს და ჩვენი უკანასკნელი სტიპენდია აღმოჩნდა. რევოლუციურმა მთავრობამ პურის ფული შეგვიწყვიტა.

ეშმაკმა, რომელსაც არ სძინავს, იმარჯვა, მოასწრო და აღასრულა ავი საქმე, ცოდვაში ჩააგდო ადამიანი, ცხადია, ისედაც რომ არ ულხინდა, და ახლა სინდისიც დაუმძიმა. თავის სტიპენდიას კი მიუმატა ჩემიც, მაგრამ ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რას გრძნობდა იგი, როდესაც ნაქურდალს ხარჯავდა.

შინ მისულს, ის იყო, მინდოდა მეუღლისთვის მეხარებინა ოჯახის მოკრძალებულ ბიუჯეტზე მცირეოდენი დანამატის შესახებ, რომ ხელში შემეყინა საფულე. გავქვავდი. თავი შემეზიზღა. დოყლაპიასა და უნიათოს გარდა, სხვას ვის დაემართებოდა მსგავსი. ასეა, უკეთესი ეპითეტები სად მოვძებნო? მაგრამ იმასაც ვინ დამიჯერებს, ცთუნების მსხვერპლზე სულაც რომ არ გავბრაზებულვარ?

არადა ეს სიმართლეა. მას საკუთარი უბედურებაც ჰყოფნიდა. ღმერთო, შეუნდე-მეთქი, შემებრალა. მერე და მერე მადლობელიც დავრჩი მისი, რადგან სხვა კუპიურებიც მედო სა-

ფულეში. ის თითქმის სულგრძელად მომექცა, რამდენადმე პატიოსნადაც (სწორედ ასეთად მოჰქონდა თავი), მხოლოდ ზემოდან ჩაკეცილი ფული ამოიღო. მოკლედ, დამინდო, მთლად ულუკმაპუროდ არ დამტოვა. საბაბიც მეტი მომცა, მის სასარგებლოდ, კიდევ ერთხელ მერწმუნა პირნავარდნილი დოყლაპია რომ ვიყავი.

აი, ასეთი დოყლაპია ახლა დაძახების მოლოდინში ვიცდი — სასამართლო დარბაზის შესასვლელ ვიწრო დერეფნის სკამზე ჩამომჯდარი. მადლობა უფალს, რეპერის ხრინწიანი ხმა აღარ ისმის. შენობაში საკმაოდ თბილა. გარეთ კი შემოდგომის სუსხი ტრიალებს. შევყურებ წაბლისფრად გალაქულ ხის კართან მიმდგარ ციცქნა ბიჭუნას. იგი უმწეოდ ეკვრის, ებღაუჭება მას. საიდან გაჩნდა? თვალი ვერ შევასწარი, როდის მოვიდა. მხრებში მოხრილი ბერიკაცი ახლავს. დაყურსული, დარდიანი. ვედრებით, ნახევრად ჩურჩულით რომ ეუბნება:

— დამიჯერე, არ არის აქ. მოდი, კამფეტი მოგცე, — ჯიბეს იქექავს, თან მკლავში ავლებს ხელს, ჩემკენ მოჰყავს, სკამზე უნდა ჩამოსვას. — კარგი ბიჭი... ჩემი კარგი ბიჭი... უყვავებს და უყვავებს.

— არ მინდა დაჯდომა, — ჯიუტობს, ხელიდან გაუსხლტება. პატარა წრეზე იწყებს ჩქარი ნაბიჯით სიარულს. მერე ერთბაშად შედგება, მე მაკვირდება. ძალზე მეტყველი თვალები აქვს. შავი, შავი და წყლიანი.

— რა გქვია? — ვეკითხები.

— ცოტნე, — მომიგებს თვინიერად, თან უმატებს, ოთხი წლის ვარო.

ჭკვიანი ბავშვია, მომდევნო შეკითხვასაც წინასწარ პასუხობს. ისე შემოგცქერის, მოფერება მოგინდება. ჩანთაში საღეჭრეზინს ვძებნი, ბიჭუნას ვაძლევ. მართმევს, საყვარლად შემომღიმის, ხელს სასამართლო დარბაზისკენ იშვერს და ძველი ნაცნობივით მეუბნება:

— იქ, შიგნით, ჩემი დედაა.

ამაზე არ ვიცი, რა ვთქვა. მოხუცს მრავალაზროვნად გადავკრავ მზერას. ისიც გულს მიხსნის:

— ნებას არ გვრთავენ, ბავშვი დარბაზში შევიყვანოთ და პატიმარს ვაჩვენოთ. — ეცადა ისე აეხსნა, ბიჭუნას არ გაეგო, მაგრამ ვგონებ, ვერ მიაღწია მიზანს, რადგან მან გულისმომკვლელად შემომჩივლა:

— ძალიან მენატრება დედიკო...

ვხვდები, ვის წინააღმდეგაც ჩვენება უნდა მივცე სასამართლოს, ამ ბავშვის დედაა. თავგზა მერევა. თანაც, იმის მაგიერ, რომ ნორმალურად დავალაგო აზრები, ზუსტად აღვიდგინო იმდღევანდელი ნანახი, რათა ჭეშმარიტად მიუკერძოებელი მოწმის როლი მოქალაქეობრივი პატიოსნებით შევასრულო, ათასი არასაჭირო ფიქრით ვიმძიმებ გონებას. კი, ბატონო, ხლაფორთობს ხალხი, რას აღარ კისრულობს. ამაში ახალი არაფერია. ზოგი, ფულის შოვნით დაბრმავებული, ნარკოტიკით ვაჭრობს, არც ღმერთის ეშინია, არც სასჯელის. ისეთებიც ვიცი, ფარულ აგენტობას კადრულობს, მერე ეკლესიაში მიდის, თავს იბატკნებს და პირჯვარს იწერს. ო, პეტრე, პეტრე, შენ ფიქრობ, რომ ვინც თავდაჯერებულად გამოიყურება, მართალი ადამიანია, საზოგადოების ღირსეული წევრი?

ახლა ეს პეტრე რაღამ გამახსენა. კაფანდარა, თმაგაწეწილი ინტროვერტი, წვრილ თვალებში ეშმაკუნებივით რომ დაურბის ფიქრები და სახეზე ეჭვიან ღიმილად ეფინება. ბელურასავით ცხოვრობს იგი. მას შემდეგ, რაც ნათესავებმა ბინა გაუყიდეს და მშრალზე დასვეს, ღია ცის ქვეშაა დარჩენილი. რა ვიცოდი, მაგრამ თავად მიამბო, როგორც კარიტასის ჯგუფის წევრს. მანამდე არც გამეგო მისი ხმა. ცხვირში დუდღუნებს უცნაური ქირქილით. ბაღებში ვათევო, ისე მითხრა, მივხვდი, წუთისოფელს აზარტული თამაშივით უყურებს. არც ბრაზი, არც საყვედური, მორჩილად ღებულობს ბედს, რაიმეს შეცვლის სურვილიც არ ეტყობა. მონყალებას თხოულობს თურმე. ნაშოვნი ფულით გამოთვრება და ეკლესიას მიაშურებს. ლამის ზეზეურად სძინავს. მაინც არ გამოტოვებს წირვას. ერთხელ მოვისმინე შემთხვევით, ახალგაზრდა ქვრივ ქალს ეუბნებოდა: იცი, მათხოვარი რომ ვარ? მართლა, მართლა, მთელი დღე ხელი მაქვს გაწვდილი.

ამპარტავნულად მომეჩვენა მისი სიტყვები. თითქოს ტრაბახობდა კიდეც. ცხადია, პეტრეს სჯერა, ქურდობას მათხოვრობა რომ ჯობს. ერთ მშვენიერ დღეს მას შეიძლება ავუხსნა კიდეც, მათხოვრად ყოფნისთვის მაინცდამაინც ხელის გაშვერა არაა აუცილებელი, და რომ მისი სოციალური სტატუსი ბევრ ყავარზე კუდგადებულისთვის ნამდვილად ზედგამოჭრილია. სულაც მათთვის, წინა რიგებს რომ ვავსებთ ტაძარში და პეტრეს დალხენილნი ვგონივართ.

ნუ სვამ-მეთქი, ვსაყვედურობ თუ ვტუქსავ. ის კი იღიმება და მხარზე მკოცნის. იმ დღეს სანთელი ვუყიდე. ვიგრძენი, მადლობელი დამრჩა, ოღონდ სიტყვით გამოხატვა არ უცდია. იქნებ იცის, რომ სიტყვებს ხშირად ეკარგება მნიშვნელობა.

მას ადგილი ტაძრის ბოლოში აქვს აჩემებული. იქიდან აკვირდება დანარჩენებს — მავედრებლებს უფლისადმი, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, რას ნიშნავს პეტრეს თვალით დანახული მათი წადრეკილი მხრები, ხელის მოძრაობა ჯამ-კალათში შესაწირის ჩაგდები-

სას, და ის ხელოვნური ღიმილი, რომლითაც მშვიდობის სალამს უძღვნიან ერთმანეთს.

ქმარი ამ დროს გვერდით მიდგას, დაჭიმული სიმივით, სწორედ იმგვარად, კასიოპეს თანავარსკვლავედს რომ გასცქერის ხოლმე ჩრდილოეთის მხრის ჩვენი აივნიდან. იგი თავს მიკრავს, მშვიდობას მისურვებს. მე კი ამ მისალმებაში უსიტყვოდ ვკითხულობ, მოლოდინით რომ არ უნდა დავიღალო, რომ მეფობენ დრონი. ისევ დაფასდება მწერლობა. ბოლოს და ბოლოს კომპრადორული რეჟიმიც დამთავრდება. გადავალთ, გადავალთ. აღარ ჩავითვლებით შიდა ემიგრანტებად, იმ ზედმეტ ადამიანებად, რომელთაც დაუსრულებლად დასცინის ხელისუფლება, ნაბუშარივით ექცევა. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, გვეტყვიან იმის შესახებაც, რომ სრულფასოვანი ევროპული ქვეყანა ვართ, რომ დაძლეულია სილატაკე, ამიერიდან შეგვიძლია ძველებურად ვიამაყოთ ქართველობით.

აჰა, როგორც იქნა, მოვიდა ლიზა. სახეაპარპალებული მოქანდა. შეწუხებული ჩანს, შუბლიდან ოფლს იწმენდს უჯრედებიანი ცხვირსახოცით. ტრანსპორტის ცუდ მუშაობას უჩიოდა. რაღაცას ჰყვებოდა ფრაგმენტ-ფრაგმენტ, როგორც სჩვეოდა საერთოდ. დავაპირე შემეთავაზებინა, დაჯექი, სული მოითქვი-მეთქი, რომ სასამართლო დარბაზის კარი გაიღო. ვიღაც გრძელცხვირა გოგომ იმპერატიული ტონით დაიძახა: მოწმეები!.. თან მაშინვე ლიზას გვარი გამოაცხადა.

ერთმანეთში გასაუბრება ვერ მოვასწარით, ორიოდ სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხეთ. თუმც რა მნიშვნელობა აქვს, ისედაც ვიცი, როგორც მოწმე, რა პოზიციას დაიჭერს. მოკლედ, პირველი ის აღმოჩნდა. ლიზა მოხმობისთანავე, სწრაფად გაემართა თავისი როლის შესასრულებლად. ბიჭუნაც მაშინვე წამოიჭრა სკამიდან, უკვე სანახევროდ მიხურულ კარში პატარა ფინიასავით სცადა შეძრომა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან გრძელცხვირამ იმარჯვა, დაასწრო და შიგნიდან გადაატრიალა საკეტი.

ბავშვი ჯერ გაშეშდა, იდგა გაოგნებული, მერე ჩაიმუხლა, ხელები სახეზე აიფარა და გული ამოუჯდა. მოხუცმა აღარ იცოდა, რა ექნა. ფეხზე წამოაყენა უმწეო, მოაცილა კარს. და როცა მოსაცდელის გასასვლელისკენ მიჰყავდა, ვნახე, ბებერ ღანვებზე მასაც როგორ სცვიოდა ცრემლი.

ღმერთო, რანაირი ტრაგედიის მოწმე გამხადე! ვზივარ ერთიანად შეძრული. უფრო კი დაბნეული. მართლა რა ჯანდაბამ გამრია ამ უბედურებაში! თანდათან ვმწარდები. რაში მჭირდებოდა ეს ყველაფერი. რაში, რაში! მსგავს მდგომარეობას ახლა არავინ ინატრებდა. ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, იქნებ, სულაც ავდგე და წავიდე, საერთოდ არ მივცე ჩვენებამეთქი, რადგან ტყუილის თქმის უფლებას მორალური პრინციპები არ მომცემს, სიმართლე კი, ვიცი, მომაკვდინებელი ლახვარი იქნება საცოდავი ბიჭუნასთვის, ამ ჯერაც თვალაუხელი უცოდველი კრავისთვის. მოკლედ, საკუთარი მეობა დავდე სასწორზე. აქეთ მე, იქით ის პატარა, რომელმაც არაფერი იცის იმის შესახებ, თუ უცნობი დეიდა რა დიდი მოთმინებით ელის სასამართლო პროცესზე გამოძახებას, რათა მხარი დაუჭიროს ჭეშმარიტებას, წვრილ-წვრილად ჩამოარაკრაკოს ნანახი. გულგვამი ძრწოლით მევსება, მორევივით მიტრიალებს ვედრება: მიშველე, უფალო, უსამართლოთაგან განწირულო. ჰქმენ შენი ნებისამებრ. მომეც მთის ბროლივით სუფთა გული. შემოდი ჩემს გულში, უფალო!

დარბაზში რომ გამომიძახეს, უცნაურმა სიმშვიდემ მომიცვა. გრძელი სკამების მწკრივებშუა ჩავლისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავად ვიყავი განსასჯელი. ჩემი განკითხვა მზადდებოდა, მკაცრი და დაუნდობელი, რაც, რამდენად უჩვეულოდაც უნდა ჩანდეს, ახლა სულაც არ მანაღვლებდა. უფრო მეტიც, გავიფიქრე, მსგავსი მდგომარეობა, სასურველია, ნებისმიერმა ნორმალურმა ადამიანმა განიცადოს-მეთქი. ზუსტად ვერ ვიტყვი, რისთვის იყო საჭირო დამნაშავის ტყავში შეძრომა, მაგრამ როცა თვითკმაყოფილი ლიზას აცაბაცა მზერა დავიჭირე, მივხვდი, სიყალბის გვერდის ავლითაც შევძლებდი ადამიანად დარჩენას. თუმც ბოლომდე ვერ ავხსნი, რისი იმედით მემატებოდა თავდაჯერება. მე ხომ ვერ ვფლობდი კომპრომისების ხელოვნებას, იგი ჯერაც უცხო ხილად რჩებოდა ჩემთვის. აქამდე, მთელი ცხოვრება სიმართლით ვცდილობ თავის გატანას, მაგრამ მუდამ ისეთ ყრუ კედლებს ვაწყდები, დონ-კიხოტსაც არ დაესიზმრებოდა. ლიზამ ეს, მგონი, მშვენივრად იცის. შემომცქერის, როგორც ხაფანგში გაბმულ თაგვს. მან უკვე თქვა თავისი სიტყვა. რასაკვირველია, ჩემი დონ-კიხოტობა წინასწარ ართობს. თავად ხომ დიპლომატიის ნიჭითაა დაჯილდოებული, თანაც უპირატესობა მოიპოვა, რიგით პირველს ერგო მოწმეობა. ახლა უფლება აქვს, დარჩეს დარბაზში და ჩემს სიტყვას უსმინოს. აშკარად თუ არა, გულში გამკილოს, არამკითხე მოამბედ მომნათლოს. მას ეჭვი არ ეპარება, ობიექტური ვიქნები, რითაც დიდ სისულელეს ჩავიდენ, რადგან გარდაცვლილს მაინც აღარაფერი ეშველება, ახალგაზრდა ქალს კი გავწირავ.

ყველაფერი განა ჩემთვისაც ცხადი არაა? მაგრამ საკუთარ სინდისთანაც მართალი უნდა

დავრჩე. ო, რა გამოცდას მიწყობს დარბაზის მუხტიანი სიჩუმე, რომელსაც მოსამართლე ქალის ცივი ხმა არღვევს. იგი ვინაობას მეკითხება. ვპასუხობ, თან იმაზე ვფიქრობ, როგორ ვერ ვიტან ქალ მოსამართლეებს. ნამდვილად მაქვს ამის მიზეზი, ერთმა სინდისგარეცხილმა შემაძულა ისინი. მერე ეს მაგიური "ვიტყვი სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა..." ჰოდა, ვთქვი სავალდებულოდ დაწესებული სიტყვები, მონდომებით, მთელი სერიოზულობით და საკუთარ გულს მივაყურადე, რადგან ისე მიცემდა, ვიფიქრე მეორე ინფარქტი არ ავიკიდო-მეთქი.

სხვა, უფრო შესაფერის დროს, ასეთ შემთხვევაში აფირმაციებს მივმართავდი, აუტოტრენინგით მივიღებდი ზომებს. ახლა კი მოკლებული ვარ მსგავს შესაძლებლობას. იმასლა ვცდილობ, როგორმე მოვუხმო მეექვსე გრძნობას, იგი დამეხმარება, ფანტაზიას შევასხმევინო ფრთები.

შეკითხვაზე, თუ რა შემიძლია ვთქვა ბრალდებულზე და, საერთოდ, იმ უბედური შემთხვევის თაობაზე, რომელსაც ჩემდაჭირად შევესწარი, უეცრად ვერ ვახერხებ პასუხს. გისოსებიანი გალიისკენ გამირბის მზერა. იმ საცოდავი არსებისკენ, ბეჭებში ნადრეკილი რომ ზის და სმენადქცეული მომშტერებია. ვფიქრობ ჩემთვის, უკვე გაჭყლიტა-მეთქი საკუთარმა ცოდვამ. თან ადრინდელ ქედმაღლობას ვეძებ მის გაფითრებულ, უცნაურად მშვიდ სახეზე. რასაკვირველია, ეს არ არის სიმშვიდე კლასიკური გაგებით, არამედ მდგომარეობაა ადამიანისა, ვინც იწვნია ჩადენილი დანაშაულის თანმდევი განცდები. ამიტომ კარგად იცის ჩემი ყოველი სიტყვის ფასი. თითქმის ბავშვია ეს მოტუტუცო გოგო და უკვე მკვლელობის ბრალდებით ასამართლებენ.

შესაბრალია, მაგრამ სულაც არ ვაპირებ ამ მოტივით მისთვის შეღავათის მიცემას, მისი ბიჭუნას გამოც კი არა.

— გისმენთ, გისმენთ, — კატეგორიულად მომმართავს მოსამართლე. მეც იძულებული ვხდები, დავიწყო:

— მინდა მოგახსენოთ, რომ იმ სამწუხარო შემთხვევას ნამდვილად შევესწარი. ბრალდებული თოკზე გამობმული ძაღლით იდგა ქუჩისპირა რკინის ჭიშკართან. ძაღლი ყალყზე დგებოდა, გაავებით უყეფდა აკივლებულ გამვლელ ქალს. მას პატარა, მომწვანო რიფსის ჩანთა ეჭირა, ბოსტნეულით გატენილი. კოხტა ჩანთა იყო, ნაქარგებიანი.

— ჩანთა არ გვაინტერესებს. ფაქტებზე გადადით, როგორ მოხდა მასზე ძაღლის თავდასხმა.

წამიერი ინტერვალი ჩემს ანალიტიკურ ფანტაზიას ამხნევებს, ცხადია, გულწრფელად მჯერა იმისა, რასაც ვიტყვი:

— ქალის შიშმა ძაღლი საშინლად აგრესიული გახადა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მსხვერპლზე თავდასხმა ამ შიშმა განაპირობა, უფრო მეტიც, გამომწვევის როლი შეასრულა...

— მოიცათ, მოიცათ, — ამბობს მოსამართლე, — თქვენ წინასწარ ჩვენებაში ნათქვამი გაქვთ, რომ ბრალდებულმა საბელს ხელი უშვა და ძაღლს თავდასხმის საშუალება მისცა. ასე წერდით, ხომ? — მან ქექვა დაიწყო სქელ "საქმედ" შეკინძულ ქაღალდებში.

— დიახ, მაგრამ მაშინ ვერ გავითვალისწინე, რომ ყველაფერი მსხვერპლის შიშის გამო მოხდა, — ძაღლის აგრესიულობაც, ბრალდებულის მაშინდელი გაღიზიანებაც, მოკლედ, გარდაუვალი გახადა უბედურების მთელი ისტორია.

— შეწყვიტეთ! შეწყვიტეთ! — მოსამართლის ხმა ძალაუფლისა და მბრძანებლის ინტონაციას არ მალავს. — თქვენი დასკვნები კი არა, ნანახი ფაქტი გვაინტერესებს.

—ფაქტი ისაა, რომ შიშმა უბედურება მოახდინა, — არ ვიცვლი ფეხს მყარი პოზიციიდან, მაგრამ ვგრძნობ, სასამართლოს აღარ ვაინტერესებ — არც მართლმსაჯულებს, არც დარბაზს, რომელიც შეჩოჩქოლდა, დაიწყო აქეთ-იქით გადალაპარაკება, მგონი, მოსყიდულად მიმიჩნიეს. მოსამართლე ისევ ჩამეძია:

— მოახსენეთ სასამართლოს, საბელს ხელი უშვა ბრალდებულმა? თქვენ ეს დაინახეთ?

— მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას ეს არ უნდოდა.

— გარკვევით უპასუხეთ კითხვას — კი თუ არა!

— გარკვევით გპასუხობთ. მან ეს მსხვერპლის წრეგადასული შიშის გავლენით ჩაიდინა. უფრო ზუსტად, — ისე გააკეთა, რომ შედეგზე არც უფიქრია.

მოსამართლე ორთავ წარბს ერთდროულად აძგიბავს მაღლა, რაც შეიძლება მაღლა, მერე თავს ნელა დაიქნევს და შვებამოგვრილი მოჭრის:

— გასაგებია. შეკითხვები აღარაა.

ისე გავედი დარბაზიდან, არც ბრალდებულისკენ გამიხედავს, არც ლიზასკენ. არ მაინტერესებდა მათი განწყობა. მხოლოდ ერთი სურვილი მაწუხებდა — ბიჭუნას არ გადავყროდი სადმე. ო, რარიგ კარგად მესმოდა უკვე, ადამიანები ხშირად რად ამბობდნენ სიტყვებს — არ ვიცი... არ დამინახავს... არ გამიგონია...

მაგრამ, აგიხსნის კი ვინმე, სადაა გამოსავალი?



ვახტანგ ფოცხიშვილი

ს ო ნ ე ტ ე ბ ი

სონეტის სონეტი

სალექსო ფორმებს არა ვცემდი საკადრის პატივს,
ჩემთვის მთავარი იყო ლაღი
ლექსი ქართული.
აღგზნებულ ჭაბუკს არასოდეს მესმოდა მათი,
ვინც იყო ლექსის არტახებში
ჩასმით გართული.

მე არ მესმოდა,
რუსთველური შაირის მქონეს,
ლექსის ფორმები ევროპიდან
რატომ მეთრაქა?
იქიდან, სადაც სონეტების
უმაღლეს დონეს
აღწევდა ხოლმე თვით შექსპირი,
ანდა პეტრარკა?!

გამოხდა ხანი და მივხვდი,
რომ ვცდებოდი ადრე,
ფორმა გარსია,
მთავარია ლექსის შიგანი,
უნდა იცოდე პოეზიის ყამი და ყადრი,
მთელი თავისი სილრმითა
და სიგრძე-სიგანით.

და აი, თრთოლვით გადაგიშლით
მე ჩემს სონეტებს
ისე, ვით ძველი ნუმიზმატი
ნათხარ მონეტებს.

14.10.07.

ცოდნის სონეტი

ხე ცნობადისა აგვეკრძალა და აღგვეკვეთა.
ადამ და ევამ ჩაიდინეს სასტიკი ცოდვა,
აღთქმა გატეხეს და მას შემდეგ ადამის ძეთა
დავიწყეთ ფუჭი ბუუტური და უაზრო ბოდვა.

გავიდა დრო და ვიღას ახსოვს ადამ და ევა,
მაგრამ გულს გვილრღნის
ამ სამყაროს შეცნობის ჭია.
და ოკრო-ბოკროდ
მიკრო-მაკრო კოსმოსის კვლევას,
წყლის ნაყვის ნაცვლად,
შემეცნების სახელი ჰქვია.

ის პირველქმნილი ცოდვა ისევ
ცოდვადვე დარჩა
და ღვთის კანონი არ შეცვლილა
თუნდაც სულ ოდნავ.
არ ვინანიებთ არაფერს და შენდობაც
არ ჩანს,
რადგან ყველაზე დიდი ცოდვა -
ეს არის ცოდნა.

თუ უვიცი ხარ, შენ ხარ კაცის
მხოლოდ მოდელი,
სამაგიეროდ, უმანკო ხარ და უცოდველი.

16.10.07.

ადამის სონეტი

ბუნდად ვიხსენებ სამოთხეს და
ჩემს ოჯახს დაშლილს,
სიბერემ უკვე თავისი ქნა, დაბინდა გონი.
მახსოვს, რომ ევამ მომაწოდა
სამოთხის ვაშლი
და მე, სულელმა, უნებლიედ შევჭამე მგონი.

ის დღე იყო და ის დღე,
დახშეს სამოთხის ბჭენი
და დავრჩი ასე,
მხოლოდ ლელვის ფოთლის ამარა.
ევამ კი არად მიიჩნია სირცხვილი ჩვენი
და კვლავ შიშველმა იქ, ცაშივე,
შეკრა კამარა.

წელან ბაზარში ჩავიარე, არ იყო ტევა,
და იმდენ ხალხში დავინახე საყასბოს იქით,
ვიღაცა ჰყიდდა ვაშლებს, უცებ შევიცან ევა,
რომელსაც ედგა მამაკაცთა უგრძესი რიგი.

რაღაც ეჭვები დამესივნენ,
როგორც მგლის ლეკვნი
და მაშინ ვიგრძენ,
რომ მტკიოდა ნაკლული ნეკნი.

14.10.07.

ევას სონეტი

ადამის ძენო, ყურს ნუ უგდებთ
ამ სულელ ადამს,
მისგან ღალატი არაერთხელ
მეც მაქვს განცდილი.
კარგად მიირთმევს თვითონ სხვათა
მსხალსა თუ ატამს
ვერ მოინელა ერთი ვაშლი,
ჩემგან გაწვდილი.

თავის მართლებას, კარგად ვგრძნობ,
რომ ფუჭად ვუნდები,
რას მემართლება,
ან რა უნდა ჩემგან ნეტავი?!
კაცი მინდოდა ძარღვიანი,
მთრთოლავ კუნთებით,
არა სამოთხის ნებიერი, მშვიდი, ნეტარი.

ადამს უნდოდა, მხოლოდ თავის
ნეკნად ვენახე,
მე კი ქალი ვარ და, ვისაც მსურს,
იმას ვევნები,
მე კაცი მინდა მხვნელ-მთესველი
და მევენახე,
რომ ღვინობისთვეს
დამიწუროს ძუძუ-მტევნები.

ვისგან ვისაც ვშობ, ადამ,
მაინც ერქმევა შენი,
მაინც ყველანი იქნებიან ადამის ძენი.

14.10.07.

განშორების სონეტი

„Я вас любил“
ა.პუშკინი

ხანძარი ჩაცხრა, ჩაინავლა,
უკვე ვარ მშვიდად,
აღარ მაღელვებს ოდინდელი
ეჭვების განცდა.
ამიერიდან ველარავინ
მომზიდავს მშვილდად,
რადგანაც ქვეყნად ყოველგვარი
სამიზნე გამცდა.

აღარ მაღელვებს არაფერი,
თავად შენც, რადგან
„არა“-ს ნიშნავდა თურმე შენგან
ნათქვამი „დიახ“.
აღარ მაღელვებს, ეს სად ხდება,
ერთგან თუ ათგან?
რადგანაც უკვე არ მეგულვი არსების წიაღ.

თუ წარმოგიდგენ, აღარ იწყებს
სული ფორიაქს,
რომ ახლა უკვე სხვა სარეცლის ხარ ნებიერი,
რომ გეუფლება სხვა განცდათა ეიფორია
და ვნებისაგან გიელმდება თვალთა იერი.

ღმერთს ვევედრები,
რომ იმედი მაინც მქონდეს მე,
რომ შენ ჩემსავით ჰყვარებოდე
ვინმეს ოდესმე!

17.09.07.

ცხოვრების სონეტი

„რამდენი რამ არს ამაქვეყნად,
რაც არ მჭირდება“ -
ბრძანა სოკრატემ და ის იყო
მართალი ცამდე.
რა ჭირად გინდა ტაში, ქება, ხოტბა-დიდება,
აბა, მიდი და ჩუმი, სადა ცხოვრება სცადე.

იგუთნის-დედე, ისახნისე, ან იბარ-თოხე,
აკეთე საქმე, ნურასოდეს იქნები უქმად.
სხვისი ქონების მოსახვეჭად ნუ იამბოხებ,
შეირგე მხოლოდ შენი შრომით
ნაშოვნი ლუკმა.

ხანდახან მაინც გადაშალე ზნეობის წიგნი,
ფურცლე, იკითხე წინაპართა
ძირძველი სიბრძნე,
ჩაწიკწიკებულ ასოთა თუ
სტრიქონთა შიგნით,

ითვალისწინე, გაიაზრე ის,
რაიც იგრძნე.

მადლის თესვა და მაცთუნებელ
ეშმათ რიდება,
დე, იყოს შენთვის ერთადერთი ჭეშმარიტება.

16.10.07.

სიბერის სონეტი

სულმა სხეული გამოფიტა და ტვინიც გახმა,
და უქმად ყოფნაც აღარ არის უკვე ადვილი.
ლეთოსთან დგახარ, მაგრამ ქარონს
არ უნდა გაღმა
შენი გაყვანა, რადგან ნავში არ აქვს ადგილი.

დრო აღარ მიდის და რატომღაც
არც შენ მიდიხარ,
ქვეყნად არავის ენაღვლები, არ ენატრები.
გრძნობ, ზედმეტი ხარ და
ყველაფერს ანარიდი ხარ
და ხსოვნის ეკრანს ეცრიცება
ბნელი კადრები.

ხვდები, რომ ქვეყნად აღარაფერს
არა აქვს აზრი,
რაზე იფიქრო, რა ისურვო ან რა ინატრო?
შენა ხარ მხოლოდ დიოგენეს
ფუტურო კასრი,
რომელშიც უკვე დიოგენე აღარ ბინადრობს.

აღარ გაწუხებს აღარც ერთი
ძველი ჭრილობა
და ეუფლება შენს სულს
სრული უსურვილობა.

29.09.07.

სიკვდილის სონეტი

სახათაბალოდ თავს რატომ ვიხდით?!
რატომ გვაღელვებს ეს ისტორია?!
სიცოცხლის ვალებს დღეს რატომ ვიხდით?!
სიკვდილის ტორი – ეს ის ტორია,

რომელიც დაგვცემს ადრე თუ გვიან
დიდსა თუ მცირეს, ყველას ერთიან.
სიცოცხლის წყლები დღეს რასაც ჰქვია,
ყველანი ლეთას ტალღებს ერთვიან.

არქეოლოგნო, თხოვნა მაქვს ერთი:
მიწა, რომელიც მერგო საძვალედ,
არ გადათხაროთ, იწამეთ ღმერთი,
იქ მაინც მშვიდი ძილი მაცალეთ!

შემაცნობინეთ ბნელი ჰადესი,
სააქაოზე უდიადესი.

21.09.07

წუთისოფლისანი

* * *

წუთისოფელმა გამხადა
შაირ-სიტყვათა მესტვირე,
ყოფა ვერავის ვუტირე,
ბევრს თვითონ ყოფად ვეტირე.
სამარის ქვაზე თარიღებს
ტირე რომ უზის, ეს ტირე
ჩვენი ცხოვრება ყოფილა,
ამას რომ მივხვდი, შევსტირე,
თურმე ვინა ვარ? - მარტოდენ
ამ მოკლე ტირეს მესტვირე.

24.09.07.

* * *

ვარ ძველი ციხის ნაშალი,
ჩემში გადიან ღრუბლები,
ქარაფზე ვდგევარ და კლდეებს,
ცალპირად ვესაუბრები.
არ მპასუხობენ კლდეები,
თავ-თავის წესად უბრები?!
მაგრამ ვგრძნობ, ქარი რომ დაჰბერს,
ცად მიაქვს ეს საუბრები.

7.09.07.

* * *

მე საგუშაგო კოშკი ვარ.
მხოლოდ ესა მაქვს საგონი:
არ ვიცი, რასა ვგუშაგობ,
სად მყვანან საგუშაგონი?!
აბოლებულმა ფიქრებმა
სულ ამირიეს თავ-გონი,
განგაშს ვტეხ, მაგრამ ვაი, რომ
არავინ არის გამგონი.

7.09.07.

ვახტანგ
კოტეტიშვილი

ჩემი ნუთისოფელი

(წიგნი მეორე)

(გაგრძელება)

„ტკბილი ცხოვრება“

მეშვიდე კლასში ვარ. გაგანია სტალინის დროა, 1949 თუ 1950 წელი. გვიანი საღამოა. ლეილა რაღაც წიგნის კორექტურას ჩაჰკირკიტებს, რომელიღაც რედაქციის მადლიანმა მუშაკმა რომ მოუხერხა, რათა ორიოდ გროში გაგვჩენოდა სალუკმაპუროდ. მე სახელმძღვანელო მაქვს ყასიდად გადაშლილი, ვითომ გაკვეთილებს ვამზადებ, სინამდვილეში კი იმის ქვეშ შეპარებულ-შეფარებული მიდევს ჟიულ ვერნის „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ და თავ-ფეხიანად შიგა ვარ „ჩაძირული“.

უცებ ზარის ხმა გაისმა, რაც ჩვენს, კომუნისტებისაგან შერისხულ-შეჩვენებულ ბინაში იშვიათობა გახლდათ. ამიტომაც მე და ლეილა დერეფანში სიხარულით გავცვივდით, ზემოდან მოვქაჩეთ კარს გამობმული თოკი და ძია გიგო აღმოჩნდა. მან, თავისთვის ჩვეული სიდარბაისლის საწინააღმდეგოდ, ბიჭივით ამოირბინა კიბეზე, მე კინკრიხოზე მაკოცა და ლეილას საიდუმლოდ, ნახევრად ჩურჩულით უთხრა:

— ხვალ ფული იცვლება. ბანდიტური რეფორმაა — ათი ერთზე. თუ რამე გაქვთ, მომეცით, წავალ და რამეს მაინც გიყიდით, თორემ დილით ეს ფული უკვე ნაგავი იქნება.

მე და ლეილა, როგორც ჩანს, ისეთი გაშტერებული სახეებით მივჩერებოდით ძია გიგოს, რომ მან ჩვენს გამოსაფხიზლებლად და გონს მოსაყვანად უკვე სხვა ტონი აირჩია, უფრო ქმედითი და იმპერატიული:

— რას მომჩერებიხართ?! ვერ გაიგეთ, რაც გითხარით?! ხვალ ფული იცვლება. ბანკები ძველ ფულს ახალზე კი გადაგიხურდავებენ, მაგრამ ძველ ათ მანეთში ერთ ახალ მანეთს მოგცემენ. გამიგეთ? ამიტომ, თუ რამე გაქვთ შავი დღისთვის გადანახული, უმჯობესია, დღესვე დაიხარჯოს. აბა, ჩქარა, სანამ მაღაზიები დაკეტილა. დროზე!

მე და ლეილამ, როგორც იქნა, გამოვიბერტყეთ ყურები და ვეცით ჯურდანს, რომლის წიაღშიც საოჯახო ბიუჯეტი ისედაც სულს ღაფავდა. ლეილამ მაინც გამოფხიკა საბჭოთა ასიგნაციები, რომელთაც ხვალიდან „ათიგნაციებად“ ქცევა არ ასცდებოდათ და სასოებით ჩააბარა ძია გიგოს, რომელიც ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც მოგვევლინა.

მე და ლეილა ვისხედით და ერთმანეთს გაოგნებულები შევყურებდით. ვილას ახსოვდა ან კორექტურა, ან კიდევ ცხონებული ჟიულ ვერნი. ვისხედით და ველოდით. რას? რაღაც იდუმალსა და გაურკვეველს.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ კვლავ გაისმა ჩვენი ზარის ნანინანატრი ხმა. ისევ გავცვივდით დერეფანში მე და ლეილა, ისევ გავუღეთ ზემოდან კარი მუყაოს კოლოფებით ხელდამშვენებულ ძია გიგოს, რომელმაც გასავათებული ხმთ ამოგვძახა:

— ყველა მაღაზია ან დაკეტილი, ან გამოცარიელებული დამხვდა, საკონდიტრო განყოფილების გარდა. ამ ჯიბგირ მთავრობას

დასაწყისი იხ. №9, 10,11, 12, /2007

ყველაფერი გადაუჩქმალავს. მხოლოდ ეს კრემიანი ნამცხვრები გამოუყრია გასასაღებლად. ამეების ყიდვაღა მოვასწარი. აბა, თქვენ იცით, ინთილა იკარით და დაეცით თაფშურმა. ნულარ ამომიყვანთ. მოდით, ჩამომართვით. ბარემ შინაც მივხედავ, თორემ იქაც შოშიებივით პირდაღებულნი მელოდებიან.

ისევ ერთად ჩავცვივდით კიბეზე მე და ლეილა, ჩამოვართვით დახუნძლულ ძია გიგოს ორი კოლოფი, მადლობებად დავიღვარენით და დავემშვიდობეთ.

მე, რასაკვირველია, სულმოუთქმელად გავფატრე ეს კოლოფები. ერთში 12 „შუ“ ელაგა, მეორეში – 6 „ეკლერი“. ამათი სახელებიც ლეილამ მითხრა, თორემ რომელი-რომელი იყო, მე რა ვიცოდი.

მე ასეთი ნამცხვრები მხოლოდ ერთხელ მქონდა გასინჯული, რომელიღაც ჩვენი მეზობლის ყვავი-ჩხიკვის-მამიდაშვილის დაბადების დღეზე. მე იქ თითო-თითო შუ და ეკლერი გავსინჯე, მეტი ვერა: არ შემატყონ, რომ გვიჭირს-მეთქი.

ახლა კი ჩვენზე მდიდარი მაშრიყ-მაღრიბის თვალსაწიერზე არავინ მეგულებოდა. ვილუკმებოდით გახარებულები და გაგვდიოდა შაქრის პუდრის ბუქი და ნაფუარი.

ნათქვამია: „მეტისმეტი ბრეტისბრეტი“-ო. ამ დღის შემდეგ ტკბილეულზე გული ავიყარე. მხოლოდ შუს მიმართ დღევანდლამდე შემომრჩა რაღაც პატივისცემისმაგვარი განცდა: სუფრაზე შუს თუ შემოიტანენ, რომც არ მინდოდეს, მაინც რიტუალურად ვსინჯავ და სევდიანი ღიმილით გამოვხატავ მისდამი ჩემს ფარულ მადლიერებას.

მოწაფეობის წლები

სკოლა, ალალად რომ გითხრათ, დიდად არ მეპიტნავებოდა, ვინაიდან ჩემს თავისუფლებას ზღუდავდა. სკოლა მაიძულებდა მესწავლა ისეთი საგნები, რომლებზედაც მაჟრიალებდა. ასეთები კი, გაგიხარიათ, ბლომად იყო: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სამხედრო და თვით ფიზკულტურაც კი. თქვენ მკითხავთ: დალოცვილო, რაღა დარჩაო? მართალი ბრძანდებით. დარჩა ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული, ისტორია, გეოგრაფია და ინგლისური. „ეგ არი და გორის ციხე!“ მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ უტყუარ ფაქტსაც, რომ ამ საგნებშიც ბევრი ისეთი რამ ერია საბჭოური თუ სოცრეალისტური იდეოლოგიიდან, რომ ფაქტიურად, ამ საგნებსაც ისე არ ვსწავლობდი, როგორც იმდროინდელი სასკოლო პროგრამა მოითხოვდა. არ ვსწავლობდი კი არა, პრინციპულად არც ვკითხულობდი. ასეთები კი მრავლად იყო. „კოლხეთის ცისკარი“ თუ „Поднятая целина“ და სხვა მრავალი. თვით ქართული ლიტერატურიდანაც კი, რომელშიც, სწავლის მთელ მანძილზე, ხუთიანის გარდა, სხვა ნიშანი არ მიმიღია, როგორ ვახერხებდი ამას, მე თვითონაც მიკვირს. გაოცებული მკითხველი მეტყვის: — შე დალოცვილო, სკოლაში თუ არაფერი გისწავლია, უვიცი ყოფილხარ და ეგ არისო! მართალიც იქნება. მაგრამ იმ საგნებშიც კი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, სულმთლად უვიცი არ მეთქმოდა. მაგ, ფიზიკური გეოგრაფია კარგად ვიცოდი, პოლიტიკური კი ნაკლებად. საქართველოს ისტორიას, ძველი მსოფლიოს თუ საშუალო საუკუნეების ისტორიებს ვაბულბულებდი, საბჭოთა პერიოდოს ტყუილებს კი არა. შენი თქმით, ჩემო მკითხველო, იმ საგნებში უვიცი კი ვიყავ, მაგრამ, საერთოდ, წიგნიერი. ქართული კლასიკა თუ ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები ხომ ჯერ კიდევ სკოლამდე თითქმის მთლიანად ზეპირად ვიცოდი, ასევე რუსული ლიტერატურა, რასაკვირველია, დედანში, აღმოსავლური პოეზია და დასავლური კი – თარგმანებში.

როდესაც რაიმე საინტერესო დიდტანიანი წიგნი მქონდა წასაკითხი, სიმულაციის ასეთი მეთოდი დავამუღამე. დილაუთენია ავტეხდი ხველას, სურდო ისედაც ქრონიკული მქონდა და ლეილას ვეტყოდი: — დღეს რაღაც ვერა ვარ, მგონი გავცივდი-მეთქი. ლეილა შეშფოთდებოდა: — ვახულიკო, დღეს სკოლაში ნუ წახვალ, იწექი ლოგინში და გამოშუშდი.

მეც მეტი რა მინდოდა?! გადმოვიღებდი დოსტოევსკის თუ ტოლსტოის, ჰიუგოსა თუ პროსპერ მერიმეს, ჯეკ ლონდონსა თუ ვის აღარ, და თავ-ფეხიანად ისე ჩავეფლობოდი წიგნში, რომ საამქვეყნოს აღარ ვეკუთვნოდი. ბავშვობისას კითხვას ხომ სულ სხვა ფასი აქვს. რასაც კითხულობ, ის კაცი ხარ, ის პერსონაჟი. ვიზედაც იქ არის მოთხრობილი, ის ყველაფერი შენს თავს ხდება. სულ სხვაა, როდესაც წიგნს უკვე ხანდაზმული უკირკიტებ, დინჯად, აუღელვებლად და საკმაოდ კრიტიკული თვალით. როდესაც ზეპირად იცი ხატოვანი აზროვნების მთელი სამზარეულო, რისთვის იხმარა მწერალმა ესა თუ ის ხერხი და სვა მრავალი.. რასაკვირველია, ნაწარმოები უფრო ღრმად და საფუძვლიანად გესმის, მაგრამ სად არის ის ემოცია, ბავშვობაში რომ

გიპყრობდა, ის ჟრუანტელი?!

ასე, რომ ჩემი განათლების (თუკი ასეთი რამ გამაჩნია), დიდი ნაწილი სულ სიმულანტური „შატალოების" წყალობით მაქვს მიღებული. დიახ, ცუდი მოსწავლე ვიყავ, მოუწესრიგებელი, მაგრამ რა ჯანდაბა უნდა მექნა, თუკი ერთი პატარა ლექსი მთელ ალგებრა-გეომეტრიას და, მით უმეტეს, ტრიგონომეტრიას მერჩივნა.

ასეთ მკრეხელობებს, რასაკვირველია, არ უნდა ამბობდეს კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრების ნახევარი საუკუნე პედაგოგობას შეალია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს წიგნს ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი არ წაიკითხავს. დღეს ხომ წიგნი მოდაში აღარ არის. იმ უმცირესობისა კი, ვისაც ნაღდი მკითხველი ჰქვია, არ მეშინია, ვინაიდან „კარგ მთქმელს კარგი გამგონეო" — ნათქვამია.

ამიტომაც იყო, რომ ჰუმანიტარულ საგნებში „ჯილა კოჭი" ვიყავი კლასში, ზუსტ საგნებში კი — მაჩანჩალა ოროსანი, რომელიც მეოთხედის ბოლოს საწყალ სამიანებს დასტყუებდა ხოლმე თავისი ლექსებით მოხიბლულ მკაცრ პედაგოგებს.

ეჰ, მაშინდელი პედაგოგები ხომ სულ სხვა ყაიდისანი ივნენ, ჭეშმარიტი ადამიანები და თავიანთი საქმის დიდოსტატები. ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა მათგან ყოველის სული. ამინ!

რაც ზემოთ მოგახსენეთ, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ზუსტ საგნებში სრული „პროფანი" ვიყავი და არაფერი გამეგებოდა. მაგალითად, გეომეტრიაში პითაგორას თეორემა ზეპირად ვიცოდი, ფიზიკაში – ბოილ-მარიოტის კანონი და სხვ.. მაგრამ დაფასთან გამოძახებისას თვალდახუჭულს „ხუთიანზეც" რომ ჩამებულბულებინა, „სამიანზე" მეტს მაინც არ მიწერდნენ, ვინაიდან იცოდა მასწავლებელმა, რომ ეს ბედნიერი გამონაკლისი იყო, მოულოდნელი შემთხვევითობა, რაც საგნის სრულყოფილ ცოდნასთან არავითარ კავშირში არ იყო.

ბოილ-მარიოტის ხსენებაზე გამახსენდა ერთი კურიოზული ამბავი, რომელიც აფსუსი იქნება, არ გაგანდოთ. მეცხრე კლასში ვარ, მეოთხედის ბოლოსწინა საღამოა. ხვალ ერთადერთი შანსი მაქვს, რომ ფიზიკაში ნიშანი გამოვასწორო, თორემ „ორიანი" გამომყვება. „თხა და გიგოსავით" მიჭირავს ფიზიკის წიგნი და ვფიქრობ, რა ვისწავლო. ჩვენს ფიზიკის დიდებულ მასწავლებელს, ცხონებულ შოთა აბაიშვილს ასეთი ჩვეულება ჰქონდა. მეოთხედის ბოლო დღეს ნიშნის გამოსწორების შანსს გვაძლევდა. გამოაცხადებდა: „ აბა, მათხოვრებო, გამოლაგდით და ვინც რა იცით, მოყევით!"

გავლაგდებოდით ათი-თერეთმეტი „მათხოვარი" ანუ ოროსანი, ავიტუზებოდით დაფის წინ და ველოდით განაჩენს. ერთი შეღავათი ის იყო, რომ თითო საკითხი ყველას გვქონდა ნასწავლი. იმას თუ ჩავასხაპასხუპებდით, „სამიანი" განაღდებული გვქონდა.

მე ეს, რასაკვირველია, კარგად ვიცოდი და ამ მომენტის იმედზე გახლდით მთელი მეოთხედის მანძილზე. ამიტომ მხოლოდ ერთი დილემის წინაშე ვიყავ, რა საკითხი ამომერჩია ფიზიკის „შემზარავი" სახელმძღვანელოდან, რომ მეტ-ნაკლებად იოლი ყოფილიყო. ასეთად რატომღაც ზემოხსენებული ბოილ –მარიოტის კანონი მომეჩვენა. დავიწყე კითხვა და ჩემდაუნებურად ჩემს ლექსებით ამოტენილ ტვინში ეს კანონი თავის ექსპერიმენტიან-შედეგიანად ლექსად დალაგდა, თვით ფორმულებიც კი. უცებ გონება გამინათდა: ხომ არ აჯობებდა ეს ყველაფერი ლექსად დამეწერა და მასწავლებლისა და მთელი კლასის წინაშე ასე ორიგინალურად მეპასუხა. შოთა მასწავლებელი ცოტა „ბოღლინო" კაცი გახლდათ, „ყარაჩოღელის" ტიპისა და ალბათ ჩემს ასეთ პოეტურ „შაყირს" ნაღდად დააფასებდა. მართლაც, შევქმენი ჩემი „შედევრი". ექსპოზიციაში აღწერილი იყო სიტუაცია, რომ მეოთხედის ბოლო იყო და მე გამოსასწორებელი მქონდა ნიშანი, შემდეგ ზუსტად იყო აღწერილი ზემოხსენებულ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ცდა, რაც ასეთ შედეგს გვაძლევდა. სამწუხაროდ, ეს ლექსი მთლიანად ზეპირად აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი მონაკვეთი კი ასეთი გახლდათ:

ვიწყებთ: ავიღოთ მოხრილი მილი,
რომელშიც ცოტა ვერცხლისწყალს ვასხამთ.
ზიარჭურჭელთა წესის თანახმად
ის ერთ დონეზე დადგება ალბათ.

თუ მოცულობას V – თი აღვნიშნავთ,
P - თი კი წნევას, მივიღებთ მაშინ,
მათი ნამრავლი - V - C-ს უდრის,
ვამბობ და დაღლა მეტყობა ხმაში.

თავი მიმიგავს ორად გაყოფილს
და აღარ ვგავარ მე ადამიანს.
მოვდივარ კლასში, ვყვები გაკვეთილს
და ვიღებ საწყალ, საწყალ „სამიანს".

ამ ნაცოდვილარს, რასაკვირველია არც ლექსი ეთქმის და, მითუმეტეს „პოეტური შე-

დევრი“, მაგრამ რეალობის ამსახველი რომ არის, ეს ცხადია. კაცი რომ იხრჩობა და ყვირის: „მიშველეეეთ!“, ეს ლექსიც დაახლოებით ამგვარ ასოციაციებს აღძრავს მსმენელის გულში. ერთი სიტყვით, მივედი მეორე დღეს სკოლაში. ჩამოგვამწკრივა შოთა მასწავლებელმა ე.წ. „მათხოვრები“ და დაიწყო ჩვენი მონოლოგები, რომლებიც ჰამლეტის ცნობილ მონოლოგს მხოლოდ იმით ჰგავდა, რომ „ყოფნა-არყოფნის“ დილემა, მართლაც, უმწვავესად იდგა.

ბიჭები მეტ-ნაკლები წარმატებით ატრიალებდნენ იმ ერთადერთ პარაგრაფს, რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის ჰქონდათ ასე თუ ისე მომზადებული. მე ვეცადე, რომ სულ ბოლოს გამოვსულიყავი, რათა სიურპრიზი შემეთავაზებინა როგორც მასწავლებლის, ასევე მთელი კლასისთვის. ეს მომენტიც დადგა. დავიწყე ლექსი რიხიანად და ყველამ ყურები დაცქვიტა. შოთა მასწავლებელს ულვაშებში ეღიმებოდა.

ლექსის დამთავრებას, ბუნებრივია, მთელი კლასის ღრიანცელი და მხურვალე ოვაციები მოჰყვა. ბ-ნმა შოთამ ხელის ერთი აწევით დაადუმა მღელვარე „აუდიტორია“, შეჭმუხნა შუბლი და ხაზგასმული სერიოზულობით განაცხადა.:

— ვახუშტი კოტეტიშვილმა ფიზიკაში თავისი ცოდნა „სამიანზე“ შეაფასა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მას ლექსის წერაში, უდავოდ, „ხუთიანი“ ეკუთვნის, მივიღებთ საშუალო არითმეტიკულ „ოთხიანს“. ვინმეს განსხვავებული აზრი ხომ არ ექნება?

— არა, არა, შოთა მასწ.!

— მაშინ, დავუწეროთ „ოთხიანი“. – და შოთა მასწავლებელმა ჟურნალში იმოდონა „4“ ჩაწერა, ერთ გრაფაში რომ არ ჩაეტია და მეზობელ გრაფებში სტაკა ცხვირი და კანჭი. მე ყურებამდე პირახეული ვიდექი და არ მეჯერებოდა. ეს იყო სკოლაში სწავლის მანძილზე პირველი „ოთხიანი“, რომელიც მე ფიზიკაში მივიღე.

ბიჭებს მიზეზი მიეცათ: ვახოს „ოთხიანი“ უნდა „დავასველოთო“. ამოვიფხიკეთ ყველამ ჯიბეებიდან, ვისაც რა გაგვაჩნდა და გავქუსლეთ ველიამინოვზე (ახლ, შ. დადიანის ქ.) „კოლას სახინკლეში“. რამდენიმე ხინკალი და ერთი კათხა მაშინდელი წყალ-წყალა ლუდი, „ეგ იყო და გორის ციხე“ — ანუ მთელი ჩვენი „ქეიფი და დროსტარება“.

ამ კურიოზულმა ლექსმა კიდევ ერთხელ გამიწია დიდი სამსახური, როდესაც სკოლის დამამთავრებელ გამოცდებს ვაბარებდით. მეთერთმეტე კლასში მასწავლებლებმა მითხრეს: შენ არაერთხელ გისახელებია სკოლა რესპუბლიკურ დათვალიერებებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. შენს მიერ დაწერილი თემები ყოველთვის სიგელებსა და დიპლომებს იმსახურებდა. ვიცით, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჰუმანიტარულ დარგს აირჩევ და იქაც ასახელებ ჩვენს სკოლას. შე დალოცვილო, ძალიან გეხალისება უმაღლესში მისაღები გამოცდების ბარება? ნუ გააცდენ გაკვეთილებს, ცოტა მეტი დრო დაუთმე მათემათკა-ფიზიკა-ქიმიას, ჩვენც ცოტა ანგარიშს გაგიწევთ, ოქროს თუ არა ვერცხლის მედალს მაინც აიღებ და უმაღლესში მხოლოდ გასაუბრების შედეგად ჩაირიცხები.

ფრთებშესხმულმა, რასაკვირველია, პირობა მივეცი. მართლაც, იმ წელს თავი მოვიქაჩლე და წესიერ მოსწავლედ ვიქეცი. პედაგოგებმაც თავიანთი პირობა პირნათლად შეასრულეს და ვერცხლის მედლის რეალური კანდიდატის რანგს მივაღწიე. ბოლო გამოცდა ფიზიკაში გვქონდა. აუცილებლად მჭირდებოდა „ხუთიანი“. არა და მედალს ვკარგავდი.

საგამოცდო ბილეთებში ერთი იყო, ახლაც მახსოვს 18, რომელიც რაღაც „საშინელებას“ წარმოადგენდა არა მხოლოდ ჩემისთანა „ჭკუის კოლოფისათვის“, არამედ ფიზიკის ისეთი ტვინიკოსებისათვის, როგორებიც ჩვენი კლასის „აინშტაინები“ იყვნენ: ოთარ კუპატაძე თუ გივი ქარუმიძე, ედიკა გერსამია თუ მურთაზ ბაბუნაშვილი, არმაზ სანებლიძე

რვაწლედის დამთავრების შემდეგ

I რიგში (მარცხნიდან): ნიკო ქეთიშვილი, თენგიზ სადუნიშვილი, სიმონ დოლიძე, ევგენი მელიქსეთბეგი, II რიგში: გელა ლეჟავა, ზურაბ დანელია, ოთარ კუპატაძე, მარო ჟორჟოლიანი, მატილდა კონტრიძე, ნიკო იაშვილი, მიშა წულაია, ამირან მგალობლიშვილი, მერაბ გამყრელიძე. III რიგში ვახტანგ ცხვედიანი, რეზო გოგორიშვილი, არმაზ სანებლიძე, ანზორ გაბიანი, გოგი ამინაშვილი, როლანდ ქართველიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, მურთაზ ბაბუნაშვილი, სერგო გურციევი.

და სხვანი. ყველა ლოცულობდა: ნეტავ ეგ ბილეთი არ შემხვდესო. მე არხეინად ვიყავ. ჩემთვის ხომ ნებისმიერი ბილეთი №18 იყო. გავედი საპასუხოდ და მართლაც ეს ბილეთი არ შემხვდა?! ბიჭებს, ჩემს მაგიერ, გულები დაუსკდათ: რას იზამს, საწყალი ვახია, მედალს უნდა დაემშვიდობოსო.

მთავარი საფრთხე კი ის გახლდათ, რომ ჩვენს მასწავლებელ შოთა აბაიშვილს აქეთიქით კომისიის წევრები ესხდნენ განათლების სამინისტროდან მოვლინებულნი, უმკაცრესი სახეებით.

მედალს შინაგანად უკვე დავემშვიდობე, ახლა საზრუნავი მხოლოდ ის მქონდა, რომ არ ჩავჭრილიყავი. გავედი დაფასთან ვითომ ფიზიკის ამოცანის, ჩემთვის კი უფრო გამოცანის, ამოსახსნელად. მასწავლებელი და საგამოცდო კომისიის წევრები ერთმანეთთან საუბრით არიან გართულნი. მე დაფაზე დავწერ ამოცანის პირობას, თვალს გავაპარებ კომისიის წევრეებისკენ. ისინი კვლავ ბაასობენ. მე ვასუფთავებ დაფას და ხელმეორედ ვწერ იმავ ამოცანის პირობას. ასე გრძელდება ცხრა-ათჯერ, სანამ უფროსებმა საუბარი არ მოათავეს.

უცებ ჩამესმა შოთა მასწავლებლის ხმა: - ამ ვაჟბატონმა მეცხრე კლასში ბოილ-მარიოტის კანონი გალექსა. კოტეტიშვილო, შეეშვი დაფას, მოდი, იმ ლექსს გვეტყვი და თავისუფალი ხარ.

„ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო"—ნათქვამია. ყელი მოვიღერე და ისე დავჭექე, რომ ფანჯრის მინები აზანზარდნენ. კომისიის წევრები კეთილად იღიმებოდნენ და თავიანთ ემოციებს დაუფარავად გამოხატავდნენ.

— წადი, თავისუფალი ხარ. მითხრა შოთა მასწავლებელმა და ნიშნის დასაწერად კალამს წაავლო ხელი. მე ფეხს არ ვიცვლიდი, მინდოდა, გამეგო, რას მიწერდა. შოთა მასწავლებელმა კეთილად ამომბღვირა და დამიტატანა: — ბიჭო, წადი, თორემ ოთხიანს დაგიწერ.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო, გადავეხვევოდი და გადავკოცნიდი, რაც გავაკეთე კიდეც, ოდნავ მოგვიანებით. გამოსაშვებ ბანკეტზე.

ახლა კი დროა, ჩვენი კლასის შესახებ მოგითხროთ. მოგეხსენებათ, ჩემი ასაკის ხალხს ზოგჯერ, სკლეროზი რა საკადრისია, მაგრამ მეხსიერება არცთუ იშვიათად ღალატობთ ხოლმე. გუშინდელი და გუშინწინანდელი ამბავი აღარ ახსოვთ, ბევშვობისდროინდელი კადრები კი არ ფერმკრთალდება მათი გონების ეკრანზე. რაღა დაგიმალოთ და მეც იგივე სენი დამემართა. ამიტომ ამ მონაკვეთის წერისას დავიხმარე ჩემი უახლოესი მეგობრები რეზო გოგორიშვილი და ომარ ფრანგიშვილი:

— ბიჭებო, „ჩემს წუთისოფელში" ჩვენი კლასის ამბებს მივადექი. რაც მახსოვს, იმას ხომ უთქვენოდაც დავწერ, მაგრამ ვაითუ რამე გამომრჩეს, მერე თქვენს საყვედურებსა და ჯუჯღუნს რა გაუძლებს-მეთქი. „ფრთაშესხმული ბიჭები" იმწამსვე ჩემთან გაჩნდნენ და შეერთებული ძალებით ვცადეთ, ჩვენი მოგონებების ნაფლეთ-ნაფლეთები შეძლებისდაგვარად შეგვეკონწინებინა და ერთ მოზაიკურ „პანოდ" გვექცია.

ძვირფასო მკითხველებო, ბოდიში უნდა მოგიხადოთ იმის გამო, რომ, შესაძლოა, ზედმეტად მოგეჩვენოთ ჩვენი პედაგოგებისა თუ კლასელების დაწვრილებითი სიები, მაგრამ მე ამას თქვენთვის კი არა, იმათი სულების პატივსაცემად ვაკეთებ.

მაშ, ასე: უპირველეს ყოვლისა, ვისაც კი ჩვენთვის რაიმე უსწავლებია თერთმეტი წლის მანძილზე, იმ პედაგოგების სია დავაზუსტეთ და ანბანურ რიგზე ჩამოვწერეთ:

1, აბაიშვილი შოთა – ფიზიკა,
2 ბარამიძე გრიგოლ(გრიშა) – ისტორია,
3, გეგეჭკორი თინა – ინგლისური,
4. დავითაშვილი ნინო – გეოგრაფია,
5. დოლიძე თამარ – არითმეტიკა,
6. ვარდიაშვილი ნინო – ქიმია,
7. თოხაძე ზინა – ინგლისური,
8. კონტრიძე მატილდა – ქართული,
9. კუტუბიძე გრიგოლ(გრიშა) – ქართული,
10. ლონგურაშვილი ალექსი – მათემატიკა,
11. ოქრუაშვილი გიორგი(ჟორა) – მათემატიკა,
12. პოლოლიკაშვილი მარგო – ხატვა,
13. ჟორჟოლიანი მარიამი (მარო) – რუსული,
14. როგოვსკოი ოტო – ფიზკულტურა,
15. ფანცურიძე შალვა – ფიზკულტურა,
16. ყანჩაველი მარო – ბოტანიკა.
17. ფერაძე ბიძინა – ინგლისური,
18. შელია ოლღა (ოლია) – რუსული,
19. ჩხენკელი ვალენტინა სისოევნა – რუსული,
20. ცხოიძე (სახელი, სამწუხაროდ, ვერ გავიხსენეთ, რადგან „პეპეშა" შევარქვით) – სამხედრო.
21. წერეთელი ეკატერინე (კატო) – დაწყებითი კლასი.
22. ჯაფარიძე გრიგოლ(გრიშა) – მათემატიკა.

როგორც ამ სიიდან ჩანს, ჩვენს მასწავლებლებს შორის სამი გრიშა იყო: მაგრამ „გრიშას“ თუ ვიტყოდით, კუტუბიძე იგულისხმებოდა. ჯაფარიძეს „ციკლოპა“ შევარქვით, ხოლო ბარამიძეს „ნესტორა“. რაზედაც იგი ძალიან ბრაზდებოდა. ერთხელ „ნესტორამ“, სწორედ ამის გამო ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი დაიბარა, მოვიდა დარბაისელი ქალი და ზრდილობიანად მიმართა:

— ბ-ნო ნესტორ, თქვენ დაგიბარებივართ.

წარმოიდგინეთ, რა რეაქცია მოჰყვებოდა ასეთ მიმართვას „ნესტორას“ მხრიდან.

ამ სიაში გამოგვრჩა მათემეტიკის მასწავლებელი მარიამ ბერიტაშვილი, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის და, რომელიც კახურ კილოზე უქცევდა და ასე გვეტყოდა ხოლმე: „რვეულში გოჯიტოლა ადგილი გამოტოვეთ“-ო. ამიტომაც „გოჯიტოლა“ შეერქვა და შერჩა ცხონებულს.

აქ არ შეიძლება, არ დავასახელოთ „დეიდა ვარია“, რომელსაც დიდი თუ პატარა, ყველა ასე მოიხსენიებდა, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარი, მსახიობ კოტე მახარაძის დედა, უგანათლებულესი ქალბატონი, რომელიც თითქოს მეცხრამეტე საუკუნის არისტოკრატულ-სალონური ალბომიდან ბრძანდებოდა გადმოსული ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის ულამაზესკარიან, უზარმაზარ დარბაზში, სადაც ადრე თურმე სკოლის ეკლესია ყოფილა განთავსებული.

სკოლაში, რასაკვირველია, იყვნენ ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვასწავლიდნენ, მაგრამ სანიმუშო პედაგოგები ბრძანდებოდნენ. მაგალითად მათემატიკის მასწავლებელი ნუნუ თოფურიძე, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, უსათნოესი ირინა ბოლოტინა და ფიზიკის საოცარი მასწავლებელი, ულამაზესი მოხუცი, მუდამ გახამებული თეთრი პერანგით, ძველმოდური, მაგრამ კოხტა კოსტუმით, ქათქათა წვერ-ულვაშით, ანტონ მუჯირი. ასევე ისტორიის მასწავლებელი და ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის უცვლელი გამგე, სრულიად ჭაღარა, დიდებული გარეგნობის კაცი ვანო ხელაია, რომელსაც საოცარი მეხსიერება ჰქონდა და მთელი სკოლის ყოველი მოსწავლის სახელი, გვარი და ოჯახური მდგომარეობა ხუთი თითივით იცოდა.

დირექტორები კი იცვლებოდნენ. პირველ-მეორე კლასში დირექტორად ვინმე ბიბილეიშვილი გვყავდა, მესამედან-მეათემდე საქვეყნოდ ცნობილი ჯაჯუ ჯორჯიკია, მისი გარდაცვალების შემდეგ ქალთა პირველი სკოლიდან გადმოიყვანეს ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი შალვა გიგაშვილი, რომელიც რბილი კაცი აღმოჩნდა და ვაჟთა ველური სკოლის დირექტორ-მომთვინიერებლად ვერ ივარგა და ამიტომაც განათლების სამინისტროს ცნობილი მუშაკი, უმკაცრესი მათემატიკოსი გრიგოლ კიკვაძე გადმოიყვანეს დირექტორად, რომელმაც პირველ გაკვეთილზევე „ნიუტონის ბინომი“ ახსენა თუ არა, სამუდამოდ „ბინომა“ შეერქვა.

ასეთი გახლდათ ჩვენი სკოლის პედკოლექტივი. ახლა კი ჩვენს კლასს მივხედოთ და უპირველეს ყოვლისა, მეტსახელები (თიკუნები), ანუ ქალაქურად „კლიჩკები“ გავიხსენოთ: კლასში ორი „რიჟა“ გვყავდა: მერაბ გამყრელიძე და რეზო გოგორიშვილი. მერაბა „ძაან რიჟა“ იყო, რეზო კი „ისე რიჟა“. გოგია ვანიძეს — „ვან ჩუ“ ერქვა თვალების მოჩინური ჭრილის გამო. ომარ ფრანგიშვილს „ხაიმა“ (ომარ ხაიამი – ხაიამი – ხაიმა) , მურთაზ ბაბუნაშვილს - „ჩიკაგო“ (ინგლისურ-ამერიკული „პონტის“ გამო), მერაბ კიკაჩეიშვილს „ხოზო“, ბუნებრივია, სიმსუქნის აღსანიშნავად, მიშა წულაიას — „სუსლიკა“, ხოლო გურამ ვაშაყმაძეს — „კურკა“ ორივეს, რასაკვირველია ტანმორჩილობის მიზეზით, ამის საწინააღმდეგოდ ჯემალ გაგნიძეს „შომპოლა“ ერქვა ხოლო როლანდ ქართველიშვილს — „ყანჩა“. ამირან მგალობლიშვილს რატომღაც ჯერ „ბადრიჯანა“ ერქვა, შემდეგ კი „ლაბრიჯანად“ გადაკეთდა, ფრანგულ ყაიდაზე, თუმცა ამირანისთვის ეს სახელი ისე იყო, როგორც აქლემისთვის გალია.

იყო ისეთი „კლიჩკებიც“ რომელთა ეტიმოლოგია ბნელით არის მოცული: აი, ისინიც:

ნიკო ქეთიშვილი — „სურენა“, ედუარდ გერსამია - „პოლოსა“, ვახტანგ ცხვედიანი — „ჭიჭო“, გელა ლეჟავა — „იბრუხტა“, სერგო გურციევი — „ჩოვა“, ევგენი მელიქსეთბეგი — „ტუგა“, რეზო მაჭარაშვილი — „ზოჭე“ და სხვ...

ოთარ კუპატაძეს, ჩვეულებრივ, შემოკლებით „ქუფაჩა“ ერქვა, მაგრამ მე მას სხვა სახელი მოვუძებნე. იმ ხანებში წავიკითხე ერთი იაპონური ზღაპარი, რომლის გმირს „დურაკ ჯოტარო“ ერქვა. მე, ბუნებრივია, ოთარსაც ეს სახელი გადმოვარქვი. ოთარი მეტისმეტად ჭკვიანი, ბეჯითი და სანიმუშო მოსწავლე იყო. ცოტა იუკადრისა და მთხოვა: ეს „დურაკი“ არ გამიბაზრო და თუ გინდა „ჯოტარო“ დამიძახეო. ოთარი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და, რასაკვირველია, ეს თხოვნა შევუსრულე,

ზოგს არავითარი ზედმეტი სახელი არ გვქონდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ბიჭები რაღაცას მაინც მოიგონებდნენ ხოლმე. მაგალითად, მე არც ვახუშტის მეძახდნენ და არც ვახოს, მე კლასისთვის „ვახი“ ან „ვახია“ ვიყავი. იყვნენ ისეთებიც, ვისაც არავითარი ზედმეტი სახელი არ ჰქონდა. მაგ.:ზურაბ დანელია, დათო სოკოლოვი, გივი ქარუმიძე, არმაზ სანებლიძე, ჯუმბერ დუდუჩავა, ჯონდო გრძელიძე, შოთა მამისთვალოვი და სხვ... მათ სახელებს მხოლოდ კნინობითის „ა“ დაემატებოდა ხოლმე: ზურაბა, გივია, არმაზა და ა.შ...

ჩვენს კლასში, ისევე როგორც ყველაგან, იყვნენ ბეჯითები და ზარმაცები, წესიერნი და ცელქები, ონავრები და ე.წ. „ამრევები“... მაგრამ ყველაფერი, რაც კლასში ხდებოდა, არასოდეს გადადიოდა ბავშვური ხუმრობების ზღვარს მიღმა. ეს იყო, ასე ვთქვათ, „ანგლობა“ (მაშინ სიტყვა „შაყირი“ ჯერ არ იყო დამკვიდრებული ქალაქური ჟარგონის „სიტყვის კონაში“). იყო ისეთი გაკვეთილები, რომლებზედაც ბუზის გაფრენა ისმოდა, იყო ისეთებიც, „შეითან-ბაზარი“ იმასთან შედარებით საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზი გეგონებოდა. ეს ყველაფერი პედაგოგის ავტორიტეტზე იყო დამოკიდებული. დედიშენის შვილი იყავი, ვალენტინა სისოევნას ან გრიშა კუტუბიძის გაკვეთილზე რამე გაგებედა. ნინო ვარდიაშვილი თუმც უმკაცრესი მასწავლებელი გახლდათ, მაგრამ რეზო გოგორიშვილი მაინც ახერხებდა ქიმიის კაბინეტში თავისი ოინების დემონსტრირებას, რომელთა ჩამოთვლისაგან ამჯერად თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთ მომენტს გავიხსენებ: ვსხედვართ ქიმიის კაბინეტში გაკვეთილის დაწყების მოლოდინში. მასწავლებელი, ნინო ვარდიაშვილი, კაბინეტში ჯერ არ შემოსულა. რასაკვირველია, საერთო ღრიანცელია და ალიაქოთი. რეზო გოგორიშვილმა დერეფანში გაიხედა და შემოვარდა ყვირილით: — ბიჭებო, „ატანდა“! მოდის!

ნინო მასწავლებელი, რომელიც ცოტა კახურ კილოზე უქცევდა და ხმოვნებს აგრძელებდა, კათედრაზე შედგა, კლასს არწივისებური მზერა მოავლო და განაცხადა: — გოოგორიიშვილოოო, შეენ სპიილო ხაარ!

— რათა, მასწ?

— მა მე ატანდა ვაააარ? — ამას კლასის რა რეაქციაც მოჰყვებოდა, ეს ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

ერთხელ ამავე რეზო გოგორიშვილმა სკოლაში ქორი მოიყვანა და შუა გაკვეთილზე აუშვა. დამფრთხალმა ფრინველმა რამდენიმე ირაო შეკრა ჭერის მიდამოებში, შემდეგ კარადის ქიმზე ჩამოჯდა და იქიდან დაგვიწყო ბღვერა. გაკვეთილი, რასაკვირველია, ჩაიშალა და თავქარიანი თუ თავ-ქორიანი რეზო განდევნილ იქნა არამცთუ კლასიდან, არამედ თვით სკოლის შენობიდანაც.

ერთხელ ჩვენი რუსულის მასწავლებელი ვალენტინა სისოევნა ავად შეიქნა და ერთი თვით თუ მეტით, მის ნაცვლად, რუსულის გაკვეთილებს ჩვენი მომდევნო კლასის მასწავლებელი სოკრატ მშვიდობაძე გვიტარებდა, შესანიშნავი პედაგოგი და დახვეწილი ინტელიგენტი. ამ დროს სკოლაში მობრძანდა რეზო გოგორიშვილის დედა, დეიდა თამარი, რათა თავისი გადარეული შვილის ამბები გაეგო. ბედად სოკრატს გადაეყარა და მას ჰკითხა: ჩემი შვილი, რეზო გოგორიშვილი, როგორ სწავლობს, როგორ იქცევაო? სიკრატს აერია რეზო და ჯემალ გოგორიშვილი, რომელიც სანიმუშო ქცევის, ფრიადოსანი მოსწავლე გახლდათ და ჩვენზე ერთი კლასით უკან იყო. სახეგაბრწყინვებულმა სოკრატმა დაიწყო ქება-დიდება:

— ქ-ნო, თქვენი შვილი დიდებული მოსწავლეა. Он оазис в пустыне!

დეიდა თამარი ფრთებშესხმული დაბრუნდა შინ და თავის მეუღლეს, ქიმიის სახელგანთქმულ პროფესორს პლატონს მოახსენა:

— თურმე სულ ტყუილად ვლანძღავთ ჩვენ შვილს. მასწავლებელმა მითხრა: თქვენი ვაჟი „ოაზისიაო უდაბნოში“.

— ეგ ვიზე თქვა, ბიძინაზე? (ბიძინა რეზოს უფროსი ძმა იყო, მართლაც, შესანიშნავი მოსწავლე).

— არა, სწორედ რეზიკოზე. — ამაყად მიუგო დეიდა თამარმა.

— გირჩევ, ხვალვე მიხვიდე და კარგად დაამუსტო. — მიუგო პლატონ ბიძიამ და ისევ გაზეთების კითხვა განაგრძო.

მეორე თუ მესამე დღეს დეიდა თამარი კვლავ მიადგა ბ-ნ სოკრატს, რომელსაც უკვე აღარაფერი შეშლია და განრისხებულმა უთხრა:

— Ваш сын настоящий бандит! — იყო მარტივი და ლაკონური პასუხი და დეიდა თამარს, რასაკვირველია, ეჭვი არ შეეპარვია, რომ ეს ეპითეტი მართლაც, მის შვილს ეხებოდა.

კიდევ ერთი ამბავი წამომაგონდა ჩვენი კლასის ცხოვრებიდან. ადრე სკოლაში სამელნეები ხელით დაგვქონდა. შემდეგ შემოიღეს ასეთი წესი: კლასში იკრიბებოდა ფული, ყიდულობდნენ მთელი კლასისათვის სამყოფ

სამელნეებს, რომლებიც კლასშივე ინახებოდა. ეს, რასაკვირველია, გვათავისუფლებდა სამელნეების ჭანჭყარისა და ტანსაცმელზე მისი ჩამაკვდინებელი ლაქებისაგან.

მეათე კლასში ვართ, 1 სექტემბერია. კლასის დამრიგებელმა, ჟორა ოქრუაშვილმა, ომარ ფრანგიშვილს, როგორც კლასის სტაროსტას უთხრა: — ხვალისთვის ყველას მოატანინე სამელნეების ფული, ჩადი უნივერმაღში და იყიდე!

— მესმის, მასწ. — იყო ომარის მოკლე პასუხი.

მაგრამ ომარ ფრანგიშვილი იმის ჩიტი იყო, რომ რაღაც არ ეხიმანდრა? გაკვეთილების შემდეგ შეიპარა ჩვენს პარალელურ კლასში, რომლის დამრიგებელიც ვალენტინა სისოევნა ბრძანდებოდა, გამოიტანა იქიდან სამელნეები და ჩვენი კლასის კარადაში გადამალა. შეგროვილი ფულით კი ჟორა მასწავლებელი დაპატიჟა ხინკალზე, ლუდზე და არაყზე.

შემდეგ დღეს შემობრძანდება გაკვეთილზე ვალენტინა სისოევნა, მერხებს შორის მიმინოსავით მოატარებს მზერას და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უმკაცრესი სახით იტყვის:

— Прангишвили, немедленно верни мои чернильницы! – ეს ისეთი ტონითა და სახით იყო ნათქვამი, რომ არავითარ კასაციას არ ექვემდებარებოდა. როდესაც ჰკითხეს, როგორ მიხვდით, რომ ეს ფრანგიშვილის გაკეთებული იყოო, მან ასევე ლაკონურად უპასუხა:

— Я знаю его почерк.

ჩვენს კლასში დაბეზღება, „ჩაშვება“ და სხვა ამგვარი ქვეშქვეშობები, რასაკვირველია, გამორიცხული იყო. მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. მაგრამ ამგვარი „ჩაშვების“ კარიკატურულ იმიტაციას მხოლოდ ომარ ფრანგიშვილი ახერხებდა ხოლმე. ის და დათო სოკოლოვი (შემდგომ ჩვენი ტელევიზიის ცნობილი დიქტორი) ერთ მერხზე ისხდნენ. უცებ, ისტორიის გაკვეთილის მეორე ნახევარში, როდესაც როლში შესული მასწავლებელი ახალ გაკვეთილს ხსნიდა, ომარი ვითომ საიდუმლოდ და ჩურჩულით, მაგრამ ისე, რომ მთელ კლასს გაგვეგო, მასწავლებელს ეტყოდა:

— მასწ., მასწ., სოკოლოვმა კვერცხი დადო!

მე მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ეს ერთი აბსურდული განცხადება კლასის სამარისებურ მდუმარებაში რა ხორხოცს გამოიწვევდა.

ერთხელ, შუა ზამთარში, კლასში ისე ციოდა, რომ სუნთქვისას ჩვენი ფილტვებიდან ამოსული ორთქლი კაცს აფიქრებინებდა მთელი კლასი სიგარეტს აფუილებსო. ერთ ასეთ დილას კლასში მისულებს ოთახი გაღუღუნებული დაგვხვდა, ჩვენი უზარმაზარი ღუმელი შეშით იყო გამოტენილი, და ისეთი ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა, გეგონებოდათ ჩაპაევის რაზმი სროლა-სროლით შემოიჭრაო.

— „ხაიმ“, ეს შეშა საიდან?

— დირექტორმა გამოგიგზავნათ, კაი ბიჭები ხართ, არ გამიცივდეთო.

არ გასულა ცოტა ხანი და მთელი სკოლა ფეხზე დადგა: დირექტორის კაბინეტიდან ვიღაცას შეშა მოუპარავსო (მედროგე პავლეს ანალოგია „ვერის უბნის მელოდიებიდან“!). დამნაშავის პოვნას დიდი შერლოკ ჰოლმსობა არ სჭირდებოდა. მთელ გაყინულ სკოლაში მხოლოდ ჩვენი კლასი იყო, როგორც გაღუღუნებული საუნა. გაიღო კლასის კარი და შემობრძანდა თავად დირექტორი რამდენიმე პედაგოგის თანხლებით. მიმოიხედეს მკაცრი სახეებით. ბოლოს „ბინომას“ ულვაშებში ჩაეცინა და ისე გავიდა ოთახიდან, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ომარას ოინი ხახვივით შეგვრჩა და შეგვერგო.

სკოლასთან უშუალო კავშირში იყო ე.წ. „შატალო“ ანუ გაკვეთილების გაცდენა. არსებობდა „შატალო“ ინდივიდუალური, ჯგუფური და მთელი კლასისათვის საერთო, რომელსაც „ობშჩი შატალო“ ერქვა. ინდივიდუალური იყო, როდესაც ამა თუ იმ გაკვეთილიდან მარტოკა „აითესებოდი“, ჯგუფური, როდესაც ძმა-კაცები ერთად მიდიოდით სადმე სახეტიალოდ (სტადიონზე, ველო-ტრეკზე, კინოში დილის სეანსზე, კუს ტბაზე ან სადმე „ჯანდაბა და ოხრობაში“...), ხოლო „ობშჩი შატალო“ სავალდებულო იყო მთელი კლასისათვის, ვინაიან იგი უკვე საერთო აქციის მნიშვნელობას იძენდა და ყველა ვალდებული იყო დამორჩილებოდა კლასის „წმიდათა-წმიდა კოდექსს“. არა და დაგერქმეოდა „ტრ..ი“ და ამ „ტიტულს“ ველარ მოიშორებდი სიცოცხლის ბოლომდე. ჩვენს კლასში ასეთი „ტიტულის“ მქონე „ჩმორები“ არ არსებობდნენ. „ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის“ ეს პრინციპი განუხრელად მოქმედებდა თერთმეტი წლის მანძილზე.

კომკავშირლობის დრო იყო. თვეში ერთხელ კედლის გაზეთის გამოკიდება გვევალებოდა, ყოვლად ტრაფარეტულისა და არაფრისმთქმელის. ცოტა სიცოცხლე რომ შეგვეტანა კლასის ცხოვრებაში, გადავწყვიტეთ, კედლის გაზეთის ალტერნატივა – იუმორისტული ფურცელიც აგვეკრა მის გვერდით, სახელად „ბიულეტენი“, რომლის რედაქტორობა

რეზო გოგორიშვილმა დაიბრალა. მე, რასაკვირველია, უაქტიურესი ავტორი გახლდით, როგორც პროზაულ, ასევე პოეტურ რეპერტუარში. ზოგიერთი რამ გავიხსენე ჩემი „ბიულეტენური“ შემოქმედებიდან:

ოთარ კუპატაძე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად დანიშნეს. ჩვენ, ბუნებრივია, მას ისევ ჩვენს ძმა-კაცად ვთვლიდით და მის სამართლიან შენიშვნებს სერიოზულად არ აღვიქვამდით. ამის გამო მე ასეთი რამ დავუწერე:

„ოთარამ თქვა: მე მდივანი ვარ, დივანი კი არა, თავზე რომ მასხდებითო.“

დათო სოკოლოვი ინდივიდუალური შატალოების დიდოსტატი იყო და ხშირად აცდენდა გაკვეთილებს. რამდენჯერაც ჰკითხავდნენ მასწავლებლები: გაკვეეთილები რატომ გააცდინეო, პასუხი ერთი ჰქონდა: - ბებია გარდამეცვალაო. მე ამის გამო ასეთი კაფია გამოვუთქვი:

„ჩვენს დათუნა სოკოლოვს
სევდა დაუფლებია,
წელს და შარშან დამარხა
ოცდაათი ბებია.“

ჩვენი კლასელი რეზო მაჭარაშვილი (იგივე „ზოჭე“) უცნაური ზნის ბალღი იყო. მხრებზე ზურგჩანთით და ხელში მომცრო წერაქვით დაეხეტებოდა თბილისის შემოგარენში და გამალებული თხრიდა ორმოებს. ამეებს რად სჩადიხარო, თუ ჰკითხავდი, — ოქროს მადანს ვეძებო, — გიპასუხებდათ. აბა, ამ მოვლენას როგორ არ გამოვხმაურებოდი „ბიულეტენის“ ფურცლებზე:

„მაჭარაშვილის სისხლის მაჭარი
ვიწრო ძარღვებში დუღს და გადადის,
გულში უნთია მწველი ხანძარი
და ის სკოლაში მიტომ არ დადის.

გაკვეთილს უქმად არ აცდენს რეზო.
სურს, ხალხს მოხმარდეს მისი მარჯვენა,
დაეხეტება ის ეზო-ეზო
ოქროს მადნების აღმოსაჩენად.“

რამდენჯერმე სცადეს ჩვენი კლასის დაშლა და სხვადასხვა კლასებში გადანაწილება, მაგრამ ვერცერთხელ ვერ მოახერხეს. წამოვდგებოდით, ორრიგად დავეწყობოდით და ჯარისკაცური მწყობრი ნაბიჯით გავეშურებოდით კარისაკენ.

— სად მიდიხართ? — დაგვადევნებდნენ მუქარანარევ კითხვას დირექტორი და მასწავლებლები.

— მეორე ვაუთაში! — იყო ერთხმად ჩვენი პასუხი.

სკოლის დამთავრების შემდეგ

I რიგში (მარცხნიდან): ევგენი მელიქსეთბეგი, გივი ქარუმიძე, გოგი ვანიძე, ოთარ კუპატაძე, რეზო გრძელიძე, II რიგში: მიშა წულაია, ამირან მგალობლიშვილი, თამაზ ყურაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ჯუმბერ დუდუჩავა, ირეოდიონ ოქრუაშვილი, თენგიზ მუსელიანი, არმაზ სანებლიძე, როლანდ კახიძე, III რიგში: გელა ლეჟავა, რეზო გოგორიშვილი, სერგო გურციევი, როლანდ ქართველიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ვახტანგ ცხვედიანი, მურთაზ ბაბუნაშვილი, ზურაბ დანელია, ჯემალ გოქაძე.

კომუნისტურ ხანაში ასეთი რამ რევოლუციურ ამბოხს უდრიდა. მთელი კლასი აყრილიყო და ერთი სკოლიდან მეორეს მისდგომოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ არც დირექტორს და არც პედაგოგებს სკოლასთან აღარ მიასუნიებდნენ.

— ახლავე დაბრუნდით და დასხედით თქვენ-თქვენ ადგილებზე!

გვეტყოდნენ და გაიჯახუნებდნენ საკლასო ოთახის კარს. თან ელიმებოდათ. ალბათ, გუნებაში მოსწონდათ კიდეც ჩვენი მეგობრული ერთსულოვნება.

იმდროინდელი ეპოქის პანორამა სრული ვერ იქნება, ერთ დაუწერელ „კანონს“ თუ არ გავიხსენებთ. მეოთხე კლასამდე ყველა ბავშვი „ოქტომბრელი“ უნდა ყოფილიყო, მეცხრემდე — „პიონერი“, ხოლო შემდეგ „კომკავშირელი“. ოქტომბრელებს რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არ გვქონდა. უბრალოდ, ეგრე გვეძახდნენ და ჩვენც იმ ანდაზის პრინციპით ვეგუებოდით: „მეძახიან მელქოსაო, დაე, ეგრე მერქოსაო.“ თუმც კარგად ვერ გაგვეგო, ე.წ. „ოქტომბრის რევოლუციის“ წლისთავებს 7 ნოემბერს რატომ გვაზეიმებდნენ?! პიონერობა უკვე წითელი ყელსახვევის სავალდებულო ტარებას ნიშნავდა. ჩვენ ეს ყელსახვევები კლასში კი გვეკეთა, რომელიც გაკვეთილებს შორის შესვენებებზე მოგვებრიცებოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც კი სკოლიდან გამოვიდოდით, იმწამსვე ვიხსნი-

დით და ჯიბეებში ვიტენიდით. კომკავშირლეები რომ გავხდით, სამკერდე ნიშნები დაგვირიგეს, რომლებიც ცოტა ხანს კი ვატარეთ, მაგრამ მალევე სადღაც-სადღაც მოვისროლეთ და ამგვარი სისულელეებისაგან საბოლოოდ გავთავისუფლდით. ამ სამკერდე ნიშნის ტარება „გვეპაზორებოდა", ვინაიდან მაშინდელი ჟარგონით „პადხალიმობად" და „სირისტიანობად" ითვლებოდა.

ახლა კი გავიხსენოთ, როგორ აღმოვჩნდი კომკავშირელთა რიგებში, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ხალხის მტრის" შვილი ვიყავი და კომკავშირლობის არავითარი სურვილი არ მქონია.

მეცხრე კლასი დაგვეწყო. რომელიღაც სექტემბერია. დაახლოებით 10-12 ბიჭმა გაკვეთილებიდან „პლეტი ვიყიდეთ" (ე.ი. ავითესეთ) და ლისის ტბისკენ გავწიეთ საბანაოდ. შუა ჭყუმპალაობაში ვართ და რომელიღაც ჩვენი კლასელი აქლოშინებული მოვარდა, სასწრაფოდ კომკავშირის რაიკომში გვიბარებენ მთელ კლასს და წამოდითო. თავქუდმოგლეჯილები გამოვცვივდით სველები, დაჭმუჭნულები, თმებაბურძგნულები და ქვიშიანები. ერთი სიტყვით, ბოშათა ბანაკის „კლიენტების" ჰაბიტუსით. ეგრევე, ჩგვამწკრივეს და დაიწყო სასწრაფო ცერემონიალი. მაშინ ჩვენი ანუ კალინინის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი ეთერ თაბუკაშვილი იყო, მამიდაჩემის უახლოესი მეგობრის შვილი, რომელიც ბავშვობიდანვე კარგად მიცნობდა. მის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, მე, ბუნებრივია, კომკავშირში არც მიმასუნინებდა და კარგსაც იზამდა.

ძვირფასო მკითხველო, მე ისეთ რაკურსში წარმოგიდგინე ჩვენი კლასი, რომ ალბათ იფიქრებ, ეს რა აბდა-უბდა ხალხი ყოფილა, ნეტავ რა რჯიდა ავტორს, ამდენი დრო და ადგილი რომ დაუთმო ამ კლასის ცხოვრებასო. არც ეგრეა საქმე, ჩემო ბატონო! ჩვენი კლასი უძლიერესი იყო, ჩვენ-ჩვენ საგნებში საუკეთესონი გახლდით. ამიტომაც სკოლის დამთავრებისას მოვხვეტეთ თერთმეტი ოქროსა თუ ვერცხლის მედალი და ჰაიდა, დავიქსაქსენით საქართველოსა თუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც წარჩინებით დავამთავრეთ, ასევე წარმატებით გავიარეთ ასპირანტურებიც და დოქტორანტურებიც, დოცენტებიც გავხდით და პროფესორებიც, ზოგმა აკადემიკოსობასაც გამოჰკრა ხელი. ზოგი მინისტრი გახედა, ზოგი დიდი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ზოგი დიდი სამმართველოს უფროსი და ბევრიც სამეცნიერო ინსტიტუტების დირექტორთა მოადგილეები სწორედ სამეცნიერო დარგში.

აბა, ჩემთვის რომ დაგეჯერებინათ, ხომ შეცდომით იფიქრებდით, რომ ყალთაბანდების ხროვასთან გქონდათ საქმე. ამიტომ იცოდეთ, კლასელების ერთმანეთთან შაყირს სერიოზულად ნუ მიიღებთ. „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო!"- ნათქვამია.

მინაწერი: სკოლის დამთავრების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრას რომ ვგეგმავდით, ბიჭებმა მთხოვეს: კარგი იქნებოდა, ჩვენი კლასის „ჰიმნის" ტექსტი დაგეწერა, მუსიკას კი მაცაცოს (ანუ ჩვენი კლასის რძალს, ედუარდ გერსამიას მეუღლეს, ცნობილსა და ვარსკვლავოსან კომპოზიტორს რუსუდან სეფისკვერაძეს) ვთხოვთ და უარს არ გვეტყვისო. კლასის ეს თხოვნა მე და მაცაცომ უყოყმანოდ აღვასრულეთ. მე ნოტებისა ბევრი არაფერი გამეგება, ტექსტი კი ასეთი გახლდათ:

სკოლის დამთავრებიდან
20 წლისთავზე თქმული

დღეს პირველი სკოლის ბაღში
რაღაც ხდება საეჭვო,
რამდენიმე კაცი უცებ
შეთქმულივით დაერჭო.

იმათ სხვები მიემატნენ
შეკრბა მთელი ლაშქარი
ყაყანებენ: — ვინ გვაკლია?
— ყველა უკვე აქ არი!

ზოგს თმა გადასთეთრებია,
ზოგს კი არც შერჩენია,
ზოგი ხვნეშის და უკბილო
პირი დაუფჩენია.

მაგრამ მაინც ეს ვაჟები
ჰგვანან შეთქმულ მეომრებს,
ფრთხილად, დღეს აქ იკრიბება
მეთერთმეტე მეორე.

ფრთხილად, კარი გადარაზეთ,
დირექტორო ახალო,
სკოლაში არ შემოცვივდნენ
თავი მერხს არ ახალონ.

სხვა კლასელებს არ მიუხტნენ
ღრიალით და მუშტებით,
მერე ხაზვის გაკვეთილზე
არ დაბერონ ბუშტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფები არ ააჭრელონ,
მერხები არ დათალონ,
დირექტორის ცხვირწინ უცებ
არ მოაწყონ „შატალო“.

ყვირილით და ღრიანცელით
არ აიკლონ კედლები,
მერე უცებ არ მოხვეტონ
მთელი სკოლის მედლები.

არ წაიღონ სიყვარული
ძველი მასწავლებლების,
თუმც კი იყვნენ ცელქები და
ყველას მაწვალებლები.

და დღეს ერთად თავმოყრილნი
ისევ ჰგვანან მეომრებს,
ფრთხილად, უკვე შეკრებილა
მეთერთმეტე მეორე.

ეს „ჰიმნი“ შესრულებულ და მოსმენილ იქნა დიდი ოვაციებით ჯერ თბილისის პირველი სკოლის სააქტო დარბაზში, შემდეგ კი — ბანკეტზე.

მაგრამ ჩვენი ბიჭები ამას არ დასჯერდნენ. 30 წლისთავისთვის ახალი ჰიმნის დაწერა მომთხოვეს. მე ვჯიუტობდი: ყოველი შეკრებისთვის ახალ-ახალი ჰიმნების შექმნა რომელ ტიპიკონში გიწერიათ-მეთქი?! მაგრამ კლასელები ხომ კაცობრიობის იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთაც ვერაფერს შეასმენ. მე და მაცაცოსაც მეტი რა გზა გვქონდა, შევქმენით ახალი სიმღერა ასკის გამო ოდნავ სევდანარევი იუმორით გაზავებული. აი, ისიც:

სკოლის დამთავრებიდან 30 წლისთავზე თქმული

დღეს ისეთი დიდი დღეა,
გაჩუმება ძნელია,
რაც ჩვენ სკოლა დავამთავრეთ,
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

დღეს ყოველი მოგონება
ტკბილია და მწველია,
სიყვარული არ ნელდება
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

თუმცა ცოტა დავქიჩმაჩდით,
ჯანიც გამოგველია,
მაგრამ მაინც ბიჭები ვართ
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

ზოგს ჭაღარამ დაათოვა,
ზოგიც თავშიშველია,
ჭკუა არ მოგვმატებია
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

ცოლები გვყავს დახატული
ალვას უგავთ წელია,
ჩვიდმეტ წელს ვერ გადასცილდნენ
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

ჩვენთვის ძველი ახალია,
ახალი კი ძველია,
არაფერი არ ძველდება
ოცდაათი წელია.

მისამღერი: ოცდაათი, ოცდაათი,
ოცდაათი წელია.

ბერნჰარდ შლინკი

ბოგონა ხვლიკით

ბერნჰარდ შლინკი (1944), თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი მწერალი, პროფესიით იურისტი, ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერლინში. იგი მრავალი ლიტერატურული პრემიისა და პრიზის მფლობელია.

1

სურათზე გოგონა ეხატა, გოგონა ხვლიკით. ისინი შესცქეროდნენ ერთმანეთს და არც შესცქეროდნენ: გოგონა ხვლიკს მეოცნებე მზერით, ხვლიკი გოგონას უსინათლო, ელვარე თვალებით. რადგან ხავსმოკიდებულ კლდის ნატეხზე მუცლით ნახევრად მიყრდნობილი და ნახევრად მიწოლილი გოგონა ფიქრებს შორს გაეტაცა, არად დაგიდევდა ხვლიკის სიახლოვეს. ხვლიკიც გარინდებულიყო, თავი აეწია და ენა გამოეყო.

ებრაელის გოგოო, ასე მოიხსენიებდა ხოლმე ბიჭის დედა სურათზე გამოხატულ გოგონას: „ებრაელი გოგოს სურათი აქ უნდა ეკიდოს? ბიჭს ებრაელი გოგოს სურათის ქვეშ უნდა ეძინოს?“ როცა მშობლები ჩხუბობდნენ, მამა წამოდგებოდა და თავის კაბინეტს მიაშურებდა, “წადი შენს ებრაელის გოგოსთანო“, - მიაძახებდა დედა. სურათი იმ ტახტის ზემოთ ეკიდა, რომელზეც ბიჭი შუადღისას იძინებდა, მაშინ, როცა მამა გაზეთის კითხვისთვის მოიცლიდა. ბევრჯერ მოუსმენია ბიჭს, როგორ უხსნიდა მამა დედას, გოგონა სურათიდან ებრაელის გოგო არ არის, წითელი ხავერდის ქუდი, რომელიც მჭიდროდ აქვს მორგებული თავზე და თითქმის დაფარულია ხშირი, წაბლისფერი კულულებით, რელიგიური ან ფოლკლორული ატრიბუტი კი არ არის, არამედ მოდურია. „ასე იმოსებოდნენ გოგონები მაშინ. გარდა ამისა, ებრაელებში მამაკაცებს ახურავთ ქუდები და არა ქალებს.“

გოგონას მუქი წითელი ქვედატანი და ღია ყვითელი პერანგი ეცვა, პერანგზე კორსაჟივით ზურგზე ზონრებით შეკრული მუქი ყვითელი ზედატანი ჰქონდა შემოცმული. მისი სხეული და სამოსი გვარიანად ფარავდა კლდის ნატეხს, რომელზეც ფუნჩულა ბავშვური მკლავები დაეწყო და ნიკაპი დაეყრდნო. რვა წლის იქნებოდა. სახე ბავშვის ჰქონდა. მაგრამ გამოხედვა, სავსე ტუჩები, შუბლზე დახუჭუჭებული, ზურგზე და მხრებზე ჩამოშლილი თმა – ქალური. ღაწვებსა და საფეთქლებზე დაფენილი თმის ჩრდილი საიდუმლოებით იყო დამუხტული. სრული სახელოების სიმუქე, რომელშიც შიშველი მხარი გაუჩინარებულიყო – ცდუნებით. ზღვა, კლდის ნატეხის და სანაპიროს პატარა მონაკვეთს უკან ჰორიზონტამდე რომ გადაჭიმულიყო, ქუფრ ტალღებს მოაგორებდა: მზის შუქს ლეგა ღრუბელი გაერღვია, ზღვის ერთი ნაწილი აებრდღვიალებინა და გოგონას სახე და მკლავები შუქში გაეხვია.

თუ ირონია იყო ეს ყველაფერი? ვნება, ცდუნება, საიდუმლოება და ქალი ბავშვში. ირონია იყო მიზეზი, სურათი რომ არა მარტო ხიბლავდა, არამედ აბნევდა კიდეც ბავშვს. დაბნეული ხშირად იყო. დაბნეული იყო, როცა დედა გესლიან კითხვებს სვამდა, მამა კი სიტუაციის განმუხტვას სიგარის გაბოლებით და გაზეთის კითხვით ცდილობდა, მაშინ, როცა ჰაერი კაბინეტში ისე იყო დამძიმებული, ბიჭი მოძრაობას კი არა, სუნთქვასაც ძლივს ბედავდა.

2

დედა თანდათან წყვეტდა ებრაელის გოგოზე ლაპარაკს და მამასაც აღარ მიჰყავდა კაბინეტში დასაძინებლად. ერთხანს შუადღისას თავის ოთახში იძინებდა, ბოლოს კი შუადღის ძილის

პერიოდმა საერთოდ ჩაიარა. უხაროდა . ცხრა წლის იყო. რატომ უნდა გაეკეთებინა ის, რასაც მისი თანატოლები უკვე აღარ აკეთებდნენ.

მაგრამ გოგონა ხვლიკით აკლდა. შეიპარებოდა ხოლმე მამის კაბინეტში, თვალს შეავლებდა სურათს და ერთ-ორ სიტყვას ესროდა გოგონას. იმ წელს სწრაფად გაიზარდა სიმაღლეში. თვალებით ჯერ სქელ ოქროსფერ ჩარჩოს სწვდებოდა, შემდეგ – კლდეს, მოგვიანებით კი – გოგონას თვალებს.

ღონიერი ბიჭი იყო, მხარბეჭიანი და ძვალმსხვილი. როცა ტანი აიყარა, მისი მოუქნელობა გულის ამაჩუყებელი კი არა, ცოტათი შიშისმომგვრელი გახდა. ჰოდა, ამხანაგებს ეშინოდათ მისი, ეშინოდათ მაშინაც კი, როცა მათ თამაშის, კამათის ან ჩხუბის დროს ეხმარებოდა. მარტოსული იყო. მან ეს იცოდა, თუმც არ იცოდა, რომ გარეგნობას – სიმაღლეს, მხარბეჭს და ძალას ექცია მარტოსულად. ფიქრობდა, შინაგანი სამყაროს ბრალია, რომელთან და რომელშიც ვცხოვრობო. არც ერთი ამხანაგი არ იზიარებდა ამ სამყაროს, თუმც თავადაც არავის ეპატიჟებოდა მასში. აზიზი ბავშვი რომ ყოფილიყო, ალბათ, დანარჩენ აზიზ ბავშვებში იპოვნიდა ამხანაგსა და მეგობარს, მაგრამ სწორედ ისინი უფრთხოდნენ მას.

მისი შინაგანი სამყარო დასახლებული იყო არა მარტო იმ სახეებით, რომელთაც წიგნებიდან, სურათებიდან ან ფილმებიდან იცნობდა, არამედ ხილული სამყაროს პირთაგანაც, თუმც ვარირებულ ფორმაში. გრძნობდა, როცა ხილულ სამყაროს უკან სხვა რამ უჩინარი იმალებოდა. გრძნობდა, რომ მის ფორტეპიანოს მასწავლებელს რაღაც ბორკავდა, მათი ოჯახის საყვარელი ექიმის თავაზიანობა ჭეშმარიტი არ იყო, რომ მეზობლის ბავშვი, რომელთანაც ზოგჯერ თამაშობდა, რაღაცას უმალავდა. გრძნობდა დიდი ხნით ადრე, სანამ ბავშვის ქურდობა, ექიმის მიდრეკილება პატარა ბიჭებისადმი და მასწავლებლის ავადმყოფობა გამომჟღავნდებოდა. როგორ ხდებოდა ეს, მან არც სხვებზე უკეთ იცოდა და არც სხვებზე ადრე, თუმც, არც აინტერესებდა. ერჩივნა რამე წარმოესახა. წარმოსახვა კი უფრო ფერადოვანი და ამაღლებული იყო, ვიდრე რეალობა.

დისტანცია მის შინაგან და ხილულ სამყაროს შორის შეესაბამებოდა იმ დისტანციას, რომელსაც ბიჭი საკუთარ ოჯახსა და სხვა ადამიანებს შორის ამჩნევდა. მამა, ქალაქის სასამართლოს მოსამართლე, მყარად იდგა ფეხზე, ხარობდა თავისი საქმიანობის პრესტიჟულობით, სიამოვნებით ტრიალებდა ადგილობრივ მაღალ საზოგადოებაში, გავლენა ჰქონდა ქალაქის პოლიტიკაზე და ეკლესიის მრევლის პრესვიტერადაც კი აარჩევინა თავი. მშობლები ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ღებულობდნენ მონაწილეობას – დადიოდნენ კარნავალებსა და მეჯლისებზე, სტუმრად ოჯახებში და თავადაც ეპატიჟებოდნენ სტუმრებს. ბიჭის დაბადების ხუთ წლისთავს, როგორც მიღებული იყო, ხუთი სტუმრით ზეიმობდნენ, ექვს წლისთავს – ექვსი სტუმრით და ა. შ. და, საერთოდ, ყველაფერს არსებული წესის მიხედვით აკეთებდნენ, ისე, როგორც ორმოცდაათიანი წლების ფორმალურობასა და ეტიკეტს შეეფერებოდა. დისტანცია, რომელსაც ბიჭი მის ოჯახსა და დანარჩენ ადამიანებს შორის გრძნობდა, მაშასადამე, ფორმალურობასა და ეტიკეტში კი არ მდგომარეობდა, არამედ სხვა რამეში: მშობლებს თითქოს რაღაც უკან ხევდა, რაღაცის დაფარვა სურდათ. ისინი ფრთხილობდნენ. როცა ვინმე იხუმრებდა ან ანეგდოტს მოყვებოდა, მაშინვე კი არ გაიცინებდნენ, სხვების გაცინებას ელოდებოდნენ. კონცერტზე და თეატრში მხოლოდ მას შემდეგ დაუკრავდნენ ტაშს, როცა სხვები გააკეთებდნენ ამას. სტუმრებთან საუბრისას ყოველთვის თავს იკავებდნენ საკუთარი აზრის გამოთქმისგან. თუ ვინმეს აზრი მათსას დაემთხვეოდა, დათანხმებით შემოიფარგლებოდნენ. მამა ხანდახან იძულებული იყო, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია და აზრი გამოეთქვა, რომლის დროსაც ძალიან იძაბებოდა.

იქნებ მხოლოდ ტაქტიანები იყვნენ და არ სურდათ ჩარევა, თავის მობეზრება? ეკითხებოდა ბიჭი თავის თავს, როცა გაიზარდა და უფრო შეგნებულად აღიქვა მათი სიფრთხილე. სხვა კითხვებიც არ ასვენებდა: რატომ უკრძალავდნენ ასე შეუპოვრად მათ საძინებელ ოთახში შესვლას? მართალია, ოთახის კარს არავინ უკეტავდა, მაგრამ აკრძალვა იყო არაორაზროვანი და მშობლების ავტორიტეტი – შეუვალი. ცამეტი წლისამ შეაღო პირველად მათი საძინებლის კარი და ორი განცალკევებულად მდგარი საწოლი, ორი ტუმბო, ორი სკამი, ერთი ხის და ერთი მეტალის კარადები იხილა. მშობლები იმის დამალვას ცდილობდნენ, რომ საერთო სარეცელი არ ჰქონდათ? თუ მასში მესაკუთრეობის და პატივისცემის გრძნობის გამომუშავება სურდათ? აკი მის ოთახშიც არ შედიოდნენ დაკაკუნების და მიწვევის გარეშე.

3

მამის კაბინეტში შესვლა არ ჰქონდა აკრძალული, მიუხედავად იმისა, რომ სურათში – გოგონა ხვლიკით რაღაც საიდუმლოება იმალებოდა.

გიმნაზიის მესამე კლასში იყო, როცა მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, ამოარჩიეთ რომელიმე სურათი და აღწერეთო. „სურათი თან მოვიტანო“? – იკითხა ერთმა მოსწავლემ. „არა“, თავი გააქნია მასწავლებელმა, „ის ისე კარგად უნდა აღწერო, კითხვისას თვალწინ

ნარმოგვიდგეს". ბიჭი, რა თქმა უნდა, გოგონას ხვლიკით აირჩევდა. ახარებდა სურათის ცქერა, მისი სიტყვებსა და წინადადებებში გადატანა და მასწავლებლისა და თანაკლასელებისათვის წარდგენა. მამის კაბინეტში ჯდომაც ახარებდა. კაბინეტი ვიწრო ეზოში გადიოდა. დღის შუქი და ქუჩის ხმაური ნაკლებად აღწევდა მასში. კედლები სავსე იყო თაროებით და წიგნებით. ოთახში მოწეული სიგარის მკაცრი სურნელება იდგა.

მამა სადილად სახლში არ მოსულა და დედაც ნასადილევს ქალაქში წავიდა. ასე რომ, ბიჭს ნებართვა არავისგან აუღია, ისე მოკალათდა კაბინეტში, მიაჩერდა სურათს და დაიწყო წერა: „სურათზე მოჩანს ზღვა, მის წინ სანაპირო, სანაპიროს წინ კლდე თუ დიუნი, მასზე გოგონა და ხვლიკი". არა, მასწავლებელმა თქვა, ჯერ სურათის წინა პლანი უნდა აღწეროთ, შემდეგ შუა და ბოლოს უკანაო. "სურათის წინა პლანზე არის გოგონა და ხვლიკი კლდეზე თუ დიუნზე, შუა პლანზე არის ზღვის სანაპირო და შუა პლანიდან უკანა პლანისკენ – ზღვა". ეს ზღვაა? ღელავს ზღვა? მაგრამ ზღვა შუა პლანიდან კი არ ღელავს უკანა პლანისკენ, არამედ უკანა პლანიდან შუა პლანისკენ. გარდა ამისა, საშინლად ჟღერს შუა პლანი. არც წინა და უკანა პლანი ჟღერს უკეთესად. და სულ ეს არის, რაც გოგონას შესახებ შეიძლება ითქვას?

ბიჭმა თავიდან დაიწყო: "სურათზე არის გოგონა. იგი შესცქერის ხვლიკს". ეს არ იყო ყველაფერი, რისი თქმაც გოგონას შესახებ შეიძლებოდა. გააგრძელა: "გოგონას ფერმკრთალი სახე, ფერმკრთალი მკლავები და წაბლისფერი თმა აქვს, ზემოთ რაღაც ღია ფერის აცვია, ქვემოთ – მუქი ქვედატანი". ამითაც არ იყო კმაყოფილი. კიდევ ერთხელ სცადა: "სურათზე გოგონა უყურებს ხვლიკს, როგორ თბება იგი მზეზე". ასეა? გოგონა ხვლიკს უყურებს თუ მის მილმა იცქირება? ერთხანს ყოყმანობდა. შემდეგ კი სულერთი იყო მისთვის, რადგან პირველ წინადადებას მეორე მოჰყვა: "გოგონა საოცრად მშვენიერია", ეს ნამდვილად ასე იყო. აღწერა უკვე სინამდვილეს შეესაბამებოდა: "სურათზე გოგონა შესცქერის ხვლიკს, როგორ ეცხუნება იგი მზეს. გოგონა მშვენიერია. მას აქვს ნაზი სახე, ნათელი შუბლი, სწორი ცხვირი, ნაჭდევი ზემო ტუჩზე, თაფლისფერი თვალები და წაბლისფერი თმა. ისე, სურათი მხოლოდ გოგონას თავია. ყველაფერი დანარჩენი, რაც წარმოდგენილია ხვლიკით, კლდით თუ დიუნით, პლაჟით და ზღვით, არ არის მნიშვნელოვანი".

ბიჭი კმაყოფილი იყო. ახლა მას ყველაფერი მხოლოდ წინა, შუა და უკანა პლანზე უნდა გადაეწია. იგი ამაყობდა გამოთქმით – რაც წარმოდგენილია. ეს ჟღერდა ელეგანტურად და არაბავშვურად. გოგონას სილამაზითაც ამაყობდა.

გაიგონა, როგორ გაიღო ბინის კარი, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ესმოდა, როგორ დადო მამამ საქაღალდე, გაიხადა და ჩამოკიდა პალტო, შეიხედა სამზადსა და მისაღებ ოთახში. როცა მისი ოთახის კარზე დააკაკუნა, აქ ვარო – დაუძახა, დაჯღაბნილი ფურცლები ზომის მიხედვით დააწყო რვეულზე, გვერდით კი კალმისტარი მიუდო. ასე ეწყო აქტები, ფურცლები და ფანქრები მამის საწერ მაგიდაზე.

„აქ ვარ, რადგან სურათის აღწერა მაქვს დავალებული და აღვწერე სურათი", გაიღო თუ არა კაბინეტის კარი, მიახალა მამას.

მამა ერთი წამით შეყოვნდა. „რომელი სურათი? რას აკეთებ?"

ბიჭმა ერთხელ კიდევ აუხსნა. მამის პოზამ, როგორ გაჩერდა იგი, როგორ შეხედა სურათს და შეჭმუხნა შუბლი, მიახვედრა ბიჭი, რომ რაღაც სწორად ვერ გააკეთა. "რადგან აქ არ იყავი, ვიფიქრე..."

„შენ"... მამის ხმაში თავშეკავება იგრძნობოდა.

ახლა აიწყვეტს და აღრიალდებაო, გაიფიქრა ბიჭმა და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ მამა არ აღრიალებულა. თავი გადააქნია, დაჯდა საწერ მაგიდასა და მაგიდას შორის, რომელიც აქტების შესანახად ემსახურებოდა და რომლის მეორე მხარეს ბიჭი იჯდა. მამის უკან , საწერი მაგიდის თავზე სურათი ეკიდა. საწერ მაგიდასთან დაჯდომა ბიჭს ვერ გაებედა.

„შეგიძლია წამიკითხო, რა დაწერე?"

ბიჭი უკითხავდა ამაყი და დამფრთხალი ერთსა და იმავე დროს.

„ძალიან კარგად დაგიწერია, ჩემო ბიჭო. ზუსტად წარმომიდგა სურათი თვალწინ. მაგრამ"... ერთხანს შეყოვნდა „ეს სხვებისთვის არ გამოდგება. სხვებისთვის სხვა სურათი უნდა აღწერო".

ბიჭი ისე იყო გახარებული, მამის რისხვას რომ გადაურჩა, ყველაფრისთვის მზად იყო, მაგრამ ვერ გაეგო "რატომ არ გამოდგება სხვებისთვის"?

„განა ზოგი ნივთი მხოლოდ შენთვის არ გინდა? განა გსურს, რომ ჩვენ ან შენი მეგობრები ყველა შენს ქმედებას ვესწრებოდეთ? ადამიანები შურიანები არიან, მათ განძი არ უნდა უჩვენო. რადგან ან დაღონდებიან, იმიტომ, რომ ის გაქვს, რაც მათ არა აქვთ, ან დახარბდებიან და წაგართმევენ მას".

„ჩვენი სურათი განძია?"

„ეს შენ თავად იცი. ისე ზუსტად და მშვენივრად აღწერე, როგორც მხოლოდ განძს აღწერენ ხოლმე".

„მე ვგულისხმობ, ისეთი ღირებულია, რომ სხვების შურს გამოიწვევს"?

მამა შეტრიალდა და სურათს შეხედა. "დიახ, ძალიან ღირებულია და არ ვიცი, შევძლებ თუ არა მის დაცვას, თუ ვინმე მის მოპარვას შეეც-

დება. უკეთესი არ არის, სულ არ იცოდნენ, რომ გვაქვს“?

ბიჭი დაეთანხმა.

„მოდი, დავათვალიეროთ სურათებიანი წიგნი. უეჭველად ვიპოვნით რამეს, რაც მოგეწონება“.

4

თოთხმეტი წლის იყო, როცა მამამ მოსამართლეობას თავი დაანება და დაზღვევაში დაიწყო მუშაობა. ჩანდა, რომ ეს ხალისით არ გაუკეთებია, თუმცა არასდროს დაუჩივლია. არც ის აუხსნია, რატომ გამოიცვალა სამუშაო ადგილი. მხოლოდ წლების შემდეგ გამოარკვია ბიჭმა ეს. სამსახურის გამოცვლას ბინის გამოცვლა მოჰყვა. ნაცვლად ოთხსართულიანი ვილჰელმიანური სახლის მდიდრული ბინისა ქალაქის ცენტრში, ბინების მშენებლობის სოციალური პროგრამით დაფინანსებულ და მისი ნორმების მიხედვით აშენებულ ოცდაოთხოჯახიან სახლში გადავიდნენ ქალაქის განაპირას. ოთახი ოთხი ჰქონდათ, მაგრამ პატარა და დაბალჭერიანი. მეზობელი ბინებიდან სისტემატურად შემოდიოდა ხმაური და სუნი. მისაღებ, საძინებელ და ბავშვის ოთახთან ერთად მამამ კაბინეტიც შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ აღარც აქტები მოჰქონდა სახლში და აღარც მათი დამუშავება სჭირდებოდა.

„სმა მისაღებ ოთახშიც შეგიძლია“, გაიგონა, როგორ უთხრა დედამ ერთ საღამოს. “იქნებ ნაკლები დალიო, ხანდახან თუ რამდენიმე სიტყვას გაიმეტებ ჩემთვისო“.

მშობლების ცხოვრების წესიც შეიცვალა. შეწყდა სტუმრობა მათ ოჯახში. სადღა იყო ის დრო, ბიჭი მოწვეულ ქალბატონებსა და ბატონებს კარებში რომ ეგებებოდა და პალტოებს ჩამოართმევდა. ენატრებოდა ატმოსფერო, როცა სასადილო ოთახში მაგიდა თეთრი ფაიფურის ჭურჭლით იყო გაშლილი და ვერცხლის შანდლებით მორთული. როცა კარებზე პირველი სტუმარი დარეკავდა და მშობლები სასმისებს, ტკბილეულს, სიგარებს და საფერფლეებს ასწორებდნენ. მშობლების ესა თუ ის მეგობარი ენატრებოდა. ზოგი მათგანი სკოლის ამბებს ეკითხებოდა, იმას, თუ რა აინტერესებს. შემდეგი სტუმრობისას ახსოვდათ, რა უპასუხა და მასზე უწყებდნენ საუბარს. ერთხელ ქირურგთან სათამაშო დათვის გაკვეთაზე გამართა დისკუსია, გეოლოგთან – ვულკანურ ამოფრქვევებზე, მიწისძვრებსა და მოძრავ დიუნებზე. განსაკუთრებით მშობლების ერთი მეგობარი ქალი ენატრებოდა. ფუმფულა, თბილი და მხიარული, იგი განსხვავდებოდა ტანწერწეტა, ნერვიული და მოუსვენარი დედისგან. პატარაობისას, ზამთარში ქალი ბეწვის ქურქში შეიძვრენდა და ქურქის აბრეშუმის პრიალა სარჩულსა და სუნამოს დიდებულ სურნელში გახვევდა. როცა წამოიზარდა, აბრაზებდა, ეკითხებოდა, რამდენი გული დაიპყარი, რამდენი შეყვარებული გყავსო. ბიჭს არც არავისი გული დაეპყრო და არც შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ დაიმორცხვებდა და თან სიამაყეც შეეპარებოდა. თუ ქალი ხანდახან ხუმრობით მისკენ მიიზიდავდა და ისევ ქურქში შეიყუჟებდა, ტკბებოდა მისი სხეულის სიფაფუკით.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ახალი სტუმრები დაიწყებდნენ მათთან სიარულს. ესენი იყვნენ მეზობლები, მამის კოლეგები დაზღვევიდან და დედის თანამშრომლები. დედა ამასობაში პოლიციის დირექციაში მოეწყო მემანქანედ. ბიჭი ამჩნევდა, რომ მშობლებს თავდაჯერებულობა აკლდათ; ახალ სამყაროსთან სურდათ შეგუება ისე, რომ ძველს ვერ შელეოდნენ. და იყვნენ ან მეტად მიუკარებელნი, ან მეტად შინაურულები.

ბიჭიც უნდა შეგუებოდა ახალ გარემოს. გიმნაზიიდან გამოიყვანეს, რომელიც ძველი ბინიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში მდებარეობდა და სახლთან ახლომდებარეში შეიყვანეს. შეიცვალა მისი ურთიერთობებიც. ახალ კლასში ტონი უფრო უხეში იყო და იგი ნაკლებ მარტოსულად გრძნობდა თავს. ერთი წელი ისევ დადიოდა ფორტეპიანოს მასწავლებელთან ყოფილი ბინის მახლობლად, მაგრამ მშობლებმა შემდეგ მეტად უმნიშვნელოდ მიიჩნიეს მისი წარმატებები ფორტეპიანოში, მუსიკას თავი დაანებებინეს და პიანინო გაყიდეს. არადა, რა სიხარულით მიიჩქაროდა ველოსიპედით მასწავლებლისკენ, მას ხომ მის ყოფილ ბინასთან და მეზობელ სახლთან უნდა ჩაევლო. იმ სახლში გოგონა ცხოვრობდა. ისინი ზოგჯერ ერთად თამაშობდნენ და ერთად უწევდათ სკოლის გზის რაღაც მონაკვეთის გავლა. გოგონას მხრებამდე ჩამოშლილი ხშირი წითელი კულულები და ჭორფლით დაფარული სახე ჰქონდა. ბიჭი მისი სახლის სიახლოვეს ველოსიპედს შეანელებდა იმ იმედით, რომ გამოვა, მომესალმება და თავს გამაცილებინებსო. რა თქმა უნდა, ერთმანეთს ისევ შეხვდებოდნენ. არა, ეს პაემანი არ იქნებოდა, უბრალოდ ეცოდინებოდათ, როდის და სად უნდა ყოფილიყვნენ. პაემნისთვის გოგონა მეტად პატარა იყო.

მაგრამ იგი არასდროს გამოსულა სახლიდან, როცა ბიჭი ჩაივლიდა ხოლმე.

5

ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანები მხოლოდ ზრდასრულობაში იღებენ გადაწყვეტილებებს. ბავშვებიც იმავე სიმტკიცით მოქმედებენ და ირჩევენ ცხოვრების წესს, როგორც დიდები. მართალია, ისინი ყოველთვის

ერთგულნი არ რჩებიან თავიანთი გადაწყვეტილებების, მაგრამ უფროსებიც ხომ თავდაყირა აყენებენ მათ.

ბიჭმა ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტა, კლასსა და თავის წრეში რაღაც გამხდარიყო. არ გაჭირვებია, თავისი ღონით მოეპოვებინა პატივისცემა და, რადგან გონიერიც იყო და იდეებით სავსე, იმ იერარქიას მიეკუთვნებოდა, რომელიც მის კლასში, ისევე, როგორც ყველა სხვა კლასში, ძალის, თავხედობის, გონებამახვილობის და მშობლების შესაძლებლობების დიფუზიური ნარევით განისაზღვრებოდა და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა თვით გოგონების თვალშიც, არა, საკუთარ სკოლაში არა, იქ არცერთი გოგონა არ სწავლობდა, ქალთა გიმნაზიაში, რამდენიმე ქუჩის გადაღმა.

ბიჭს არავინ შეჰყვარებია. ერთი გოგონა ამოირჩია, რომელსაც გამომწვევი მომხიბლაობა ჰქონდა, ენა უჭრიდა, ბიჭებს ჭორაობის საბაბს აძლევდა, მაგრამ ამავე დროს ძნელად მოსაპოვებელი იყო. ყველაფერი ეს რაღაცად ღირდა. ბიჭმა მოხიბლა იგი ძალ-ღონით, იმ პატივისცემით, რომლითაც სარგებლობდა და კიდევ სხვა რამით. რა იყო ეს, გოგონამ არ იცოდა, მაგრამ იცოდა, რომ სხვებთან ვერ ეპოვნა, მისი ნახვის და დაუფლების სურვილი კი ჰქონდა. ბიჭიც იფერებდა ამას და ყველა შესაძლებელ შემთხვევაში აგრძნობინებდა, რომ მართლა რაღაც განძის მფლობელია, რომელიც შეიძლება უჩვენოს იმ შემთხვევაში, თუ დანებდება. რა სურდა მისგან – მოფერება? მასთან წოლა? ზუსტად თვითონაც არ იცოდა. საჯარო ბრძოლა მის მოსაპოვებლად, მისი ნელ-ნელა დაყოლიება უფრო საინტერესო, ღირებული და პრესტიჟული იყო ვიდრე ის, რაც მათ შორის მოხდა. როცა ძმაკაცებთან ერთად სკოლის შემდეგ ქალთა გიმნაზიას ჩაუვლიდა, მეგობრების წრეში რკინის გისოსებზე მიყრდნობილ მის რჩეულს დაინახავდა და, რა თქმა უნდა, მოეხვეოდა, ან როცა ქალთა გუნდის ხელბურთის თამაშისას ხელს დაუქნევდა, ის კი საპასუხოდ კოცნას გამოუგზავნიდა, ან როცა მასთან ერთად გაზონებით აუზისკენ გაემართებოდა, გაოგნებული და აღფრთოვანებული იყო. მაგრამ მასთან დაწოლა კატასტროფით დამთავრდა. გოგონა საკმაოდ გამოცდილი იყო იმისთვის, მოლოდინი რომ ჰქონოდა და მეტად გამოუცდელი, მის უნიათობას მიშველებოდა. ბიჭი კი არ იყო დარწმუნებული სიყვარულში, რაც პირველ მოუხერხებლობას აუნაზღაურებდა. მას შემდეგ, რაც საცურაო აუზი დაიკეტა, დარაჯებმა შემოვლა დაამთავრეს და ბუჩქების უკან ღობესთან მარტო დარჩნენ, ყველაფერი ყალბად მოეჩვენა – კოცნა, სინაზე, სურვილი. არაფერი არ იყო ჭეშმარიტი. იყო ღალატი იმისა, რაც უყვარდა. დედა გაახსენდა, მისი ბეწვისქურქიანი მეგობარი, მეზობლის ბავშვი წითელი კულულებით და დაჭორფლილი სახით და გოგონა ხვლიკით. როცა ყველაფერმა ჩაიარა – პრეზერვატივის მოუხერხებლად ხმარებამ, მისმა მეტად სწრაფმა ორგაზმმა, უხეირო მცდელობამ ხელით დაეკმაყოფილებინა ქალი, რითაც მეტ უსიამოვნებას აყენებდა მას, ჩაეხუტა – ნუგეშს ეძებდა თავისი წარუმატებლობის გამო. მაგრამ ქალი წამოდგა, ჩაიცვა და წავიდა. იგი მიშტერებოდა ბუჩქის ძირს, რომლის ქვეშაც იწვა, შარშანდელ ფოთლებს, საცვალს და ღობის ბადეს. დაბნელდა. წოლას განაგრძობდა. სიცივე იგრძნო და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მასთან ყოფნის, უკანასკნელი თვეების მანძილზე მისი მოპოვებისთვის თავმომწონე ბრძოლის გაყინვა შეეძლო, როგორც ავადმყოფობის გამოდევნა ოფლით. ბოლოს წამოდგა და ერთი-ორი წრე გაცურა დიდ აუზში.

როცა შუალამისას სახლში დაბრუნდა, განათებული კაბინეტის კარი ღია დახვდა. მამა ტახტზე იწვა, ალკოჰოლის სუნს აფრქვევდა და ხვრინავდა. ერთი თარო გადმოყირავებული იყო, საწერი მაგიდის უჯრები გამოწეული და დაცარიელებული. იატაკზე წიგნები და ქაღალდები ეყარა. დარწმუნდა, რომ სურათი უვნებელი იყო, შუქი ჩააქრო და კარი გამოიხურა.

როცა სკოლა თითქმის დაამთავრა და მხოლოდ ატესტატის აღებას ელოდებოდა, მეზობლად მდებარე დიდ ქალაქში გაემგზავრა. ეს იყო საათნახევრიანი მგზავრობა მატარებლით. დიდი ხანია შეეძლო ქალაქს სწვეოდა თეატრში ან კონცერტზე დასასწრებად, თუგინდ გამოფენის დასათვალიერებლად, მაგრამ არასდროს გაუკეთებია ეს. ერთხელ პატარაობისას, მშობლებს ჰყავდათ იქ და ეკლესია, რატუშა და ქალაქის ცენტრში მდებარე პარკი უჩვენეს. გარეუბანში გადასვლის შემდეგ აღარსად გამგზავრებულან, არც მასთან ერთად და არც მის გარეშე. მარტო წასვლა თავდაპირველად აზრად არ მოსვლია, შემდეგ კი ვერ მოახერხა. ლოთობის გამო მამამ სამსახური დაკარგა და იძულებული გახდა, სწავლის პარალელურად ემუშავა, ფული ეშოვნა და სახლში მიეტანა. ახლა, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ქალაქს დატოვებდა, გულის სიღრმეში იცოდა, მშობლების დახმარებას შეწყვეტდა და რასაც იშოვნიდა, თვითონ დახარჯავდა.

ახალი ხელოვნების მუზეუმი არ უძებნია, შემთხვევით იპოვნა და შეაღო მისი კარი. შენობამ მოხიბლა: ერთი მხრიდან – თანამედროვე სიმარტივის, მეორე მხრიდან გამოქვაბულის მსგავსი პირქუში შენობის, ღვარჭნილი კარების და ერკერების უცნაურმა ნაზავმა. მუზეუმში თავმოყრილი იყო კოლექცია იმპრესიონიზმიდან ახალ ველურებამდე. ყველაფერს სა-

თანადო ყურადღებით ათვალიერებდა, თუმცა ნაკლები თანაგრძნობით, სანამ რენე დალმანის სურათთან არ შეჩერდა. სურათს ერქვა „ზღვის სანაპიროზე“ და გამოხატავდა კლდის ნატეხს, ქვიშიან პლაჟს და ზღვას. კლდის ნატეხზე ყირაზე იდგა გოგონა, შიშველი და მშვენიერი. გოგონას ცალი ფეხი ხისა ჰქონდა. არა, ეს არ იყო ხის ფეხი, არამედ ბრწყინვალე ჯავარიანი ხის ქალის ფეხი. ვერც ყირაზე მდგარ გოგონაში შეიცნო მან გოგონა ხვლიკით და ვერც იმას იტყოდა, იმავე კლდეს, იმავე სანაპიროს და იმავე ზღვას ვხედავო, მაგრამ ყველაფერი ისე აგონებდა სურათს, რომელიც სახლში ჰქონდა, გამოსვლისას ღია ბარათი იყიდა და ფული რომ ჰქონოდა, აუცილებლად წიგნსაც იყიდდა რენე დალმანის შესახებ. როცა სახლში სურათი და ღია ბარათი ერთმანეთს შეადარა, განსხვავება უფრო ნათელი გახდა, და მაინც იყო რაღაც, რაც ორივეს აერთიანებდა – დამკვირვებელ თვალში თუ სურათებში?

„მანდ რა გაქვს?“ - ოთახში მამა შემოვიდა და ღია ბარათს წაეპოტინა, თუმც ვერ მოიხელთა იგი.

„ვინ დახატა ჩვენი სურათი?“ - პასუხის ნაცვლად ჰკითხა ბიჭმა. მამას სიფრთხილე შეეპარა მზერაში. ნასვამი იყო. ეს იგივე სიფრთხილე იყო, რომლითაც ზიზღსა და უპატივცემლობაზე რეაგირებდა, სიმთვრალეში მყოფისადმი აშკარად რომ გამოხატავდნენ ცოლი და ვაჟიშვილი. კარგა ხანია მისი აღარ ეშინოდათ. „არ ვიცი, რატომ მეკითხები?“

„რატომ არ ვყიდით სურათს, თუ ის მართლა ღირებულია?“

„ვყიდით? არ შეგვიძლია სურათის გაყიდვა!“ მამა სურათის წინ აღიმართა, თითქოს ვაჟიშვილისგან მისი დაცვა სურსო.

„რატომ არ შეგვიძლია?“

„მაშინ აღარაფერი გვექნება და ვერაფერს მიიღებ, როცა აღარ ვიქნები. შენთვის ვინახავთ ამ სურათს“. ბედნიერი იმით, რომ იპოვნა შვილის დამარწმუნებელი არგუმენტი, იმეორებდა და იმეორებდა. „მე და დედაშენი მისი გაყიდვის წინააღმდეგი ვართ, შენ რომ გერგოს ის, მე კი რა მერგო შენგან? უმადურობა, არაფერი უმადურობის გარდა.“

ბიჭი შეეშვა მოწუწუნე მამას, დაივიწყა ეს ინციდენტი, სურათი, მუზეუმი და რენე დალმანი. ტრაქტორების ქარხნის საწყობში მუშაობასთან ერთად ოფიციანტადაც მოეწყო, სანამ სემესტრი დაიწყებოდა, შემდეგ კი სასწავლებლად, რაც შეიძლებოდა შორს გაემგზავრა. ქალაქი ბალტიის ზღვაზე იყო უსახური და უნივერსიტეტი – საშუალო. მაგრამ აღარაფერი ახსენებდა მშობლიურ ქალაქს. რამდენიმე კვირის შემდეგ შვებით ამოისუნთქა, რადგან დაადგინა, არც ლექციებზე იურისპრუდენციაში, არც სტუდენტთა სასადილოში ან დერეფანში ნაცნობი არავინ შეხვდებოდა. ჰოდა, შეეძლო ყველაფერი ახლიდან დაეწყო.გზაში პატარა ქალაქში გაჩერდა. მხოლოდ რამდენიმე საათი ჰქონდა მდინარისპირა ქალაქის დასათვალიერებლად. მუზეუმი რომ შეხვდა, კვლავ შემთხვევით იყო, მაგრამ მუზეუმში შესული შემთხვევას არ მინდობია და მაშინვე რენე დალმანის სურათები მოიკითხა. ორი იპოვნა: „ომისშემდგომი წესრიგი“ ერთნახევარი-ორ მეტრზე ზომის სურათი თავჩაქინდრულ მჯდომარე ქალს გამოხატავდა, მოხრილი ფეხებით და იდაყვზე დაყრდნობილი მარცხენა მკლავით, მარჯვენა ხელით უჯრაში ქვედატანს იტენიდა. მკერდი და მუცელიც უჯრებს წარმოადგენდა. ერთს ძუძუსთავი ჰქონდა სახელურად, მეორეს – ჭიპი. მკერდისა და მუცლის უჯრები ოდნავ იყო გამოწეული და ცარიელი, ქვედატანის უჯრაში დასახიჩრებული მკვდარი ჯარისკაცი იწვა. ნახატზე „ავტოპორტრეტი, ვითარცა ქალი“ გაღიმებული ახალგაზრდა გოგონა მოჩანდა, მოტვლეპილი თავისქალით. მისი ბოლომდე შეკრული შავი კვართიდან მკერდი იკვეთებოდა, მარცხენა ხელით ქერა კულულებიანი პარიკი ეჭირა.

ამჯერად იყიდა წიგნი რენე დალმანზე და მატარებელში დაიწყო კითხვა. ეცნობოდა 1894 წელს სტრასბურგში დაბადებული მხატვრის ბავშვობასა და ყრმობას. მამა ლაიპციგიდან სტრასბურგში გადასული ტექსტილით მოვაჭრე ყოფილა, დედა, ელზასელი – ქმარზე ოცი წლით უმცროსი. გოგონაზე ოცნებობდნენ. ორი ვაჟი უკვე ჰყავდათ. მესამე პირმშო – ქალიშვილი, ორი წლის წინ გარდაცვლოდათ, მამას ზამთარში ცხენით გაესეირნებინა, ბავშვი გაცივებულა და ფილტვების ანთება დამართნია. რენე გარდაცვლილი დის ჩრდილში იზრდებოდა, სანამ 1902 წელს ნანატრი მეორე ქალიშვილი არ შეეძინათ – გათავისუფლება და გულისტკივილი ერთსა და იმავე დროს. ხატვა და ხაზვა ადრე დაუწყია, სკოლაში ჩამორჩებოდა და თექვსმეტი წლისას წარმატებით მოუპოვებია სწავლის უფლება კარლსრუეს სამხატვრო აკადემიაში.

მგზავრობა დამთავრდა. ბიჭმა იპოვნა ოთახი – მანსარდა ნახშირის ღუმელით, პატარა ფანჯრით და ნამცეცა პირსაბანიანი ტუალეტით. მანსარდა ნახევარი სართულით ჩასცილებოდა კიბის უჯრედს. მაგრამ ბიჭი თავისთვის იყო. დალაგდა, რენე დალმანის წიგნი ჩამოტანილ საყვარელ წიგნებთან ერთად ქვემოთა თაროში შეინახა. ზემოთა ახალი წიგნებისა და ახალი ცხოვრებისათვის დაიტოვა. არაფერი დარჩენია სახლში, რაც ძვირფასი იყო მისთვის.

გერმანულიდან თარგმნა
ბელა სურგულაძემ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





„რუსთაველის ესთეტიკა“ და მისი ავტორი _ გიორგი ნადირაძე

გიორგი ნადირაძე არავის არ ჰგავდა — როგორც აზროვნებით და წერის მანერით, ისე იერით და ქცევით. ის იყო თვითმყოფადი, გამორჩეული ადამიანი.

ვახტანგ ბერიძე

რამდენიმე ხნის წინ გამოიცა გიორგი ნადირაძის მონოგრაფია „რუსთაველის ესთეტიკა“. პირველად ეს ნაშრომი 1958 წელს გამოქვეყნდა. მან თავიდანვე მიიპყრო ფილოლოგ მეცნიერთა და ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და მიუხედავად საკმაოდ დიდი ტირაჟისა, სულ მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ხელმეორედ რუსთაველის საიუბილეოდ უნდა გამოცემულიყო. მაშინ დაიბეჭდა თითქმის ყველაფერი, რაც რუსთაველზე დაწერილა, მათ შორის მცირედღირებული ნაშრომებიც, “რუსთაველის ესთეტიკა“ კი არა.

მას შემდეგ არაერთხელ თქმულა მისი ხელახლი გამოცემის საჭიროების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ 48 წლის შემდეგ მოხერხდა.

მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს სხვადასხვა დროს გამოთქმული და დაწერილი შეფასებებიდან.

„ჩვენს წინაშეა ფართოდ ჩაფიქრებული ნაშრომი, რომელიც ქართული კულტურის აღორძინების არსს ეხება. უნდა განვაცხადო, რომ რუსთველოლოგიაში ამგვარი ნაშრომი დიდი ხანია არ დაწერილა. ყოველივე განხილულია ამომწურავად და მეტწილად ახლებურად.

კორნელი კეკელიძე. 1958 წ.

„ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ რუსთაველის რელიგიური გრძნობის საფუძველს ქრისტიანობა წარმოადგენს და რომ მისი რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა X-XIIსს. ქართულ ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდა. ნაშრომში ნათლად ჩანს სიახლის გრძნობა და ძიების სული. „რუსთაველის ესთეტიკა“ რუსთველოლოგიური მეცნიერების უდავო მონაპოვარია. ავტორი სრულიად ახლებურად, ესთეტიკურ ასპექტში განიხილავს პოემის ძირითად იდეურ-თემატურ მოტივებს“.

ალექსანდრე ბარამიძე. 1958 წ.

„პროფესორ ნადირაძის “რუსთაველის ესთეტიკა“ აუცილებლად იქნება უდიდესი ღირებულების მქონე ჩემი ლიტერატურული კვლევა-ძიებისათვის“.

დევიდ ლენგი. 1959.

„რუსთაველის ესთეტიკა“ ნამდვილად არის უაღრესად შუქის მომფენი. მან თვალები ამიხილა ბევრ საკითხზე, რუსთაველის ეპიკურ პოემაზე, რაც აქამდე მეჩვენებოდა გადაუწყვეტლად“.

ჯორჯ სტივენსონი. 1959წ.
კემბრიჯის
უნივერსიტეტის პროფესორი.

„საყურადღებოა, რომ ნაშრომი ოდნავაც არ მოძველებულა, და რაც საგანგებოდ აღსანიშნავია — მისი ენა და აზროვნების ფორმა სავსებით თანამედროვეა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნიდან თითქმის 50 წელია გასული“.

რევაზ სირაძე. 2004 წ.

რუსთველოლოგიაში ამ წიგნის ტოლფასი აღარაფერი დაწერილა.

რეზი თვარაძე. 2004 წ.

„რუსთაველის ესთეტიკა“ — ეს ღრმადმიწევნით მეცნიერული წიგნი — ამავე დროს თავად წარ-

მოადგენს ესთეტიკურ ფაქტს. იმდენად დახვეწილი, სადა და ნათელი სტილით არის დაწერილი".

თამაზ კვაჭანტირაძე. 2004 წ.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია რუსთველოლოგიურ თემაზე.

კიდევ არაერთი აზრის თუ გამონათქვამის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად უფრო საჭიროდ მიმაჩნია გესაუბროთ ავტორის შესახებ, რადგან სამწუხაროდ მისი სახელი დღევანდელი საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია. ნაშრომის შეფასება კი მათთვის მიმინდვია, ვისაც მისდამი ინტერესი გაუჩნდება ამ წერილის წაკითხვის შემდეგ.

გიორგი ნადირაძე დაიბადა 1902 წელს, ქვემო მაჩხაანში. მისი მშობლები იყვნენ მაკრინე ბებურიშვილი-ვაჩნაძე და ალექსანდრე ნადირაძე, ფაბრიკანტი და ქველმოქმედი, თამბაქოს ფაბრიკა „ალზიორის" მფლობელი. ოჯახი ცნობილი იყო კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობით.

გიორგი ნადირაძის დედის ბიძაშვილი იყო სანდრო ახმეტელი, რომელმაც ქვემო მაჩხაანის თეატრის სცენაზე ალექსანდრე ნადირაძის დაფინანსებით განახორციელა თავისი პირველი დადგმა — სუმბათაშვილის „ღალატი".

ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1921 წელს გიორგი ნადირაძე ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში შევიდა.

მოგეხსენებათ, ეს ის წელია, როცა საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა. ეს დრო მშვენივრად აქვს აღწერილი გიორგი ნადირაძეს თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ რომანში, რომელიც ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდება.

1924 წელს ნადირაძეების ოჯახი დაარბიეს, გამოაძევეს სახლებიდან თბილისში და მაჩხაანშიც. მამა-შვილი ალექსანდრე და გიორგი დააპატიმრეს. ალექსანდრე აქტიური მონაწილე იყო 1924 წლის აჯანყებისა, ამიტომაც მალე დახვრიტეს კიდეც. წუთით წარმოიდგინეთ, რა ტრავმა იქნებოდა 22 წლის ყმაწვილისათვის ყურება, როგორ მიჰყავთ მამა დასახვრეტად. ამის გამოძახილია მრავალი წლის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერი დღიურში.

„ სევდა, შიში და ტანჯვა, ჩემი ახალგაზრდობის განუშორებელი თანამგზავრები იყვნენ. რა დავაშავეთ ჩვენ?

რამდენი უბედურება დამტეხია თავზე, რამდენი განსაცდელი მინახავს, რამდენჯერ ვყოფილვარ უდანაშაულოდ დასჯილი! უნივერსიტეტიდან გარიცხვა, შიმშილი (მერე როგორი?), ციხე, მოულოდნელი მოწყობა ასპირანტურაში, ისევ გარიცხვა, ისევ ციხე, უბედური მამა, საცოდავად დამარხული დედა, კიდევ შიში, ძმების დაპატიმრება, მოწამლული და ...რომელი ერთი გავიხსენო. მერე რისთვის? რა დანაშაულისათვის?"

ამ ოჯახის ტრაგედიას მიუძღვნა ლექსი პოეტმა სიკო ფაშალიშვილმა.

რა სიჩუმეა... ცაცხვის ქვეშ
ჩრდილები დგანან დარაჯად, —
ხავსნი ფარავენ სახლის ქვებს,
მასპინძელი კი არა ჩანს!
აღარ არიან...
ჭიშკართან არავინ მოგეგებება,
შროშანო, ოქროსნისკარტავ,
შენ მამცნო რამე ეგება,
რა იქნენ, რატომ არ ჩანან,
ვინც შენთვის დარგო იანი,
ვინც ბაღში გაამარჯანა
ა, ეს ვარდები ცვრიანი!?
რა სიჩუმეა... ძაღლიც კი
არა ჰყავს ეზოს დარაჯად, —
სტუმრად მოსულო, დაგღლის ცდით
ლოდინი... არავინ არა ჩანს!
დუმილი ხანჯლით გულსა სჭრის,
ფოთლები ცვივა, წვიმა სცრის
და ისმის ქარის სისინი:
„აღარ არიან ისინი!"

გიორგი ნადირაძის პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ქართულ პრესაში 20-იან წლებში დაიბეჭდა. 30-იან წლებში ის საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტში ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ-მუსიკალურ რედაქციას. სწორედ მაშინ, უფროსის გაფრთხილების წყალობით გადაურჩა კიდევ ერთ დაჭერას და იქნებ სიკვდილსაც. ამის გამო იძულებული იყო საქართველოს გასცლოდა და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, თავი ლენინგრადისთვის შეეფარებინა სამი წლით.

დაბრუნების შემდეგ დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1945-49 წლებში კონსერვატორიაში განაგებდა უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრას, ხოლო 1950 წლიდან გარდაცვალებამდე, 1960 წელს — პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში — უცხო ენების და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრას.

უაღრესად ფართო იყო გიორგი ნადირაძის ინტერესების და კვლევის ობიექტების სფერო: მწერლობა, ესთეტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, პედაგოგიკა. ეს მისი ნაშრომების მოკლე ჩამონათვალითაც ჩანს:

რუსთველოლოგიური ნარკვევები, წერილები ესთეტიკაზე, ციკლი ევროპა საქართველოს შესახებ, წერილები დრამატურგიაზე,

მუსიკაზე, ი. ჭავჭავაძეზე, ნ. ბარათაშვილზე, ა. წერეთელზე, რეცენზიები მონოგრაფიებსა და თარგმანებზე.

თარგმანები: ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმი“, შილერის „ვილჰელმ ტელი“, გოეთეს „ეგმონტი“, ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელი“, “ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი ჰუგო ჰუპერტის გერმანული თარგმანისათვის.

რადიოდადგმები ვანო სარაჯიშვილსა და ნიკო სულხანიშვილზე.

მონოგრაფები: „ნიკო სულხანიშვილი“, 1937 წ. „პოეტი და ადამიანი. ნიკ. ბარათაშვილი“, 1938 წ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმი“, 1957 წ. „რუსთაველის ესთეტიკა“, 1958 წ. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო“, 1961 წ.

სამწუხაროდ გიორგი ნადირაძეს არ დასცალდა დასრულება რიგი დაწყებული შრომებისა: „ბუნება, როგორც ესთეტიკური სამეფო. (ვაჟა ფშაველას ნაწარმოებების მასალაზე)“ — მონოგრაფია. „ესთეტიკური თვალთახედვის ელემენტები გიორგი მერჩულეს “ცხოვრებაში“, „ბალავარის სიბრძნეში“ და „შუშანიკის წამებაში“. „ფილოსოფიური მედიტაციები“, „ესთეტიკური მედიტაციები (სევდა და სიყვარული — როგორც ესთეტიკური ფენომენი)“, „მოძრაობის და სურნელების ესთეტიკა აბდულ-მესიაში“, „გულისტკივილის ესთეტიკური განცდა ი. ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილში“, „ეტიუდები ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან“, „მედიტაციები ვეფხისტყაოსნის თემებზე“.

ასევე დაუმთავრებელი დარჩა ავტობიოგრაფიული რომანი.

მშრალი ჩამონათვალის შემდეგ შევეცდები ცოტა უფრო გავრცობილად წარმოგიდგინოთ ის თემატიკა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ნაშრომებში.

პირველი და უმთავრესი არის ქართული მწერლობა. მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელიც მსჭვალავს მის გამოკვლევებს, გახლავთ მტკიცე დასაბუთება აზრისა, რომ ქართველი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში განაგრძნობენ ეროვნული ტრადიციების განვითარებას, ერის სათქმელს გამოხატავენ და მათი მსოფლმხედველობა ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული.

„თუ ჩვენ გვსურს ქართული კლასიკური მწერლობის სიდიადე უფრო ნათლად შევიგრძნოთ, კარგი იქნება თუ შედარებით მეთოდს გამოვიყენებთ, ე. ი. ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატებს ევროპული ლიტერატურის მასშტაბით განვიხილავთ. მაშინ აღმოჩნდება, რომ ჩვენი მწერლობის კორიფეები არა თუ არ ჩამოუვარდებიან ევროპის საყოველთაოდ ცნობილ ოსტატებს, არამედ ამ უკანასკნელებმა არაერთ საკითხში, პირველობა ჩვენებს უნდა დაუთმონ. ასეთია კერძოდ საბას მნიშვნელობა იგავის ისტორიაში. ჰუმანური იდეების თანამიმდევრული და პრინციპული დაცვით “სიბრძნე სიცრუისა“ ლაფონტენის იგავთა კრებულზე მაღლა უნდა დავაყენოთ. რეალისტური სტილისა და მტკიცე დიდაქტიკური მორალიზმის ასეთი ოსტატური შეხამება სანიმუშოა მსოფლიო მასშტაბით“. (გ. ნადირაძე).

უცხოელ მწერალთა ნააზრევის მოხმობა ხდება იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია და აკაკი თავიანთი შემოქმედებით ეროვნულის გარდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის გამომხატველები იყვნენ. უცხოელი მწერლების შემოქმედების და ესთეტიკის ანალიზი ემსახურება მთავარ მეცნიერულ მიზანს — განისაზღვროს საქართველოს ადგილი მსოფლიო ლიტერატურულ რუქაზე. 1946 წელს მწერალთა კავშირში გამართულ დისპუტზე გიორგი ნადირაძე გამოვიდა იდეით, თარგმნილიყო ევროპელ მწერალთა და მოაზროვნეთა ის ნაწარმოებები, სადაც საქართველოს და ქართველების შესახებ საყურადღებო აზრებია გამოთქმული. შემდეგ დაასახელა კონკრეტული ავტორები და ნაწარმოებები: მათ შორის ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმი“, სადაც ერეკლე II მოხსენებულია როგორც აღმოსავლეთის უდიდესი მეომარი (ეს ნაწარმოები მოგვიანებით თვით გ. ნადირაძემ თარგმნა) და ანდრეას გრიფიუსის „ქართველი ქალი ეკატერინე ანუ ნაცადი სიმტკიცე“. ტრაგედია ქეთევან წამებულის შესახებ.

მით უფრო საკვირველი უნდა იყოს მკითხველისათვის (ოღონდ არა იმ თაობისათვის, ვისაც იმ დროს მოუხდა ცხოვრება), როგორ იყო აღქმული და შეფასებული მისი საქმიანობა.

დაიბეჭდა საგაზეთო წერილი, სადაც ეწერა, რომ „გიორგი ნადირაძე ვერ განთავისუფლებულა კოსმოპოლიტიზმის გავლენისაგან“. შემდეგ, 1949 წელს, როცა საბჭოთა კავშირში დაიწყო მძაფრი კამპანია “ანტიპატრიოზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ“, გაზეთ “სახალხო განათლებაში“ დაიწერა, რომ „გ. ნადირაძის წერილებში არ ჩანს საბჭოთა პატრიოტისათვის დამახასიათებელი კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული კულტურისადმი“.

ახალგაზრდა მკითხველმა უნდა გაითვა-

ლისწინოს, რას ნიშნავდა იმ დროს ადამიანის დადანაშაულება, რომ ის „ვერ ამჟღავნებს იმ პატრიოტულ გრძნობას, რომელიც უნდა ახასიათებდეს საბჭოთა მკვლევარს“. აქედან ერთი ნაბიჯი იყო ხალხის მტრად გამოცხადებამდე. რა მოჰყვებოდა ამას, ალბად უკვე გასაგებია.

აუცილებლად მინდა გიამბოთ ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ. ზევით ვახსენე გრიფიუსის ტრაგედია ქეთევან წამებულის შესახებ. და აი, მოხდა უცნაური რამ. 1955 წ. მოსკოვში დაიბეჭდა დასავლეთის ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტის ბ. პურიშჩევის „ნარკვევები XV-XVII სს. გერმანულ ლიტერატურიდან“. წიგნის 320-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ახლო წარსულის ამბებს ეხება ტრაგედია „ეკატერინე ქართველი“ (გამოცემული 1657 წ.) მასში გრიფიუსმა გამოხატა ბედი სომეხი (გრიფიუსის მიხედვით — ქართველი) დედოფლის ეკატერინესი, რომელიც სპარსეთის მეფის შაჰ აბასის ბრძანებით საშინლად აწამეს იმის გამო, რომ იგი არ განუდგა ქრისტიანობას.“

გაუგებარია, რატომ მოისურვა პურიშჩევმა ასეთი დამახინჯების შეგნებული შეტანა თავის ნაშრომში.

გიორგი ნადირაძე მაშინვე გამოეხმაურა ამ ფაქტს. მან და ცნობილმა შექსპიროლოგმა, მთარგმნელმა გივი გაჩეჩილაძემ გაგზავნეს საპროტესტო წერილი მოსკოვში, მაგრამ არც პასუხი მოსვლიათ და არც სადმე დაბეჭდილა. მხოლოდ ჩვენთან, „ლიტერატურულ გაზეთში“ (17.II.1956) მოხერხდა ამ წერილის გამოქვეყნება.

ესეც ჩვენი ბედია — წმინდანებსაც კი გვედავებიან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა ესთეტიკა. როგორც ლიტერატორი და მთარგმნელი ნოდარ ბადრიაშვილი წერს — „გ. ნადირაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებს და განსაკუთრებით მის მონოგრაფიებს ხაზად გაჰყვება იდეა — მხატვრული ნაწარმოები პირველ ყოვლისა უნდა განიხილებოდეს ესთეტიკურ ასპექტში, რადგან ლიტერატურა სახეებით აზროვნებაა. მსოფლმხედველობა პირდაპირ მიმართებაშია ესთეტიკასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ავლენს მწერლის ფილოსოფიურ შეხედულებებს.

„ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო“, „პატრიოტიზმი ბარათაშვილის ბუნების გრძნობაში“, „სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის“, „სენსორული ესთეტიკის საკითხი“, „იდეალური ადამიანის სახე ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში“, „ილიას სათაურები“, და მთავარი — „რუსთაველის ესთეტიკა“, აი არასრული ჩამონათვალი ნაშრომებისა, რომლებიც ამ თემატიკას ეხება.

მესამე მნიშვნელოვანი თემაა მუსიკა.

გიორგი ნადირაძე განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქართული სამუსიკო ფოლკლორის არსი, პოეზიის და მუსიკის ურთიერთკავშირი, ილიას შეხედულებები ეროვნული სამუსიკო ფოლკლორის შესახებ, აკ. წერეთლის პოეზიის როლი ქართულ საოპერო და სარომანსო მუსიკის განვითარებაში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მონოგრაფია „ნიკო სულხანიშვილი“, გამოცემული 1937 წელს. მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელის სიტყვით „ეს იყო გამოჩენილი კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის პირველი ცდა. ეს მონოგრაფია მაშინ იწერებოდა, როცა ჩვენში ამ სახის ლიტერატურა, კერძოდ, ბიოგრაფიული რომანი თითქმის არ არსებობდა. გიორგი ნადირაძემ შეკრიბა და გამოამზეურა ძვირფასი მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს არა მარტო ნ. სულხანიშვილის პიროვნებასა და მის ბიოგრაფიას, არამედ ქართული მუსიკალური ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს.“

გიორგი ნადირაძის ლიტერატურულ შემოქმედებაზე საუბარს დავამთავრებ ცნობილი კრიტიკოსის ლევან ბრეგაძის სიტყვებით — „ამჯერად ნუ შევალთ იმის განსჯაში, ამ არაჩვეულებრივად ერუდირებული, დახვეწილი გემოვნების მქონე ლიტერატორის ნაღვაწი რატომ მოექცა ჩრდილში მისი გარდაცვალების შემდეგ. ერთი რამ სავსებით ცხადია: ვინც მისი რჩეული ესეების კრებულს გაეცნობა („ლიტერატურული ნარკვევები“, 1997 წ.), შეუძლებელია სინანულის გრძნობით არ აღივსოს იმის გამო, რომ ძველი პრესის ფურცლებზე მიმოფანტული ლიტერატურული აზროვნების ეს შედევრები გაუგებარ მიზეზთა გამო ამოვარდნილია ლიტერატურული მიმოქცევიდან“.

გიორგი ნადირაძის დღიურში არის ასეთი ჩანაწერი — „ლიტერატურული პროფესია უწმინდესი მორალური აქტია თავისი ბუნებით და არც ერთი სახის სპეკულაცია არაა ისე საზიზღარი, როგორც სპეკულაცია კალმით. კალმის პროფესია არის ჭეშმარიტების უანგარო სამსახური“.

ეს სიტყვები სავსებით შეიძლება მის მრწამსადაც ჩაითვალოს და მისი საქმიანობის ილუსტრაციადაც.

გიორგი ტალიაშვილი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, 1985 წელს „ლიტერატურულ საქარ-

თველოში“ გიორგი ნადირაძისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: „რა იყო მისი ხასიათის განმსაზღვრელი? ჰარმონია მაღალი ადამიანური ღირსებებისა... გიორგი ნადირაძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრება განვლო ისე, რომ მის პიროვნებას არ მოსცხებია იოტისოდენა ლაქაც კი. ის იყო ზნეობრივად სრულყოფილი, კეთილშობილი, ნამდვილი ინტელიგენტი“.

მისი თქმით კოლეგები და სტუდენტებიც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მის ერუდიციას, ბრწყინვალე ცოდნას ქართული, რუსული და ევროპული ენებისა და ლიტერატურისა; აგრეთვე ღრმა განსწავლულობას ფილოსოფიის, მუსიკის, თეატრის და სახვითი ხელოვნების დარგებში.

ამავე დროს, როგორც ნოდარ ბადრიაშვილი იგონებდა, მას "საოცარი ხიბლი ჰქონდა; საკმარისი იყო მცირე ხნით მასთან საუბარი, რომ უკვე პატივისცემით იმსჭვალებოდით. და რა ადვილად ხდებოდა ყოველივე. ლაპარაკით თავს არ გაბეზრებდათ, თავის ცოდნას თავზე არ გახვევდათ.

მის დღიურში არის ასეთი ჩანაწერი — „მე ყოველთვის ვცდილობ ვილაპარაკო ნათლად, სადად, გასაგებად და რამდენადაც შესაძლებელია — ლამაზადაც. ალბად ნაწილობრივ მაინც ვაღწევ ამ მიზანს“.

სტუდენტებთან ურთიერთობისას არასოდეს მიმართავდა დიდაქტიკას. მთავარი აღმზრდელობითი ფაქტორი იყო პირადი მაგალითი. მისგან სწავლობდნენ თავდაჭერას, ზრდილობას და ურთიერთპატივისცემას“.

რათა ზემოთქმული სიტყვები არ იქნას აღქმული, როგორც მეგობრული კეთილგანწყობით გამოწვეული ერთგვარი გაზვიადება, მოვიყვან ორ ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან.

ადრე ვახსენე „ანტიპატრიოტიზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ“ მიმართული კამპანია და ორი წერილი, სადაც სხვა მწერალთა და მეცნიერთა შორის დასახელებული იყო გიორგი ნადირაძეც. ერთ წერილს ხელს აწერდა ახალგაზრდა, შემდგომში საკმაოდ ცნობილი ლიტერატორი, მეორეს — ცნობილი კრიტიკოსი. უნდა ითქვას, რომ ორივენი უდავოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ ნიჭიერება და განსწავლულობა თავისთავად არ გულისხმობს მოქალაქეობრივ პატიოსნებას და გამბედაობას.

მოგეხსენებათ, ქვეყანაზე უცვლელი არაფერია. გარემოება შეიცვალა და გაჩნდა შესაძლებლობა, მეტიც, უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია რევანშისა.

მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა პირდაპირ შესთავაზა გ. ნადირაძეს საპასუხო წერილის დაწერა, რაც, თუ გავითვალისწინებთ მის ერუდიციას და ლოგიკური მსჯელობის უნარს, სრულიად გამანადგურებელი იქნებოდა.

მაგრამ სწორედ ამ სიტუაციაში არ ისურვა გიორგი ნადირაძემ რევანში, რადგან ეს სრულიად დამსახურებული, მაგრამ მაინც, უკვე დაცემულზე მიმართული დარტყმა იქნებოდა.

მეორე ამბავი უფრო ადრინდელია. ნოდარ ბადრიაშვილი იგონებდა — „ერთხელ მისაღებ გამოცდებზე, როდესაც ბატონი გიორგი კომისიას თავმჯდომარეობდა, რომლიღაც აბიტურიენტი ძალიან ცუდად პასუხობდა. გარეგნობაზე ეტყობოდა, რომ უაღრესად გაჭირვებული უნდა ყოფილიყო. ბატონმა გიორგიმ ჯერ ამას მიაქცია ყურადღება, შემდეგ ვინაობით დაინტერესდა. პასუხის მიღების შემდეგ მაგრძნობინა შეღავათი გამეწია. ბატონი გიორგი ძალიან კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ როცა საქმე ცოდნას ეხებოდა — უკომპრომისო. ამიტომ ძალიან გამიკვირდა ასეთი უჩვეულო ქცევა. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე — თურმე ამ ქალიშვილის მამა 20-იან წლებში ნადირაძეების ოჯახის დარბევას უშუალოდ ხელმძღვანელობდა (მართალია რამდენიმე ხნის შემდეგ თითონაც გაისტუმრეს საიქიოს). ბატონმა გიორგიმ აქაც არ მისცა თავს სულმოკლეობის ნება, — მამის ცოდვა შვილზე არ გადაიტანა.

ახლა კი, რათა მკითხველს ზოგადი წარმოდგენა მაინც შეექმნას გიორგი ნადირაძის აზროვნების და წერის მანერის შესახებ, მოვიყვან რამდენიმე ფრაგმენტს მისი დღიურიდან, რომელსაც ყდაზე აწერია:

„განმარტოების ჟამს“

რუსთაველის სტილი მე წარმომიდგენია ლამაზად მოქსოვილი ხალიჩის სახით, რომელიც ხიბლავს თვალს თავისი ნაყშების და ფერების ჰარმონიულობით.

1929 წ.

ყოველ დიდ პოეზიაში გამოუთქმელი სჭარბობს გამოთქმულს.

1929წ.

საიდუმლოება ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია.

როდესაც ხელოვანი ისე აშიშვლებს საგნებს, რომ „ამოსაცნობს“ აღარ უტოვებს მკითხველს და მჭვრეტელს, ნანარმოები უსათუოდ წაგებულია. შემოქმედია არა მარტო ხელოვანი, არამედ მკითხველიც, ე.ი. შემოქმედებითი აქტი ახასიათებს ესთეტიკური აღქმის პროცესსაც.

საგანში, სადაც ამოსაცნობი საიდუმლოება აღარ დარჩა, კვდება მშვენიერებაც.

1935წ.

ხელოვნება მეორე ცხოვრებაა, იგი ისევ მრავალფეროვანია, როგორც ჩვენთვის მოცემული ქვეყანა. მაგრამ ხელოვნებაში არის რაღაც, რასაც ამაოდ დავუწყებდით ძებნას მოცემულ სინამდვილეში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ხელოვნების არსებობა დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი იქნებოდა — დაუსაბუთებელი, ესე იგი მას არ ექნებოდა საკმაო საფუძველი წარმოშობისათვის; გაუმართლებელი, ესე იგი მას არ ექნებოდა მიზანი არსებობისათვის.

მევფიქრობ, რომ სწორედ ამ რაღაცაშია მოთავსებული ხელოვნების ესთეტიკური საიდუმლოება.

ნამდვილი ხელოვნება აუცილებლად გულისხმობს ხელოსნობას, მაგრამ მასში არ უნდა იგრძნობოდეს ეს უკანასკნელი.

1936წ.

ცნობილია, რა ადგილი ეჭირა რომანტიკოსების შემოქმედებაში სევდას. აიღეთ, თუ გნებავთ, ქართველი რომანტიკოსები — ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი. ძალიან იშვიათია მათ შემოქმედებაში ისეთი ლექსი, რომ მასში არ გაისმოდეს სევდის ჰანგი. იგი ხან ლაიტმოტივია, ხან ერთ-ერთი შემადგენელი ხმა ლირიკული განცდების მრავალხმიანობაში, ხან ფონი. მაშინაც კი, როცა პოეტი წერს ისეთ საგანზე, რომელსაც ჩვეულებრივ სიხარული მოაქვს, ყოველთვის იგრძნობა მინორული ტონალობა. ასეთია, მაგალითად, სიყვარული ან ნადიმი, ლანდშაფტის ჭვრეტა ან სატრფოს ალერსი.

შეიძლება არც ერთი სხვა განცდა არ იყოს ისე მრავალფეროვანი, როგორც სევდა და სიხარული.

ქართველ რომანტიკოსთა სევდაში მთავარი ადგილი უკავია პატრიოტულ სევდას.

1950წ.

„რუსთაველის ესთეტიკაში" მე ვწერ, რომ „ვეფხისტყაოსანის" შემოქმედებითი კონცეფციის მხატვრულ ენას ახასიათებს ოთხი ნიშანი: აზრიანობა, სინათლე, კეთილშობილება და სიტურფე. ეს ნიშნები, ჩემის აზრით, სავალდებულოდ უნდა ჩაგვეთვალა ჩვენი დროის მწერლისთვისაც, მაგრამ მთავარია ის, რომ ტერმინები დარჩა ძველი, ცნებები კი შეიცვალა. შეიცვალა პირველ რიგში, კეთილშობილებისა და სიტურფის ცნებები. დღევანდელი ესთეტიკური გემოვნების მიხედვით კეთილშობილია და ტურფა მხოლოდ ის, რაც სადაა, უბრალოა.

ენა შეიძლება იყოს იშვიათად ნათელი, მაგრამ თუ ღარიბი ან ტრივიალურია მისი აზრი, შეიძლება ითქვას, რომ მწერალი არ ვარგა. მეტყველების სინათლეს განსაზღვრავს აზრიანობა. თუ ეს ასეა, აზრიანობა უნდა ჩაითვალოს კარგი სტილის პირველ და აუცილებელ თვისებად.

2.VII.58.

ქართველ მწერლებს, პროზაიკოსებს და კრიტიკოსებს გადაჭარბებით უყვართ ზედსართავი სახელები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არაფერს მარტავენ. განა აუცილებელია, როცა კი ვახსენებთ შოთას, ილიას, ვაჟას, ბარათაშვილს, უსათუოდ დავურთოთ „დიდი ქართველი მწერალი" ან სხვა ამგვარი განმარტება? ეს არა თუ არ არის აუცილებელი, საჭირო გარემოების გარეშე არც შეიძლება სერიოზულად ჩაითვალოს. საერთოდ ასეთი საზეიმო ეპითეტი თავის ადგილზეა წერილში და სრულიად უადგილოა მეცნიერული მსჯელობის დროს. არც ერთი ევროპელი მწერალი არ ამბობს: დიდი გოეთე, დიდი შილერი, დიდი ბეთჰოვენი, თუმცა ისინი ილიაზე ნაკლებ დიდები არ ყოფილან. რაც უფრო მალე გათავისუფლდება ქართული მწერლობა სადღეგრძელოების ლექსიკისგან, მით უფრო მიუახლოვდება იგი კულტურული მეტყველების სტილს.

13.VI.58.

პროფესიული მწერლობა უწინარეს ყოვლისა შინაგანი მოთხოვნილებაა. არ არის ქვეყნად კაცი, რომ უარი თქვას სახელსა და დიდებაზე. მაგრამ წერო მხოლოდ სახელის მოსახვეჭად, ეს იმას ნიშნავს, რომ მწერლობა არ ყოფილა შენი მოწოდება.

პროფესიული მწერლობა ამავე დროს მძიმე, დაძაბული შრომაა. მწერლობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფორმას, ფორმა კი ყველაზე ძნელი დასამორჩილებელია. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შრომას სისტემატური ხასიათი აქვს. მწერალმა ისე, როგორც პიანისტმა უნდა ივარჯიშოს ყოველ დღე. ლიტერატურას აქვს თავისი ტექნიკური ელემენტები. არ შეიძლება ლაპარაკი შემოქმედებით სრულქმნილებაზე, ვიდრე არაა დამორჩილებული ტექნიკური აპარატი. ზოგიერთი შედარებით ადვილად ამარცხებს კალმის სიკერპეს, მეორენი კი, მართლაცდა, პიანისტებივით იბრძვიან. თუმცა ეს არ არის ისეთი ფაქტი, რომელიც რაიმეს გვეუბნებოდეს ლიტერატურულ ნიჭიერებაზე. უფრო სწორი იქნებოდა ამ ფაქტში წმინდა ადამიანური თავისებურებანი დაგვენახა.

ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან კარგად ჩანს, რომ რუსთაველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა პროფესიული მწერლობის ხასიათზე. ჩვენს დროში მჯღაბნელების კადრებს ავსებს იოლი მონაგრების სურვილი. ჰონორარის მაძიებელი მჯღაბნელი ყველაზე აუტანელია. ეს ისეთი ტიპია, რომელსაც არ იცნობდა რუსთაველის ეპოქა. მაშინ მჯღაბნელობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არა ფულის, არამედ სახელის ძიებასთან. ეს უკანასკნელი მაინც სჯობს პირველს.

26.VI.58.

გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდები ისეთ დიდსა და პატარა მოღვაწეებს, რომელნიც მხოლოდ ეროვნული ინტერესების კოორდინატებით ზომავდნენ თავის ყოველ საქციელსა და აზრს. სამწუხაროდ, ჩვენი საუკუნის ლიტერატურული ინტელიგენცია შორი მანძილით დასცილდა ამ დიდი ტრადიციის შარაგზას. გულნამცეცობა ჩვენი დროის საშინელი სენია. ზოგიერთები ქვეყანას და ადამიანს უცქერიან მხოლოდ თავისი კაბინეტის სარკმლიდან. ტურებივით გამრავლდნენ ფარისეველნი და ავკაცები. გაშლილი სუფრისათვის, ერთი ჭიქა ღვინისათვის გაჰყიდიან ძმას, მეგობარს, ოჯახსაც.

8.I. 60.

მე არ მეგულება ისეთი კაცი, რომელსაც სიამოვნებას არ გვრიდეს სახელი და ქება, თუმცა იშვიათნი ერკვევიან იმაში — დამსახურებულია ეს უკანასკნელი თუ არა. მაგრამ დაამყარო ადამიანებთან ურთიერთობა იმის მიხედვით, ვინ გაქებს და ვინ არა, — ეს უკვე ისეთი სულმდაბლობაა, რომელიც შეიძლება ადვილად გადავიდეს სიავკაცეში.

10.III.60

ამ სტრიქონების დაწერიდან ორ თვესა და ოცდაოთხ დღეში გიორგი ნადირაძე გარდაიცვალა.



„მე ღვაბრუნდები სიცოცხლის მეჩე“

მწერლის შთაგონების წყაროდ, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე — გუდამაყარის ხეობა, უფრო ზუსტად კი, ერთი პატარა სოფელი — ჩოხი ქცეულა. სწორედ ამ ხეობასა და სოფელში ტრიალებს გოდერძის მთის წყაროსავით ანკარა, ფაქიზი და უნატიფესი, ჭეშმარიტი ხელოვანის მგზნებარე სული. აქვე გამოიწრთო მისი მირონცხებული კალამიც. მისი მოთხრობების გმირები თითოეულ ადამიანში განსხეულებულან.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, მხოლოდ ფილმებითა და მოთხრობებით როდი იფარგლება. ამჯერად, მკითხველის ყურადღება მის ჰარმონიულ, ჩვილი ბავშვივით მგრძნობიარე, ჰაეროვან და სათუთ პოეზიაზე მინდა შევაჩერო. გოდერძის სტრიქონები ანთებულია დიდი ჰუმანისტი ადამიანის გრძნობებითა და მაღალი იდეებით, მამულიშვილური სულისკვეთებითა და ლირიკული სისადავით:

„ცა იყო შორი, ძალიან შორი,
ცაზე შენფერი მთვარე ესვენა,
მერე გორდაგორ ჩამოხდა მთვარე,
ჩამოდგა ჩემთან და მომეფერა.
ცა იყო შორი, ძალიან შორი,
ცა იყო შენი სულივით წმინდა,
მე გამახსენდი იმ ცაზეც შორი
და ჩემს თვალებში უღრუბლოდ წვიმდა“.

წერს პოეტი და მიუხედავად იმისა, რომ ლექსი თავს ვერ გვაწონებს რითმათა ჰაეროვნებით, მაინც საოცარი სინაზე იშლება მკითხველის წინაშე.

გოდერძი ჩოხელის პოეზიაში არაჩვეულებრივი ბუნებრიობითაა შერწყმული თხრობითი და უდიდესი ჰარმონიის მომნიჭებელი ინტონაცია. პოეტი შესაშური გონებაგამჭრიახობით არჩევს დეტალებსა და შტრიხებს ამაღლებული, ხატოვანი, სევდიანი განწყობილებების გამოსახატად. მართლაც, უიშვიათესი ნიჭის შემოქმედი თუ შეძლებდა სევდის გამოხატვასა და განსაზღვრებას ისე ძალუმად, როგორც გოდერძი ჩოხელმა შეძლო ლექსით „სევდა“:

„სევდა ზღვა არი
იდუმალი და უნაპირო,
გულ-გონებაში ჩამომდგარი
ჩუმი მთა არი,
მზის ჩასვლის მერე,
დარჩენილი თალხი ნაგრილი.
მზე იწურება მთების იქით,
მიმწუხრი დგება,
გულში კი სევდა საღამოვდება.
დგას ბნელი ღამე
იდუმალი და თავდახრილი...
გაივლის ჟამი,
მთის იქიდან ამოვა მთვარე
და ამ სევდიან ღემეებში ისე ჩადგება,
როგორც ნაზამთრალ თალხ ტყეებში
თეთრი აპრილი“.

აი, უიშვიათესი სტრიქონები, პოეტური ხედვის გამოვლენისა. აი, უიშვიათესი სტრიქონები, პოეტის სულიერი ყოფის ნათელი გამოხატვისა. აი, უიშვიათესი სტრიქონები, ჭეშმარიტი პოეზიისათვის დამახასიათებლობით, ადამიანის სულში სევდის მომგვრელობისა. გოდერძი ჩოხელი ნათელი სტილის შემოქმედია, მისი სტრიქონები შინაგანი ღელვით გადმოცემული პოეტური მარგალიტებია.

სიყვარულის გრძნობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების უმთავრესი მოტივია, იგი აქ უაღრესად ფაქიზ სულსა და უსათუთეს გრძნობებს ავლენს, პოეტმა არაერთი უმშვენიერესი სტრიქონი უძღვნა სიყვარულს. დასტურად ნათქვამისა, მოვიხმოთ ლექსი „დიდი თოვლი იყო“:

„მოდიოდა თეთრი თოვლი,
თეთრი გქონდა თმები,
თოვდა... თოვდა... ყველგან თოვდა,
შენს სახეზეც თოვდა.
გავიარეთ დათოვლილი
ჩვენი სკოლის ეზო
თეთრი იყო, და ბავშვობის
გახსენებას მთხოვდა“.

ქართულ პოეზიაში უიშვიათესად თუ შეგვხვდება ასეთი უბრალოებითა და სისადავით გადმოცემული ლირიკული სტრიქონები, რომლებიც სავსეა ჭეშმარიტი ლირიკისათვის დამახასიათებელი ჰაეროვნებითა და ჰარმონიულობით:

„შენ თეთრ თოვლში დაინიშნე
ჩვენი ნაბიჯები,
გამეცინა რისთვის-მეთქი...
ხვალ ვნახავო მითხარ,
მერე ჩუმად დავშორდით და
ღამე თოვდა დიდხანს.“

პოეტი გვეუბნება, რომ მოდიოდა თეთრი თოვლი და დილაც იყო თეთრი, სწორედ ამ სითეთრეს დაეფარა მიჯნურთა ნაბიჯები, ნაეშალა კვალი, ცა კი ისევ დიდხანს თოვდა და ამ თოვლმა წმინდა მოგონებად დაუტოვა პოეტს ის თეთრი ღამე:

„მერე ჩვენი ნაკვალევი
თოვლში დიდხანს იყო,
გაზაფხულზე მზე იყო და
ერთმანეთში დადნა,
ჩვენ შორისაც ყველაფერი
სულ უბრალოდ გაქრა,
რადგან ჩემი ნაკვალევი
დიდთოვლობას გაჰყვა.
რა ვქნა, მძიმე ზამთარი და
დიდი თოვლი იყო!“

მიუხედავად იმისა, რომ მოხმობილი სტრიქონები მეტაფორებითა და რითმებით ვერ გამოირჩევიან, ისინი პოეტური სულის სილაღისა და გულწრფელობის სახეა.

ფიქრიანი განწყობითა და სევდიანი განცდითაა დაწერილი გოდერძი ჩოხელის ლექსები პატრიოტულ თემაზე. შემოქმედის უფაქიზესი განცდის სათავედ, სულიერი ცხოვრების მეგზურად სამშობლო ქცეულა. მის პიროვნებაში რელიგიური ფანატიზმის ძალით მეტყველებს სამშობლოს ხატი, — სუნთქვასა და გულისძგერასავით განუყრელი, სწორედ ამიტომაც არის მისი ნაწარმოებები იმედის, რწმენის, სიკეთისა და სიყვარულის გადასარჩენად რომ ესახება მკითხველს აუტანელ წუთისოფელში:

„მტერო, წამართვი მამული,
მხარი მომიჭერ დედასა,
ჩემს ჭირზე გამარჯვებულო,
ვაი, შენს გამარჯვებასა!“

უდიდესი გულწრფელობითაა გადმოცემული პოეტის განცდები, მისი სულიერი მდგომარეობა. დამწუხრებული შემოქმედი ვერ ეგუება უჩუმრად და უქმად ყოფნას, ვერ წარმოუდგენია რა უთხრას წინაპრებს დავრდომილი, დაბეჩავებული, მტერთაგან მიტაცებული სამშობლოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, იმაშიც დარწმუნებულია, რომ ერთი დრო არც მტერს შერჩება, დაუდგება წუთები, როცა საკუთარი გაჩენის დღეს დაუწყებს წყევლას:

„რა ვუთხრა ჩემსა წინაპრებს,
იმათ სულთ განათლებასა,
იმათი მინა წამართვი,
ვაი, შენ გალაღებასა.
ერთი დრო არც შენ შეგრჩება,
ინანებ გახარებასა,
დრო დაგიდგება, იძახდე:
ვაი, ჩემ დაბადებასა!“

სამშობლოს უმძიმესი მდგომარეობით შეძრწუნებული პოეტი, ასეთ ვარაუდსაც კი გამოსთქვამს:

„იქნება ის ქვეყანა სჯობს
ამ ქვეყანას წყეულსა.
თორემ ერთს მაინც ვნახავდით
იქიდან გამოქცეულსა.“

არ მინდა ისე გაიგოს მკითხველმა, თითქოს გოდერძი ჩოხელის წარმოთქმულ “ლოცვებში“ პესიმიზმი სჭარბობდეს ოპტიმიზმს. ადამიანური ემოციებით დატვირთული, უმშვენიერესი პოეტური სახეების გვერდით, ღვთიური ნათლით ბრწყინავენ მომავლის კეთილი რწმენით გაჯერებული სტრიქონები. გოდერძი ჩოხელს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უზენაესთან, მან იცის ის, რაც უბრალო მოკვდავთაგან იშვიათად ვინმეს თუ სცოდნია. მას ოდნავაც არ გადაუხვევია უფლისაკენ სავალი გზიდან, რომელიც, მისივე თქმით, ერთადერთი მარადიული გზაა. ამ რწმენით შეჯავშნული პოეტი ლექსში „მე აღარ წავალ საიქიოში“, თამამად აცხადებს:

„მე დავბრუნდები სიკვდილის მერე,
ყვავილს მოგიტანთ საიქიოდან,
მოვიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს
და თვითონ ღმერთის იმედს მოვიტან.“

პოეტს სწამს, რომ დაბრუნდება საიქიოდან, მოვა ნისლად, წვიმად და ბალახად, მოიტანს წამალბალახა ყვავილს, რათა უმკურნალოს ვისაც რა სტკივა. იგი დაბრუნდება თავისუფალი და მოიტანს მაღალი ღმერთის სუნთქვას, დააღნევს თავს სიკვდილსა და სიმარტოვეს, იქნება ყველგან: ქარში, წვიმაში, მზეში, მზის ამოსვლაში... ცისკრის ვარსკვლავთან ერთად იმზევებს მუდამ სააქაოს — საუკუნიდან საუკუნეში.

„მე დავბრუნდები სიკვდილის მერე“...


კაკო ვაშალომიძე

ს. ოქრ
გოგ ძე

ისოდე, სისოსხლის ფასი!

„ადამიანები მეტად ლმობიერნი არიან. ისინი მზად არიან ყველაფერი შეიწყნარონ, გარდა გენიისა“.
ო. უალდი

ამ ქაოტურ საუკუნეში ადამიანები ქარს ადევნებულ ფოთლებს ვგავართ, თითქოს დროც შეუბრალებლად მიგვარბენინებს დაოთხილი, უბელო ცხენებივით. უფრო დიადი და მნიშვნელოვანი კი წამის წამში აღმოჩენაა. ზოგნი ცოცხლობენ და ზოგნი ცხოვრობენ, უკვდავება კი იმის ხვედრია, ვინც ყოველივე მოკვდავზე მაღლა დგას. შემოქმედისათვის სიცოცხლე ტანჯვაა, სხეულში გამომწყვდეული მუდამ ჭიდილშია ღვთიურსა და ადამიანურს შორის. ნიჭიერება ტვირთია, რომელიც თავისთავადს, მარტოსულს ხდის პიროვნებას, რადგანაც ადამიანები იშვიათად წყალობდნენ რჩეულებს.

უჩვეულო არაფერია, ცხელი ზაფხული და ივლისის თაკარა მზე, საოცრად ვღელავ და სუნთქვა მეკვრის. გონებაში ვიხსენებ ყოველივეს: განცდილს, ნანახსა და გაგონილს, მოსმენილსა და შესისხლხორცებულს, ემოციას ვიმორჩილებ, ალღოსა და გამოცდილებას ფარივით ვუხვედრებ.

ბავშვობაში ყველა მუსიკოსი და განსაკუთრებით ვირტუოზნი, ჯადოქრებად მიმაჩნდა. მიკვირდა, როგორ იმორჩილებდნენ ინსტრუმენტს და როგორ ეთამამებოდნენ ბუნების დაუოკებელ სტიქიებს, ქარს, წვიმასა და გრიგალებს. ყველაზე უკეთ კი ადამიანთა სულის შეუღწევად ლაბირინთში თარეში შეეძლოთ. თითქოს აშიშვლებდნენ, ცხოვრებისეული ჩარჩოსაგან ათავისუფლებდნენ და ანგელოზისებრ წმინდას ხდიდნენ ყოველივეს.

კარს საშუალოზე მაღალი, გრძელთმიანი, ჭაღარაშერეული მამაკაცი მიღებს. პირველმა ელდამ და მისალმებამ ჩაიარა, ოთახში ყველაფერი უბრალო, საწოლი, მაგიდა, სავარძელი. კუთხეში მიყრილი ჩუსტები მორჩილი ფინიებივით ელიან პატრონს. მზის ათინათი იქვე ატუზულ გიტარას ელაციცება, მხართეძოზე წამოგორებულა მეორე ინსტრუმენტი, ქეიფით დაღლილი, ნამთვრალევი კაცივით. ოთახში დადის შეშლილი მუზა, ხან ტირის, ხან იცინის. სთხოვს ჯადოქარს, რომ დაინდოს და სამუდამო ტყვეობისგან გაათავისუფლოს. კლდესავით ამართულია იგი, შეუვალი და ჯიუტი. ასანთლებულ, ჩამოქნილ თითებს ჰაერში აათამაშებს, გიტარას დააცხრება და დაწყვეტამდე დაჭიმულ სიმებს ისე ჩააფრინდება, როგორც მხედარი ტრამალზე გაჭრილ, დაფეთებულ ულაყს. კედელზე ნახატია, იქაც გიტარა მიყუჩებული, მეორე მხარეს კი ახალგაზრდა, გრძელთმიანი ჭაბუკი, თვალებანთებული. სურათი მოსწავლის ნამუშევარია, საერთოდ კი, ხატვა მისი სტიქიაა. „მუსიკის სიყვარული რომ არა, აუცილებლად მხატვარი გამოვიდოდიო“! ორიდან ერთი უნდა აერჩია, ერთისათვის უნდა მიეძღვნა სიცოცხლე. ერთისათვის უნდა დაფერფლილიყო, სხვაგვარად ყალბია ნამდვილი ხელოვნება.

ბატონი კაკო ვაშალომიძე სავარძელში ჩაეშვა. დაღლილი ხელები, გიტარის ტარზე ჩამოასვენა და მჟღერი, ძლიერი ხმით, სვენებსვენებით ალაპარაკდა. ვუსმენ და მიკვირს, არავითარი ქედმაღლობა, იმდენად ბუნებრივია, უშუალო, ახლობელი, მგონია დიდი ხანია ვიცნობ. გაოცებული ბავშვის თვალებით მიცქერის და ამბობს: „ძალიან ცოტა რამ მწყინს, ცოტა კი მიხარია. მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ჩემი ტკივილითა და პრობლემებით. უბრალოდ, არასდროს, არაფერზე დამიჩივ-

ლევან მელიქიშვილი, კაკო ვაშალომიძე და ვალერი ფაილოძე

ლია. ბედნიერება ყველას სხვადასხვაგვარად ესმის, ჩემთვის კი ბედნიერება ისაა, ჩემი ხელოვნებით ხალხს ვემსახურო."

მოგონებები მოფუთფუთე მტრედებივით წამოეშალნენ. ყველაფერი წამისად გაცოცხლდა, გურიის პატარა სოფელი, ისლით გადახურული ოდა სახლი, მწვანე, ახავერდებული კოინდარი და საყვარელი, ტკბილმოქართულე ბებიის აჩრდილი. ქალი ნიავივით მოირწევა თეთრთმიანს თეთრი პერანგი აცვია, ხელებს შლის და თავის სისხლსა და ხორცს გულში იხუტებს: „შენ შემოგევლე, კაკოია! გოუფრთხილდი, ბიჭო ყოლიფერს, იცოდე, აგია შენი ქონება და თვალ-მარგალიტი." ნისლში იძირება წარსული, პატარა ბიჭი უცებ იზრდება და აკვიატებული სიზმარივით თან დაჰყვება წინაპრის მოძახილი. იქნებ ამიტომაც შემორჩა უძაღლო ქვეყანაში, როგორც უმიზნოდ შეყვარებული შვილი თავის ქვეყნისა.

პირველად თექვსმეტი წლისამ დაუკრა. ეს იყო მშობლიურ მე-60 სკოლის სცენაზე. ახალგაზრდებმა უცებ აიტაცეს მისი მუსიკა, მათსავით დაუდგრომელი და დაუოკებელი. რაღა შეაჩერებდა პატარა ვირტუოზს, რომელიც ღამეებს ათენებდა, თავდაუზოგავად იღვწოდა და ეძებდა, ჯადოსნურ ბგერას, რომ მსმენელისათვის გადმოეცა ახალი, თანამედროვე ხელოვნება. არავის არაფერი უსწავლებია, ეს იყო თავისთავადი ამოფრქვევა გაღვიძებული გენიისა. ვუსმენ მის მუსიკას და ვგრძნობ ზღვის ამღვრეულ გულისცემას, ქარში აცეკვებულ შემოდგომის ფოთოლცვენას. ციდან მოფარფატე ფიფქთა ტანგოს. კომპოზიცია „სევდა" სულში მობორიალე აკორდებით, ტკივილამდე დამთრგუნველი. ამას მოჰყვა „ფიქრები" იქნებ საკუთარის ამოძახილი.

წარმატება მალე ეწვია, მისი ეკრანზე გამოჩენა და აღიარება ქართული საგიტარე მუსიკის აღმოცენება იყო. მაყურებელმა სამართლიანად უწოდა ჯადოქარი. გადამეტებული ქება ეხლაც ეხამუშება. თვლის, რომ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, იმ გზას მიჰყვებოდა, რომელსაც უწვერული „ბითლზების" ბიჭები უკვალავდნენ, საათობით უსმენდა მათ სიმღერებს და მოშიებული ბარტყივით ნთქავდა, საკუთარ ქურაში ადნობდა თითოეულ ბგერას, თითოეულ აკორდს. კედლიდან თეთრი ღიმილით შემოგვცქერის ჯიმი ჰენდრიქსი, მისი საყვარელი მუსიკოსი და გიტარისტი. აქვს უამრავი მიწვევები საზღვარგარეთიდან, ჯილდოები, პრიზები, აღფრთოვანებით სავსე წერილები და, რაც ყველაზე მეტად სანატრელია ხელოვანისათვის, ხალხის უსაზღვრო სიყვარული და დაფასება, ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გრძნობდა და აძლებინებდა ძნელბედობის ჟამს.

მეგობრების დახმარებით გადაღებული აქვს კლიპები. სპონსორებითა და დამფინანსებლებით არ ყოფილა განებრივებული. ქვეყნის მესვეურთ კი არასდროს ეცალათ მუსიკის განვითარებისათვის.

კაკო ვაშალომიძე შვილთან, შაკოსთან ერთად

ეროვნულ ფესვებზე აღზრდილს სურვილი ჰქონდა ახალი ინტერპრეტაციით წარმოედგინა ქართული ხალხური მუსიკა, ძვირფასი საგანძურიდან მარცვალ-მარცვალ ამოეკრიფა ბრწყინვალე მარგალიტები და მსმენელისათვის მიეწოდებინა. სწორედ ასე შეიქმნა „მწყემსური" მელოდია, რომელიც განახლე-

კაკო ვაშალომიძე მეგობრებთან ერთად, 2002 წლის საავტორო კონცერტის შემდეგ...

ბული მოზაიკური რიტმითა და სისადავით გამოირჩევა. მთიდან მოშხუის დაქანებული მდინარე, თავპირისმტვრევით მიიჩქარის, გიტარის ხმა თითქოს მის სრბოლას აჰყოლია. მწვანეზე ფარას დადევნებია მეცხვარის ბომბორა ნაგაზი, აგერ სისხლსავსე თუში ბიჭები, მოლზე ცვრიან მწვადს აშიშხინებენ, ლაღია მათი ბუნება და ხასიათი, ამავდროულად ფიცხი და დაუოკებელი, ნამდვილი ქართული, სულადუღებული, ალალი და უღალატო.

მთელი მისი ცხოვრება უანგარო სამსახურია ქართული მუსიკისა. უფრო ჟინია, ლტოლვაა, რომლის გარეშეც სიცოცხლე წარმოუდგენელია. ღამით სიზმარ-ცხადში გრძნობამორეული ამდგარა და ყველაზე კარგი მუსიკა დაუწერია. რა არის ეს, თუ არა გამოცხადება.

მშობლები უაღრესად შრომისმოყვარე და წესიერი, ორივენი ინჟინრები, მამა ცნობილი გამომგონებელი, საინტერესო კვლევების ავტორი. იქნებ, სწორედ ამიტომაც გაჰყვა მის კვალს და პოლიტექნიკურში ჩააბარა. ნამდვილად დიდი დანაკლისი იქნებოდა ქართული ხელოვნებისათვის მისი დაკარგვა, მაგრამ ხალასმა ნიჭმა თავისი გაიტანა და ჯებირმორღვეული მდინარესავით ამოხეთქა.

მისაღები გამოცდები მუსიკალურ სასწავლებელში ერთგვარი აღიარებაც კი იყო მისი ნიჭისა. გამოცდილი ჟიურის წევრები ხედავდნენ, რომ მათ წინაშე უაღრესად დიდი მომავლის ადამიანი იდგა, დახვეწილი სმენით, ინსტრუმენტის ფლობის ტექნიკით და განსხვავებული მანერით. ერთხელ ასეთი სახელდახელო კონცერტის შემდეგ, ერთმა პედაგოგმა ქალბატონმა ახალგაზრდა ყმაწვილი გვერდით გაიხმო და სრული სერიოზულობით სთხოვა, ესწავლებინა გიტარაზე დაკვრა. იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ეს წინადადება, რომ დაიბნა და ვერაფერი უპასუხა.

მოწაფეებისათვის იგი ლეგენდაა, ცოცხალი მაგალითი. ისინი მოდიან და დიდ მადლს ნაზიარები ცხოვრებას მიჰყვებიან. ბატონი კაკოსგან კი მუსიკისადმი გაუნელებელი ლტოლვა და ჟინი მიჰყვებათ. მათ იციან ერთი რამ, თუ გინდა, რომ ნამდვილ ხელოვნებას ეზიარო, ყველაფერი უნდა შესწირო. დღედაღამ თავდაუზოგავად იმუშაო და იღვაწო, დანარჩენი კი მხოლოდ უფლის ნებაა.

საღამოს დაღლილი მოვიდა. ტყავგადაკრულ დივანზე ჩამოჯდა და მიესვენა. სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. მეუღლე საქმიანობდა და თან ჩუმად ღიღინებდა. შემოდგომა ილეოდა, სახლის წინ ტანაშოლტილი ჭადრის ხეები ოქროსფრად მორთულიყვნენ. რაღაც გაახსენდა და ფეხაკრეფით გავიდა, თითქოს არ უნდოდა გამეფებული მყუდროების დარღვევა. სადარბაზოსთან დიდი ძაღლი გაწოლილიყო, დაბერილ კერტებზე ეტყობოდა ლეკვები რომ ჰყავდა. მოკრძალებით აუარა გვერდი. ცისფერთვალება, პატარა ბიჭი წინ შეეჯახა. — სად მიდიხარ მამა? — ჰკითხა მან და კვიცივით აედევნა უკან. მამა-შვილი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. იქვე სკვერში ჩამოსხდნენ. ბიჭი ჩამავალ მზეს უცქერდა. მამას მოუნდა მოფერებოდა შვილს, ვეება ხელი მოხვია და მიიზიდა. "ბედნიერი კაცი ვარ" — გაიფიქრა გულში და გაეღიმა. ცოტა რამ უნდა ადამიანს ბედნიერებისათვის. ესეც თავისთავადი მუსიკაა, მამაშვილობა, იმდენად ფაქიზი, როგორც ფაიფურის თოჯინა.

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე თავისებური წარმოდგენა აქვს. „გენდერულ თანასწორობაზე იმდენი წერეს, იმსჯელეს, კინაღამ მართლა დავიჯერეთ, რომ ქალი ყოვლისშემძლე და მძლეთამძლეაო. უფრო მეტიც, მამაკაცებმა ყოველგვარი მოვალეობანი თავიდან მოიშორეს და ქალს ოჯახის სადავეები მობეზრებულ სათამაშოსავით გადააბარეს. ამიტომაცაა, რომ ქალი, ნაზი და სუსტი არსება დამეწყრილ ხეს დაემსგავსა, გაუხეშდა გამკაცრდა, გაორგულდა. ბატონი

კ. ვაშალომიძე და როკ ჯგუფი „ოკეანე“

კაკოსათვის ქალი უბრალოდ საოცარი ქმნილებაა, სიცოცხლის საწყისი და დამბადებელია. უფალმა ყველაფერი ჰარმონიულად შექმნა, მამაკაცი ქალის დასაცავად და არა საბატონოდ, ქალი კი მეგობრად, ქალის მომეტებული მგრძნობელობა, შორსჭვრეტა, ფსიქოლოგიური გააზრებაც მისგანშეწონილია. მან იცის როდის იტიროს, იცინოს, იკეკლუცოს, სწორედ ასეთი ქალები გადაარჩენენ საქართველოს მომავალს. ქალი სინათლეა, რომელიც ღამის წყვდიადში საკუთარი სახლის ფანჯრიდან გვინათებს გზას.

ადამიანის გული სურვილების ზღვაა, მთელი ცხოვრება ცდილობს აშენოს, შეიძინოს, აგროვოს. იგი პირგამეხებულ მხეცს ჰგავს, რომელმაც დაივიწყა თავისი ვალი უფლისა და ქვეყნის წინაშე. ხელოვანისათვის ერთი სიცოცხლე არ კმარა, რომ მთლიანად დაიხარჯოს. როცა დიდ საქმეს შეჭიდებიხარ ბოლომდე უნდა მისდიო, უერთგულო, დაინვა, დაიფერფლო. როგორ შეიძლება გულგრილი დარჩე კაკო ვაშალომიძის შემოქმედებისადმი, როცა ხედავ მის უანგარო სამსახურსა და თავდადებას. ზოგჯერ ადამიანი უნდა გათავისუფლდეს პირადულისაგან, დაივიწყოს ყოფითი და მიღმიეთში გადაიხედოს. შემოქმედის საქმიანობა მთლიანად სიყვარულზეა დაფუძნებული. სიყვარული კი ის გზაა, რომელსაც მთელი კაცობრიობა ღმერთთან მიჰყავს. ეხლა სწორედ ის დროა, როცა ქართველებს ყველაზე მეტად გვჭირდება ერთმანეთის სიყვარული და გატანა. ჩვენ გამუდმებით ვიმეორებთ, განსაკუთრებული ერი ვართო. რაში გამოიხატება ჩვენი განსაკუთრებულობა ამას ნაკლებად ვითვალისწინებთ. რაც კარგი გვაქვს სწორედ, რომ იმ გენისა და ფესვის მადლია, რომლის მაცოცხლებელი ძალითაც უნდა იკვებებოდეს ახლანდელი თაობა. ამიტომ კარგად უნდა გავიაზროთ, სად მივდივართ, რა გზას ვადგავართ. მთელი არსებით უნდა ვეცადოთ არ ავცდეთ მას. ჭეშმარიტება — ჭეშმარიტების ძიებაში. სწორედ ესაა ხელოვნება. უტყუარი მტკიცებულება ზეამაღლებული პრინციპებისა. ხელოვანი ხალხის მოძღვარია. მას დიდი როლი ეკისრება სულიერების წარმართვაში. მუსიკა მაგიაა, რომელიც წარმოშობს ემოციას. მოქმედებს გრძნობაზე.

„ჩემი მუსიკით მე ყოველთვის ვცდილობდი სიკეთისა და სიყვარულის დესპანი ვყოფილიყავი ადამიანებს შორის. ეხლა დრო შეიცვალა, ახალგაზრდობის უმეტესობა ჭირვეული ჩვილივით ცდილობს არტახების გაწყვეტას, ადვილად, უშრომლად უნდათ მიაღწიონ წარმატებას. მიმბაძველობის სენით შეპყრობილნი რაღაცას ცდილობენ, ფაფხურობენ. კარგია ახლის ძიება, თუ ის ხალხის სულიერების გაღვიძებისკენაა მიმართული, ხელოვნება ზნეობისა და კულტურის მსახურია, მორალურია თავისი არსითა და დანიშნულებით“.

გამომშვიდობებისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ახლობელ ადამიანს დავშორდი, საოცარი სითბო გამომყვა, გული გამინათდა და სიხარულით ამევსო. მართლაც დიდი ძალა აქვს მუსიკას.

ქალაქი ლამპიონების შუქზე ფეთქავდა, ცოცხლობდა, მღეროდა. იქვე, კუთხეში ბიჭი იდგა, დახეული ჯინსებით, გიტარით ხელში და გრძნობამორეული უკრავდა, თითქოს ვერ ამჩნევდა ხალხის არეულ ლანდებს. მუსიკა იყო ყველასათვის ნაცნობი და ძველი, ამიტომ ყველა მათგანი ჩუმად ღიღინებდა საყვარელ მელოდიას, როგორც სიცოცხლის დაუვიწყარ საგალობელს.

ჯაზ-კვარტეტი: ნუგზარ მაისაშვილი, შოთა ჯამბურია, ოთარ მალრაძე, კაკო ვაშალომიძე

ნათელა
ფირუზაძე

დრამატული თეატრი ხილულთა, უხილავთა და უჩინართა სამყარო

შეიქმნა ახალი რუბრიკა — „საუბრები ხელოვნებაზე“. ესაა ჩვენი გამოძახილი საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის დიდად მნიშვნელოვან სიახლეზე — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა კლასში ხელოვნების შესწავლის აუცილებლობა.

ეს სიახლე უშუალოდაა დაკავშირებული მომავალი მოქალაქის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პრობლემასთან.

ვისაუბრებთ ხელოვნების ყველა სახეობაზე. ვიწყებთ სათეატრო ხელოვნებით.

რატომ ასეთი სათაური? იმიტომ, რომ ყოველი ჩვენგანი დრამატულ თეატრში რაღაცის სახილველად მიდის — სპექტაკლი სანახაობაა. ამ სანახაობის სახილველად მისული მაყურებელთა დარბაზში იმყოფება. ხედავს ყველაფერს, რაც სცენაზეა და მის თვალწინ ხდება. ამავე დროს, არის რაღაც ისეთიც, რასაც ის ვერ ხედავს, რადგან უხილავია, თუმცაღა არსებული: სცენაზე გაცოცხლებული ნაწარმოების მოქმედ გმირთა ფარული ზრახვანი, მათ ფიქრთა ბინადარი სიტყვები, გულისტკივილი, ოცნება, იმედი... განა ეს თვით რეალურ ცხოვრებაშიც ასე არაა?!

არის უჩინარიც; ოღონდ მხოლოდ მაყურებლისათვის და არა ფარდის მიღმა მყოფთათვის. იქ არიან გრიმიორები, რეკვიზიტორები, მსახიობთა ჩამცმელები, სცენის მუშები, გამნათებლები, სპექტაკლის წამყვანი და ა. შ. ეგრეთ წოდებული დამხმარე პერსონალი.

რაღაც ხილული, რაღაც უხილავი და უჩინარი ყველა წარმოდგენაში არსებობს. მართლაცდა, თუ ყველაფერი იქნება ხილული, ყველასათვის ერთნაირად დასანახავი, ამოსაცნობი რაღა იქნება? თუ არ იქნება ამოსაცნობი, მაყურებლის წარმოსახვას რა გააღვიძებს? თუ წარმოსახვა არ ამოქმედდა, მაყურებელი წარმოდგენაში როგორ ჩაერთვება? როგორ გახდება მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშე თეატრს არსად და არასდროს უარსებია? დაბოლოს, თუ მაყურებელი წარმოდგენის შემქმნელთა თანაშემოქმედი არ გახდება, როგორ მიიღებს იგი ესთეტიკურ სიამოვნებას? რა გაამდიდრებს მის სულს? ან თვით ეს ხელოვნება — თეატრი — როგორ აღასრულებს თავის დანიშნულებას?

რას ვხედავთ ხოლმე თეატრში მუდამ? ადამიანთა ცხოვრებას. სხვადასხვა ქვეყნის, დროისა და ეროვნებათა ადამიანების ცხოვრებას. მუდამ აღსავსეს მათი სურვილებით, მიზნებითა და მისწრაფებებით; ხმოვანებითა და ფერადოვნებით; შეუჩერებლივ მიმდინარეს, ცვალებადს, მოუხელთებელსა და ამის გამო მუდამ რთულს.

უზენაესის მიერ შექმნილ სამყაროში ასე ცხოვრობს ადამიანი. იმავე უზენაესის მიერ ამ სამყაროში მხოლოდ მას, ერთადერთს აქვს მინიჭებული უნარი შეცნობისა და ქმნადობისა. მხოლოდ ის შეისწავლის სამყაროს, ის აღმოაჩენს კანონებს, ის ქმნის სოციალურ გარემოსა და კულტურას, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანს შეუქმნია, მათ შორის ხელოვნებასაც.

ხელოვნების ნაწარმოების შემქმნელი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. ამ ნიჭის წყალობით შეუძლია მას რეალურად არსებული მოვლენა საკუთარი აზრითა და განცდით, საკუთარი სათქმელით დატვირთოს, შესძინოს მას ახალი შინაარსი; გამოთქვას იგი მხატვრულ სახეთა საშუალებით და ამით ხელოვნებისეულ მოვლენად აქციოს. მაშასადამე, საერთოდ კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილად — სულიერ კულტურად. ეს კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ

დიდმა ქართველმა რეჟისორმა **ალექსანდრე ახმეტელმა** პირდაპირ განაცხადა:

„ეროვნული მხოლოდ კულტურაში ჰპოვებს თავის უკვდავებას. გადაგვარება ერისა იწყება მაშინ, როდესაც მისი ხელოვნების კულტურა ეცემა.“ [1]

მხატვრულ ქმნილებასთან შეხვედრისას აღძრული მშვენიერის განცდა ადამიანს ამდიდრებს როგორც სამყაროს, ისე საკუთარი თავის გაცნობით.

ხელოვანმა, მათ შორის სცენის ხელოვანმა, არსებულ სინამდვილეში უნდა შეარჩიოს ის, რაც პოეტურ გააზრებას ექვემდებარება. ამ არჩევანით შეიჭრება ხოლმე იგი ცხოვრებაში და მის შესახებ თავის სათქმელს ამბობს. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედს აუცილებლად აქვს გარკვეული მსოფლმხედველობაც და გასააზრებლად შერჩეული სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულებაც. მის მიერ შეთხზულის სიმართლე ხომ ფსიქოლოგიური სიმართლეა, აღმქმელის დამტვირთავი არა მარტო ფიქრითა და განცდით, არამედ განსაკუთრებული, ესთეტიკურ ტკბობად წოდებული სიამოვნებითაც.

ყველა ხელოვანი მხატვრული სახეებით, ე. წ. ხატებით უბნობს. ყველა ქმნის სხვისთვის და მიმართავს ადამიანთა უნარს წაიკითხონ და ამოიკითხონ არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ ფერით, ხაზით, ბგერით და ქცევით დაწერილი. ამას საუკუნეთა განმავლობაში ადასტურებს ხელოვნების ყველა სახეობა. იმასაც, რომ ცხოვრებაც და ხელოვნებაც მოიცავს ხილულსაც და უხილავსაც.

განა მხოლოდ მხატვრული ქმნილება? ადამიანის ყოველდღიური არსებობა უხილავით არაა სავსე? ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ჩავიხედოთ ერთ ძალიან პატარა კრებულში, რომელშიც თავმოყრილია ამის დამადასტურებელი **ილია ჭავჭავაძის** ნათქვამები. კრებულს ეწოდება „ჭკუა ურჩევს, ენა იტყვის“ (ის გამოსცა გამომცემლობა “მერანმა“ 1978 წელს). მისი ერთი ბეწო ფურცლები გვაუწყებენ:

„მანამ ენა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის რა ქმნას“. (გვ.33)

„ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ აამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ; თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ“. (გვ.49)

„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენოთ, მაგრამ სრულად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავება არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა“. (გვ. 54)

„ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“. (გვ. 56).

„ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. (გვ. 23).

აქ მოხსენიებულთა შორის რომელია ხილული — ჭკუა, გული, ტვინის ძაფები, გრძნობა, აზრი, სინდისი, გონება, ფიქრი?..

თუ იმავე ილია ჭავჭავაძის ეს ცნობილი სიტყვები:

„ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი“?

სული... ანუ? ჩავიხედოთ ლექსიკონში —

„სული — ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა, — აზროვნება, ცნობიერება.

ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნების ფსიქიკური თვისებების (უნარი, ნიჭი, ხასიათი, გრძნობა, განცდა, მიდრეკილებანი) რაც მის მოქმედებას, ქცევას, თვალსაზრისს განსაზღვრავს“[2]

ეს ყველაფერი, რასაც ვერ ხედავს მაყურებელი, უშუალოდაა დაკავშირებული დრამატული თეატრის მხატვრული ქმნილების — სპექტაკლის — ურთულეს ორგანიზმთან.



ქართული თეატრის დარბაზი

იქ უჩინარიც არსებობს არაერთი. ის უჩინარია მაყურებლისათვის, მაგრამ ჩართულია მოქმედ პირთა ხილულ სცენურ ცხოვრებაში იმდენად, რომ გამოჩენილ ხელოვანთა მოგონებებში ცოცხლობენ. ერთი ნიმუში —

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო;

„... ნ. გოგოლი თავისი რემარკით მოითხოვს, რომ სცენა (“რევიზორის“ ფინალი) გრძელდებოდეს 1,5 წუთი. ვინ იცის, იქნებ რამდენჯერ განიცადა ეს ეპიზოდი ავტორმა იმისთვის, რომ შეეგრძნო ის შთაბეჭდილება, რომელიც მან უნდა მოახდინოს თეატრში და თითქმის ზუსტად გამოიანგარიშა მისი ხანგრძლივობის წუთები. მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეპიზოდის ხანგრძლივობა 52 წამზე მე-

1. ალ. ახმეტელი. წერილები. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1964. გვ. 46.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. 1986. გვ. 413.

ტი ყოფილიყო. ხოლო როდესაც მე ვკითხე მოკარნახეს, რომელსაც ფარდის დახურვა ევალებოდა, რით ხელმძღვანელობს იგი ამ დროს, მან მიპასუხა: მე ვხურავ ფარდას მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ კიდევ ერთი წამიც რომ დავაყოვნო მისი დახურვა, გული აუცილებლად გამისკდება."[1]

მსგავსი მოგონებები სხვა უჩინარ მონაწილეთა შესახებაც არსებობს. ერთ დღეს რომ თეატრმა ყველა ერთად სცენაზე გამოიყვანოს, მაშინ დაინახავს მაყურებელი რამდენი უჩინარი ადამიანი მუშაობს იმისთვის, რომ ერთი სპექტაკლი შედგეს. მათ შესახებ ვ. ბონდარევამ წიგნიც გამოსცა „За кулисами театра."

ხილულთა, უხილავთა და უჩინართა შორის კავშირები იმდენია, რომ ერთი წიგნიც ვერ დაიტევს, მით უფრო საჟურნალო საუბრები, რომლებსაც ვიწყებთ. ამიტომ მხოლოდ უმთავრესსა და მუდმივმოქმედთ შევეხებით.

ვინაიდან სპექტაკლის განსხვავებულ ნაწილთა შორის კავშირებიც განსხვავებულია, მათგან ზოგიერთს არაერთხელ შევხვდებით. ოღონდ განსხვავებულ კომპონენტებთან ურთიერთობაში.

ეს განმეორება ხან შეხსენება იქნება, ხან ერთხელ ნათქვამის გამყარება, ხან მისი სხვა ასპექტებით წარმოჩენა. განმეორება გარდაუვალია იმის გამო, რომ სპექტაკლის ყოველი შემადგენელი ნაწილი მისსავე სხვადასხვა ნაწილებთანაა დაკავშირებული და ამ ახალ კავშირში თვითონაც იცვლის სახეს.

ბუნებრივად იბადება კითხვები: სად, როდის, რატომ დამყარდა ეს კავშირი? ვისი — ვისთან? ხილულთან თუ უხილავთან? პარტნიორთან? გარემოსთან? საგანთან? მაყურებელთან?... რანაირად... როდის და რატომ შეწყდა?..

რუსთაველის თეატრის დარბაზი

რას იზამ, ასეთი რთული აღნაგობისაა ის უძველესი, მრავალსაუკუნოვანი სახეობა ადამიანის შემოქმედებისა, რომელსაც წარმოადგენს სათეატრო ხელოვნების მხატვრული ქმნილება — სპექტაკლი. ურთულესია მისი აღნაგობა, რადგან იგი მოიცავს მხატვრული შემოქმედების არაერთ სახეობას: ლიტერატურასაც, მხატვრობასაც, მუსიკასაც; ამავე დროს მსახიობის ცოცხალ ქმნილებასაც – იმ უმთავრესს, რაც საერთოდ სათეატრო ხელოვნების არსებობის განმაპირობებელია.

საუბრები სათეატრო ხელოვნებაზე, რომლებსაც ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს, სპექტაკლის რთული აღნაგობის გარკვევის მცდელობაა. განსაკუთრებით რთულისა იმის გამო, რომ ის ცოცხალია, მაშასადამე, სულით მართული.

ხელოვნების ამ ცოცხალ სახეობაში მსახიობის ნიჭით აღჭურვილი ადამიანი თხზავს სხვა ადამიანის მხატვრულ სახეს და თვითონ განასახიერებს მას სცენაზე. შემქმნელიც ისაა და მისივე მხატვრული ქმნილებაც — ერთ არსებაში ორი განსხვავებული ადამიანი — რეალური და შეთხზული! წარმოვიდგინოთ, რა სირთულეა ეს! მაგრამ სათეატრო ხელოვნების ნიმუშებს, მისი სპექტაკლის მოქმედ პირთა სცენურ ცხოვრებას მხოლოდ ამნაირი ნიჭის მქონე ადამიანები ქმნიან.

ორივე ამ ქმნილებაში — რეალურად არსებულ ადამიან მსახიობშიც და მისი წარმოსახვით შეთხზულ სცენურ სახეშიც, ასევე ურთულეს — სპექტაკლად წოდებულ ქმნილებაში, არსებობენ ხილული და უხილავი ძალები. ერთშიც და მეორეშიც მათ ხილულ სიცოცხლეს უხილავი ძალები წარმართავენ. ამას სცენის ხელოვანთა ნააზრევიც გვიდასტურებს—

მიხეილ თუმანიშვილი:

„კარგი პიესის გული არასოდეს ზედაპირზე არ დევს, იგი ყოველთვის ღრმადაა დაუნჯებული, როგორც ის გრძნობები, რომელთა დანახვა არ შეიძლება. ჩანს მხოლოდ შინაგან მიზეზთა გარეგანი გამოვლენა. მედიცინაში ასე ხდება: მომეტებული **როე** ექიმისთვის სიგნალია — სადღაც ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. პიესა შინაგან პროცესთა ამსახველი ჩანაწერია."![2]

მაშ ასე, მხატვრული ნაწარმოების არსი ემოციურად შეფერილი აზრია, რის შესახებ? ცხოვრების, ადამიანის შესახებ. ეს მოკლედ, ზუსტად და ამომწურავად ჩამოაყალიბა ჩვენი დროის დიდმა რეჟისორმა და ჩვენმა თანამემამულემ **გიორგი ტოვსტონოგოვმა:**

„ჭეშმარიტად მხატვრული ამოცანა — ადამიანის სულის კვლევაა".[3]

სულის — ყველაფერზე ძლიერის, ყველაფერზე მნიშვნელოვანის, ყველაზე უხილავის!

1. Сб. Гоголь и театр. „Искусство". 1952. с. 496.

2. მ. თუმანიშვილი.სანამ რეპეტიცია დაიწყება... საქ. თეატრ. საზოგადოება. თბ. 1977. გვ. 81-82

3. Г. Товстоногов. Что считать добром. а что злом. газ. „Известия." 15 сентября 1988 г



რუსთაველის თეატრი

რადგან სპექტაკლი ადამიანთა ცხოვრების მიმდინარეობაა, ის თავისებური ნაკადია: მოვლენათა, ქცევათა, მოქმედებათა... მათი გამომწვევი მიზეზებისა. ნაკადი სამოსელთა, საგანთა, ხმოვანებათა... მათ ჩვენ, მაყურებლები ამოვიცნობთ. მაშასადამე, დარბაზშიც ნაკადია — ამოცნობათა ნაკადი, რასაც ჩვენ ამოვიცნობთ. რის წყალობით? მოქმედ პირთა მიერ წარმოთქმულ სიტყვათა შინაარსების, მათი ინტონაციით შეფერადებული ხმოვანების ნაკადით — ისიც ხომ განსხვავებული და მეტყველია... მოქმედ პირთა თვალთა მზერის ნაკადითაც. ეკრანულმა ხელოვნებამ ხომ დაგვანახა ასე ახლოდან ეს ნაკადი მსხვილი ხედის წყალობით... მსახიობთა სხეულების მეტყველი პლასტიკის ნაკადითაც, განუწყვეტლივ რომ რალაცას გვატყობინებს სცენის სივრცეში ჩახატული მუდმივ ცვალებადი მიზანსცენებით — სულთან ერთად, სხეულსაც ხომ შეუძლია ლაპარაკიც და დუმილიც — მოძრაობაც და უძრაობაც...

მოვა დრო და ახალი ტექნიკური აღმოჩენები სათეატრო ხელოვნების მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელებსაც და ხელოვნებით დაინტერესებულებსაც ყოველივე ამის შესწავლის ახალ საშუალებებს მისცემენ, როგორც მისცეს მათ მედიცინას მიკროსკოპი, ექოსკოპი, რენტგენი...

მაშინ გახდება შესაძლებელი სპექტაკლის შემქმნელთა გუნდური, ანსამბლური ქმნილების შესაბამისი შესწავლა და სრულყოფილი თეორიული გააზრება.

დღეს ჩვენ წინაშე საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმამ ახალი პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვა იმ სიახლით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია: სადღეისოდ უკვე თორმეტწლიან სასკოლო სწავლების ყოველ კლასში მითითებულია საგანი ხელოვნება. პირველიდან მეათე კლასის ჩათვლით მხატვრობა და მუსიკა (როგორც აუცილებელი). მეთერთმეტე კლასში — თეატრი (არჩევით), მეთორმეტე კლასში — კინო (აგრეთვე არჩევით).

ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან ხელოვნების ნებისმიერი სახეობა სულის საზრდოს მომწოდებელია და, ცხადია, დიდად გამოსადეგი მომავალი მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ეს სიახლე მხატვრული შემოქმედების ყველა სახეობის სპეციალისტისგან მოითხოვს სათანადო ბეჭდურ ნაშრომს ხელოვნების მისთვის ცნობილი სახეობის **რაობის** შესახებ, რათა ის გამოადგეს საგნის მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

პრობლემა ადვილად გადასაწყვეტი არაა, მაგრამ არც სახვალიოდ გადასადებია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჟურნალ "ლიტერატურა და ხელოვნების" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ამ ძალზე მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება დაიწყოს საუბრებით დრამატული თეატრის რაობის შესახებ.

ყველასათვის ცნობილია მისია, რომელიც აკისრია ყველა დროისა და ქვეყნის დრამატულ თეატრს იმ ქვეყნისა და იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც იგი ეკუთვნის და რომელსაც, ესთეტიკურ ღირებულებათა შექმნის გარდა, უნახავს მის მშობლიურ ენას და ამ ენაზე მეტყველების კულტურას.

ამგვარი შესაძლებლობის აღმზრდელობითი დანიშნულებაც ყველასათვის კარგადაა ცნობილი — თეატრი ხომ ყოველ საღამოს (ან დილა-საღამოს) მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, მასთან კონტაქტში წარმოაჩენს ადამიანის მაღალზნეობის ცოცხალ, მისაბაძ ნიმუშებს.

და განა საგანგებოდ მოზარდ მაყურებელთათვის განკუთვნილი თეატრების არსებობა იმის საყოველთაო აღიარება არაა, რომ დრამატულ თეატრს სულიერი აღზრდის უდიდესი მისია აკისრია?! მით უფრო, რომ ყოველი მისი ქმნილება — სპექტაკლი — ხელოვნების ყველა სახეობის შემოქმედთა ერთობლივი თხზულებაა!

ჩვენც მათ შესახებ ვისაუბრებთ. ოღონდ, რადგან თეატრი ხელოვნების ერთი სახეობაა, მას უთუოდ უნდა ჰქონდეს ის უმთავრესი ნიშანდობლიობა, რაც ყოველი მისი სახეობისთვისაა აუცილებელი — თეატრი ხელოვნებაა. მისი მხატვრული ქმნილება მოიცავს იმას, რაც ხელოვნების ყველა სახეობისთვისაა ნიშანდობლივი და იმასაც, რაც მხოლოდ დრამატული თეატრის კუთვნილებაა.

(გაგრძელება იქნება)

ხელოვნება კამეტაკვა

„პისეჰიო ბისეჰიო მისეჰ“

„მოვა თოვლი და სხვაგან წაიღებს
ამ მიწის დარდს და მიწის საფიქრალს.
რისთვის მოვედით? ეე, რას გაიგებ
მოვა თოვლი და სხვაგან წაგვიყვანს“.
გ. ჩოხელი

იყო და არა იყო რა, იყო ადამიანი, რომელსაც სჯეროდა ზღაპრის, სწამდა ღმერთი და უყვარდა ადამიანები. „იყო“ გოდერძი ჩოხელი — შემოქმედი, რომელმაც „სევდიან ადამიანებს“ დაუსვა კითხვები, დააფიქრა და, რაც მთავარია, მოუსმინა მათ...

„იყო და არა იყო რა“... ეს ისტორიაც ზღაპარივით დაიწყო. ერთი ჩოხელი ბიჭი მიხვდა, რომ სათქმელი ჰქონდა, მიხვდა და... დაწერა...

მისთვის მწერლობა კინოს გარეშე არ არსებობდა და კინო მწერლობის გარეშე. ეს ალბათ იმიტომ, რომ მწერლობა კინოსცენარისთვის დაიწყო, დაწერა სცენარი ფილმისათვის და გამოვიდა მოთხრობა. „ვწერდი და ვწერ კინოფილმებისთვის“ — ეს სიტყვები სწორედ ქართველ მწერალსა და კინორეჟისორს გოდერძი ჩოხელს ეკუთვნის, შემოქმედს, რომელიც თავისი “მხატვრული ენით“ და სამყაროს ხედვით შემოვიდა 80-იანი წლების ქართულ კინოში. მთაში გაზრდილი ახალგაზრდა რეჟისორის ფილმებში თავიდანვე გამოიკვეთა გამოსახვის ფორმათა უშუალობა. იგი კინოს საშუალებით შეეცადა ეთქვა რა აღელვებთ და „რატომ ტირიან ადამიანები?“...

როგორც თავად შემოქმედი აღნიშნავს — „ადამიანები საიდანღაც მოფრინდნენ დედამიწაზე, მერე ხომალდი გაფუჭდა და შინ ვეღარ წავიდნენ, რამდენი ეკლესია ააგეს ზეციერი ხომალდის მსგავსი, რამდენი ილოცეს, გაფრენა უნდოდათ, მაგრამ ჯერ ვერ გაფრინდნენ... ამიტომ ტირიან ადამიანები“...

ალბათ მართლა იმიტომ “ტირიან“ ადამიანები, რომ არ იციან რა იქნება მერე... ეს არც გოდერძი ჩოხელმა იცოდა. მაგრამ ის მთელი ცხოვრება ეძებდა „წმინდა მიწის“ საიდუმლო კარს, რომ მოხვედრილიყო იმ სამყაროში, რომელსაც წარსული ჰქვია, სულ ფესვებსა და ძირს ეძებდა „თავისი ჩოხიდან“ ცდილობდა გაეგო რა იქნება მერე...

მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორი ცდილობს, გარკვეული თემების, გმირების მიმართ გამოიწვიოს მაყურებლის თანაგრძნობა, გააღვიძოს მათში ადამიანური განცდები, მისი თვითმიზანი მაინც არ არის არც ცრემლები და არც სიცილი. ეს ყოველივე მხოლოდ ხერხია ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებში მაყურებლის ჩაღრმავებისთვის. საკუთარი თავის ამოცნობისთვის. ამას კი ჩოხელი ხშირად იგავის, „თქმულებების“, „დიალოგის, ანდრეზის ფორმით“ ცდილობს.

ფილმიდან „სიყვარულის ცეცხლი“

ფილმიდან „მიჯაჭვული რაინდები "

არც იგავი და არც ინტრიგა, დამალული იუმორი 80-იანი წლების ქართული კინოსთვის არ გახლავთ ახალი მოვლენა, პირიქით სწორედ ხსენებული ფორმა ტენდენციად და ეროვნული კინოს ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად მიიჩნეოდა. მით უმეტეს საინტერესოა ამ თვალსაზრისით — გოდერძი ჩოხელის „ბაკურხეველი ხევსური" შემოქმედის მიერ თავისებურად დანახული და განცდილი გმირი, მისი სამყარო და თხრობის მარტივი პრინციპი.

„ბაკურხეველი ხევსური" არის ისტორია ადამიანისა, რომელიც თავს ცხოვრების ბატონ-პატრონად გრძნობს. იარაღის ხელში აღების ცდუნება ძალაუფლება ჰგონია. ცხოვრება კი ასე მარტივი როდია, ის ხომ თითქმის არასდროს თამაშობს ჩვენი თამაშის წესებით. ახალგაზრდა, უდარდელი ხევსური, რომელსაც ბანიდან თოვლის გადაყრაც კი ეზარება, თოფით ერთობა. „ახალი გასართობით" აღფრთოვანებული ხან ქალებს აწიოკებს, ხან თითქოსდა უწყინარ „თამაშებს" იგონებს. უშურველად, დაუნდობლად ხარჯავს ახალგაზრდულ ძალას, და მისი ხუშტურებით თანასოფლელთა წყრომასაც იმსახურებს. მაგრამ, ხევსურმა საკუთარ თავთანაც სცადა გათამაშება, ერთიანად მიზიდულს, ხან მკერდთან მიმართავს საყვარელ სათამაშოს, ხან პირში ჩაიდებს... ობიექტივი სწრაფად გადაიტანს მაყურებლის მზერას პეიზაჟზე და ფატალისტის „გართობა" გასროლით მთავრდება (ჩეხოვის წინასწარმეტყველება ახდა)... ცხენოსანი მგზავრი გაოცებული შეჩერდება, სოფელს გადმოხედავს... დასასრული თუ...?

ვფიქრობ ამ კინოიგავის სიუჟეტური წყობა, პლასტიკა, გარემოს ფაქტურა და ხმოვანი რიგი, ყვავის ჩხავილით, საცეკვაო მუსიკით (რაც გოდერძი ჩოხელის თითქმის ყველა ფილმში გარკვეული „კოლორიტის" როლსაც ასრულებს), ცხენის ფლოქვების ხმაურით თუ ტყვიის გავარდნის აქცენტით — რეჟისორის მიერ შესანიშნავადაა შეკრული, სტრუქტურულად ორგანიზებული. გადაღებული ნატურა, ხედები, შუქ-ჩრდილები და ამასთან „დამალული" იუმორი, ფილმს სანახაობრივად საინტერესოს ხდის.

იყო და არა იყო რა... და ერთი, „სხვანაირად",„სიყვარულით"„თანაგრძნობით",სხარტად მოყოლილი ზღაპარიც დამთავრდა — ბედისწერასთან მოთამაშე ბიჭზე, რომელმაც ეს თამაში წააგო...

მიუხედავად ყველაფრისა, რეჟისორმა არ მოახდინა გმირის თუნდაც, რომელიმე ეპიზოდში განცალკევება, იზოლირება იმ სამყაროსაგან, რომელშიც ცხოვრობს. მისი „წამიერი" ყოფა, ბედთან თამაში „ეგზოტიკურ" მთიან სოფელში, ამ გარემოს განუყოფელი ნაწილია. ყველაფერთან ერთად კი, რაც უფრო პოეტურ, ჰარმონიულ გარემოში ვხედავთ ხევსურს, მით უფრო ტრაგიკულად ჟღერს ფილმის ფინალი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ამ ფილმისათვის, ასევე ჩოხელის მთელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მძაფრი, გულწრფელი განცდა. რასაც მაყურებელი არა მხოლოდ გმირთან მიმართებაში, არამედ რეჟისორისათვის ნაცნობ, შინაგანად გათავისებულ გარემოს დემონსტრირებაშიც გრძნობს.

„ერთი მცირე რამ მაინც უნდა გააკეთო იმისთვის, რომ არ დაწვე, არ დაგორდე, არ ჩაიჩეხო წუთისოფლის ბილიკებიდან შენი სამშობლოსათვის"— წერს შემოქმედი.

გოდერძი ჩოხელმა, მიუხედავად მისი ხანმოკლე ცხოვრებისა, ეს პირობა შეასრულა. მან სამშობლოს თავისი შემოქმედებით დიდი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა.

ფილმიდან „ლუკას სახარება"

„ადგილის დედა", „ბაკურხეველი ხევსური", „ადამიანთა სევდა", „წერილები ნაძვებს", „აღდგომის ბატკანი", „უცხო", „ცოდვის შვილები", „სამოთხის გვრიტები", „ლუკას სახარება". „მიჯაჭვული რაინდები"... — ჩოხიდან დანახული სამყარო და ადამიანთა

ფილმიდან „ახაიდუ დურხანი“

ყოფა. ჩოხელის ფილმები მუდმივ შინაგან ბორგვასთან, ძიებასთან, რელიგიასთან არის დაკავშირებული, თუმცა მარტოობისა და მარტოსულობის თემა ხშირად მცირე სიუჟეტური მოტივებით, მაგრამ მაინც ამ შემოქმედის შემოქმედების მთავარი ხაზია.

ბევრი დამეთანხმება, რომ ნამდვილი ხელოვანი ის არის, რომელიც კომპრომისზე არასდროს მიდის, განსაკუთრებით კი საკუთარ თავთან და დროსთან. ქმნის თვითმყოფად პატარა სამყაროს, რომელიც დიდი სამყაროს გასაღებია.

ჩოხელთან სიკვდილის არ ეშინიათ, „მასთან“ მკვდრებიც კი საუბრობენ, მთავარია გესმოდეს „მათი“. აქ სიკვდილიც კი ადამიანურ დატირებას იმსახურებს („ის ხომ ობოლია“)? „ახლა თქვენ თქვით რა ყოფილა სიკვდილი“? მაშინ, როცა ადამიანი ადამიანობს და მაშინ, როცა ჩვილის ტირილი ყველა მინიერ ხმას გადაფარავს...

გოდერძი ჩოხელის ხელწერისა და აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი თვისება თუ ნიშანია — ყურადღების ობიექტებად აირჩიოს თითქოს ჩვეულებრივი უბრალო ადამიანები, თავისი არც თუ ჩვეულებრივი ინტერესებით და თვისებებით.

ეს გმირები ერთი მხრივ, მინიერი, მოკვდავნი არიან, მეორე მხრივ კი, სწორედ „საიდანღაც ზეციური ხომალდით ჩამოფრენილი“ „გზა არეული საოცრებები“, რომლებიც აქ გარკვეული მისიით და ზნეობრივი არჩევანით არიან — დროებით, სანამ ლოცვით „გაფრინდებიან“...

სწორედ ასეთი, წუთისოფლის დროებითი სტუმრებია: ვაჟი-გოგი, შეთე, გალილეი, მზექალა და კინოსურათ „ადამიანის სევდის“ სხვა გმირები. ამ ფილმის გადაწყვეტის თავისებურებიდან გამომდინარე, მასში გადმოცემული თითქოს „კონკრეტული“ ამბავი განზოგადებას განიცდის. და ჩვენს წინაშე ნატურაც კი — გარკვეულ მეტაფორად იქცევა. მეტაფორად არა იმდენად დაბეჩავებული ერისა, არამედ იმ სულიერი პოტენციალის, რომელიც ამ „ერს“ გააჩნია. ჩემი აზრით, განზოგადებულია თითოეული პერსონაჟიც „ქათმებზე“ და „ქალებზე“ მეომარი „დაუფასებელი“, თუ „უარყოფილი“, „რაინდები“. დანომრილი დარდებიც და მათი შემგროვებელი გამეხარდაც, რომელიც ერთგვარ შუამავლადაც მოიაზრება ამ ადამიანებსა და ღმერთს შორის, ღმერთის, რომელიც შეიძლება, სულაც თეთრ ნაბადში, მთის წვერზე „დაბრძანებული“ „თეთრი მწყემსი აღმოჩნდეს“. განზოგადებულია... და თითოეულ მათგანში ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავს, თითოეულ დანომრილ დარდს, ოცნებას, სურვილს, გზას „ღმერთისაკენ“ „ჩვენად“ აღვიქვამთ. და მიუხედავად იმისა, რომ ფინალში „ღმერთის“ ადგილს „მწყემსი“ იკავებს. ისევე როგორც გამეხარდას, ჩვენც (მაყურებლებს) გვჯერა მისი, გვჯერა, რადგან არ გვინდა "სიკვდილთან ერთად დავასაფლავოთ „სიყვარულიც“ (რომლის ღია სიმბოლოდაც სურათში ქეთინო იქცა). სიყვარული, რომლის სახელითაც დაიწყო „ომი“ და, რომელმაც ეს „ომი“ დაამარცხა...

სოფ. ჩოხი, გ. ჩოხელის სახლი

ნიშანდობლივია ჩოხელი მამაკაცისა და „მეომრებისათვის“ გზად „შეხვედრილი“ ადამიანების დიალოგი. ამ საუბრებში რეჟისორის ნებით იკვეთება მარადიული, ზოგადსაკაცობრიო თემები, თემები, რომლებიც კაცობრიობას მუდამ აღელვებდა და დღესაც ისეთივე სიმწვავით აღელვებს.

ან დასაწყისი სად არის ან დასასრული? რა აზრი აქვს ხანგრძლივ სიცოცხლეს? რა არის ღობალი? სიყვარული? რას დარდობენ ადამიანები? რას ვერ იტევს „დარდების წიგნი“ (ალბათ ისიც ფილმის პერსონაჟის ბუხა აფციაურის მსგავსად ამ ქვეყანაზე დარდი რომ არ ილევა, იმას დარდობს და ვერ იტევს?).

ამ კითხვაზე ყველას თავისი პასუხი აქვს, ამ ადამიანებისთვის სიცოცხლე სევდაა — ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა. სიკვდილიც სევდაა — ადამიანად არყოფნის სევდა. ყველასათვის კი ბედნიერია კაცი, რომელიც ამ ქვეყანაზე მოსაგონარს დატოვებს, მის

საფლავზე კი იები აყვავდებიან. ძნელია არ დავეთანხმოთ მათ. ძნელია არ „დავიჯეროთ“ მომაკვდავი დედის, რომლის უსასრულო ტკივილი ომში დაკარგული შვილია. გვჯერა და საბოლოო ჯამში, გვწამს მათი, ვხვდებით, რომ „ჩინ-მენდლები“ არაფერია მაშინ, როცა ერთმანეთის არ გვესმის. „მეზობელში“ ჯაშუშს ვეძებთ და ქვეყანა „ჩვენი გვგონია“. გვჯერა, რომ მარტო მაინც არ ვართ, რაოდენ მარტოსულადაც არ უნდა ვგრძნობდეთ თავს, მოვალეობა და ზნეობრივი არჩევანი ჩვენთვის თანამდევი „ბედისწერაა“.

როგორც აღვნიშნე, ჩოხელი ის შემოქმედია, რომელიც გარკვეული პრინციპების ერთგულებით გამოირჩევა, განსაკუთრებით მთავარი კი მისთვის, როგორც თავად ამბობს, „ენა, მამული, სარწმუნოებაა“, ამასთან კარგად ხვდება, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ „სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს“. მისი „სამოთხის გვრიტებიც“ ხომ ამაზეა. ანაბანას სწავლობენ მოხუცი ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება „კომუნიზმს“ აშენებდნენ და მოწყვეტილი იყვნენ სარწმუნოებას. ეხლა კი სწავლობენ, რათა ლოცვა წაიკითხონ და ისე წარსდგნენ უფლის წინაშე, ანუ „ეზიარონ წმინდათა წმინდას, რასაც ჰქვია ღვთაება და ქართველობა“...

ადამიანი არსებითად „უსასრულობის ვნებაა“, ფიქრობდა სიორენ კირკეგორი და ამ მხრივ, იგი არ ცდებოდა... ადამიანს, რამდენადაც ადამიანია, მუდამ მხედველობაში აქვს და მოსვენებას არ აძლევს უსასრულო ყოფიერებაში დამკვიდრების შესაძლებლობა, მას მისი სულის სიღრმეებიდან რაღაც ძალით ყოველთვის მოესმის ხოლმე, „უსასრულობის ძახილი“, ამიტომაც არ შეუძლია ცხოველის დარად ელემენტარულ ბიოლოგიურ სიცოცხლეს დასჯერდეს — განსაკუთრებით ეს ხელოვან ადამიანს ეხება, რადგან მათთვის ბიოლოგიური სიცოცხლე „შემოქმედებითი წვის“ გარეშე გაუსაძლისი წამებაა“. სწორედ მხოლოდ ბიოლოგიური სიცოცხლისგან „იცავს“ თავის გმირებს ჩოხელი. იცავს, „ზეცას“ აგზავნის და თავადაც უერთდება მათ „თავისი“ მარადიული კაცობრიობის სევდით — „აისერიო ბისერიო მისერ“ (ზოგჯერ კაცს ისე ვერ აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ). უერთდება დაგროვილი, შემოქმედებაში ბოლომდე დაუხარჯავი ენერგიით, იმ სათქმელით, იმ კითხვებით თუ პასუხებით, რომლებიც ბოლო წლებში გოდერძი ჩოხელის, „ამოუთქმელ, „დაუნომრავ“ დარდად“ იქცა.

ვისი ბრალია?..
ყველაზე მარტივია ვთქვათ — „დროის?“
„დრო დროზე სწრაფად მიქროდა,
დრო არაფერზე ფიქრობდა.
ფიქრი რად უნდა დროს?
დროს, როცა უნდა თოვს...“

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური სიცოცხლე დამთავრდა, „უსასრულობის ძახილი“ გრძელდება, გრძელდება მაშინაც, როცა „სხვაგან წამყვანი“ თოვლი დადნება და საფლავზე იები აყვავდებიან.

გრძელდება კაცობრიობის მარადიული სევდაც, რომელიც ჩოხელმა თავმდაბლობით, მხოლოდ „სასწაულებრივი ტბის“ მკვიდრთა ენაზე და არა ყველას „გასაგონად“ თქვა: „აისერიო ბისერიო მისერ“.

გოდერძი ჩოხელი კარლო საკანდელიძესთან ერთად, ფილმის გადაღებაზე

ნიჭიერი

მხატვარი, რომელმაც ისტორიის ხარი შეაღო

„ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს“.

თანამედროვე ქართული მხატვრობა დიდ და მრავალფეროვან პალიტრას ჰგავს ან ხალიჩას, რომელიც სხვადასხვანაირი ნახატით, ფერით, ორნამენტითაა მოქარგული და ყველა ნიუანსს თავისი დატვირთვა აქვს.

საქართველოში ბევრი ადამიანია, ვინც სახვითი ხელოვნების მეშვეობით გამოხატავს თავის შინაგან სამყაროს და დამოკიდებულებას გარესმაყაროს მიმართ, მაგრამ ამ სიმრავლის, ამ მრავალფეროვნებისა და სწრაფვის მიუხედავად, ყველა ვერ პოულობს საკუთარ თავს, საკუთარ ნიშას და ქართულ კულტურაში საკუთარ ადგილს ვერ იმკვიდრებს.

გიორგი გეგეჭკორმა, ინდივიდუალური ხელწერისა და თავისთავადი საავტორო მანერის მატარებელმა მხატვარმა, შეძლო აღმოეჩინა მოღვაწეობის ის სფერო, ის მიმართულება, რომელიც, ერთი მხრივ, უშუალო კავშირშია სახვით ხელოვნებასთან, მის ტრადიციებთან (როგორც ქართულ, ისე, მსოფლიო კულტურაში) და მეორე მხრივ, ბევრად შორს სცდება მის ფარგლებს, რომელიც უფრო ღრმა, მასშტაბური და არსებითი დანიშნულების მატარებელია, ვიდრე „წმინდა“ შემოქმედება.

წარმატებული და ასე ვთქვათ, უკვე „შემდგარი“ მხატვარი (რასაც მისი ბიოგრაფიის „მშრალი“ ფაქტები მეტყველებს) გიორგი გეგეჭკორი — ელენე ახვლედიანის სახელოსნოში, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელსა და სამხატვრო აკადემიის დამთავრებისა და ქვეყნის საგამოფენო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის შემდეგ, ფესტივალ „თბილისური გაზაფხულის“ (სახვითი ხელოვნების ნომინაციაში, 1996 წელს) და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი ხდება. ქართული თეატრის მოღვაწეთათვის განკუთვნილი ეს პრესტიჟული და საპატიო პრემია 1993 წელს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში განხორციელებული, ალბერ კამიუს „კალიგულას“ სცენოგრაფიისთვის მიენიჭა.

საერთოდ კი, გიორგი გეგეჭკორს საქართველოს სხვადასხვა თეატრში 25 სპექტაკლი აქვს გაფორმებული. თეატრთან სიახლოვე, მასთან მუდმივი და აქტიური კავშირი, იმ საიდუმლოს ამოხსნის „თანდაყოლილი“ უნარი, რომელსაც თეატრი მალავს და, რომლის სამყაროს ამოცნობასაც განსაკუთრებული მზადყოფნა სჭირდება, მხატვრისგან გასაკვირი არაა, ვინაიდან, მთელი ცხოვრება ამ სამყაროში გაატარა, იქ ჩამოყალიბდა პიროვნებად, იქ გაიზრდა. გიორგი გეგეჭკორი გოგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის ვაჟია და ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

იგი ჯგუფურ გამოფენებში 1983 წლიდან მონაწილეობს, 1990 წელს პირველი პერსონალური გამოფენა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში მოაწყო, რასაც მოჰყვა მეორე პერსონალური — თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, 1999 წელს; მესამე — თბილისის სურათების ეროვნულ გალერეაში, 2000 წელს და კიევის ივან ფრანკოს სახელობის თეატრში, 2001 წელს.

თუმცა, სცენოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრსა თუ ფორმაში მუშაობის გარდა, მისი მოღვაწეობის უდი-

ნიკო ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი და აკაკი ხოშტარია

დესი ნაწილი ინდივიდუალურ და ჯგუფურ პორტრეტებს მოიცავს და მათგან, განსაკუთრებით, ქართველ მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების სერია გამოირჩევა.

ეს სერიები გარკვეული პერიოდების, მასალის დაგროვების შემდეგ, კატალოგებად გამოდის და საზოგადოების უმრავლესობას საშუალებას აძლევს, გამოფენების გარეშეც გაეცნოს მათ, ვინც ქართული ერის ისტორია შექმნა.

მხატვარი ერთ-ერთ ასეთ კატალოგს (რომელიც ელენე ახვლედიანის ხსოვნას ეძღვნება) ილია ჭავჭავაძის ციტატას წაუმძღვარებს, რითაც მოკლედ, მაგრამ ზუსტად განსაზღვრავს მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა სერიის შექმნის მთავარ პირობას, დანიშნულებას, მიზეზსა თუ მიზანს.

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს". ილია ჭავჭავაძე სამწუხაროდ, სხვადასხვა ისტორიული მიზეზისა თუ ტრადიციების თავისებურებებიდან გამომდინრე, ჩვენ, თანამედროვეებს, ჩვენი წინაპრების, „სახელოვანი კაცების" ძეგლები თუ ფერწერული პორტრეტები, იშვიათზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ „აღგვიმართავს" და გიორგი გეგეჭკორმაც, სწორედ ამ დიდი დანაკლისის შევსება დაისახა მიზნად, სწორედ ეს რთული მისია იტვირთა, როდესაც მეფეთა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტების შექმნა განიზრახა. ამ მისიას იგი უკვე 12 (1995 წლიდან) წელია ასრულებს და თან, მეტად წარმატებულად. სწორედ ეს სფეროა ის გამორჩეული ადგილი, რომელიც გიორგი გეგეჭკორმა „აღმოაჩინა" და სხვასაც, საზოგადოებასაც მისცა მისი აღმოჩენის, მასთან სიახლოვის საშუალება.

მოვლენის მნიშვნელობის საჩვენებლად, გიორგი გეგეჭკორის მიერ, ხანგრძლივი შრომის შედეგად შექმნილი, წინაპრების, ისტორიული პირების, ეროვნული თუ სასულიერო მოღვაწეების პორტრეტების მხოლოდ ჩამოთვლაც კი საკმარისი იქნებობდა — წმინდა ნინო, ფარნავაზი, ქუჯი ეგრისელი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი III, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, დემეტრე II თავდადებული, ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ მეექვსე, სოლომონ მეფე, ერეკლე II, ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დავით სარაჯიშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი ხოშტარიას ჯგუფური პორტრეტი და სხვა.

თითოეული პორტრეტის შექმნას წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის. გიორგი გეგეჭკორი ისტორიაში, წარსულში იწყებს მოგზაურობას, იწყებს ეპოქის, ქრონიკების, მატიანეების, ისტორიული ლიტერატურის შესწავლას, იწყებს მეფეთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიების მრავალმხრივ და ღრმა ანალიზს; სწავლობს მათ პირად, საერო თუ საზოგადო ცხოვრებას, მათ ყოფას, ტრადიციების, კულტურის ისტორიას და, როდესაც ისტორიული ფონი შესწავლილი და გათავისებულია, მუშაობის მეორე ეტაპი — უშუალოდ პორტრეტის შექმნა იწყება.

ასეთი პროცესი ყოველი მოღვაწის შემთხვევაში მეორდება. გიორგი გეგეჭკორი: „როდესაც ისტორიულ პიროვნებებზე ვმუშაობდი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე ძალიან ხშირად მიწევდა კონსულტაციებს. მან ბაგრატ III-ზე მონოგრაფია გამოსცა და ცალკე თვითონ დამირეკა, ცალკე რედაქტორმა და მთხოვეს, წინააღმდეგი თუ არ ვიქნებოდი, ჩემს ბაგრატ III-ს ამ მონოგრაფიის ყდაზე დაბეჭდავდნენ. წინააღმდეგი, როგორ ვიქნებოდი?!"

და შემდეგ, როდესაც ეს ხანგრძლივი, მძიმე, დამღლელი, მაგრამ საოცრად საინტერესო, მომაჯადოებელი პროცესი დასრულებულია, მთელი საზოგადოება ხდება იმის მოწმე, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, როგორები იყვნენ ისინი, როგორ გამოიყურებოდნენ, როგორ ეჭირათ თავი, რა ეცვათ და რას გვიანდერძებენ უშორეს წარსულიდან.

ეს ნამუშევრები, ე.წ. „პარადული" პორტრეტების კატეგორიას განეკუთვნება, საზეიმო, ოფიციალური პორტრეტების ტიპს (რისი ტრადიციაც მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ევროპაში და საქართველოში, მე-19 საუკუნიდან გვხვდება), რომლებიც გარკვეულ კანონიკურ წესებს ექვემდებარება და გიორგი გეგეჭკორიც ამ წესებს მთლიანად „ექვემდებარება", მაგრამ, ამავე დროს, იგი ქართული ხელოვნების ხასიათის, ქართული კულტურის კანონებს ეფუძნება და ამასთან, სრულიად ინდივიდუალურად, თავისუფლად, ორგანულად და ლაღად ახდენს საკუთარი შემოქმედებითი ხელწერისა თუ სტილის (ძლიერი ენერგეტიკა, ოსტატობის მაღალი ხარისხი, წერის თავისებური მანერა (თავშეკავებული ემოცია) ტრადიციასთან (ლაკონურობა, სისადავე, ჰარმონიულობა, სიმშვიდე და გაწონასწორებულობა), შეთავსებას, გამთლიანებას.

მხატვარი თავის პერსონაჟებს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქისთვის და პირადად მათი სტატუსისთვის შესატყვის სამოსში მოსავს. ასეთ დროს ითვალისწინებს ნებისმიერ დეტალს, კოსტიუმის ნებისმიერ ელემენტს, მათი საქმიანობისთვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას, იქნება ეს სამეფო გვირგვინი, იარაღი თუ სამკაული. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გიორგი გეგეჭკორი ფერწერულ ტილოებზე წიგნებს, ფოლიანტებს ასახავს (და არა მხოლოდ იმიტომ, რომ პორტრეტებზე წარმოდგენილი პიროვნებებიდან, ბევრი საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა ან წიგნთან იყო დაკავშირებული), როგორც ერის სულიერი კულტურის, ერის უმაღლესი დანიშნულებისა და მისიის მეტაფორას.

აბსოლუტურად ცხადია, რომ ვერც ერთი მეფე თუ სხვა ისტორიული პირი, მხატვარს პოზირებას ვერ გაუწევდა და ამდენად, იშვიათად არსებული პორტრეტები, იგივე ფრესკები, მოგვიანებით, დაზგური ფერწერის ნიმუშები და კიდევ უფრო მოგვიანებით (საზოგადო მოღვაწეების შემთხვევაში) ფოტოები მაინც ვერ ქმნიან სათანადო შთაბეჭდილებას ადამიანის ხასიათზე, მის თვისებებზე (და თუ ქმნიან, მხოლოდ ზედაპირულს). ამდენად, გიორგი გეგეჭკორს მთელი ფანტაზიის, წარმოსახვის ამუშავება სჭირდება, პორტრეტებზე ასახულ პირთა შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად და ეს, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ხდება. ხდება და ჩვენ საშუალება გვეძლევა, გავიცნოთ ისინი, არამხოლოდ გარეგნული წარმოდგენა შევიქმნათ, არამედ მათი ბუნებაც შევიცნოთ და უპირობოდ გავიზიაროთ ავტორის შემოთავაზება.

საინტერესოა, რომ მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებში, დაკვირვებული თვალი იოლად ამოიცნობს ჩვენს თანამედროვეთა (კულტურის, საზოგადოების წარმომადგენლების) გარეგნულ ნიშნებს და არც ესაა შემთხვევითი. ამით მხატვარი ქართველი ერის გენეტიკური ჯაჭვის უწყვეტობაზე, წარსულისა და აწმყოს კავშირის განუყრელობაზე მიუთითებს და კონკრეტულიდან — მთლიანად ქართველი ერის პორტრეტს ხატავს.

ინტერესი გიორგი გეგეჭკორის მიერ შექმნილი პორტრეტული გალერეის მიმართ ქართულ (და არამარტო ქართულ) საზოგადოებაში ძალიან დიდია. თუმცა, როგორც ყველაფერს, ამასაც ორი მხარე აქვს და სწორედ მეფეთა ამ პორტრეტების „წყალობით", მხატვარს საკმაოდ სერიოზული პრობლემებიც ექმნება.

ვახტანგ VI

თანამედროვე ქართველთა შორის გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პორტრეტს უკავია, სადაც ავტორი, პერსონის განსაკუთრებულობიდან, მისი პიროვნული სიმაღლიდან და ღრმა სულიერებიდან, ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მისიიდან გამომდინარე, განსხვავებულად უდგება ასახვის ობიექტს. ალბათ ესეც გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს პატრიარქის სახე გიორგი გეგეჭკორს ჩვენი ისტორიული წინაპრების რანგში აქვს გადაწყვეტილი. ამის მოტივი, ალბათ, ისიც იყო, რომ უწმიდესი, მისი სათნოება, ვიზუალური თუ შინაგანი ღირსება და კეთილშობილება, ავტორში მოკრძალებასა და თაყვანისცემას იწვევს, რაც აშკარად და უნაკლოდ აისახება მხატვრულ ნაწარმოებზე.

გიორგი გეგეჭკორს თანამემამულეთა, ისტორიული პირები იქნებიან ისინი, თუ თანამედროვენი, მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური ფიგურებისა და კულტურის მოღვაწეთა პორტრეტებიც აქვს შექმნილი. მათ შორის, აღსანიშნავია პრეზიდენტების — სულეიმან დემირელის, ჰეიდარ ალიევის, ილხამ ალიევის, ჯორჯ ბუშის; გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის, მსახიობ კლაუს მარია ბრანდაუერის სახეები, რომლებიც მათ პირად კოლექციებში ინახება და შესაბამისად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია წარმოჩენილი. რაც ნიშნავს არამხოლოდ გიორგი გეგეჭკორის ხელოვნების პოპულარიზაციას აშშ-ში, თურქეთში, გერმანიაში თუ აზერბაიჯანში, არამედ ამ სახელმწიფოებში, ქართული მხატვრობის, ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

როდესაც იგი ასეთ პორტრეტებს ქმნის, იგი „ობიექტის" შესწავლის, მასზე დაკვირვების სხვა მეთოდს მიმართავს — აკვირდება ამა თუ იმ პიროვნებას მის ქმედებას, მეტყველებას, მოძრაობას, სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა ვითარებაში, კვლავ და კვლავ იკვლევს მათ ბიოგრაფიას, ცხოვრებისეულ დეტალებს, გნებავთ, ფსიქოლოგიას და შემდეგ, კვლავ „ჩვეულ" ხერხს იყენებს, ინდივიდუალური ხედვიდან გამომდინარე, პიროვნულ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით, აღბეჭდავს მათ ტილოზე.

კიდევ ერთხელ მთლიანდება სამყარო, წარსული და აწმყო, ერთიანდებიან ადამიანები და ქვეყნები, ყველა ზღვარი იშლება დროსა და მანძილებს შორის და ყველა წინაღობა, რაც ჩვენსა და „სხვებს" შორის არსებობს, ძალდაუტანებლად ქრება.

გიორგი გეგეჭკორი მთლიანად და სრული პასუხისმგებლობით აცნობიერებს, რომ „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს... თუ მართლა ერობა ჰსურს, სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს" — და ამისთვის ხატავს და ხატავს თავისი ერის გმირებს, რომ სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს, რომ მათი მიბაძვა ვინმემ სცადოს, რომ ერმა მათი მაგალითებით ისულდგმულოს...

როდესაც ამ ნამუშევრებს ხედავ და აფასებ, როდესაც აკვირდები თითოეულ დეტალს თუ მთლიან კომპოზიციებს, უყურებ ძვირფას და დიდებულ წინაპართა სახეებს — ამაყად და ღირსეულად მზირალთ, რომლებიც დაუჯერებელი ძალით ცოცხლდებიან და მათთან ერთად ცოცხლდება ისტორიაც, ნათლად აღიქვამ, რომ გიორგი გეგეჭკორი არაა „მხოლოდ" მხატვარი, მხატვარი — აღმწერი, იგი მხატვარი — მკვლევარია, მხატვარი — მეგზური, რომელმაც საქართველოს ისტორიის კარი შეაღო და სხვასაც მისცა მასთან მიახლოების საშუალება; მხატვარი — მესაიდუმლე, რომელსაც აქვს უფლება თავისი ხედვა, დამოკიდებულებები გაგვიზაროს და ჩვენც ვიცით, რომ ეჭვგარეშე შეგვიძლია ვენდოთ მას, რადგან ეს სავსებით დაიმსახურა.

ივანე მაჩაბელი

b 44/2

ჭაბუა ამირეჯიბი, ფრანსუაზ საგანი და რეზო ამაშუკელი შვილიშვილთან ერთად ჯვრის მონასტერზე, 1988 წ.
სურათი მოგვაწოდა ბატონმა რეზო ამაშუკელმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-0;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი
ნინო აფრიამაშვილი
ელენე ვარამაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

თამარ მეფე

გიორგი ჭყონდიდელი

წმინდა ნინო

გიორგი ბრწყინვალე

ფარნავაზი

ქუჯი ეგრისელი

სოლომონ მეფე

ცოტნე დადიანი

მეფე ერეკლე II

ISSN 1512-3189

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ 3